

114 /
1960 / 2

საქართველოს
საბჭოთავო მწიგნობრობა

მნათობი

8

ს 2 3 0 6 6 მ



1960



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური პარტიის
და საზოგადოებრივი-კულტურული მემკვიდრეობის ცენტრის

წელიწადი 37-ე

№ 8

აგვისტო, 1960 წ.

საბარტველოს საზოგადოებრივი მემკვიდრეობის კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

იოსებ ნონეშვილი — არწივების ქვეყანა. ლექსი	30-
ქეთევან ელისაბედაშვილი — ცინდალი. მოთხრობა	3
ვახტანგ ჯაბუშანიანი — ლექსები	4
სიმონ წვერავა — განვლილი ვზა. ნარკვევი	8
ჯანა ზვინაძე — ლექსები	9
ნინო ნაკაშიძე — მოგონებები. გაგრძელება	36
ნაზიმ მიქაბერიძე — დამოკლები სხალი. პიესა, თარგმანი. ირაკლი აბაშიძისა	37
ლუიჯი პირანდელი — მარაო. მოთხრობა, თარგმანი ეთერ როსტომიშვილისა	50
ი. ჯაში — ახალი ციმიბირი. ნარკვევი	68
გორგაზ ლეონიძე — ნაშრომები	72
	79

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ბესარიონ ელენტი — დემნა შენგელაია	92
დომინიკი ბენაშვილი — ქართული თანამედროვე კომედიოგრაფია	114
გურამ კანკავა — სამი პოეტი. დასასრული	119
ფიქრია ზანდუკელი — ანდაზის გენეზისის საკითხისათვის	128
პ. რატიანი — ქართული ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან. გაგრძელება	134
ჯ. ვატიშვილი — ქართული ლეგალური პარტიული ბეჭდვითი სიტყვის ისტორიიდან	141

თბ. მეორე გვერდზე



ტ. ხუნდაძე — ქუთაისის ქართული გიმნაზია — ქართული კულტურის ერთ-ერთი კერა 151
 ირაკლი ანთელავა — XIX ს. პირველი ნახევრის საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან 160

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

ხელოვნების საკითხები

ალექსანდრე ზურთიყაშვილი — დიდოსტატის გზის დასაწყისი 167
 ე. გალუბტოვა — ნიჭი, შრომა და შემართება 172

წიგნების მიმოხილვა

შალვა აღზაიძე — საინტერესო რომანი ჩვენს წარსულზე 180
 გ. მესხიშვილი — ოთარ ჭელიძის „რჩეული“ 183
 სერგო ჭეიშვილი — ანდრია სინაურის ლექსების კრებული 186
 ალექო სანადირაძე — ოთარ დემეტრაშვილის მოთხრობები 188
 ზურაბ ჩხენკელი — მონოგრაფია იოჰანეს ბუხერზე 190
 ახალი წიგნები გარეკანის შესამე გვ.

რედაქტორი **ს. ჩიქოვანი**

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა

დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, ლ. კალანდაძე (პ/მგ. მდივანი),
 გ. მარგველაშვილი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 2-13-42; 2-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/IX-60 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწყოების ზომა 7¹/₄×12¹/₂.
 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 03755.
 ტირაჟი 6500. შეკეთა № 1735.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს შთავაზოლიგრაფიკომპლექსის
 ბეჭდვითი სიტყვის კომბინატ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
 Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, № 5.



არწივევის ქვეყანა

(ციკლიდან „ღღეები ალბანეთში“)

მახსოვს, მითხარით, მთებს რომ
გაეხედეთ
და მეგობრობის თასი აეწიეთ,
რომ ალბანეთი — ქვეყნის სახელი —
თურმე თარგმანში ნიშნავს არწივეთს.

მე — საქართველოს მთებში გაზრდილი
დიღხანს ვეძებდი თქვენში არწივებს,
არ დაპბრუნავდა ერთი არწივიც
იმ ღღეს ქიუხებს, ლალად აწედილებს.

და თუმცა ღრუბლები ფერხითი
გვეფინა,
ბრწყინავენდნენ მთები ნისლეზაყრილნი,
ვფიქრობდი, ეს რა არწივეთია,
თუკი არწივი არსად გაპყვივს.

მაგრამ, როდესაც უცხოვდ ნათალი
ენახე ახალი ჭეჩაბანდები,
საქართველოსებრ ზაფხულ-ზამთარი
მთებზე თოვლი და ველზე ვარდები,

ზეთის ხილის და ტუნგოს ბაღებში,
ადრითიკის ცისფერ ნაპირთან,
ენახე წყვარამი შავად ნალესი
სიცოცხლის შუქმა როგორ დაფლითა.

დიახ, მე ენახე გული მღელვარე
როგორ ჩაუდგით ქორჩას, ელბასანს
და ძილ-ღვიძილში მარად მთვლემარე
გამოაღვიძეთ მხარე ერთბაშად.

ენახე ქარხნები როგორ აღმართეთ,
როგორ აღანთეთ შრომის დიდებით
და ქარაფოვან აღმართ-დაღმართებს
როგორ დაადგით მხრებზე ხიდები.

ვიგრძენ სურნელი თქვენი მთებისა,
თქვენი ბაღების, თქვენი ტყე-ველის.
ენახე სიმაგრე სკანდერბეგისა
ლიბომაგარი, შეურყეველი.

ვერ შევისრულე თუმცა წადილი,
გული სხვა ფიქრმა ამიშინა,
სჯობდა არწიენი, გითხრათ ნამდვილი,
ქვეყნად მეძებნა, ცაზე კი არა.

სხვაგვარ შეეხედე თქვენს მთებს
გოლიათს,
ველებს, გაშლილებს უქნობ ვენახად...
მართლაც არწიეთა მხარე გქონიათ
და არწივები დასტურ თქვენა ხართ!



ცინდარი

თელეები. შრიალა მაღალი თელეები. ჩრდილში წყაროები. ჩუხჩუხა, გრძელი წყაროები, გახელებული ჯიხველისკენ თავპირის მსხვერვეით რომ მოექანებიან. ჯიხველაში ქვებიც იდინიან. იმიტომ, რომ წყალი სუფთაა. ცივი და გემრიელი.

მერე, არა სჯობს ამ წყაროებმა, სოფელში რომ იდინონ?!.. ჰო, და, თუ სჯობს, თქვეს და დაადგინეს. თქვეს და საქმეს შეუდგნენ.

თხრილში ვაჟა დგას. დგას და ალესილ ბარს კრახანასავით ატრიალებს.

წაყვრება ბარი მიწას, მოსჭრის და გზის გადაღმა ისვრის, მოსჭრის და თხრილის ნაპირზე ყრის. ნაპირზე ნათელა დგას. დგას და ნიავისგან მოტაცებულ კაბის კალთებს ხელით იოკებს.

— ყოჩაღ ვაჟა, ყოჩაღ! — ნიკაბთან შეკრული ჩითის სამყურა თავსაკრავიდან კაჭკაჭივით დასძახის.

— აბა, შენისთანა ჩაჩულია ხომ არ გეგონე! — ამბობს ვაჟა და ილიმება, ილიმება და ბარს ახელებს.

— შე ვარ ჩაჩულია?!

— ჰო, შენ.

— აბა, მაჩვენე, თუ ჩაჩულია ვარ! — თქვა ნათელამ და თხრილში ისეკუბა. ისეკუბა და ვაჟას ბარს ხელი წააღლო.

— მოიცა, გოგო, შენ კი არა, ნუცაა ჩაჩულია.

— აბა ნუცა?

— შენი მეგობარი.

ნათელამ გაიღიმა, მოსჭრა მიწა და გზისნაპირზე შეყარა, გზაზე კი ნუციკო მოდიოდა, ხელი კალათისთვის გაეყარა და აქეთ იქპირებოდა.

— რას შევები გოგო? — თქვა გოცებულმა და თხრილის ნაპირზე გადმოდგა.

გოგოებმა ხმამაღლა გაიცინეს.

— კარგი, გვეყოფა! — თქვა ვაჟამ და თხრილიდან ამოვიდა. მარტო ვაჟა კი, არა ყველა ვინც თხრილის გაქრაზე მუშაობდა.

იმიტომ, რომ შეუადღეა, უნდა დაისვენონ. მზე შუა ცაზე ავიდა და ცხოველმყოფელი, გრძელი სხივებით აცხუნებს და აცხუნებს. ვაჟამ ხის ჩრდილში მოიკეცა. ნათელა და ხუტაც იქვე დასხდნენ. ახლო სულ ახლო. იმიტომ, რომ ჩრდილი ვიწროა, წაგრძელებული. ჩრდილში დროდადრო მზის სხივი ჩამოანათებს. ჩამოანათებს და გაწყდება. ისევ აენთება და გაწყდება. როცა სხივი ჩამოგრძელებდა ვაჟა თვალებს ჰუტაცს. როცა გაწყდება გოგოებს უყურებს.

გოგოების ჩითის კალთებში მუხლის თავები წამოჩრილა. ნათელას ხორც-შესხმული მუხლისსარქველი აქვს. ნუცას მრგვალი და ხორცმუხებელი. თავი დაუხვრია, ორი თითით ბალახსა ჰკორტნის. სრესავს და აგდებს, სრესავს და, აგდებს.

ვაჟა ნუცას მოქნილ თითებს დასჩერებია.

— აბა მაჩვენე! — წასწედა ხელში.

— კარგი მტკიცია! — თქვა ნუციკომ და ვაჟას მწყარალად შეხედა. ფოთლებში ისევ მზის სხივი ჩამოიწვერა. ჩამოგრძელებდა და ნუცას დაანათა. ვაჟას ბაიბეში ნუციკო მოსჩანს. იი მკლავები და მოკვერილი პატარა მკერდი.

— ვაჟა, იი მე! — ანიშნებს თითით ვაჟას თავლისფერ ბაიბეზე.

ნუცას სხივთან თვალებში ვაჟაც მოსჩანს. მაგრამ ვაჟა არაფერს ამბობს, ილიმება და ნუციკოს თვალს ვერ ამორებს.

ნუცა ახლა ფეხზე წამოხტა. კალათას ხელი დაავლო. წასვლას აპირებს.
 — საღამოზე ერთად წავიდეთ, — უთხრა ნათელამ ამხანაგს.
 — გამოვივლი!
 — გიცი, იცოდე,
 — ჰო, კარგი! — ამბობს ნუცა და მიდის. კი არ მიდის, ვარბის, გზის გადაღმა თუთის ხეებისკენ გარბის.



ნუცას ყვავილიანი ჩითის კაბა აცვია. ნათელას თეთრი, ბოლოებიანი. ერთად სხედნენ საარკმლის რაფაზე. უკან, სულ უკან. მათ წინ ზურგებია. ქალიშვილების და ქაბუკების ზურგები. ვაჟა წითელი მუღით გადაფარებული მაგიდის კუთხეში ზის და აქეთ იხედება. იხედება და იხედება. როდესაც არ უნდა გაიხედოს ნუცამ, ვაჟას თვალებს უნდა წააწყდეს. ნუცას უხარია. რატომღაც კმაყოფილია და ეცინება. ისე ეცინება, რომ თავს ძლივს იკავებს.

— გოგო, ამ ვაჟას რა მოეჩვენა? — ეუბნება ჩურჩულით ნუცას.
 — მოსწონხარ ალბათ.
 — კარგი, თუ და ხარ!
 — მართლა, მართლა.
 — შენ, რა იცი?
 — აი ნახე.

ნუცა ერთბაშად გაწითლდა. ახლა უფრო დაკვირვებით უყურებს ვაჟას, ვაჟას ჭრელი, ურებიანი პერანგი აცვია. ხშირი შავი თმა გვერდზე აქვს გადაფარცხნილი. ისევე აქეთ იხედება, და იხედება.

ნუცას ახლა ისევე ეცინება. მაგრამ, რა ჰქნას, თათბირია. კომკავშირელი ახალგაზრდების საქმიანი თათბირი. ახლა წყლის მილებს მიიტანებენ. ყველა ეზო უნდა აღრიცხოს, სადაც წყლის ონკანი უნდა დაიდგეს. სადაც წყაროს წყალი მიადწევს. ეს შედარებით იოლი საქმეა ახალგაზრდებმა უნდა იხილონ. კრება დამთავრდა.

ახლა ნათელამ უჩურჩულა ნუცას. ეზოში გამოვიდნენ. კარებთან დადგ-

ნენ. ირგვლივ სიბნელეა. ჩუმი და მყუდრო. სოფელი აღარა სჩანს. მაგრამ ყველა ხედავს თავის ოდა-სახლს. სადაც ერთი ან ორი ელნათურა კიაფობს, იქ სახლია. სადაც გამწკრივებული ელნათურები კაშკაშებენ, იქ გზებია.

აქ კი დერეფანიდან გამოსული შუქი გამოტილა დედამიწაზე. შუქს ხან კარებში გამოსულ ქალ-ვაჟთა ლანდები ჰკვეთავენ, ხან ოთხი, გრძელი ბავშვური, გრძელი ხელ-ფეხის ჩრდილი, კაკლის დასაბერტყი ჭოლოკივით ჰკვეთავს დიდ ეზოს.

ვაჟას გაეხარდა, კარებთან გოგოებს რომ შეეფეთა.

— რა შტერებივით გაჩერებულხართ.
 — თქვა და გაიღიმა.
 — მე ვარ შტერი?! — იკითხა ნათელამ.
 — არა, ნუციკო.
 — შენ, რაღა ხარ ნეტა?
 — მე, ე, — თქვა და ნუცას მკლავზე გადადებული საწვიმარი აართვა.
 — მოიცა, რა იყო!
 — წადი, ძმაო, წადი, ხელს გვიშლი.
 — თქვა ნათელამ, ვაჟას ხელი აუქნია. ვაჟა არ წავიდა.
 — მე ვიშლით, — იკითხა და გულზე ხელი მიიღო.
 — ხო, შენ.

— მე, კი, არა შენ გვიშლი ყველამ ერთად გაიციინეს. ნათელამ ნუცას მხარზე ხელი გადასდო. ორი ჩრდილი ახლა ერთმანეთს გადაეხლართა. ვაჟას ჩრდილი კი ცალკეა. აი მკვრივი ბეჭები. შემართული კისერი და კეფა. მტკიცე ბიჭური ნაბიჯი.

გოგოებმა ერთმანეთს ფეხი შეუწყვეს. მიდიან სოფლის შარაზე, შუაგულში კი არა, ნაპირში. იმიტომ, რომ შუაში თხრილია. ხალხი გზის ნაპირში დადის. ნაპირზე გოროხები და ქვები ყრია. ქვებში ბალახია ამოჩრილი. ბალახი დანამულია. ნუცას ახალი ფეხსაცმელები აცვია და უსველდება.

— კიდევ კარგი რომ წვიმა არ მოვიდა, — ამბობს ნუცა.

— დღეს წვიმა როგორ შეიძლებოდა.

— რატომ?

— გზაზე ჩვენ უნდა ჩამოგვევლო ცინიან გოგოები. ვაჟა იღიმება.

— ვაჟა მომეცი საწვიმარა. — ამბობს ნუცა.

— საწვიმარა ვაჟას აჩუქე. — ევედრება ნათელა ნუცას.

— რატომ?

— აივნის მოაჯირთან სძინავს.

— შერე?

— როცა წვიმს, ლოგინი უსველდება.

რა კვიმატია ნათელა, ალბათ დაინახა ილიაში ამოჩრილი ლოგინით გუშინდამ ვაჟა როგორ ეძებდა აივნის მშრალ კუთხეს. ახლა დასცინის, ნუციკოსთან არცხევის. ვაჟა გრძნობს, ყურები როგორ უწითლდება. როგორ დასცხა ერთბაშად.

— კედელთან დედა, რუსო და თინა იძინებენ. მე და მამა მოაჯირთან ვწევართ, — თქვა და ნუციკოს შეხედა.

— ოთახში? — იკითხა ნათელამ სწრაფად.

— ოთახში დედამ აბრეშუმის ქია დაიჯინა. — ამბობს და ნუცას მიშტერება გამომცდელად, იქვიანად. ხათურის მკვეთრ შუქზე ნუცას სახე ახლა უფრო გასხივებული და ლამაზი მოსჩანს.

— ქია ჩვენც ოთახში გვყავს. — ამბობს და წარბებს ჰკრავს, წვრილ წაბლისფერ წარბებს.

ახლა ვაჟაც შევებით იღიმება. იღიმება და არაფერს ამბობს. — ნუცა კარგი გოგოა, აი, ამიტომ მიყვარს, ფიქრობს და ჰიშკრებს გასცქერის. ეს ჰიშკარი ვაჟასია. ის ჰიშკარი ნათელასია. ჰიშკრებს იქით ეზოებია. ეზოებში სახლები. სახლებში სინათლე ანთია. მაგრამ ახლა ვაჟას შინ წასვლა არც უფიქრია.

ნათელამ ნუცას მხრიდან ხელი ააცალა.

— წავედი!

— კარგი, ნახვამდის ნუცა, — თქვა და გაიქცა.

ნუცა და ვაჟა ახლა მარტო დარჩნენ, მარტო რათა, გზაზე ახალგაზრდებმა ჩამოიარეს. ისინი ზემამალა საუბრობდნენ. იცინოდნენ და მიდიოდნენ. ნუცა და ვაჟა კი არ საუბრობენ, მიდიან. მიდიან ორლობისაკენ, ორლობეში თხრილი არ არის, მაგრამ უფრო ბნელა. რა კარგია, რომ ნუცა შორს ცხოვრობს. ვაჟა მისდევს და უყურებს. სულ უყურებს. ნუცას მოღერებულ კისერთან ქათმის საწინწყარასავით გამხდარი ლავიწი მოუჩანს, როცა ნაურმალს ფეხს წამოჰკრავს და შებოროტდება.

— რა ბნელა, — ამბობს და იღიმება.

— მომეცი ხელი.

— არა, მე თვითონ.

— კარგი, მაშინ კარგი! — ამბობს ვაჟა და ნუციკოს მხარდამხარ მიჰყვება.

ალაგალაგ ლობებში გამოჩრილი შუქი ეფეთებათ. ალაგ-ალაგ ბაღებია. ბაღში ვაზი და ხეხილია. გაფურჩქნული და გრილი. გრილი იმიტომ, რომ ნიაფი შტოებს ურხევს; ნუციკოს ნაწნავეებს სტაცებს, უწეწავს. ამას ვაჟა ვერ ხედავს, მაგრამ გრძნობს. იმასაც გრძნობს ვაჟა, როგორ უძგერს ნუციკოს გული. თუმცა ნუცა არ ჩქარობს, ფრთხილად მიდის და იღიმება. დროდადრო აივნებიდან მოვარდნილ შუქზე წვრილი კბილების თეთრი მწყარივი მოუჩანს.

— ჩემი სიკვდილი. რა გვიან არის, ბებია, ალბათ ჰიშკართან დგას და მელოდება. — ამბობს ნუციკო.

— მაშინ მე ჰიშკრამდე არ მივაცილებ.

— არ მინდა.

— მე კი, არ მინდა, რომ წახვიდე. — ამბობს ვაჟა და ხელში ნუციკოს საწვიმარს აწვავს.

არც ნუციკოს უნდა შინ წასვლა, მაგრამ სჯობს, რომ ვაჟას დაასწრაოს.

— მივდივარ! — ამბობს ნუცა.

— მიღიხარ?

— ჰო, მივდივარ.

— კარგი, წადი. — ამბობს ვაჟა და ნუცას საწვიმარს აწვდის. ახლა ვაჟას ნუციკოს თხელი ხელი და საწვიმარა უჭირავს. ნუცას ხელი თბილია და მოქნილი. საწვიმარა გრილია და უხეში.

— მე კი, არ მინდა, რომ წახვიდე. — ამბობს ისევ ვაჟა.

ნუციკო იღიმება, ხელი ისევ საწვიმარასაკენ მიაჭვს.

— მოიცა, მოგცემ შენს საწვიმარას, — ეუბნება ვაჟა და ახლა სულ ახლოს მიდის. ნუცა გრძნობს, როგორ სუნთ-

ქავს ვაჟა. მისი სუნთქვა გრილია და სუფთა. პირდაპირ სახეში უსუნურებს. სახეში კი არა თვალებშიც არაა აღარც ვაჟა ეუბნება რამეს.

— მოიცა, სირცხვილია! — ეტყობა ნუცა მაგრამ ვაჟამ აკოცა.

წამი და ნუცა გარბის. გარბის და რატომღაც კისკისებს. ხმამაღლა გულ-ახდილად.

ეს კისკისი კიშკართან გამოსულ ბეზიას ესმის.

— მოსულა, ჩემი ცინდალი, ჩემი ნაბოლარა — ამბობს ღიმილით მოხუცებული.

ბაბილ ჯაბუხაძე



შ ე ნ თ ვ ი ს

მე ჩემი ბედით შენ დაგანებე
და რომ სიძუნწე არ დამდვა ზაღად: —
სიცოცხლე მოგცე? ინებე! — მზად ვარ! —
ო, შენთვის თავი არ შენანება!

რაც მეტს მოითხოვ: — უფრო ვმალღებები,
რაც მეტი მიგაქვს — უფრო ვმდიდრდები!
სიბერე მოეა? — არ გავფითრდები!
სიკვდილი მოეა? — არ დავგლახდები!

ვაჟა მიწის არაბების ხეობაზე

არაბების ჰალას ცხენით მისდევს ფიქრი ნაბური,
ვერ გრძნობს გარემოს (შთაგონება ეჰმო ფრთიანი),
ეგებებიან გორგურები სულგანაბულნი,
ჩქარობს ჩარგლისკენ ჯიჩი ლურჯა მკერდოფლიანი.

შავჩოხიანი მიირხვეა, ცხენზე, შავლეგო,
ეთერის მოთქმა და წუხილი მიჰყვება უკან.
გზადშეხვედრილი ჩაუვლიან ჩუმად ფშავლები
და ჩურჩულებენ: — „ახალ ლექსზე თუ ფიქრობს ლუკა!..“

სადამოვდება. მწუხრის თალხი აწუხებს ხეებს,
მალე ბინდბანდი მთების რემას უკუნში შერეკს...
...ქარაფში ცეცხლი დაუნთიათ საზარელ დევებს
და აღქაჯები მისძახიან მიმავალ შერეს...

ნიშანი განშორებისა

ვარ განწირული, როგორც იკარი,
გულში გროვდება ჰანგი გლოვისა,
კვლავ ველარ ვნახო ჩემი სისკარი,
დაიწყე უამი სიმარტოვისა...

გაყვითლებული ფოთლები თველემენ,
მეწამულ ფერით ნაზარნიშალი
დაჰკიდა ხეებს სექტემბრის თვემან
შენი თავშალი — გაყრის ნიშანი...



განვლილი გზა

სამშალოზე უფრო პატარა ტანისა იყო აგრაფინა. ჯერ სულ ახალგაზრდას ქმარი ფრონტზე ჰყავდა, მაგრამ მის ოჯახს ქმრის შინაჩყოფნა არ დასტყობია. ვენახი იყო საბარავი, ვაზი გასასახლავი, ყანა გასათოხნი, თუ თუთის ხე დასაბეღლავი, — ყველაფერს თვითონ აკეთებდა, ყველაფერს მისი ხელი აჩნდა.

მოხუცი დავითი რძალს საკაცო საქმეს არ ანებებდა, არც გრიშას ემეტებოდა დედის მარჯვენა თოხისა და ბარისათვის, მაგრამ ეს სუსტი შეხედულებების ქალი, თავისას მაინც არ იშლიდა.

გრიშა კარგად ხედავდა, თუ როგორ თავაუღებლივ საქმიანობდა დედა, ამიტომ თვითონაც, სწავლასთან ერთად, ბეჯითად შრომობდა: თოხნიდა, ბარავდა, თესავდა. აქამდე თუ ზედმეტად ზალისიანი იყო, ახლა ზედმეტად ფიჭვიანი და დინჯი გამხდარიყო. თუ წინათ ნიადაგ მზესავით უბრწყინავდა თვალეში, ახლა რაღაც სევდას დაებნიდა მისი ბავშვური გამოხედვა.

როცა გრიშა დაატანდა თავს ძალას და გადაიქანცებოდა, მაშინ დავითი შვილიშვილს რჩევად-ღარიგებას აძლევდა:

— გრიგოლ, ბაბუთანა, გეყოფა დღეს ამდენი შრომა, ახლა წიგნებს მოჰკიდებ ხელი.

გრიშა მამისეულ ხარებს თავს ევლებოდა, არც ჩალას აკლებდა და არც ღერდილს. გულდაგულ მოვლილი საქონელი, რომელიც ალექსანდრეს თავს ერჩია, გრიშას მარჯვენის მადლს ადამიანისეულად გრძნობდა. სკოლიდან დაბრუნებული იმათზე მეტს ხნავდა, ვინც უთენია გასულიყო. ზოგს თუ თესვისა

და ხენის დროს უღლის წინ დაუძღვე-ბოდნენ, გრიშას უწინამძღოლოთაც ლარივით სწორი კვალი გაჰქონდა.

გრიშა დილით ძალიან ადრე გარბოდა სკოლაში, რომელიც სოფლის გარეთ, ვხატკეცილის ახლო, მაღლობზე იყო წამოდგმული. სკოლის ახლო რკინიგზის ლიანდაგი იყო გაჭიმული.

გრიშა მასწავლებელს მუდამ ყურადღებით უსმენდა. რვეულებს საშინაო დავალებებით აპრევლებდა. დასმულ კითხვებზედაც ბეჯითად პასუხობდა და არც იმას იფიწყებდა, რომ ნაკლავებს სახნავეში იყო წასასვლელი.

დავლრემილსა და ფიჭრში წასულს ისევე ელმავლის გუგუნის თუ გაახალი-სებდა. მაშინ თვალეში აენთებოდა, ზეზე წამოიწყებდა, თითქოს ფანჯრიდან გაფრენას აპირებდნო. ელმავლის ხმაში რაღაც გამამხნეველ ძალას გრძნობდა.

აგრაფინას თვალი სულ გრიშასავე ეჭირა, შვილის მოლოდინში ხარ-ურეში მუდამ მზად ჰყავდა დაყენებული კიშკართან. კალათში ჩალაგებული სადილიც წინ ედო, ურემზე.

სკოლიდან დაბრუნებული ბიჭი სახლში შეირბენდა, ჩანთას კედელზე ჩამოჰკიდებდა, სამუშაო ტანსაცმელს გადაიცვამდა და ურემზე შეხტებოდა, გზადაგზა ჰქამდა, ყანაში მისვლისთანავე გუთამს გამართავდა და ხენას შეუდგებოდა. დასვენებულ ხარებს ლალად გაჰქონდათ სვრელი და გრიშაც ჩაუმიუხლავად ამოვებდა მიწას. ტალღებოვით გაგადაგრაგნილ ნახნავეში ყვავები და გულწითელა ჩიტები იყენებოდნენ.

სალამოს გრიშა კერიის პირას აბრიალებულ ცეცხლთან წიგნს მიუჯდებოდა. დროის აზრთანად გამოყენების ოსტატი იყო, ხენა და თესვა ძალიან ეხა-

ლისებოდა, სამაგიეროდ წისქვილში მორიგეობა და ღამის თევა უწყალებდა გულს. წისქვილი მათი ეზოგარემოდან კარგა მოშორებით იყო. გარშემო თხმელის ფშაინები ჰქონდა შემოვლებული. გრიშას კვირაში ერთხელ უხდებოდა მორიგეობა, ასე ჰქონდა დაწესებული სოფელს. დავითი კი თითქმის ყოველდღე ჩადიოდა წისქვილში, ყალიონს პირში გაიჩრიდა და გაუწელებლად აბოლებდა. გარშემო შემოკრებილ ახალგაზრდებს ათას რამეს უყვებოდა ნახულისა და გაგონილის შესახებ. ტბილი ლაპარაკი იყო და გულდასმითაც უსმენდნენ.

ერთხელ გრიშას ძალიან შეაგვიანდა წისქვილში. შეშინებული აგრაფინა უთენია მივარდა, რამდენი არ უბრაზუნა ურდულით ჩარაზულ კარებს, მაგრამ შვილს მაინც ვერაფერი გააგონა.

— დედი, ნუ გეშინია, აქა ვარ! — წამოვარდა გრიშა, როცა ახლადჩაძინებულს დედის ხმამაღალი ძახილი შემოესმა. თვალები მოიფშენიდა და კარი გააღო.

აგრაფინას აღამიანის ფერი აღარ ეღო. ვაფითრებული და თმაგაწეწილი დედის დანახვაზე გრიშასაც ეცვალა ფერი. ახლა მიხვდა ბავშვი, რომ გათენებისას მაგრად ჩასძინებოდა, გაახსენდა, რომ ალიონზე გარეთ გამოვიდა, მოახლოებული განთიადის სილამაზემ სულ ერთიანად დაიპყრო და გაარინდა. მაინც რა წარმტაცი იყო იმ დილით სოფელი. მთვარის შუქზე ყველაფერი ბრწყინავდა, ვარსკვლავებით მოჭედული ცა საოცრად ციმციმებდა. ბუნების მშვენიერებით მოხიბლული ბიჭი გრილსა და სუფთა ჰაერს ხარბად ისუნთქავდა. დიდ ხანს, დიდ ხანს გაჰყურებდა იგი უნისლო, უქარო, მშვიდზე მშვიდ ღამეს. თითქოს მამის წინ იდგა: ელაპარაკებოდა, ეფერებოდა, ეხვეოდა მას.

რამდენჯერ გაუთევია მასთან ერთად ღამე წისქვილში!

მთვარიან ღამით ბევრჯერ დამსხდარან მამა და შვილი წისქვილის წინ სკამზე, შიგნით წისქვილის ქვა ბრუნავდა,

ხმაურობდა, გარეთ კი მყუდროება სუფევდა. უღრუბლო ცა და დუმილი რაღაც გამოუთქმელ ნეტარებით ავსებდა ორივეს.

ეს მოაგონდა იმ ღამით გრიშას, კარგა ხანს იყურა აქეთ-იქით, მაგრამ მამას რომ ვერსად მოკრა თვალი, ტბილ განცდებს ფრთები შეეკვეცა, მარტობამ და შიშმა შეიპყრო, წისქვილში შევარდა, კარები ურდულით ჩაეცტა, ცეცხლი გააჩაღა, კერიას მიეფიცა და მამაზე ფიქრში ჩაეძინა.

— დღეის შემდეგ წისქვილში აღარ გაგიშვებ, შვილო! — მოეფერა შვილს აგრაფინა. შემდეგ ფქვილი ტომარაში ჩაყარა, ზეიმირას თავპირი აუკრა, ღარიდან წყალი მეორე არხში გადააგდო. წისქვილი დაეცტა და გრიშა დამნაშავესავეთ წინ გაიგდო.

აგრაფინა კარგად ამჩნევდა, რომ შვილს ნამდვილად რკინგზისაკენ მიუწყევდა გული, მის საშინაო რვეულეში ბევრჯერ უნახავს ელშავლები ჩახატული.

რკინგზის სადგური გრიშას სკოლასთან იყო. ისრებში შემოგრაილებული მატარებლის ხმა ისე ახლოს ხვდებოდა ყურს, თითქოს ღიანდაგი სკოლის განიერ აივანზე ყოფილიყო დალაგებული.

ერთხელ სკოლიდან სადგურში გამოიარა. დიდხანს მოუხდა ლოდინი, მანამ მატარებელი ჩამოდგებოდა. შინ რომ დაბრუნდა ქიშკართან დედა შენიშნა. აგრაფინა მოუთმენლად ელოდა შვილს.

გრიშამ ნაბიჯს აღქმარა, თითქმის სირბილით წამოვიდა. ქიშკარი შემოაღო და დედასთან მიიბრინა.

— შვილო! — წამოიძახა დედამ.

— რა იყო, დედი! — შეკრთა ყმაწვილი.

— მამაშენი სურამში ჩამოუყვანიათ!

— სურამში? სურამში რა უნდა, დედა, რას ამბობ?

— დაჭრილია, შვილო, დაჭრილი და ჰოსპიტალში წევს! — ძლივს წარმოსთქვა აგრაფინამ.

— რას ამბობ, დედი, ახლავე სანახავად უნდა გაეიქცეთ!

— ახლავე, შვილო!

რაკილა ქმარი სურამში ეგულებოდა, აგრაფინა ახლა მის კრილობებზე სულ არ ფიქრობდა, ასე ეგონა ალექსანდრე აგერ, ვენახში იყო გასული და ეს-ესა სახლში შემოვაო. გახარებული ქალი ხან რას აწყდებოდა და ხან რას, გასაკეთებელი საქმისთვის ეღარ მიეგნო.

სიხარულისაგან ატაცებული გრიშა თუთის ხეზე მიმძულ ხარს ეცა, რქებზე დაეჭიდა, სველი თვალები ამოუჯკოცა.

აგრაფინამ ერთ საათში ყველაფრის გაკეთება მოასწრო და მალე მატარებელში ჩასხდნენ. გრიშა ფანჯარას არ სცილდებოდა, მას მთის მწვერვალების, ხეობებისა და მდინარეების სილამაზე ხიზლავდა, გვირაბში შეჭრილი მატარებლის ბორბლების თავისებური დაგლეჯი ანკვიფრებდა. გვირაბიდან გასვლისას ელექტრომავალმა ერთი მძღვერად დაიგუგუნა და ქართლის ველებზე შურდულოვით გაიჭრა. საითაც კი გაიხედავდა გრიშა, ყველგან დატარებულ სიმიწის ყანებს, ვენახებს, პურის ზვიწებსა და მზესუმზირათი დამშვენებულ მინდვრებს ხედავდა.

ხაშურში სურამისაგან მიმავალ მატარებელში გადაჯდნენ. აი, სურამიც, ქონგურებშემორღვეული ციხე, რომლის შესახებ გრიშას ბევრი გავგონა და წაეკითხა, გამოჩნდა მუხის ტყეში ჩაფლული ჰოსპიტლის შენობაც.

ძლივს დაიმშვიდეს გულეები დედამ და შვილმა. ბოლოს, როგორც იქნა, აგრაფინამ ძალღონე მოიკრიბა, კარებში მდგარ თოფიან ჯარისკაცს რაღაც უთხრა. მალე თეთრხალათიანმა ქალმა მკლავშეხვეული ჯარისკაცი მოიყვანა.

— მამა!

— ალექსანდრე!

— შვილო!

— აგრაფინა! — აირია ერთმანეთში წამოძახილები.

...ალექსანდრე სკამზე ჩამოჯდა, გრიშა მუხლებზე დაისვა, დაჭრილი ჯარის-

კაცი ხარბად ჩაპყრებდა თვალებში ცოლ-შვილს, ვერ ძღებოდა მათი ცქერით. თანაც, წუხდა სტრუქტურულ წამოყვანათ.

— ხმა დაბოხებია ჩვენს ბიჭს! — გადაკოცა ალექსანდრემ შვილი.

— ბაბუაშენი როგორ არის? — მოიკითხა შვილმა მამა.

— კარგად, მამიკო, რადგან საქართველოში დაადგი ფეხი, მოგვინახულე, სოფელში ჩამოდიო, შემოგითვალა, ჩამოხვალ? — შეეკითხა გრიშა და მკერდზე მიეყრდნო.

აგრაფინა ხმას არ იღებდა, ვერ გაეგო, ვერც ეკითხა, სად დაიჭრა, გამოჯანსაღების შემდეგ სოფელში ჩამოვიდოდა, თუ ისევ ფრონტზე გაგზავნიდნენ.

დღე ერთად გაატარეს.

ალექსანდრე ჩრდილოეთ-კავკასიის ფრონტზე დაეკრათ მკლავში. ჯერ მოხდოკში მოეთავსებინათ საველე ჰოსპიტალში, შემდეგ ბაქოში, იქიდან თბილისში, ხოლო მერე სურამში გამოიყვანათ.

ერთი კვირის შემდეგ აგრაფინა და გრიშა ისევ მიადგნენ საგზლით ჰოსპიტლის კარებს, მაგრამ ალექსანდრე ისე წაეყვანათ ფრონტზე, რომ ამბის შეტყობინებაც ვერ მოეწრო. აგრაფინა მუხლმოკვეთილივით დაეცა ჰოსპიტლის კარების წინ. ატირებულმა გრიშამ და მკველმა ჯარისკაცმა ძლივს წამოაყენეს ფეხზე. გულჩაწყვეტილმა დიდი ვიი-ვაგლახით ჩამორყვანა დედა სოფელში.

დავითს შვილის ისევ ფრონტზე გამგზავრება დაუმალეს, უთხრეს, სულ გამოჯანსაღდება და ჩამოვაო.

იმ დღიდან დავითი რამდენ სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ჯარისკაცს დაინახავდა, იმდენი ალექსანდრე ეგონა. ვერაფრით ვერ მოენელებინა, სურამში რომ ვერ ჩავიდა და ვერ ნახა შვილი.

ერთ დღეს დავითი საბჭოში დაიბარეს და დეპეშა გადასცეს.

— წამიკითხე, შვილო რა წერია შიგ — შეევედრა დავითი საბჭოს თავ-

მჯდომარეს. ხანში შესულმა კაცმა დეპეშა რამდენჯერმე შეატრიალა, დეპეშა კი არა, თითქოს ვეებერთელა რკინა სპეროდა ხელში, სულ კანკალებდა. მერე, როგორც იქნა, ხმა დასძრა:

— ეეხ, ბიძია დავით, რა წაგიკითხო, რა გითხრა და რითი განუგეშო, ჩვენი ალექსანდრე უკვე აღარ გვირეცია ცოცხლებში, ფრონტზე დაღუპულა გმირულად. ასე იტყობინებთან ტულიდან.

დავითი ყურს არ უჯერებდა, თავმჯდომარის ნათქვამი სიზმარში გაგონილი ვეგონა.

დავითს ხმა რა ამოუღია, მხოლოდ დიდრონი, ჩაღრმავებული თვალები აღუხამხამდა, ცრემლებით აეცსო, უცებ განიერი მხარბეჭი შეარხია, ქული მოიშველია, მიწაზე დაამხო და ბოღმას გულიც კინაღამ ამოაყოლა:

— ასე დაექცეს ოჯახი ომის მომგონს! — ამოიგმინა მოხუცმა, მერე თავმჯდომარეს სთხოვა, შეილიშვილი აქ მოიყვანეთო.

ცოტა ხანიც და გრიშა საბჭოში მოიყვანეს.

საოცარ სურათს ელოდნენ თანასოფლელები შეილიშვილის გამოჩენაზე. მოხუცი წელში გაიმართა, თვალები ამოიმშრალა და შეილიშვილი აივანზე გაიყვანა.

— ეეხ, ჩემო ბაბუთანა!

ისედაც გაოგნებულმა ბიჭმა ვერაფერი გაუგო ბაბუას. არც მისი დაწითლებული თვალები მოეწონა.

აივნის კუთხეში ბაბუასა და შეილიშვილის ლაპარაკს იქ მყოფნი გასუსული უგდებდნენ ყურს.

დავითმა სათქმელი მოკლედ მოსჭრა:

— გრიგოლ, უბედურება დატრიალდა ჩვენს თავზე, მამაშენი აღარა გვყავს. აბა, დახედე! — და აქანკალებული ხელით დეპეშა გადასცა გრიშას.

გრიშამ დეპეშა სამჯერ წაიკითხა, მასაც აუკანკალდა ხელი და დეპეშა ხელიდან გაუვარდა. ცრემლები ყელში მოებჯინა, აზლუქუნდა და თვალებდაბნელებული ბიჭი აივანზე შექუჩებულ ხალხს მიაწყდა.

მოხუცი არ განძრეულა. გარინდებულ იდგა. იქ მყოფნი გრიშას შემოეხვივნენ.

— აცალეთ, აქ მაინც ოჯეროს გული, — თავი ვერ შეიკავა აცახცახებულმა დავითმა.

— ახლა, ბაბუთანა, ტირილი არაფერს გვიშველის, რა გავწყობა, მარტო ჩვენს თავზე ხომ არ არის ეს უბედურება. წაივადეთ, ოჯახს მივხედოთ! იცოდე, დედაშენთან არაფერი გაამხილო, არაფერი წამოგცდეს, ასეა საჭირო, ასეა თურმე ადამიანის ბედი. ალბათ, ასე ეწერა იმ უბედურს შუბლზე.

მაგრამ, განა შეეძლო გრიშას არაფერი დამჩნეოდა სახეზე? ამხელი დარდი ისე ჩაეკლა გულში, რომ მას არაფერი დასტყობოდა? ცხადია, არა! ამიტომ გადაწყვიტა სოფელს მოშორებოდა, მის თვალში აგრაფინას იქვიანად არ ჩაეხედა და შიგ უბედურების მალეუბელი ამბავი არ ამოეკითხა.

მაინც რა უნდა ეთქვა დედისათვის, სად მივდივარ და რისთვის მივდივარო? რის შესწავლა მინდა და რა კაცი გამოვალო?

გრიშას ხომ პატარაობიდანვე იზიდავდა მატარებელი, რკინიგზა და მემანქანის პროფესია?

რამდენიმე თვის წინ თბილისიდან სოფელში სტუმრად ჩამოვიდა მათი ნათესავი ქალი, სწორედ იმ ნათესავმა ქალმა უთხრა აგრაფინას, გამატანე შენი ბიჭი თბილისში, რკინიგზის სკოლაში მივალბინებ, მემანქანის თანაშემწის სპეციალობას შეისწავლის და კაცი გამოვავო, მაგრამ მაშინ აგრაფინამ ხელები გაასავსავა და ცივი უარი უთხრა.

ახლა გრიშამ ეს ამბავი გამოიყენა და კიდევაც დაიყოლია დედა. ერთ დღეს ორივე ბიძაშვილი — გენადი და გრიშა იმ ნათესავმა თბილისში წაიყვანა და სახელოსნო სასწავლებელში მიაბარა.

• • •

საერთო საცხოვრებლის ერთ-ერთ ოთახში, მათ გარდა, რვა მოსწავლე ცხოვრობდა. ათი რკინის საწოლი ორ

რიგად იყო ჩამწყრივებული.

გრიშამ თავისი ჩემოდანი საწოლის ქვეშ შეაკურა, გენადიმაც მას მიბაძა. ამ დროს ოთახში ერთი თეთრხალათიანი, ხანდაზმული ქალი შემოვიდა.

— ამათ უყურე შენ? ეგ რა ამბავია, ერთი დამიხედეთ, ჩემოდნები სად შემოუტანიათ? — დაუცაცხანა ნადიმ ორივეს.

— აბა, სად შევიხაზოთ, დეიდა? — გაბედა გენადიმ.

— ვინ შემოგაყვანათ აქ?

— იმ ბიძიამ! — მიუთითა გრიშამ ვიღაც ხანშიშესულ კაცზე.

— ის ბიძია, მე არ ვიცი, ვინ არის, ახლავე გარეთ გამოდით და ეს ჩემოდნებიც გამოიტანეთ!

ბიძაშვილებმა დიასახლისის ბრძანება უწყყმანოდ შეასრულეს.

— წამოდით ჩემთან, ასე კი არაა საქმე, თავი რომ ავიშვერიათ და სოფლიდან პირდაპირ აქ შემოსულხართ. ეს ჩემოდნები საწყობში ჩააბარეთ, საცვლებსა და ტანსაცმელს მოგცემთ. იმ სახლს ხომ ხედავთ? იქ აბანოა, შედით და იბანავეთ. ოთახში ზედმეტი არაფერი დაგინახოთ შეტანილი, ხომ გაიგეთ?

— გვესმის, დეიდა ამოიღო ხმა გრიშამ.

გრიშა ძალიან უცხოდ გრძნობდა თავს საერთო საცხოვრებელში, მაგრამ ეს იმდენად არ აწუხებდა, რამდენადაც ის, რომ ოთახში მყოფი რვა მოსწავლე ამრეზილი და დამკინავი თვალეზით შემოეგება მათ. ერთმა, მაღალ-მაღალმა და განიერმხარბეჭიანმა მოსწავლემ, რომელსაც ბიჭები მეტსახელად „ჭიჭყინას“ ეძახდნენ, გამოძვწევად აუარ-ჩაუარა გრიშას.

— იქით გლუხო, გზა დამიკალე, თორემ! — უმიზეზოდ გაკვრა მან გვერდი გრიშას.

— სოფლელია, ეეე, გაუშვი, რადა! — დაუმარა მისმა მეგობარმა, რომელსაც ნიკოლას ეძახდნენ.

— მანამ ქალაქურ ყაიდაზე მოვაქცევდეთ, ერთი ჯიგრიანად უნდა გავაბრტყელოთ...

— გავაბრტყელოთ, გავაბრტყელოთ! — დასძახეს ბიჭებმა, და მუდგერაძის ბიჭი ერთ წამში გაბრტყედა აკრეს.

გრიშა არ დაიბნა, უცებ წამოფარდა და მკლავები გაშალა, მაშინ მას ჭიჭყინას ერთი ამქართავანი ზურგიდან მიეპარა, ორივე ხელი გაუკრა, ღონივრად მოიქნია და საწოლზე გადააგორა.

ახლა ჭიჭყინა წამოიშარათა.

— გლუხო, ხელი არ გაიხშრო, თორემ... იცი, ჩვენ ვინა ვართ?

— ვინა ხართ?

— ქაალა-ქე-ლე-ბი გახ-ლა-ვართ, გლუხო, კარგად დამახსოვრე! —

— ჩვენ კი სიმონეთელები ვართ! — წინ გადაუდგა ამაყად გრიშა.

— ჰო, ჰო, ჰო, შენც სოფელი დაასახლე რადა, სადაა, გლუხო ასეთი ქვეყანა? არსებობს სიმონეთი საქართველოს რუკაზე? — და ჭიჭყინამ უჩვეულოდ გადაიხარხარა.

ფერდაკარგულმა გენადიმ ბიძაშვილს ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, მაგრამ გრიშამ ადგილიდან ფეხი მაინც არ მოიცივლა. რა უნდა ეთქვა გრიშას ამ აეყია ბიჭებისათვის? მკლავის ძალა ეჩვენებინა? მაშ რაღა უნდა ელონა? უცებ რაღაც მოაგონდა, გულზე მოეშვა, სახე გაუბრწყინდა და ჭიჭყინას წინ გადაუდგა.

— შენ დავით კლდიაშვილი გაგიგონია?

— შენ კი ეთიმ გურჯი გსმენია?

— მსმენია!

— მერედა შე გლახაკო, იმ დიდებულ მწერალთან შენ რა ხელი გაქვს, შენი სახსენებელია იგი? — აიმრიზა და წელში აიწურა ალვისხესავით მაღლა წასული ჭიჭყინა.

— ჰოდა, თუ გაგიგონია, მაშინ ისიც გეცოდინება, რომ დავით კლდიაშვილი სიმონეთელი იყო! — ახლა უფრო აუწია ხმას გრიშამ და ისე მოაჩვენა თავი მოწინააღმდეგეს, თითქოს მარტო კი არა, არამედ მთელი სიმონეთის რჩეული ახალგაზრდობა მდგარიყო ჭიჭყინას წინ.

ჭიჭყინამ კილო შეიცვალა.

— დავით კლდიაშვილის მეზობელი ხარ თუ?..

— გახლავართ!

— მეც ეთიმის მეზობელი ვარ.

ქედის მოხრა რომ არ დასტყობოდა, ჭიჭყინამ ისევ აუარ-ჩაუარა თავისებურად გრიშას. ხელი აპკრა ნიკაშში, მაგრამ არა გამეტებით, არამედ მსუბუქად, სხვათა შორის.

— წადი, სიმონ... ჰო, უცაქრავად სიმონეთლო, ჩემოდანში სოფლიდან ჩამოტანილი რამეები გექნებათ, მოგვიტანი და გვაქამე! — და ჭიჭყინა ამხანაგებს გარეთ გაუძღვა.

ოთახში მხოლოდ ბიძაშვილები დარჩნენ.

— კლდიაშვილი რამ მოგაგონა, შე შეჩვენებულო?!

— აბა, ვალიყო მჭედელს ხომ ვერ გაუხსენებდი დაინახე როგორ მოიკაცენენ?

— მოიკაცენენ და მერე როგორ, რა ექნათ თორემ, გაპარვასაც აპირებდნენ, ვულს იმაგრებდა გენადი.

მეორე დღით, სრულ შეიდ საათზე აწკრიალდა ხარი. ნადია დიასახლისმა ოთახში შემოჰყო თავი. აღრე ადგომას შეჩვეული გრიშა და გენადი უკვე ჩაცმულები იყვნენ, პირი დაებანათ და ახლა სასადილოსაკენ მიეჩქარებოდნენ, სასადილოში ჭიჭყინა და მისი ამქრები მათ გვერდზე მოთავსდნენ. უცებ გრიშას ლოყაზე პურის ნატეხი მოხვდა. მიიხედ-მოიხედა, ყველას სერიოზული სახე ჰქონდათ, ერთი წამი და კიდევ მოხვდა პურის ნატეხი.

ჭიჭყინა იღრიჯებოდა, გრიშას ბრაზი მოერია და ჩაისთვის ტუჩი არ მიუკარებია. მაშინვე გარეთ გამოვიდა, გენადიც გამოჰყვა. კარებში გამოსვლისას ისევ ის ჩვეული წრუპუნე ჩაესმა ყურში.

— წამოდი, გენადი, ჩემოდანი გავსნათ და სოფლიდან ჩამოტანილი საგნალი ექამოთ.

ორივენი საწყობის გამგესთან მივიდნენ. ხანშიშესულმა კაცმა გაკვირვებუ-

ლი თვალებით ახედ-დახედა მოსულენს.

— გუშინ საღამოს არ წახლეთ ტყვენი სანოვაგე და ხილი? რამდენ ხელმეორედ რომ მომადექით? — გაკვირვებულად მათ მოხუცი.

გრიშასთვის უკვე ნათელი იყო, თუ ვისზე ლაპარაკობდა ძიაცატი. მხოლოდ ახლა მიხვდა გრიშა, ვის ზაქაპურს შეექცეოდნენ ჭიჭყინა და მისი მეგობრები.

გრიშა და გენადი საზუიკლო საქმის ოსტატის, ინიენერ ვახტანგ ლომინაძის ჯგუფში ჩარიცხეს. სოფლელი ბიჭები, პირველ შეხედვისთანავე მოხიბლა ოსტატმა, მაგრამ ახლა მათ ის აფიქრებდა, ჭიჭყინას როგორ შეწყობოდნენ, როგორ ებატებიანთ მისთვის სოფლიდან ჩამოტანილი სურსათისა და ხილის, განსაკუთრებით თავისი ხელით მოწეული ყურძნის აკიდობის მოპარვა.

• •

ფიქრობდა გრიშა და თან სოფელში დატოვებული დედის, ბაბუასა და პატარა ძამიკოს ჯავრი ჰკლავდა. ასე ეგონა გუშინწინ კი არა, თითქოს ერთი წლის წინ წამოსულიყო სოფლიდან. თვალწინ სიმწიფეში შესული სიმინდის ყანები, ტოტებდაბრილი ხეხილის ბალები და ქარვისფერი მტევნებით დახუნძლული ვენახები ედგა.

ტკბილი შემოდგომა სოფლისაკენ უხმობდა მისსავე მკვიდრსა და მისი ნაყოფით გაზრდილ ბიჭს.

ყველაფერი ეს შეერთდა. ყველაფერმა ერთად იქუხა და ყელზე შემოაწვა, ველარ მოითმინა და მესამე დღეს ისევ სოფელში გაჩნდა.

— რა ამბავია, შეილო, ჩენს თავს, გამოიპარე თუ ცუდი რამე შეგემთხვა? — შეიკუხადა აგრაფინამ კარის ზღურბლზე მომდგარ გრიშას რომ მოჰკრა თვალი.

— ააღარ მიგიღეს, ბაბუთანა? — გაისმა დავითის ბოხი ხმა.

გრიშამ თავი უმწეოდ ჩაქინდრა და თვალბზზე მომდგარ ცრემლი მოიწ-

მინდა. როცა მომხდარი ამბავი მიკიბულ-მოკიბულად უამბო მათ, აგრეთონამ მტკიცე ხმით განუცხადა:

— არა, მაგ არ მოთხრა, უნდა ისწავლო, შეილო, აკი შენ თვითონ მოინდომე მემანქანის ხელობის შესწავლა? დღესვე გაბრუნდი უკან, საქვეყნოდ თავი არ მოშკრა, ყველაფერს მალე შეეჩვევი, ის ქალაქელი ბიჭებიც დაგიმეგობრდებიან, ნახავ ყველაფერი როგორ კარგად წავა. მამაშენს გაფიცებ, ტყვიას რომ შეკრდი თუ ვაგას, თორემ არ მიღალატო, არ უღალატო მამას, ის რომ ჩამოვა, რაღა უთხრა, რატომ არ ისწავლაო ხომ მკითხავს?

მამის ხსენებაზე გრიშას გული კიდევ უფრო ჩასწყდა.

— ბაბუთანა, დაუჯერე დედაშენს, ალექსანდრესთან პირს ნუ წაგვიხდენ! — ამ სიტყვებზე გრიშა საკუთარ თავს ვერ მოერიდა და ახლუქუნდა.

— აბა, თუ ასეა, მაშინ ნუ წახელო, შეილო, დაწყნარდი, მაგისათვის ტირი? — დამშვიდა დედამ. თუმცა აგრეთინამ როდი იცოდა ბავშვის გულში რა ცეცხლი ენთო და ომში დაღუპული მამის მოგონება რომ წავადა და ბუგავდა.

— ქუთაისში წამიყვანეთ, იქ ვისწავლი, თქვენთანაც ახლოს ვიქნები, — ძლივს დააღწია გრიშამ თავი ტირილს.

— ქუთაისში, შეილო, ისეთი სკოლა რომ არ არის, შენ ხომ მემანქანე გინდა გამოხვიდე?

ალექსანდრე ბოგვერაძეს ერთი გამრჯე, პატროსანი კაცის სახელი ჰქონდა, ჰოდა, ასეთი მამის სახელი შეილს როგორ უნდა შეერცხვინა?

მამისადმი პატივისცემისა და კაცად გახდომის, ხელობის შესწავლისა და ოჯახის გაზარების გრძნობა გრიშას კვლავ აბრუნებინა პირი თბილისისაკენ. აგრეთინამ აცრემლებული თვალებით მიაცილა შეილი სადგურამდე.

მეორე დღით იგი თბილისში იყო.

— შენ სად იყავი, ბიჭიკო, გუშინ? — იკითხა ვახტანგ ლომინაძემ.

გრიშამ ოსტატს ყველაფერი გულახდილად უამბო.

— მერე, მე რატომ არ მითხარი გუშინწინე? შენ ნურაფრის ნუ შეგვემინდება, დღეის შემდეგ თითოსც ვერაინ დაგაკარებს, ახლა წადი, ისაუბრე და მერე გაკვეთილზე მოდი.

საუზმის შემდეგ გრიშა გენადისთან ერთად მერხზე იჯდა და ვახტანგს უსმენდა. ახალგაზრდა ოსტატი მათ ელექტრობის შესახებ ესაუბრებოდა.

გრიშა წყნარი, დინჯი და დაკვირვებული ბიჭი ჩანდა, მის ჰკვიანურ თვალებსა და მშვილდ, აზრიან გამოხედვაში ვახტანგი რაღაც თავისებურს, გონიერსა და მშვენიერს ხედავდა. რაკი ვახტანგს გრიშას ნათესავი ქალისაგან გაეგო, რომ მას თავის ასაკთან შედარებით პატარა, მაგრამ მაინც საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა, ოსტატი, გაკვეთილების შემდეგაც ხშირად ესაუბრებოდა ელექტროტექნიკასა და ელემენტარულ ხშირად მოჰქონდა გასაგებ ენაზე დაწერილი ბროშურები ელექტრობის შესახებ.

— გრიშა, დღეს კარგი კინოსურათია, წამო, შენს ბიძაშვილთან ერთად გაბატეებ, თქვენც, ბიჭებო! — დარეა ბიჭი, სახელოსნო სასწავლებლის ფორმაში გამოწყობილი, გრიშას ირვლივ შემოეხვივნენ.

გაოცებულმა გრიშამ დრო რომ იხელთა, გენადი გვერდზე გაიხმო.

— ნუთუ ის ბიჭები არიან? ნუთუ ორ დღეში ასე გამოიცვალნენ: ნუთუ ორივე მოეტყუედი? — მერე თვითონვე ჩაუფიქრდა და მიხვდა, რომ ყველაფერი ეს ვახტანგ ლომინაძის კაი კაცობის შედეგი იყო.

• •

რკინიგზის პირველ სახელოსნო სასწავლებელში რამდენიმე კარგი საამქრო იყო. თეორიულ სწავლების შემდეგ მოსწავლენი უმეტეს დროს პრაქტიკულ მუშაობას ანდომებდნენ. იმთ, ვისაც ეჭვსი თუ შეიდი კლასის ცოდნაზე მეტი არ გააჩნდათ, განსაკუთრებით მათემატიკასა და ფიზიკაში უჭირდით. ბოგვერაძეებს კი ამ მხრივ გზა გაკათული ჰქონდათ.

გრიშას არა თუ უყვარდა ეს სასწავლებელი არამედ საკუთარ ოჯახად მიანხნდა იგი. როცა ჯგუფში, გენადისთან ერთად, თავის სოფელელებს—ლიკლიკაძეებსა და გვენეტაძეებს ზედავდა, თავს ისე გრძნობდა, თითქოს, მართლაც თავის სოფელში ყოფილიყოს.

განა არ ჰქონდა სასიხარულო? ერთი პატარა სოფლიდან ამ სახელოსნო სასწავლებელში ხუთი ჰაბუკი ეუფლებოდა მემანქანის თანაშემწის პრთფესიას. ხუთივე ერთ ჯგუფში იყვნენ. ალბათ, არც ის იყო შემთხვევითი, რომ მასწავლებლები ამ ჯგუფში შესვლისას ხუმრობით ამბობდნენ—სიმონეთში მივდივართო. შემდეგ ეს ხუმრობა მოსწავლეებშიც გავრცელდა. გასაკვირი ის იყო, რომ თვით ჰიკუინაც კი, რომელიც ერთ დროს გრიშას დასცინოდა, ახლამით ამყობდა, რომ მის ჯგუფს სიმონეთს ეძახდნენ, ხოლო თვითიველ მის წევრს სიმონეთელს. შემდეგ სიმონეთიდან მათი წაბაძვით ბევრი ახალგაზრდა წამოვიდა სახელოსნო სასწავლებელში.

ამჟამად ამ სოფლიდან ოცამდე ვაჟკაცი მუშაობს მემანქანედ ელმავალზე. ერთ დროს ქალაქებს შორის ხაშუარი ითვლებოდა მემანქანეების აკენად, განსაკუთრებით ელმავლის მემანქანეების, მაგრამ ძნელია დავასახელოთ მეორე ისეთი სოფელი, რომელსაც სიმონეთზე მეტი მემანქანე მიეცეს დეპობისათვის.

ეახტანგ ლომინაძე ერთი წუთითაც არ შორდებოდა შევირდებს საელმავლო დეპოში პრაქტიკაზე მუშაობისას, მაგრამ იმ დღეს ისე მოხდა, რომ შესვენებისას მთავარ ინჟინერთან საუბარს დიდ ხანს შერჩა.

მაისის თბილი დღე იდგა.

გრიშა ბოგვერაძეც თავის ჯგუფელებთან ერთად დეპოს ეზოში იჯდა და გაზაფხულის სურნელებით ტკებოდა. ხელში გადაშლილი წიგნი ეჭირა, მაგრამ რარდი კითხულობდა, უმხერდა ამ ტანამოლტილ ალვის ხეებს, მხარგაშლილ

ქადრებს და თავისი სოფელი აგონდებოდა.

ხელში წიგნი ეჭირა, მგერამ. ოცეზიფიფ სიმონეთში იყო!

გენადიც მის გვერდით იჯდა.

— გენადი, ბიჭო, გაუგე რამე ელმავალს?

— რომელს, ეგერ ჩვენს წინ რომ დგას, თუ წიგნში ჩახატულს? — გენადიმ გადაუშალა სქელტანიანი სახელმძღვანელო და შიგ ჩახატული მრავალი ტიპის ელმავალი აჩვენა. წიგნს ძალზე სქელი ყდა ჰქონდა და ზედ მსხვილი ასოებით ეწერა „ელექტრომავალი“.

— მეც სწორედ ამ ელმავალზე გეუბნები! — მიუთითა მან და გენადის მუხლებზე გადაშლილ წიგნს ისე დააცქერდა, თითქოს პირველად უყურებდეს.

— ამ ელმავალს რომ ვხედავ, ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, შენთვის გენადი?

— ჩემთვისაც გასაგებია.

— მაშინ დაბურე წიგნი და აი, ამ ელმავალს უყურე, ნეტავ როდის აგვიშვებენ ზედ? როდის გავიყვანენ ხაზზე, მე მგონია გვეყოფა ამდენი თეორია. ნაწილები კარგად ვიცით, მარა წაყვანაა, ბიჭო, მთავარი.

— ძაან გულით ვინდა?

— აბა რა, სანამ ვხაზოთ ეს ელმავლები რვეულეებში, ბარემ გავაჭროლოთ კიდევ.

— შენ სიმონეთში ხომ არ გგონია შენი თავი, ურემზე რომ დასავამდი ხუთ კაცს და წისქვილისკენ მიგყავდა. ურემში რომ გადაბრუნდებოდა, მიწა ახლოს იყო და არაფერი დაგიშავდებოდა, ელმავალი რომ ლიანდაგიდან გადააყარაო, იცი რამდენი ადამიანის სიცოცხლეს ჩააგდებ საფრთხეში?

— მერე რა, ვისწავლი, მემანქანეები ციდან ხომ არ ჩამოფრენილან?

მეორე გაზაფხულიც მიიწურა. სახელოსნო სასწავლებლის ეზოსა და დერეფნებს დიდი გამოცოცხლება დაეტყუ. გრიშა და მისი ბიძაშვილი დასამ-

თავრებელ გამოცდებისათვის ემზადებოდნენ. ბოგვერაძეებს, არც ლიკლიკაძეები უდებდნენ ტოლს. განმარტობით მხოლოდ მათი თანასოფელი გვენეტაძე გამდგარიყო და ისიც წიგნებს ჩაპკირკიტებდა. ეს სიმონეული ბიჭები თავიდანვე გამოირჩეოდნენ სხვებისაგან, ახლა კი თითქოს სულ დაბრძენებულიყვნენ და განვლილ მასალას ბეჯითად იმეორებდნენ.

გრიშაც ზოგჯერ გვენეტაძესავით გამოეთქვებოდა ამხანაგებს და თავისთვის ბუტბუტებდა. განმარტობით მჯდარ გრიშასთან ჭიჭყინა მივარდებოდა:

— გრიშა, არ შეგრცხვება შენ ხუთიანი მიიღო და მე ერთიანი? მასწავლე ბიჭო, რა მხეცია ეს ელშავალი, ვერაფერი გაუგებ, ჩემი ჰკუთით კიდეც ავაწყე და კიდეც დავშალე, მაგრამ მერე ხუხუასავით დამენგრა, ჩემი მეზობლის ეტლს დღეში ათჯერ მოვხსნი ბორბალს და ათჯერ შამოვავებ ისევ ამ ოხერს კი ვერაფერი მოვუხერხე, მიშველე, გრიშა რამე, — ეღრიჯებოდა გრიშას მისი მეგობარი.

გრიშა, ჭიჭყინას და მის ამხანაგებს ყოველთვის შველოდა, მაგრამ ახლა სადაცაა გამოცდლები უნდა მოსულიყვნენ დეპოდან და სად ჰქონდა იმისი დრო, მისთვის ესწავლებინა, ამიტომ ჭიჭყინასათვის ვერც „პო“ ეთქვა და ვერც „რაა“. ელექტროტექნიკის სახელმძღვანელოდან რომელიღაც ფორმულას წიგნში ჩაუხედავად იხეპირებდა და თავის ცოდნას თითონვე ამოწმებდა.

— მოდიან, მოდიან — სულმოუთქმელად წამოიყვირა იქვე კედელზე მიყრდნობილმა გენადიმ და გრიშამ შეკოთხვაც ვერ მოასწრო, რომ სასწავლებელში შემანქანის ფორმაში გამოწყობილი ორი რკინიგზელი შემოვიდა.

— მასლოვსკი! გორდევეი! — მაშინვე იცნო გრიშამ ისინი და ძალაუფლებურად მათი გვარები ხმამაღლა წამოიძახა.

საგამომცდელი კომისიაში საელმავე-
2. „მნათობი“, № 8.

ლო დეპოდან ორი ინსტრუქტორი შემანქანე, ნიკოლოზ მასლოვსკი და კონსტანტინე გორდევეი შედგოდნენ.

ვახტანგ ლომინაძე იმ დღეს ისე დელავდა, თითქოს თვითონ გადიოდა გამოცდაზე და არა მისი მოწაფეები. ამას კარგად ამჩნევდა გრიშა და მასწავლებელს ისეთ მშვიდს, წყნარსა და თავის ცოდნაში დაჯერებულ სახეს უჩვენებდა, რომ ვახტანგს სიამოვნებას ვეროდა, ისიც კარგად გრძნობდა, თუ როგორ ამხნევებდა მას თავისი მოწაფე-გრიშამ გამოცდები ყველა საგანსა და პრაქტიკულში ფრიადზე ჩააბარა. საგნის საფუძვლიანმა და ღრმა ცოდნამ გამოიმძღვლები განცვიფრებაში მოიყვანა.

საგნების ღრმა ცოდნა გამოამქლავნეს მისმა თანასოფლელებმაც. განმანაწილებელმა კომისიამ ხუთივე სიმონეული თბილისის საელშავლო დეპოში დატოვა.

გრიშას როდი გაეხარდა საელშავლო დეპოში დარჩენა. მან დეპოს უფროსის კაბინეტთან ბევრი იწრიალა, მერე, როგორც იქნა გადაწყვიტა და შიგ შევიდა.

— რა გნებათ, ყმაწვილო, — შეეგება მას სერგო კურტანიძე.

— მეე?
— პო, შენ, თქვი, რა გინდა? — დაუყვავა დეპოს უფროსმა დაბნეულ გრიშას.

— მე... ზესტაფონში მინდა, უფროსო! — ძლივს ამოიღო ხმა ჭაბუკმა.

— ზესტაფონს, თბილისის დეპოში მუშაობა არ სჯობია?

— კი, უფროსო, მაგრამ მე მაინც ზესტაფონი მირჩევნია.

— მაინც რატომ?
— მე სიმონეული ვარ, ჩემს სოფელთან და ოჯახთან ახლოს მინდა ვიყო და საწყალ დედაჩემს წავეშველო. თბილისში ჩემს მაგივრად სხვა დატოვებ.

— ბიძიკო, მე შენთვის კარგი მინდა, დამიჯერე, თბილისში ყველას კი არ ვტოვებთ, წადი ახლა სოფელში, დახედე და შენი, წაეხმარე, ერთი წელი თვე დაისვენე და სექტემბერში ჩამოიღე.



სამანქანო საამქროში ზეინკლად იმუ-
შავე, სკოლაში ნასწავლს პრაქტიკულად
დაეუფლე და მერე ვნახოთ, იქნებ მე-
მანქანის თანამემწეედ დაგნიშნო.

... სექტემბერიც მალე დადგა.

გრიშამ დატარებული სიბინდის ყა-
ნებსა და ოდნავ შეფერილ ვენახებს დი-
დი გულსტკივილით მოსწყვიტა მზერა-
მაგრამ რა ექნა, აბა, ორი წელი ტყუი-
ლად ისწავლა, ცხოვრებაში თუ არ გა-
მოიყენებდა?

• •

ოსტატი ირაკლი ზერეკიძე ძალზე
გულისხმიერი კაცი აღმოჩნდა, შვილი-
ვით უყურებდა დეპოში მოსულ გრიშას.
მუშაობასაც მალე შეაჩვია, ზეინკლემ-
საც კარგი მოპყრობის მაგალითი უჩვენა.

— ლეთერ, — მიმართა ერთ დღეს
ირაკლიმ ზეინკალ ლავრენტი მოსე-
მღვდლიშვილს, რომელსაც საამქროში
ზედმეტ სახელად ლეთერს ეძახდნენ, —
ამ ბიჭს ხომ იცნობ?

— ბოგვერაძეს? როგორ არა!

— ჰოდა, საბოლოოდ ყველაფერს
რომ შეევასწავლით, გამოცდა უნდა ჩა-
გვაბაროს, თუ უნდა ნამდვილი ზეინ-
კალი გახდეს.

ლავრენტიმ ზეინკალ დაეით მარმა-
რაშვილთან ერთად, გრიშას წვეის ძრა-
ვების ლუზებისა და დამხმარე მანქანე-
ბის შეკეთება შეასწავლა. თითქმის
ყველაფერს კარგად შეეგუა გრიშა, მაგ-
რამ ელექტროლუმელს კი ვერაფერი
მოუხერხა, შეიძლება იმიტომ, რომ მას-
თან ახლო წაყარება ეშინოდა.

ლუმელში, შეკეთების შემდეგ, წვეის
ძრავების ლუზებს გასაშრობად დებდნენ
და ელექტრონით ახურებდნენ. ზოგჯერ
ლუმელი ისე გახურდებოდა, რომ გრიშა
შიშით შორიდან უთვალთვალებდა.

ის ლუმელი დიდი ზომის, ოთხკუთხი
ფორმისა იყო. მასში პატარა ვაგონიკ
თავისუფლად თავსდებოდა. შეკეთე-
ბულ ნაწილებს ურიკაზე აწყობდნენ,
ურიკას შიგ შეაგორებდნენ, ქვესადგუ-

რიდან დენს ჩართავდნენ და ასე შრე-
ბოდა წვეის ძრავის ლუზები.

ერთხელ გრიშამ ურიკა შიგ შეაგორა,
უცებ კარები ჩამოიხურა და თვით შიგ-
ნით მოემწყვდა. შეშინებულმა ბიჭმა სა-
შინელი ღრიალი მორთო, ხმაურზე პირ-
ველად ლავრენტი მოვარდა. კაცი არსად
ჩანდა, ხმა კი ისმოდა. ზეინკალი მაშინ-
ვე მიხვდა რაშიც იყო საქმე, ლუმელის
კარი მთელი ძალით ასწია მაღლა და
გაფითრებული გრიშა გულშეღონებუ-
ლი გამოათრია გარეთ.

— შენი იღბალი, ბიჭო, ყვირილი რომ
გავიგონე, თორემ გოჭივით გამოიწყე-
ბოდი შიგ! — სიცილით უთხრა ლავ-
რენტიმ. გრიშას კი სიცილის თავი სად
ჰქონდა, კაცი აღარ იყო, სულ კანკა-
ლებდა.

ამ შემთხვევამ კიდევ უფრო ფრთხი-
ლი გახადა გრიშა. მერე ისე შეეჩვია
ლუმელს, ისე გაერკვა მის საიდუმლო-
ებაში, რომ ზოგჯერ მაღლა ასწევდა
მის კარს და შიგ გასათბობად დადგებო-
და ხოლმე.

გვერდით სააპარატურო საამქრო
იყო, რაკი გრიშა კარგად დახელოვნდა
ლუზების შეკეთებაში, ოსტატმა იგი იქ
შეიყვანა.

— ვალერიან, — მიმართა მან სააპა-
რატურო საამქროს ოსტატს, — ახლა
შენ გებარებოდეს ეს ყმაწვილი, ხომ
იცნობ ვინ არის? ჰოდა, ლეთერმა და
დავითმა ყველაფერი ასწავლეს, წვეის
ძრავების ლუზების შეკეთების პროფე-
სორი გახადეს, ახლა შენ იცი, ელმავ-
ლის ნაწილების შეკეთების აკადემი-
კოსს თუ გამოიყვანი — და ირაკლის
გულიანად გაეცინა. მერე ბიჭს არ ეწყი-
ნოსო და დაუმატა — მართლა ხუმრო-
ბა იქით იყოს, ვალერიან ჩემო, და ყო-
ჩალი ბიჭია, მალე ითვისებს ყველა-
ფერს, აბა, შენ იცი!

— ჩვენი საამქრო, ბიძიკო, მთელ
დებოში ყველაზე რთული საამქროა,
ელმავლის ყველა ელექტრონაწილის
შეკეთება აქ ხდება, ჩვენთან რომ კაცი
ივარგებს, იგი ყველგან გამოდგება, მას
ელმავალი ხუთი თითივით ეცოდინება,

ელმავალი თუ იცი, მაშინ ყველაფერი იცი, პოდა, იყოჩაღე, ფხა გამოიჩინე და აქ არ ვარ?

— ყოჩაღ, ყმაწვილო? — ინეინერმა ვახტანგ მალალაშვილმა ხელი დაჰკრა გრიშას მხარზე, როცა მისი ნახელავი შეამოწმა.

გრიშა ამ ინეინერთან თავიდანვე რაღაც სიახლოვეს გრძნობდა. ვახტანგიც არ აკლებდა მას მზრუნველობას.

— უთუოდ კარგი ზეინკალი იქნება — უთხრა მან ერთხელ ინეინერ ვლადიმერ გაგნიძეს, რომელიც შეკეთების დასრულებას უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

— ნამდვილად?

— დიახ, ნამდვილად, ჩემო ვლადიმერ! — აღფრთოვანებით წამოიძახა ვახტანგმა და მერე ცოტა დაფიქრების შემდეგ, განაგრძო — სულ მალე დეპოს უფროსს წარუდგენთ მემანქანის თანაშემწედ დასანიშნად.

— ეს ასეც იქნება, მაგრამ!

— მაგრამ რა, პატივცემულო უფროსო? — მორიდებულად და გაკვირვებულად ჰკითხა გრიშამ.

— მაგრამ ერთი რამ უნდა იცოდე, ძამიკო, — დაიწყო გაგნიძემ, — წევის ძრავი ელმავლის გულია, მისი სიცოცხლეა, თუ მემანქანე გინდა გახდე, ამ გულის თვითეული ძარღვის ფეთქვაც უნდა იცოდე. პოდა, რაკი წევის ძრავები გეცოდინება, მაშინ ელმავალიც გეცოდინება, ხოლო ელმავალი რომ გეცოდინება, გულის ფეთქვასაც ადვილად მიუხვდები და მისი წაყუანაც არ გაგიკვირდება!

— გმადლობთ, ბიძია! — წარმოსთქვა გრიშამ.

ორი თვის შემდეგ გრიშა თანაშემწედ დანიშნეს ევგენი ბახტაძესთან.

ის დღე მისთვის ნამდვილი დღესასწაული იყო. ჩვიდმეტი წლის ჰაბზუკი ვახტანგით ადევნებდა თვალყურს მემანქანის ხელის ყოველ მოძრაობას. ჩუარი სულ ხელში ეჭირა იყო თუ არა საჭირო, წარამარა ასუფთავებდა ელმავალს, სულ მანქანაზე იყო, სულ გზაზე

უნდოდა ყოფნა. გზიდან რომ დაბოუნდებოდა, ძირს ჩამოსვლა ეჩვენებოდა, თვალი და გული იქ რჩებოდა.

— ევგენი ბიძია, უნდა დამეხმაროთ! — გაბედა ერთ დღეს გრიშამ.

— რაში, ყმაწვილო?

— უბინაოდ ვარ; სახელოსნო სასწავლებლის საერთო საცხოვრებლიდან მე და ჩემი თანასოფლელები დაგვითხოვეს, ჩვენ აღარ გვეკუთვნითო, სად უნდა წავიდეთ?

— ბიჭო, ხომ იცი, ომია, ათასი ევაკუირებულია ჩამოსული, ვნახოთ, ვეტყვი დეპოს უფროსს, შეიძლება ჩვენს ბანაკებში ერთი საწოლის დასადგმელი კუთხე გიშოვოთ! — უთხრა ევგენიმ. მეორე დღეს მან გრიშას დაუძახა და დეპოს უფროსის დავალებით უთხრა, წადით ხუთივენი სოფელში და ლოგინები ჩამოიტანეთო.

ორ დღეში ხუთივემ ლოგინები ჩამოიტანეს სოფლიდან, მაგრამ შეპირებული ბინა ვერ მიიღეს. ამის გამო გრიშა და გენადი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ, ლიკოკაძეებიც დუმდნენ.

გრიშამ უცებ მარჯვენა ხელი სათადარიგო ელმავლისაკენ გაიშვირა.

— იმ ელმავალზე დავიძინოთ, ბიჭებო, ამაღამ! — და კარგად რომ დაღამდა, პირველმა მან აიტანა ხევით ლოგინი.

ყინვა ძვალსა და რბილში ატანდა. ხუთივენი ერთად იწვნენ კაბინაში, ერთმანეთს ეკვროდნენ. რამდენიმე დამე გაათენეს აქ, მაგრამ ყინვამ რომ იმძლავრა და მოუჭირა, გრიშა საგონებელში ჩავარდა, ელმავალზე უკვე არ ედგომებოდათ.

— ლუმელში! — წამოიძახა გრიშამ.

— სად, ბიჭო?

— წევის ძრავების დუზების საშრობ ლუმელში.

— გამოვიწვევით, ბიჭო, გაგიყდი? — უნდოდ ჩაიქნია ხელი გენადიმ.

— არა, გენადი, წამოდით, მე ვიცი როგორ უნდა მოვიქცეთ.

ყველანი რომ გაიკრიფებოდნენ საამქროდან, გრიშა ლუმელის კარებს მალ-

ლა ასწევდა, შიგ ურიკას შეაგორებდა, და ზედ ულოგინოდ წამოწვებოდა, იმის შიშით, რომ კარები არ ჩამოხურულიყო, ნახევარი ტანი გარეთ ჰქონდა. ურიკაზე მხოლოდ სამი კაცი ეტეოდა. ისინი კი ხუთნი იყვნენ. ამის გამო ხშირად ერთი წიწვავა-გლეჯა ჰქონდათ.

ერთი კვირის შემდეგ გრიშასა და მის ამხანაგებს მეორე ბარაკში ოთახი გამოუყვეს. გრიშამ სული ამოითქვა, ფერი მიეცა. ამდენ ხანს თუ მოთენთილი და უსიცოცხლო იყო, ახლა ხალისიც მოემატა და სიცოცხლეც, ნორმალური ცხოვრება სულ მალე დაეტყო. ყველაზე უკეთ ეს ეგგენი ბახტაძემ შეამჩნია თავის ახალ თანაშემწეს.

• • •

დაკვირვებული, მკვირიცხლი და ზედმეწევი აუჩქარებელი იყო გრიგოლ ბოგვერაძე. ეს იშვიათი თვისება საელმაელო დეპოში მალე ყველსათვის გახდა ცნობილი. ვანსაუბრებით უფროსმა მემანქანეებმა შენიშნეს იგი. ჯერ კიდევ სახელოსნო სასწავლებლის დამთავრებამდე, შემდეგ დეპოში სამანქანო საამქროში ზეინკლად მუშაობისას, ხშირად დაჰყვებოდა იგი მემანქანეებს აქსტაფასა და ხაშურამდე.

მალე მიუხვდა ეგგენი ბახტაძე, რომ ის ბუჯითად ეკიდებოდა მემანქანის რთულ პროფესიას. ათას ხიფათში გამოვლილ მემანქანეს თვალი ბოგვერაძისაკენ ეჭირა. გრიშა ელმავლის შეაკარების ფანჯრიდან ხარბად გასცქეროდა უსასრულოდ გაჭიმულ ლიანდაგებს, მირბოდა ელმავალი, შეუმჩნევლად თოკავდა და ამოკლებდა გზას და მის ირგვლივ ყველაფერი — სიმინდის ყანები, ვენახები, მინდვრები, ამწვანებული მთები და ტოტებგაშლილი ხეები მცირდებოდნენ და ბზრიალასავით ბრუნავდნენ.

თავბრუნდახვეული გრიშა თვალებს ხან დახუტავდა; ხან ისევ გაახელდა. ეგგენი მოსახვევებსა და გადასარბენებზე სახელურს გადაადგილებდა, აეტრიატარს

მალა ახედავდა და ისევ წინ იხედებოდა. გრიშა მას თვალს არ აშთრებდა.

ეგგენი აშკარად ატყობდა მტკვარის დინტერესებას და სიამოვნებას.

გამოცდილი მემანქანეც გრძნობდა, რომ გრიშას ცოდნის პორიზონტი დღითიდღე ფართოვდებოდა, დინტერესებული ყმაწვილი სწრაფად ეუფლებოდა ელმავლის რთულ მექანიზმსა და მისი მართვის ტექნიკას.

ერთხელ ეგგენიმ გრიშა მემანქანის ადგილზე დასვა, ხელში კონტროლერის სახელური მისცა, გვერდზე მიუჯდა და ელექტრომავლის მართვა ანო.

უნდა გენახათ, როგორ გაუბრწყინდა მაშინ გრიშას სახე, როგორ გაუფართოვდა თვალები. ვინ იცის, რა მღელვარებას მოეცვა მისი გული! ელმავლის ბორბლების დაგადუგი უფრო ძლიერი იყო, თუ მისი გულის ბაგაბუგი? იმ წუთას იგი მხოლოდ მატარებლის უხიფათო წაყვანაზე ფიქრობდა.

მეტეხში ალვის ხეებმა გააოცეს, ისე მოეჩვენა, თითქოს ხელებს უქნევდნენ, ესალმებოდნენ, მაგრამ საიდან გაეგოთ, რომ ეს მატარებელი ბოგვერაძეს მიჰყავდა და არა ეგგენის! ან მცხეთის ეს წარმტაცი სანახაობანი რატომ ასეთის ღიმილითა და სიხარულით შემოეგებნენ ელმავლის საქესთან გულაძგერებულ ბიჰს? აგერ, მტკვარიც.

უცებ საყვირების ხმა შემოესმა გრიშას, ეს ხომ საელმავლო დეპოა? აგერ მატარებელიც ჩამოდგა თბილისში. ერთ წუთში თითქო ყველაფერი დადუმდა. ხმა არ ისმის, მაგრამ ეს რა ხმაა?

და გრძნობს გრიგოლ ბოგვერაძე, რომ ეს მისი გულია!

— ყოჩაღ, გრიშა, დღეიდან შენ ნამდვილი მემანქანე ხარ! — უთხრა ბურანში შესულ ბიჰს ეგგენიმ. მერე ხელი გადახვია და გადაკოცნა.

ეს იყო ბოგვერაძის პირველი ნათლობა, ეს იყო მისი პირველი სანუკვარი ნატვრის ცხადად ახდენა, ჯერ კიდევ შეუჩვეველი და გაუწაფავი მარჯვენის აზრიანი შეხამება ასჯერ ნახულსა და ათასჯერ წაქითხულთან.

გავიდა დრო. მომრავლდა უძილო ღამეები. ყოველ ახალ მგზავრობას ახალ-ახალი ამბები მოჰქონდა მისთვის, სრულიად უცნობ სამყაროში მიარღვევდა ტალღებს და ეს ახალი ხშირად მღელვარე და წინასწარ გაუთვალისწინებელი იყო.

რამდენი რამ შეიცნო, რამდენჯერ დადგა ხიფათის წინაშე, მაგრამ ახლა ისე აკვირვებდა ყოველივე ის, როგორც ელმავალზე შესვლის პირველ დღეს.

სულ სხვა იყო ის პირველი უძილო ღამე. იგი მუდამ ტკბალ მოგონებად დარჩება მის ცხოვრებაში.

განსაკუთრებით ვახტანგ მაღალაშვილი იყო დანტერესებული გრიშას ბედით. იგი წამითაც არ იფიწყებდა მას. ზოგჯერ დეპოს ბაღში საგანგებოდ ჩამოჯდებოდა სკამზე და დიდ ხანს ელოდა გრიშას გზიდან მობრუნებას.

ელექტრომაგალი სწორედ აქ უნდა შემოსულიყო გასასინჯად.

ეგვენიც ამჩნევდა ვახტანგის ასეთ მამობრივ სითბოს და არც თვითონ აკლებდა თავის თანაშემწეს მხრუნველობას.

როცა ცოტაოდენ დროს იხელთებდა ვახტანგი, დეპოს ბაღში ახალგაზრდებს შეკრებდა და ათას რამეს უამბობდა მემანქანის რთულსა და ხიფათიან ცხოვრების შესახებ.

ერთხელ ვახტანგი ბაღში იჯდა. გრიშა ჯედ კიდევ ელექტრომაგალს დასტრიალებდა თავს, წმენდდა, ასუფთავებდა, საიდანაც გენადიც გამოჩნდა. ახლა გენადიც მემანქანის თანაშემწე იყო, ისიც ეგვენის ბრიგადაში შედიოდა. ვახტანგმა თანაშემწეებს მოუხმო, ყველანი ირგვლივ შემოეხვეინენ, გრიშა წინ დაუჯდა.

— მემანქანის ცხოვრება, ისე როგორც მფრინავისა და მეზღვაურისა, — დაიწყო ვახტანგმა, — ხიფათით სავსე ცხოვრებაა. წარმოიდგინეთ ასეთი ამბავი: მიაჭროლებ მატარებელს და უცებ აქ გზაზე რაღაც გამოხტება. მე შენ გეტყვი, ელმაგალს სწრაფად დაამუხრუ-

ჭებ თუ რა? კაცმა არასოდეს არ იცის რა გადაეღობება წინ, აბა რა იცოდა იმ დღეს იოსებ უჩუმბეგაშვილმა, რა ხიფათს გადაეყრებოდა...

— უჩუმბეგაშვილი ვინ არის, ბიძია ვახტანგ? — ჰკითხა ჰაბუკმა.

— დააცადე, ბიჭო! — აუჯანყდნენ ახალგაზრდები ჰიჭყინას.

— უჩუმბეგაშვილი ძველი, გამოცდილი მემანქანე იყო!

— იყო? ცოცხალი აღარ არის თუ?

— აცალე, კაცო! — ახლა თვითონ ჰიჭყინა გაუჯავრდა მეგობარს.

— ახალდაბის იქით, მტკვარის პირას, ფიჭვითა და ნაძვით დაბურული ტყე ხომ გახსოვთ? — განაგრძო ვახტანგმა, — თურმე ერთხელ იმ ტყიდან ვეება უხსენებელი გამოსულიყო და ლიანდაგზე გაწოლილიყო. მზეზე თბებოდა. უცებ იგი ციდან შევარდენმა შენიშნა, დაეშვა დაბლა, ჩასტაცა ბრჭყალები და აიტაცა. მიფრინავდა შევარდენი მაღლა, ის ფეხებში ეხვეოდა. იკლავებოდა; უცებ იგი კლანჭებიდან დაუსხლტა და, ბურთივით დამრგვალებული, დაბლა წამოვიდა. ფრინველი ისევ დაეშვა ძირს და ხელმეორედ აიტაცა, ისევ დაიგრიხა გველი შევარდნის კლანჭებში, ისევ გაუსხლტა მას და ისევ ძირს დაეცა; როცა მესამედაც დაუსხლტა ნადავლი, შევარდენი მეტეორივით მოწყდა ცას და გველი ისევ მაღლა აიტაცა. აქ კი საოცარი რამ მოხდა: უეცრად ფრინველმა საშინლად დაიწვილა, გველს კლანჭები გაუშვა და ამჯერად დაგესლილი შევარდენი მთელი ძალით დაქანდა ძირს. სწორედ ამ წუთებში დაბურული მოსახვევიდან სახალხო მატარებელი გამოჩნდა. ბორჯომში მიჰყავდა იგი უჩუმბეგაშვილს. დაგესლილი შევარდენი მემანქანის ფანჯრებს დაეჯახა. ჩაუღწა და ნამსხვრევები მემანქანეს სახეში შეაყარა. გონებადაკარგული მემანქანე ძირს დაეცა. თანაშემწემ მთლად სისხლში ამოსვრილ უჩუმბეგაშვილს მოჰკრა თუ არა თვალი, საკონტროლო სახელურს ჩასჭიდა ხელი და მატარებელი უხიფათოდ შეიყვანა სადგურში.

— უჩუმებგაშვილს რა დაემართა? — იკითხა ნიკომ.

— გადარჩა, ახლაც ცოცხალია, ამჟამად პენსიონერია! — თქვა ვახტანგმა.

— ვინ იცის, რა არ შემთხვევა შემანქანეს, — დაასკვნა ვახტანგმა, კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ჰიპოქრიზიზმ არ დააცალა.

— უფროსო. მაინც რამოდენა იყო ის შევარდენი?

— ეშმაკმა იცის, მე ხომ არ მინახავს.

— მაშ ერთმა შევარდენმა როგორ ჩაამხებრია იმსისქე ფანჯარა, სად ჰქონდა იმდენი ძალა!

— მანდ მიზიდულობისა და სისწრაფის ძალა უნდა იანგარიშო...

— მაინც როგორ, ძია ვახტანგ?

— სულ უბრალოდ, შევარდენის ფრენის გამო მისი დარტყმის ძალა ოთხჯერ გაიზარდა, ხოლო ელმავლის სიჩქარის გამო დარტყმის ძალა კვლავ რამდენჯერმე გადიდდა. ეს ორი ძალა, ერთ ადგილას, ურთიერთ საწინააღმდეგოდ ერთმანეთს დაემთხვა, ფანჯრებიც ჩაღწეა და შემანქანეც დაჭრა.

— ვაა, ვაა... — იძახდა გაკვირებული ჰიპოქრიზი და გონს ჯერაც ვერ მოსულიყო.

— მაშ უჩუმებგაშვილი ცოცხალია? — ისევ იკითხა გენადიმ.

— ცოცხალია, ორიათას ექვსასი მანეთი აქვს პენსია.

— განა ასეთი პენსიაც არსებობს? — გაიკვირვა გრიგოლმა.

— ხაზზე თუ შემანქანეს რამე ზიანი მოუვიდა, მთელი გამომუშავების საშუალო თანხას ღებულობს, ასეთი შემთხვევის დროს პენსია არ არის შესლულული, — უპასუხა ვახტანგმა.

ვახტანგი მიხვდა, რომ მისი ნაამბობი მძიმე ლოდად შემოაწვით ბიჭებს, ამიტომ გადასწყვიტა არასასიამოვნო სურათის შთაბეჭდილებით გამოწვეული შიში გაენელებინა.

— რამ შეგაშინათ, ბიჭებო, ასეთი შემთხვევა მილიონში ერთი თუ გამოეჩევა. მისი თავიდან აცილება არც შემანქანეზეა დამოკიდებული და არც თა-

ნაშემწეზე, მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, რომელიც შემანქანის დაუდევრობის ბრალია და რისი აცილებაც ადვილად შეიძლება. ჩვენ ორი დიდი მტერი გვყავს.

— მტერი?

— ეს მტრები ძილი და სიმთვრალია... შემანქანემ ერთი თუ წათელიმა, აი სწორედ მაშინ ხდება ყოველგვარი უბედურება.

— თანაშემწე სად არის მაშინ?

— თანაშემწემ სწორედ მაშინ უნდა იფხიზლოს. შენს მტერს, თუ იმასაც ჩაეძინა. ახლა მეორე შემთხვევას გიამბობთ, — თქვა ვახტანგმა, — ზაფხულის ერთ ღამეს წიფის გვირაბიდან გასული სახალხო მატარებელი მთელი სისწრაფით მიჰქროდა მოლით-მარელი-სის გაღასარბენზე. კუბრივით შავი ღამე იყო. გზის გარდიგარდმო მთებზე შეფენილი ტყეები არც კი ჩანდა. მატარებელში ყველას ტკბილად ეძინა, შემანქანე ელისაშვილი საქვსთან იდგა და ფხიზლობდა, თვალყურს ადევნებდა მიხვეულ-მოხვეულ გზებს, რომ შემთხვევით რაიმეს არ დასჯახებოდა. ამ დროს შორს, ტყის სიღრმეში რაღაც სინათლე ელვასავით დაიკლავნა, მალე იგი ხის ფოთლებზეც აციმციმდა; შემანქანეს, თითქოს ტანმა უგრძნო, შეაჩრქოლა. ეს უეცარი და უცნაური სინათლე რაღაც ცუდს აუწყებდა ელისაშვილს, იგი სრულებით არ ჰგავდა მისივე ელმავლის ფარებიდან წინ გატყორცნილ სინათლის თამაშს, უფრო საწინააღმდეგო მიმართულებით მომავალ ელემენტომავლის პროექტორის შუქს წააგავდა. ტყეში ფოთლების სიკაშკაშე თანდათან ძლიერდებოდა, შემზარავი სურათი ეხატებოდა თვალწინ შემანქანეს.

ნეტავ, რისი შუქი უნდა ყოფილიყო ასე რომ უახლოვდებოდა და თვლებს სჭრიდა? ნუთუ მატარებელი მოჰქროდა, როგორ უნდა ერწმუნა ელისაშვილს, რომ სადგურში მის შესვლამდე მატარებელი გამოეშვათ?

არა, ეს შეუძლებელი იყო!

იგი ხან წინ გახედავდა და ხან გვერდით იქცირებოდა. იმ უყუნეთ დამეში ეს გაუგალი ტყე და სიბნელე რას უნდა გაეკვეთა ისე, რომ თვითეული ხის ძირიც ხელის გულივით მოჩანდა?!

ელისაშვილი კვლავ წინ იყურებოდა. შიშის გრძნობა მის გულშიც იმ შუქივით იზრდებოდა, მაგრამ გამოცდილი მემანქანის ფიზიკალი თვალი იმ შუქზე უფრო სხივიანი აღმოჩნდა. ელისაშვილი საიდუმლოებას მალე ჩასწვდა. დარწმუნდა, რომ ეს სინათლე მის საწინააღმდეგო მიმართულებით მომავალი მატარებლის პროექტორისა იყო, იმასაც მიხვდა, რომ მემანქანეს ან რაღაც უბედურება მოსვლოდა, ან მასაც და თანაშემწესაც ჩასძინებოდა.

ელისაშვილის წინათგრძნობა გამართლდა. მან სწორად ამოიცნო მოსალოდნელი კატასტროფის საფრთხე, ამოიცნო და განგაში ასტეხა, ელმაელის შემზარავი ხმა მთელ არემარეს გადასწვდა და მთელი მიდამო შესძრა. ყველაფერი გააღვიძა. მემანქანე პროექტორს ხან ჩააქრობდა ხან გააჩაღებდა.

— ფიზიკად, ასი თვალი და ყური დაიჭირე! — გასძახოდა იგი თავის ახალგაზრდა თანაშემწეს. ამხნევებდა მას და შიშს იოტის ოდენადაც არ აგრძნობინებდა; სინათლე კი ახლა სულ ახლოს კრთოდა. ტყეს სერავდა და მერე სადღაც ციდან მოწყვეტილი კუდიანი ვარსკვლავივით ისევე იკარგებოდა და ინთქებოდა. ამ განუწყვეტელი განგაშის ხმას მეზობელ სადგურამდეც მიედღწია. სადგურის მორიგე მაშინვე მიმხედარიყო მოსალოდნელ უბედურებას. რა უნდა ელონა, რითი აეცილებინა საფრთხე?

ეტყობა, მორიგე გამოცდილი კაცი იყო, ამ საშინელი განსაცდელის დროს როდი დაიბნა, გონება მოიკრიბა და ენერგო-დისპეტჩერს დაუკავშირდა, დისპეტჩერი გონებადაკარგულივით აქეთ-იქით აწყდებოდა, მაგრამ ფიქრისა და ყოყმანის დრო სადღა იყო, საფრთხეში იყო, ვინ მოსთვლის, რამდენი ადამიანის სიცოცხლე მანაც აღარ და-

ყოვნა და მთელი საკონტაქტო ქსელი გამოერთო, ელმაელებმა სვლას უკლეს, ჩაძინებულ მემანქანეს გამოეცდინა! — მიხვდა, რომ წინა სადგური შეუჩერებელი გამოეგლო. რამდენიმე წუთი და... მორიგე მატარებლის ელმაელები, მორიგე მეტრის დაშორებით, ერთი-მეორის პირისპირ შეჩერდნენ, თითქოს მოედანზე საბუღრაოდ გამოსული კამეჩები არიანო.

ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო უბნებს.

ასე გადაარჩინა მარჯვე მემანქანემ მრავალი ადამიანის სიცოცხლე! — თქვა ვახტანგმა და მომავალ მემანქანეებს გადახედა. ახალგაზრდები ხმას არ იღებდნენ. ერთხანს ვახტანგიც დუმდა. ბოლოს ისევე თვითონ აღაპარაკდა.

— აი ასე რთული და საბასუხისმგებლო საქმეა თქვენი მომავალი პროფესია და ცხოვრების გზა.

გრიგოლ ბოგვერაძე მაშინ თანაშემწე იყო. ისიც ესწრებოდა ამ საუბარს.

— იმ მემანქანეს რა უყვეს? — ჰკითხა ინჟინერს გრიგოლმა.

— ბიჭო, ჩაეძინა, რა უნდა ექნათ, თვითონ ხომ არ უნდოდა? — წამოიძახა გენადიმ.

— ნათქვამია, ერთი ძილი წყალსაც მოუფიქრო! — დაუმატა ჰიქყინამ გენადის ნათქვამს.

— არა, ყმაწვილებო, ცდებით. მემანქანე, ცხადია, სასტიკად დაისაჯა, და ღირსიც იყო სასჯელისა! — თქვა ვახტანგმა.

— ვაა, რათა? — გაიკვირვა ჰიქყინამ. იმ ორ სახალხო მატარებელში რამდენი ადამიანი იქნებოდა? ელისაშვილს რომ სიღბიზლე არ გამოეჩინა და ამასთან ერთად დაკვირვებული და მიხვედრილი კაცი არ ყოფილიყო, ხომ საშინელი კატასტროფა მოხდებოდა? — წარმოსთქვა გრიგოლმა.

— ამის მომტანიც არ გადარჩებოდა! — დაუდასტურა მას ვახტანგმა.

ბრუნდებოდა სახლში გრიგოლი და დეპოს მთავარი ინჟინრის ნაამბობის შემდეგ ხვალინდელი დღე უფრო მი-

მე და როული ეჩვენებოდა, მაგრამ ჭიჭყინასავით გაქცევას როდი აპირებდა. ახლა უფრო ღრმად და აზრიანად ჰერეტდა მემანქანის ხიფათიან ცხოვრების გზას.

უკვე ორ წელიწადზე მეტს გაველო, რაც ფეხი შეედგა გრიშას ელმავალზე. გამოცდილ მემანქანეს მისთვის არაფერი დაეკლო, მაგრამ იმისთვის, რომ სრულყოფილად სცოდნოდა ელმავალი და მისი მართვის ტექნიკა, ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო საჭირო.

ომის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე დანიშნეს გრიშა ევგენის თანაშემწედ, ახლა ომის ხანძრის ჩაქრობიდან ერთი წელი გასულიყო და გრიშა თამამად ჩამოუფედებდა საუბარს მის უფროსს, სწავლის გაგრძელების შესახებ.

გრიშამ მართლაც მალე დაიწყო სწავლა მემანქანის ერთწლიან კურსებზე.

— ისწავლი, ბიჭო, ისწავლი და მერე ერთ-ერთ ელმავალს შენი გვარი და სახელი დაეწერება! — უთხრა გახარებული მამა ევგენი.

— დაეწერება, მამა!

გრიშა უცებ შემობრუნდა, მის წინ მემანქანე, გიორგი ხიზანიშვილი იდგა. გიორგის გამოჩენამ იგი ძალიან გაახარა.

— აბა, შენ იცი, კურსების დამთავრების შემდეგ ჩემს ბრიგადაში უნდა დაბრუნდე.

— ისევე თანაშემწედ? — ჩაიცინა გრიშამ.

— თანაშემწედ რათა, მემანქანედ!

— ნამდვილად, გრიშა, ნამდვილად, ოღონდ არ გვიღალატო, ბიჭო! — ევგენის ნათქვამს ზურგი გაუმაგრა ხიზანიშვილმა.

ერთი წლის შემდეგ გრიშამ მემანქანის დიპლომი მიიღო: „მამ, ელმავალი უნდა ჩავიბარო და დამოუკიდებლად ემართო!“ ამ აზრის წინასწარ გათვალისწინებისას ზოგჯერ შიშით იპყრობდა. გულისფანქვალთ მიდიოდა დიპლომიანი ჰაბუკი ღებოში.

გრიშას ძალიან ეწყინა ევგენის ბრიგადაში რომ არ დანიშნეს მემანქანედ!

— ეგ არის, ბიჭო, შენი პირველი უთხრა ევგენიმ პირველი შეხვედრისთანავე.

— ჩემი ბრალი არ არის, ბიძა ევგენი, ბევრი ვეხვეწე უფროსს, მაგრამ არ ქნა.

გრიშა ბოგვერადე ვასო ოსაძის ბრიგადაში ჩარიცხეს მემანქანის თანაშემწედ გენადისთან ერთად. ორი თვის შემდეგ კი ამავე ბრიგადაში მემანქანედ დანიშნეს.

ერთ დღეს ვასო დაფიქრებულნი შეშოვიდა ღებოში. გრიშამ კარგად შეამჩინა ეს, მაგრამ არაფერი უთქვამს, მას არ უყვარდა გამოძიება და ჩაქითხვა.

— ბიჭებო! — წამოიძახა ოსაძემ, როცა ორივე ბიძაშვილი ერთად დაინახა.

— რა იყო, ბიძა ვასო? — დაასწრო გრიშამ გენადის.

— მძიმე წონის მატარებელი, გაგიგონიათ, რა არის?

— როგორ არა! — ცოტა ენის ბორძიკით მიუგო გრიშამ, გენადიმაც უხმოდ დაუქნია თავი, თუმცა არც ერთსა და არც მეორეს მასზე ხეირიანი წარმოდგენა არ ჰქონდა.

— პოდა, თუ იცით, ხვალ დილიდან მძიმეწონიანი მატარებელი უნდა წავიყვანოთ, პირველი ჩვენ უნდა გამოვეხმაუროთ ამ ახალ თაოსნობას! — უთხრა მათ ოსაძემ და მერე დაწვრილებით გააცნო, თუ რა იყო მძიმეწონიანი მატარებელი და რას ნიშნავდა ამ მოძრაობაში ჩაბმა, რამდენ თანხას შემატებდა იგი სახელმწიფოს და დროის რამდენ ეკონომიასაც იძლეოდა.

გრიშა რიგით მემანქანედ ოსაძის ბრიგადაში სამ წელს ითვლებოდა ისე კი მისი უშუალო მასწავლებელი და ხელმძღვანელი მემანქანე-ინსტრუქტორი პაველ ნოზაძე იყო. იგი დაჰყვებოდა გრიშას ხაზზე, ასწავლიდა ელმავლის დამოუკიდებლად მართვას და იმ წესების ზუსტად გამოყენებას, რაც პრაქტიკულად იყო საჭირო მატარებლის მოძრაობის დროს. სწორედ პაველ ნოზაძეს

უნდა მიეცა დასკვნა დეპოს უფროსისათვის, შესძლებდა თუ არა ბოგვერაძე დამოუკიდებლად მატარებლის წაყვანას.

გრიშა მართალია, აუჩქარებელი და წინდახედული ახალგაზრდა იყო, მაგრამ მემანქანის პროფესიას კიდევ უფრო მეტი დაკვირვებული თვალი სჭირდებოდა. ნოზაძემ იცოდა, რომ მოულოდნელი შემთხვევის დროს, რაც არც თუ ისე იშვიათი იყო მემანქანის ცხოვრებაში, შიში და დაბნევა ისეთივე მტერი და კატასტროფის მიზეზი იყო, როგორც ძილი და სიმთვრალე. ამიტომ ისიც ვახტანგით სწორედ ისეთ შემთხვევებზე ამახვილებდა ყურადღებას, რომლებშიც მემანქანის წინდახედულობა და გაბედულება ჩანდა.

ერთხელ ხაშურში მძიმეწონიანი მატარებელი ჩაიბარა გრიშამ. ახლა, შვილი ათასრეასტონიანი შემადგენლობა მოჰყავდა თბილისისაკენ. გრიშამ იცოდა მძიმეწონიანი მატარებლის დაძვრა ძნელი იყო და დიდ ოსტატობას მოითხოვდა. ელმავალი ზედ სექტაფორის წინ იდგა. აი, მწვანე ფერიც გამოჩნდა.

— დავიძრათ! — გააფრთხილა პავლემ და სამივენი ელმავალზე ავიდნენ.

გრიშა კონტროლერის სახელურს მიწვდა, ადგილიდან დაძვრა სცადა, მაგრამ ელმავალი ასე ადვილად როდი დანებდა, მაშინ მატარებელს უკან დაახვეინა, გაისმა ვაგონების ჯახანი, გრიშამ თითი დააქირა ღილს და სილა ლიანდაგზე ჩაეშვა.

მატარებელი ნელ-ნელა დაიძრა ადგილიდან, გრიშამ სისწრაფეს მოუმატა. საათში ორმოცი კილომეტრი განავითარა, მერე ოთხმოცი.

მოჰქროდა მატარებელი და გრიშა ფანჯრიდან მაინც უკანა ვაგონებს გაჰყურებდა, ხმაურს ყურს უგდებდა, რალაცას თვალს არ ამორებდა.

— რა მოგივიდა, გრიშა?

— ბოლო ვაგონი დამუხრუჭებულ უნდა იყოს, უფროსო!

— რა იცი, საიდან ხვდები?

— აბა, გახედე, ბოლი არ ასდის?

— რას ამბობ! — შეერთა პავლე. პავლე ნოზაძემ ბოლო ვაგონს, მართლაც შეამჩნია კვამლი კარდუქტორის ხელის მუხრუჭის აშვება და ვიწყებოდა. მოკერილი ხუნდები ბორბლებს ეხვეოდა, ბორბლები ხურდებოდა და ნაპერწყლებს ისვროდა, ცეცხლის გაჩენა იყო მოსალოდნელი.

— რა ვქნათ? — ჰკითხა მემანქანეს თანამეგობარს.

— როგორმე გავაგებინოთ კონდუქტორს.

— მიხედება კი?

გრიშამ პასუხი ვერ გასცა, ენა დაება, ისევ დაუწყო მხერა იმ ბოლო ვაგონს, რომელიც კარგად მოჩანდა მაშინ, როცა შემადგენლობა მოხვეულ გზაზე გავიდოდა.

— მატულობს ბოლი?

— აბა რა უიცი, ვაი თუ...

— რაა?

— ცეცხლი რომ გაუჩნდეს?

ახლა პავლემ ჩაფიქრდა. გრიშას მატარებლის გაჩერება არ შეეძლო, ამიტომ კონდუქტორისთვის უნდა გაეგებინებინათ ეს ამბავი, მაგრამ რაკი ვერაფრით ვერ შეაბუცებინეს, გრიშამ გადაწყვიტა სადგურის მორიგეების საშუალებით დაკავშირებოდა მას. ყოველ სადგურში ჩასვლისას წინ გამოსულ მორიგეს შემადგენლობის ბოლო ვაგონისაკენ უქნევდა ხელს, იქითგნ უთითებდა, მაგრამ ვერც პირველ და ვერც მეორე შემხვედრ სადგურებში ვერაფერი მოახერხა. უკანა ვაგონზე კი ბოლი მატულობდა. კიდევ კარგი, რომ ბოლო ვაგონი იყო და არა შუა. შემადგენლობა მნიშვნელოვანი მასალებით იყო დატვირთული.

განსაცდელის წუთები დადგა. რა მოეფიქრებინათ? ამ სურათს პავლემ მოედუნებინა, ისიც უძრავად იდგა.

პავლეს მოჩვენებით სიმშვიდეს გრიშა ვერ მიმხვდარიყო, მან ერთხელ კიდევ გახედა ბოლო ვაგონს, ახლა ბოლი უფრო მაღლა ასულიყო, შიგ გაბნეული ნაპერწყლები ცეცხლის ენებზე ელაუნდნენ. მთელი ტანით გადაეკიდა გრიშა

ფანჯარას, საჭეს ხელი უშვა და როგორც იქნა, სადგურის მორიგეს მოსალოდნელი ზიფათის შესახებ აცნობა.

უკვე გვიან იყო, მატარებელმა სწრაფად მოიტოვა სადგური და მორიგემ კონდუქტორს ვერაფერი გააგებინა. სამაგიეროდ, წინა სადგურის მორიგეს დაურეკა და გააფრთხილა.

ქარელის სადგურზე, მორიგესთან ერთად, ათამდე რკინიგზელი ჩამწყობებულის და აღმებით და ხელეებით კონდუქტორს ნიშანს აძლევდნენ, რათა ბოლო ვაგონისათვის მიეხედნა. ისედაც დაეპყვებული კონდუქტორი გონს მოსულიყო და მიმხედარიყო მოსალოდნელ საშიშროებას.

ცოტა ხნის შემდეგ, გრიშამ ისევ გახედა ბოლო ვაგონს.

— ბოლმა იკლო! — შესძახა მან აღტაცებით.

— მართლა? —

კონდუქტორს მუხრუჭები მთლიანად აეშვა და, გორთან მიახლოვებისას, ვაგონს ბოლი აღარ ასდიოდა.

შუალამისას გრიშამ მატარებელი თბილისში, საქონლის სადგურში, სვეტაფორის წინ დააყენა.

პავლე ძირს ჩამოხტა, მას თანაშემწეც ჩამოჰყვა.

მემანქანე გრიშას მოუბრუნდა.

— ყოჩაღ, ჰაბუკო, ახლა კი ნამდვილი მემანქანე ხარ! ახლა შენ გებარებოდეს ეს ელმავალი! — და პავლე ნოზაძემ სიყვარულით მოჰხვია ხელები გრიგოლ ბოგვერაძეს.

გრიშას მღელვარება ვერ დაეფარა — „ნუთუ მართალია? ნუთუ დღეიდან პავლეს დაუხმარებლად შევძლებ მატარებლის წაყვანას?..“

გზიდან ორი საათის დაბრუნებული იყო გრიშა, როდესაც დეპოს უფროსმა გამოიძახა.

იგი მეორე სართულზე, დეპოს უფროსის კაბინეტს მიაღწა. კაბინეტიდან ლაპარაკი ისმოდა. გრიშა კარებთან შედგა. კარი გაიღო და უფროსი გამოვიდა.

— ბოგვერაძე, გელოდებით!

— აქ ვარ, უფროსო!

— მერე და რატომ არ შემოხვედი?

— ხალხი გყავდათ.

— ის ხალხიც შენ გელოდებოდა?

უთხრა მას სერგო კურტანიძემ: „მეც ველოდებოდა, გრიშას გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა უფროსის კაბინეტში ევგენი ბახტაძე, ივანე კუხალეიშვილი, ვასო ოსაძე, პავლე ნოზაძე და კიდევ ორი უცნობი დანახა.“

— მე გელოდებოდნენ?! — ჩაილაპარაკა გრიშამ თავისთვის და ისედაც მორცხვი და თავმდაბალი ახლა სულ ოფელში გაიწურა. ასეთი წუთები გამოცდების დროსაც არ დასდგომია. ევგენი თავის ყოფილ თანაშემწეს გასაქირს მიუხვდა.

— როგორ ხარ, სიმონელო! — ბახტაძემ ხელი ჩამოართვა.

გრიშამ მხრები აიჩეჩა და ვერაფერი უპასუხა.

— მაშ, ამხანაგო ნოზაძე, თქვენი საბოლოო დასკვნა როგორია? — მიმართა კურტანიძემ პავლეს.

— დაბეჯითებით შემძლია გითხრათ და ხელი მოგიწეროთ კიდევც, რომ ბოგვერაძეს თავისუფლად შეგვიძლია ვანდოთ ელმავალი და მატარებელი!

— ახლოს მოდი, ბოგვერაძე! — მოუხმო კურტანიძემ. გრიშამ გაუბედავად გადადგა ნაბიჯი და მაგიდასთან ფეხზე მდგომი უფროსის წინ შეჩერდა. თვალები თავის აღმზრდელი მემანქანისაკენ გააპარა.

სერგო კურტანიძემ თავისი მაგიდა დატოვა.

— მომილოცავს ეს დიდი წარმატება, დღეიდან დამოუკიდებელი მემანქანე ხარ, გებარებოდეს „ელმავალი № 22—416“ — უთხრა კურტანიძემ და ბრძანების ასლი გადასცა. ხელი მაგრად ჩამოართვა და გადაკოცნა. ყველამ მიულოცა გრიშას მძიმეწონიანი მატარებლის დამოუკიდებელი ტარების უფლების მინაჭება.

მეორე დღით გრიშა თავის ელმავალთან მხნედ დადგა, მაგრამ, როგორც კი შედგა ფეხი ზევით, მემანქანის ადგილი დაიკავა და პავლე ნოზაძეს რომ ვერ

მოჰკრა თვალი, შიშმა აიტანა. ელმაველი კინლამ დატოვა. აი, წასვლის წუთებიც დადგა. სვეტაფორში მწვანე შუქი გამოჩნდა. ელმაველი ნელნელა დასძრა. შესანიშნავად წაიყვანა მატარებელი. მაშ, რატომ მოეჩვენა, რომ თითქოს ელექტროძაბვა გამოერთო და მატარებელი დადგა? იყურება წინ და ყველაფერი უცხოდ ეჩვენება, თითქოს მრავალჯერ ნავალსა და ნანახ გზაზე კი არ მოჰყავდეს მატარებელი, არამედ საღდაც შორეულსა და უცხო ქვეყანაში. სადგურებშიაც კარგად და მშვიდად შევიდა, მწვანე, ყვითელ და წითელ ფერებსაც კარგად არჩევს ერთმანეთისაგან, არც გზაში აჩერებენ, მაგრამ მაინც ღელავს.

აი, ხაშურიც, იქით, ლიხის გადაღმა, იმერეთის უღამაზეს მთებსა და ხევებს შუა დაკლაკნილ გზაზე ამ შემადგენლობას სხვა ბრიგადა წაიყვანს!

გრიშამ თავისი ელმაველი მოხსნა და დასავლეთიდან მიღებულ მძიმეწონიან მატარებელს წინ მოუბა, სვეტაფორთან დააყენა.

...ახლა მესამედ მიჰყავს მატარებელი, ყოველ სადგურში კარგად ხვდებიან, არსად არ აჩერებენ, არსად უღობავენ გზას, მიჰქრის ელმაველი ქართლის ტრიალ ველებზე.

აგერ, გორშიც შევიდა, მგონი, არც აქ აჩერებენ.

— მწვანეა!

— თავისუფალია! — აღტაცებით შესძახეს გრიშამ და მისმა თანამგზავმა.

აი, მატარებელი ისრებს გასცდა, მაგრამ მოულოდნელად დადგა და ვაგონები ვაგონებს დაეჯახა. რა უნდა მომხდარიყო? გრიშა გაკვირვებით შეჰყურებდა მის წინ ნაირნაირ ფერებით აქრელებულ აპარატებს, მალე მიხვდა რომ ძაბვა მოიხსნა და საკონტაქტო ხაზში დენი გამოირთო. ელმაველი წვივიდან გამოვიდა, შემადგენლობაც შეიკუმშა, ვაგონი ვაგონს მიეხვინა.

როგორ უნდა მოქცეულიყო ასეთი შემთხვევის დროს, მან ეს არ იცოდა-

ხან აქეთ ეცა და ხან იქით, მაგრამ ელმაველი ადგილიდან არ იძვროდა, ამ ციებცხელებში დენიც მოვიდა, გრიშამაც მაშინვე ჩართო დენი და სინქარე ერთბაშად აიღო, აღარ დაელოდა შეკუმშული შემადგენლობის ნელ-ნელა გაკომპლას. გაისმა საშინელი ჯახანი და შეკუმშული შემადგენლობა, შუა ნაწილის იქით, სამ ადგილას გაწყდა.

ახლა, სულ დიხზნა გრიშა, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილს ეგვენი ბახტაძე და პავლე ნოზაძე მაინც არ დაეიწყებია, მათ ყოველგვარი სახის შემთხვევა უამბნიათ გრიშასთვის, მაგრამ ამდაგვარი რამ კი არასოდეს ვაგონა.

მატარებელი გააჩერა, მალე მასთან მოძრაობის დარგის სპეციალისტები მოვიდნენ.

— რა მოხდა, ამხანაგო ბოგვერაძე? — მოესმა სპეციალისტის ხმა — „ჩემი გვარი საიდან იცოდა?“ — გაივლო გრიშამ გულში და იმ კაცისაკენ შებრუნდა, სპეციალისტს სამი რკინიგზელი ახლდა.

— აბა რა გითხრათ, ელმაველი უცებ დადგა.

— ჰმ... — ჩაილაპარაკა სპეციალისტმა მოგუდული ხმით.

— მე რა უნდა მექნა?

— ჰმ... შენ ვერაფერს უშველიდი, დენი გამორთულა, მაგრამ...

და იმ კაცმა არ დაამთავრა, თუ რას ნიშნავდა ეს „მაგრამ“ და გაწყვეტილი ვაგონები შეამოწმა.

— ნახეთ, ბატონო, ძველი გადასაბმელებია, აგერ რა ბზარი ჰქონია, თითქმის უვარგისი ყოფილა! — წამოიძახა გრიშამ და, რაკი ერთხელ კიდევ დარწმუნდა გადასაბმელების უვარგისობაში, ცოტა გულზე მოეშვა.

გრიშას ხან ერთ ვაგონთან მიჰყავდა სპეციალისტი, ხან მეორესთან და ყოველთვის იმეორებდა, ძველი ყოფილაო! სპეციალისტიც თავის მხრივ თავის ქნევით უმოწმებდა და „მაგრამს“ მაინც არ ეშვებოდა.

„ნეტავ ამ კაცმა რას ამოიჩემა ეს „მაგრამ“? ფიქრობდა გულში ქაბუჯი

და ვერ ამოეხსნა ამ „მაგრამში“ რა გამოცანა იმალებოდა.

კომისიამ მართლა დაადასტურა, რომ ვაგონების გადასაბმელები ძველი და უვარგისი იყო, შიგდაშიგ ნახევრამდე შავი ბზარი აჩნდა.

— რატომ თავიდან არ გასინჯეთ შემადგენლობა?

— თვითველ ვაგონს ხომ ვერ შევამოწმებდი, ეს ხომ მემანქანეს არ ევალება?

— მაშ, მე მევალება?

— თქვენ რათა... სხვას.

— ეს სხვა ვინ არის, თუ არა თქვენ?

— სპეციალისტმა თვალბში ჩახედა ბოგვერაძეს. გრიშა ახლა გამოერკვა. მართლაც, და ვის უნდა ენახა, ვის უნდა შეემჩნია? ნუთუ თვითველი ვაგონის გადასაბმელი მას უნდა შეემოწმებინა? მაშ, რას აკეთებდნენ დეპოს ინჟინრები, გამსინჯველები, რა ევალებოდათ, რისი მაქნისები იყვნენ ზედამხედველები?

გაბრაზდა გრიშა, მაგრამ ვის და რატომ უბრაზდებოდა, თვითონაც არ იცოდა. იგი მხოლოდ მაშინ დაწყნარდა, როცა გაიგო, რომ წუნი მას არ დაეწერებოდა. დამშვიდდა, მაგრამ ის კაცი არ მშვიდდებოდა, ამოჩემებულ „მაგრამს“ მაინც არ ივიწყებდა და გრიშას გულში ჩახუდებულ ეპქეს გზაკვალს უბნევდა.

— დასძარით მატარებელი, თავისუფალი ხართ! — თქვა სპეციალისტმა და გრიშამაც პანტოგრაფი მალლა ასწია, დენი ჩართო, მაგრამ წინანდელივით ერთბაშად კი არა, არამედ თანდათან დაძრა მატარებელი, როგორც ეს ევგენიმ, პაულემ, გიორგიმ და ვასომ ასწავლეს.

— დაკვირვებული კი ყოფილხარ ბიჭო მაგრამ...

მიჰქროდა მატარებელი და ეს „მაგრამ“ მღვეარივით თან მისდევდა გრიშას. დაიღალა. ახლა ღრმად ჩაფიქრების თავი ეღარ ჰქონდა, მატარებელი ხაშურიდან უკანვე თბილისში უნდა მოეყვანა.

აი, თბილისიცი...

გრიშამ მატარებელს ელმავალი მო-

ხსნა და დეპოში შემოიყვანა, მერე იქიდან თავის საყვარელ ბაღს ჩაუარა და შეისვენა. დაფიქრდა დღის წლივით ამ მოხსნა მან იმ „მაგრამის“ საიდუმლოება, ამოხსნა და უზომოდ გაუხარდა.

მაინც რა იყო ეს საიდუმლოება? მემანქანეს თვალყური უნდა ედევნებინა ყოველი მოსახვევისა და აღმართისათვის, რადგან მატარებლის შემადგენლობა მთლიანად ხრახნულ გადაბმაზე იყო აგებული. შემადგენლობა რომ სადმე არ გაწყვეტილიყო, განსაკუთრებით ადგილიდან დაძვრისა და დამუხრუჭება-აშვების დროს, იგი მემანქანისაგან დიდ სიფრთხილეს და ყურადღებას მოითხოვდა.

მართალია, გადასაბმელი ძველი და უვარგისი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, თუ ყურადღებიანი და დაკვირვებული იქნებოდა მემანქანე, იგი მაინც კარგა ხანს იმუშავებდა. დენის ჩართვის შემდეგ ელმავალი რომ ნელა, თანდათან დაეძრა, მატარებელი არ გაწყდებოდა. მიხვდა გრიშა და კარგად გაიგო, თუ რას ნიშნავდა იმ სპეციალისტის „მაგრამ“.

• •

ერთი თვის წინათ ვინმეს რომ ეთქვა მძიმეწონიანი მატარებლის ტარების ოსტატი გახდებო, როგორ დაიჯერებდა! ეს წოდება მას იოლად არ მოუღია. სწრაფ წარმატებებს სიხარულიც თან ერთვოდა და მღელვარებაც. გარეგნულად იგი მუდამ წყნარი ჩანდა, მისი შინაგანი შფოთვის ამბავი მხოლოდ მისმამე დაუდგრომელნი გულში იცოდა უთქმელობა ზოგჯერ ძვირადაც უჯდებოდა. როდესაც დარდი შემოაწვებოდა, მაშინვე დეპოს ბაღში მივიდოდა. ხშირად ომში დაღუპულ მამას მოიგონებდა, ხან სოფელში დატოვებული დედა აწუხებდა, ახლა კი ბაბუა მოჰკონებოდა, ერთი წლის გარდაცვილი დავითს დაელონებინა.

გრიშა ბაღში იჯდა. იქვე მის ელმავალს ამოწმებდნენ. მისი ელმავლისა-



თვის შეუმჩნევლად რომელიდაც ელმავალი მოეყენებინათ. ფიქრში წასულ გრიშას არც კი შეუნიშნავს, თუ ვინ შემოიყვანა იგი დეპოში. „უფროსი მემანქანე — ევგენი ბახტაძე“ ამოიკითხა მან და წამოდგა თვითონ ევგენი არსად ჩანდა. გრიშა ისევ ჩამოჯდა სკამზე. თვალეზზე ხელეზის შეხება იგრძნო, ზურგსუკან ბავშვური წვრილი ხმა მოესმა.

— აბა, თუ გამომიცნობ?
— ხმა ძალიან შეგიცვლიათ, ბიძია ევგენი!

— ყოჩაღ, როგორ გამომიცან, შეეშაკო?

— შენ ხმას ათას ხმავი გამოვიცნობ.

— იმიტომაც დამპატიყე ქორწილში, არა?

— რისი ქორწილი, ბიძია ევგენი?

— როგორ, რისი ქორწილი, ცოლი ხომ შეირთე?

— მას შემდეგ დაებერდი, ბიძია ევგენ.

— არა, ბიჭო, ისე ვითხარი, სხვათა შორის, თორემ განა არ მახსოვს, რომ მთხოვე სოფელში ქორწილს ვიხდი და მეწეივო!

— ხათაბალა ყოფილა, ბიძია ევგენი, ცოლის შერთვა!

— ბიჭო, მგონი ჯერ ქალი არ მიგიყვანია შინ და ახლავე წუწუნებ? აჰ, ეს არ გამავგონო. კაი ქალი კი შეგიერთავს, კაი მამის შვილიცაა კირილე ჩიკვაძეს ვინ არ იცნობს, ლოკომოტივის აკუმულატორების დამუხტვის მაგისტანა ოსტატი მეორე არ არის თბილისში.

— ქალი არ მომიყვანია კი არა, ჩემი ნანული უკვე ორი წლისაა.

— აქ რას უზიხარ, წამო სახლში! — ევგენი წამოდგა.

— დაგვიწყდა, შენ რომ მასწავლე, ელმავალს თვალი არ მოაშოროო?

— მერე ყველაფერში მე უნდა მომბაძო? თუ ასეა, მაშინ შინ მივიდვიარ და შენც წამოდი. — გაუცინა ყოფილ მოწათეს ევგენიმ.

გრიშას არ უნდოდა ელმავლის დატო-

ვება, მაინც ხათრი ვერ გაუტახა ევგენის.

— ჩემთან შემობრძანდები? — ევგენი ბიძია — თხოვა გრიშამ, როცა საერთო საცხოვრებელს მიუახლოვდნენ.

— იოლად გინდა გამოხვიდე?

— შემოდი, შემოდი...

ამ დროს დერეფნიდან ახალგაზრდა ქალმა გამოიხედა.

— ვენერა, მიშველე, ევგენი არ მოყვება! — გასძახა მან.

ვენერას შერცხვა, დაიბნა, მერე სტუმრებისაკენ წამოვიდა.

— შემობრძანდით, ბატონო, ჩვენთან! — შეიპატრია მორიდებულად დიასახლისმა.

ევგენის ახლა სხვა გზა არა ჰქონდა. მასპინძელს მიჰყვა.

— ა, ბიძია ევგენი, ესაა ჩემი ოთახი, ამაში რა ქორწილი უნდა გამემართა? ამიტომ გადავიხადე სოფელში.

— მართალი ხარ, მართალი, ისე სიხარულსა და ბედნიერებას ეს პატარა ოთახიც ეყოფა, ბავშვი სად არის?

— დედაჩემმა წაიყვანა სოფელში.

გრიშამ მეუღლეს თვალთ რაღაც ანიშნა, დიასახლისი დატრიალდა, პატარა მაგიდა შუაზე გამოსწია და სუფრის გაშლას შეუდგა.

— ნუ შეწუხდებით, კირიმე, ნუ შეწუხდებით...

— რა შეწუხებაა, ბიძია, არ დაგვლოცავთ? — გათამამდა ვენერა.

გრიშას მისი სითამამე მოეწონა და თვითონაც წააქეზა.

— აბა, შენ იცი, როგორ გავვიმასპინძლდები, თორემ?

— თორემ რა?

— აბა, ცოტა ჰკუთით, გრიგოლ, გაეხუმრა ევგენიც მასპინძელს და ისევ ვენერას მიუბრუნდა, — ჩემო ბიძია, დალოცვაზე უარს როგორ გეტყვით, მაგრამ ხელცარიელი რომ შემოვდი, ეს არ მომწონს. რა გაეწყობა, გრიშას ბრალია.

— რას ამბობთ, ბიძია ევგენი, თქვენს ამაგს ჩვენი ოჯახი არასოდეს დაივიწყ-

ყებს, მართალია, ბინა პატარა გვაქვს, მაგრამ თქვენი არ იყოს, ნამდვილ ბედნიერებას ფართობი არ სჭირდება, მთავარია გული, გული ხომ დიდი გვაქვს.

მალე სუფრას შემოუსხდნენ.

— ეს ღვინო დედამ ჩამოიტანა სოფლიდან, გასინჯე როგორია?

— დიდებულია, — თქვა ევგენიმ, როცა ღვინო მოსვა.

— დედაჩემის დაწურულია... საწყალმა ბაბუამ მამაჩემის დაღუპვა ვერ გადაიტანა, ეს მხნე და ჯანმრთელი კაცი სიკვდილს თუ დანებდებოდა როგორ მეგონა? მაგრამ მამაჩემის დაღუპვა რომ გაიგო, მას მერე არ გაუხარია, დედაჩემს არ უმხელდა, პირზე მეც ბოქლომი დამადო და თვითონაც. მე თბილისის მოვაშურე, ის კი გულს ვერ მოერია, დაიღია ამხელა კაცი, თურმე სულ წისქვილის წინ ჯდებოდა და გზისკენ იყურებოდა, იქნებ ჩემი აღექსანდრე გამოჩნდესო, მაგრამ ისე შენი მტერი გამოჩენილა, როგორც მამაჩემი გამოჩნდა.

ევგენიმ შეატყო, თუ რა ცეცხლი ენთო ჰბუქს გულში, სცადა საუბრის თემა სხვა საგანზე გადაეტანა, მაგრამ გრიშამ სული რომ მოითქვა, ისევე განაგრძო — ჩემს უმცროს ძმას ვენახისთვის არ სცალია, ხელობას სწავლობს მეზობელ სოფელში ერთ კალატოხთან, საწყალი დედაჩემია ყველაფერი. მე სოფელში მხოლოდ შვეებულების დროს ჩავდივარ, მაშინაც დედა არაფერს მაკეთებინებს, მეუბნება, მუშაობა თბილისშიაც გეყოფათ. მაგრამ რა დამასვენებს, როდესაც კაცის და ქალის საქმეს მართო ის აკეთებს? ზოგჯერ ვიტყვი ჩემთვის: დაერჩები სოფელში, ჩემს მეზობლებთან ერთად ვხნავ და ვთესავ ყანებს-მეთქი, მაგრამ ძველებურად აჯამეთის სადგურიდან ელმავლის ხმას რომ გავიგონებ, აზრიც უცებ შემეცვლება, ისევე თბილისისაკენ მოვფრინავ!

— ეს, ჩემო ბიძია, ახლა შენ გაგიმარჯოს, კეთილი კაცი ხარ და რაც ჩემთვის და სხვებისთვისაც სიკეთე გიქნია, ათასჯერ უფრო მეტად დაგბრუნებო-

დეს უკან! — აღფერძელა მასპინძელმა სტუმარი.

ევგენიმ უცებ დიასახლისს გადახედა, თავი ვერ შეიკავა და სიცილი აუტყდა, ვენერა უხერხულად შეიშმუშნა და სტუმარს მიახერდა, სტუმარი კი იცინოდა და მასპინძლების სიცილის მიზეზი ვერ გავგოთ.

— როგორ თქვი, პატარძალო, როგორ? — ძლივს ამოითქვა სული ევგენიმ.

ვენერამ მხრები აიჩეჩა.

— ბარემ ლოგინი წაიღე ელმავალზე და იქ დაიძინო? კარგად ვითქვამს, ბიძიკო, კარგად! — იღიმებოდა ევგენი.

ცოლქმარმა ერთმანეთს გადახედა, სტუმრის სიცილის მიზეზს ორივე მიხვდა და თვალში იმათაც გაუბრწყინდათ.

— ძველ შემანქანებებს უნდა გვაჯობოს, შენი მეუღლე მძიმე წონიან მატარებელს ნიავეით დააქროლებს, ამალმაც არ გაუშვა არსად! — კვლავ იღიმებოდა ევგენი.

— ამალამ, რომ მოკედეს, მაინც არსად არ გაუშვებ! — ახლა ვენერამაც გადაიკისკისა.

— რას მიწვრები, ბიძია ევგენი, ცეცხლზე ნავთს მისხამ?

— ეგ არაფერია, შენ ეს მითხარი, ამ ჯილდოებს რომ ლებულობ, ცოტა ჩვენც გავგინაწილე!

— დამცინი, ბიძია?

— როგორ დაგცინი, ჯერ არ გამოჩეკილხარ და უკვე იმდენი მადლობის გარდა, ორი ჯილდო უკვე მიიღე. ორ წელიწადში ორი ჯილდო, განა ცოტაა?

— შენოდენა ჯილდო ვის აქვს მიღებული ბიძია ევგენი.

— ქარსელაშვილს, კუხალეიშვილს, ხიზანიშვილს და კოდევ სხვებს ჩემზე ნაკლები ჯილდოები აქვთ თუ? ახლა, ის იყო გრიშა სასმისის უნდა დასწვდომოდა, რომ კარებზე კააქუნი გაისმა. დიასახლისმა კარები გააღო, ღებოს დარაჯი გამოჩნდა.

— სტუმარი ღვთისაა, დომენტის გაუმარჯოს, შემოდის! — წამოიძახა გრიშამ.

დომენტი კარებთან შედგა, სუფრას გადაავლო თვალი. გრიშამ ხელი გამოსდო და სკამზე დასვა, მოგვერცხილი ყანწი შეუქსო და გადააწოდა.

— ბიძია დომენტი, აბა თუ მიხედვები ვისი სადღეგრძელო დავლიეთ? .

— ბატონო ევგენი, მე ვიტყვი და თუ შევეცდე, შენ შემისწორე, ღმერთმა ბედნიერება ნუ მოგვიშალთ, — გრიშასკენ შებრუნდა დარაჯი, — სიამტკბილობით გეცხოვროთ, შვილები ფუტკრებივით დაგსეოდნენ, იცოცხლეთ და იღლეგრძელეთ!

მოხუცმა სასმისი სულისმოუთქმელად დასცალა, ყანწი გადმოაბირქვევა, ძირს დასდო და ნაწყენი ხმით ჩაილაპარაკა — ამ სათითურით სვამთ, ბიჭებო, ღვინოს?

— შენ ტყუილად არ მოხვიდოდი, დომენტი! რაშია საქმე? — ჰკითხა დარაჯს ბოგვერაძემ.

— დეპოს უფროსმა ბრძანა, ღამის სამი საათისათვის ჩამოდი, მატარებელი ხაშურამდე უნდა წაიყვანო!

— ჩემი მორიგეობა რომ არ არის, ბაბუა დომენტი?

— ეგ მე არ ვიცი და არც მეკითხება, ბატონო! ასე გავიგე, რომელიღაც შემანქანე ავად გამხდარაო.

— ხომ სიმათლე მითქვამს, ბატონო ევგენი, ახლაც ელმავალზე უნდა წავიდეს არა? — ჩაიციხა ევგენამ.

— აბა, აბა, ახლა ისევ შენ გავიმარჯოს, გრიშა!

— ნუ ჩქარობ, ბიძია ევგენი, სადღეგრძელო კიდევ ბევრი მაქვს!

— არა, გზაზე წასავლელი ხარ და მოისვენე, სუფრაზე ქართველი კაცის სადღეგრძელოს რა გამოლევს!

კოლქმარმა სტუმრები ქუჩის მოსახვევამდე მიაცილეს. სახლისაკენ მობრუნებულები შეჩერდნენ და წამით ერთმანეთს მიაჩერდნენ.

— მაშ, ისევ ელმავალზე?

— ისევ, ისევ ელმავალზე, ჩემო ევნერა.

გრიშა ტახტზე ტანგაუხდელი წამოწვა.

მემანქანეთა კურსების დამთავრების შემდეგ სამი წელი გასულიყო, გრიშა ბოგვერაძე უკვე უფროს მემანქანედ მუშაობდა. მისი სახელი ცნობილი იყო საქართველოს ფარგლებს გარეთაც. გრიშა განსაკუთრებით მაშინ გახდა ცნობილი, როდესაც მძიმეწონიანი მატარებლების კოლონა შეიქმნა. კოლონაში ხუთი ელმავალი შედიოდა. თავისი ბრიგადით, თხუთმეტი მემანქანე და ამდენივე თანამემწე.

კოლონის მეთაურად გრიშა აირჩიეს. მან ერთიორად შეაძრულა ნაკისრი ვალდებულებანი.

ბევრი რამ ახსოვს გრიშას კოლონის ტარების შესახებ.

ერთ საღამოს, რკინიგზელთა სახლში, გზის ხელმძღვანელობამ კოლონის წევრებთან შეხვედრა მოაწყო.

საზეიმოდ მორთულ დარბაზში თხუთმეტი მემანქანე და ამდენივე თანამემწე ერთად შემოვიდა.

ტაშის გრიალში გრიშა უხერხულად შეიმშუშნა, სადმე დარბაზის კუთხეში უნდოდა მიმალულიყო, რომ მოულოდნელად ვიღაცამ მკლავში ჩაავლო ხელი. იგი გზის უფროსმა სცენისკენ წაიყვანა.

გრიშას სცხვენოდა, პრეზიდენტიდან გაპარვაც გაიფიქრა, მაგრამ იქვე ევგენის მოჰკრა თვალი, მის იქით პავლე ნოზაძეც შენიშნა, ივანე კუხალეიშვილიც და ბევრი სხვაც.

გზის უფროსმა ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა კოლონის წევრები. გრიშას თავისი ხელით გადასცა რადიომიმღები „ზევზა“. კოლონის სახელით გრიშამ მადლობა გადაუხადა და პირობა დასდო, რომ მათი ელმავლები ყოველთვის მზად იქნებოდნენ მოსალოდნელი და მოულოდნელი დავალების შესასრულებლად.

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ გზის უფროსმა გრიშას კვლავ გამოსდო მკლავში ხელი და ისევ მოწიწებით ჩამოიყვანა დარბაზში.

გრიშა, გზის უფროსთან ერთად, კონცერტის მოსასმენად პირველ რიგში იჯდა. გული კი თავისი ყოფილი მასწავლებლისაკენ, თავისი კოლონის წევრებისაკენ ეწეოდა, მაგრამ გზის უფროსს ხომ ვერ მიატოვებდა. ამ დროს ვიღაც მაღალ-მაღალი, განიერმხარბეტუიანი, კარგად ჩაცმული ახალგაზრდა მიუახლოვდა.

— ვაახ, გრიშა მოდი გაკოცო! ჩემმა მზემ, ისე მიხარია, თითქო მე მიმეღოს ეს ჯილდო. ბიჭო რამდენი ხანია არ მინახავხარ! — ახალგაზრდა გადაეხვი ა გრიშას და თანატოლს წარმატება მიულოცა.

გრიშას გზის უფროსისა ერთდებოდა და ჭიჭყინას გვერდზე გაყვანა დააპირა, მაგრამ დაკვირვებული და ჭკვიანი კაცი გრიშას განზრახვას მალე მიუხედა, ხელი ჩაავლო და არ გაუშვა.

ჭიჭყინაც მიხვდა, რა აწუხებდა გრიშას, იცოდა ვის გვერდით იჯდა.

— ბოდიში, უფროსო, ჩვენ ძველი მეგობრები ვართ! — თავაზიანად მიმართა ჭიჭყინამ გზის უფროსს.

— რათა, სულხანიშვილო, რატომ უნდა მეწყინოს?

— ჩემი გვარი საიდან იცით, უფროსო? მე ყველა ჭიჭყინას მეძახის, თუმცა ჭიჭყინი ძალიან მეზარება, არ ვიცი, ვინ და რატომ შემარქვა ეს სახელი, ჩემი ნამდვილი გვარი, მით უმეტეს, სახელიც ამიტომ დამავიწყდა, გამადლობთ უფროსო.

ამ დროს ფარდაც აიწია. კონცერტის დასასრულს გზის უფროსი წამოდგა. გრიშას არ დამშვიდობებია ისე გამოარდა იქაურობას. ჭიჭყინაც საღაღაც გაუჩინარდა. მერე ისევ მალე გამოჩნდა. ილღიაში „ზევზლა“ ამოედო და ჭაქანით მოდიოდა.

— ჭიჭყინ, რათ სწუხდები!

— ვერ მოგცემ, გენაცვა, თითონ უნდა წამოგიღო ძმურად.

ჭიჭყინამ განზე მოიხედა და ვიღაცას გასძახა.

— ნიკუშ, ბიჭებო მანდ იყავით, არსად წახვიდეთ!

კარებში გრიშა ვახტანგ ლომინაძემ შეაჩერა.

— ვახტანგ, თქვენც? ერკინეული
გიგლიოთიქა

— მომილოცავს წარმატება, გრიგოლ, გამართლდა ჩემი გულის ნადები, გვასახლე და ესაა! — ლომინაძემ ხელი მოჰკიდა და გადაჰკოცნა.

— გამადლობთ, პატივცემულო მასწავლებელო, გაიცანით, ეს ჩემი მეუღლეა!

გრიშამ ვახტანგს თავისი მეუღლე გააცნო.

— ამდამ ერთად წავიქეფოთ, ბატონო ვახტანგ, მაშინ ვინ გაგზიდავდათ ამას, მაგრამ ახლა ჩვენ შემანქანებები ვართ, და არც თუ ისე ცუდი შემანქანებები, წამოზრდანი! — შეევედრა ჭიჭყინა ყოფილ მასწავლებელს.

— არა, ჩემთან უნდა წამოხვიდეთ! — ამხედრდა გრიშა.

— არა, ჭიჭყინა მართალია, მას დავუჯეროთ. — გრიშა იქით მიბრუნდა საითკენაც ეს ხმა მოესმა. მის წინ გენადი, ძმები ლიკლიკაძეები, ეგვენი, ვასო, პავლე და სხვა შემანქანებები იდგნენ, კოლონის წევრებთან ერთად.

— ამხანაგო გრიგოლ, გზის უფროსმა გთხოვათ, ყველანი ჩვენთან წამოდიოთ, — მიუახლოვდა გზის უფროსის წარმოგზავნილი გრიშას.

— სად, ამხანაგო?

— სასადილოში.

ჭიჭყინა და მისი მეგობრები სახტად დარჩნენ, მაგრამ როცა, სხვებთან ერთად იმ კაცმა ისინიც დაპატიჟა, ჭიჭყინა ფერზე მოვიდა.

რესტორან „სალხინოში“ მათ გზის უფროსი დახვდათ.

— ვენერა, ხომ არ დაიღალე? — უთხრა გრიშამ თავის მეუღლეს შინ დაბრუნების შემდეგ.

— შენ ელმავლის კოლონების ტარებით და გეგმის სამმაგად შესრულებათ არ იღლები და მე მხიარულებით დაკილუბოდი?

ერთ დღეს დეპოს კართან ბოგვაძეს ეგვენი ბახტაძე შეხვდა.

— რა იყო, გრიშა, რამ შეგაშფოთა?

— არაფერი, ისე რაღაც...

— ცუდი ხომ არაფერია?

— ცუდი რა უნდა იყოს? — ერთ ხანს ჩაფიქრდა და ევგენის მიმართა — რა კარგი იქნებოდა, ბიძია კომკავშირელი რომ ყოფილიყავი...

— მაგას რა სჯობს, მაგრამ ახლა რა შუაშია ჩემი ახალგაზრდობა?

— შუაში კი არა, თავში იქნებოდი!

— რის თავში, ბიჭო, მძიმეწონიანი მატარებლების კოლონისა, მისი მეთაური შენ არ იყავი?!

— არა, კომუნისტური შრომის ბრიგადის თავში. მე, როგორც შენი ყოფილი შეგირდი, შენი ბრიგადის წევრი იქნებოდი.

— რის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რა ბრიგადა.

— გაოცდა ევგენი.

— მოსკოვ-რიაზანის რკინიგზის მოსკოვის მახარისხებელ დეპოში შეუქმნიათ ასეთი ბრიგადები.

— ჩვენც უნდა შევქმნათ!

ევგენიმ მხიარულად დაჰკრა ხელი მხარზე.

— მერე, ჩვენ რა?

გრიგოლი გაბრწყინებული თვალებით შევარდა პარტიულ კომიტეტში, სადაც მას დეპოს უფროსი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი და ქარხნის თამბაქომარე დახვდნენ.

იმავე დღეს საელმწიკო დეპოში კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოპოვებისათვის მებრძოლი ბრიგადა შეიქმნა.

ისე ბუნებრივი და ახლობელი იყო გრიგოლისათვის ეს მოძრაობა, რომ ბრიგადის ხელმძღვანელობაზე უარი არ უთქვამს. კომუნისტური შრომის ამ ახალ ფორმაში მან თავი ყალიბში ჩადგრილ ლითონივით იგრძნო.

გრიგოლმა მალე კიდევ ორი ჯილდო მიიღო: მედალი „შრომითი წარმატებებისათვის“ და სამკერდე ნიშანი „რკინიგზის ტრანსპორტის სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსანი“.

იგი დღედაღამე ელმწიკოზე იყო. ბრიგადის წევრებს თავს დასტრიალებდა. „წათობა“, № 2.

და ვენერა უკვე ორი ბავშვის დედ გახმადარიყო. ნაწული და ლალი, ეს პატარა, ფუნჩულა გოგონები მამის სხეულზე მისვლისთანავე ყელზე ჩამოეკიდებოდნენ ხოლმე. გრიგოლს მეუღლე ახლა არ უსაყვედურებდა, რატომ იგვიანებო. ვენერამ კარგად იცოდა, ქმარი არა მარტო მემანქანე იყო, არამედ საზოგადოებრივი მუშაკიც. დღეს რომ აგერ ელმწიკოზე მიაგრიადებდა, ხვალ როგორც დეპუტატი საქალაქო საბჭოს სესიას უნდა დასწრებოდა, ზეგ რომ მძიმეწონიანი მატარებლით რამდენიმე ათას ტონა ტვირთს ჩაიტანდა ხაშურში, მეორე დღეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე უნდა ყოფილიყო. გზიდან დაბრუნებული ბევრჯერ პირდაპირ რაიკომის ბიუროს სხდომაზე წასულა.

მაინც სად არ ირჩევდნენ გრიგოლს? მშვიდობის დაცვის კომიტეტში, პარტორგანიზაციის მდივანად და სხვა.

ყველგან ასწრებდა თავისი მგზნებარე გულის მიტანას, მაგრამ მისი სიხარული იყო ის, რომ პარტიის ოცდამეერთე ყრილობის დელეგატად აირჩიეს.

იქ, მოსკოველ რიაზანელებსაც შეხვდება, თავისი კომუნისტური შრომის ბრიგადის ამბავსაც მოუთხრობს.

• •

დელეგატებით სავსე მატარებელი წასასვლელად მზად იყო. თბილისის სადგურს ასეთი ვრჩამული ბევრი ახსოვს, მაგრამ ის საღამო სხვანაირი ეჩვენა. თითქოს მატარებლებსაც და ადამიანებსაც სხვანაირი ფერი დასდებოდათ.

გრიგოლი ფერწერის ოსტატი არ იყო, რომ ამ მოზღვავებული სიხარულისათვის შესატყვისი ფერი მოენახა. ვისაც კი გახედავდა, ის უჩინარი მხატვარი, თითქოს ყველას ათასნაირ ფერში ხვევდა ალამაზებდა, ეშხსა და სიციოცხეს მატებდა. ახლა ეს ფერები აქ ისე მეტყველებდნენ, ისე მოძრაობდნენ, როგორც

ჩვეულებრივი ადამიანები. რამდენი ფერიც იყო იმდენი სიცოცხლე ჩანდა.

— ნეტავ ვის მიჰყავს ეს მატარებელი? — იკითხა ერთმა.

— ალბათ, მემანქანეს!

— რომელს?

— ვინც ყველაზე სახელგანთქმულია.

— მაინც?

— გრიგოლ ბოგვერაძეს, ამხანაგო!

— ის ხომ დელეგატია?

— სწორედ ამიტომ წაიყვანს.

უჩვეულო ძალა იგრძნო ბოგვერაძემ, თითქოს იმ ხმებს ათასი ზარის ხმა დაერთო, ელმავალმა დაიგუგუნა, მატარებელი დაიძრა. ახლა ისე ღელავდა, როგორც იმ პირველ დღეს, როდესაც დამოუკიდებლად წაიყვანა მატარებელი.

მატარებელი გუგუნით შეიჭრა ხაშურში. გრიგოლმა საჭე მეორე მემანქანეს გადასცა, თვითონ, როგორც დელეგატმა, ადგილი რბილი ვაგონის ერთ-ერთ კუბეში დაიკავა.

ისევე მოსკოვი! კრემლი! წითელი მოედანი!

აქ შეხვდა იგი ჩვენი ქვეყნის თავაკცებს. მათთან სურათიც გადაიღო, გზათა მინისტრი ნახა და თბილისელ მემანქანეთა სურვილები გადასცა.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ორი თვეც არ გასულიყო, რომ გრიგოლი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს.

ივნისში მისმა ბრიგადამ კომუნისტური შრომის წოდება მიიღო, ხოლო ოცდაათ აგვისტოს, ღამით რადიომ კიდევ ახალი ამბავი აუწყა.

გზიდან დაბრუნებულს ღრმად ეძინა, მეორე ოთახში ვენერამ რადიოს ჩაუწყია, მუხლს ძალი არ გაუტყდესო. უცებ საოჯახო საქმეებით გართულ ქალს მოესმა, რკინიგზელის საკავშირო დღესთან დაკავშირებით, გრიგოლ ბოგვერაძეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭოსო. ვენერა ახლა რადიოს მივარდა და ხმას უფრო აუწყია. გრიგოლს გამოეღვიძა. უნდოდა მეუღ-

ლისთვის ესაყვედურა, მაგრამ შენიშნა ქალს სიხარულით სახე უბრწყინავდა.

— მომილოცავს, გრიგოლ, მომილოცავს! — ვენერამ პირველმა მიულოცა ქმარს უმაღლესი ჯილდო.

— რა მოგივიდა, რას მილოცავ?

ცოლმა რადიოზე მიუთითა.

რალა დააძინებდა. მიხვდა, რას გაეხარებინა მეუღლის გული. მან კი თავისი სიხარული იმით გამოხატა, რომ სამივე ბავშვი ათ-ათჯერ ჩაჰკოცნა. მერე მოპირდაპირე კედლისკენ გაიხედა და ბაბუასა და მამის სურათების წინ შედგა.

— ერთხელ მაინც გადმოახედათ! — გაიფიქრა და იმათი შეხედვით გულიდან დაძრულ მწუხარებას ისევ დიდი სიხარულით გადაუღობა გზა.

• •

გრიგოლი ახლა ინსტრუქტორ-მემანქანეა, მას ელმავლის რამდენიმე ბრიგადა აბარია. გულდაგულ ასწავლის მემანქანეებსა და თანაშემწეებს ელმავლის უწყუნო და უავარიო ტარებას. ერთ დროს თუ თვითონ დაატარებდა მატარებელს ინსტრუქტორ-მემანქანის თანხლებითა და იმედით, ახლა თვითონაა ამ იმედის წყარო, თავს დასტრიალებს ახალგაზრდებს და ასწავლის ყოველი რთული მდგომარეობიდან გამოსვლას. ელმავალს, რომელსაც გრიგოლის ყოფილი თანაშემწე ნაზიბაშვილი მართავს, როგორ იქნება დღეში ათჯერ მაინც არ მიაკითხოს. არ გასინჯოს.

ერთ დღეს გრიგოლს მეუღლემ დეპოში დაურეკა, სიმონეთიდან დედა ჩამოვიდაო. ეს ამბავი რომ შეიტყო, გადაწყვიტა ამხანაგები შინ წაეყვანა.

— წამოდი, ბიჭებო, ჩემთან, დღეს მაინც თავისუფალი ვართ!

ერთ საათში ამხანაგებთან ერთად უკვე სახლის ზღურბლთან იდგა. ზარის ხმაზე კარი მაშინვე გაიღო.

— აგერ დედაჩემი! — შესძახა გრიგოლმა და აგრაფინას გადაეხვია.

მობუქ ქალს ხელში პატარა დათო ეჭირა. ბუთბუზა და ფუნჩულა ბიჭი ხან

ერთ სტუმარს აკვირდებოდა და ხან მეორეს. ბებია ამოდ ცდილობდა მის დაძინებას, ლოგინზე წამოაგორებდა, ბავშვს ხელში აიყვანდა, დათო კი ამდენ ძიებს რომ ხედავდა, დაძინებას სულაც არ აპირებდა.

ევგენი არც აქ ისვენებდა, ხან ფეხზე უჩქმეტდა დათოს და ხან ფუნთულა ლოყებზე უცაცუნებდა თითებს.

გრიგოლის ამხანაგები ოქროსფრად მოგარაყებულ ჩარჩოებში ჩასმულ სურათებს ათვალეირებდნენ.

— ოცდამეერთე ყრილობის დელეგატები! — თქვა ვახტანგ მალალაშვილმა.

ევგენი შეჯგუფულ ამხანაგებში ჩადგა, დიდ ხანს უმზირა სურათს, მერე თვალი მოჰკრა ვისაც ეძებდა. ზედ კორძიანი თითი დაადო და წამოიძახა.

— აი, ჩვენი გრიგოლი!

ამ დიდ სურათში გრიგოლი მესამე მწკრივში იდგა. სურათზე გამოსახული იყვნენ საქართველოს დელეგატები პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად. პირველ მწკრივში დიდულვაშინი კაცი შენიშნა.

— ზუდიონი, ბიჭო! — ისევ წამოიძახა ევგენიმ და ახლა მეორე სურათის წინ შედგა.

— აქ კი სულ ჩვენი ბიჭები არიან, — ამაყად წამოსთქვა ევგენიმ.

მართლაც სურათს ქვემოთ წარწერა ჰქონდა: „ოცდამეერთე ყრილობის რეინიგზელი დელეგატები“!

შუაში გზათა მინისტრი იჯდა.

გრიგოლმა ამხანაგები მეორე ოთახში, უფრო სწორად, თავის სამუშაო კაბინეტში მიიწვია. საწერ მაგიდაზე მრავალი საინტერესო წიგნი იდო სპეციალურ ყურნალებთან ერთად. აქ იგი ხშირად ესაუბრება ამომჩიველებს როგორც დებუტატი.

შემდეგ მაგიდის უჯრიდან მოზრდილი ყუთი ამოიღო, იქიდან სათითაოდ ამოალაგა სამკერდე ნიშნები, მედლები, საბუთები- ევგენიმ იგი სათითაოდ გადათვალა, ოცამდე გამოვიდა. გრიგოლს

კი მეერდზე მარტო სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი და „წარჩინებულის“ ნიშანი ჰქონდა მიბნეული.

წინა ოთახში ვილაცა პიანინოზე უკრავდა. ევგენიმ ვერ მოითმინა, კარი შეაღო მას სხვებიც მიჰყვეს.

ოთხი წლის ლალი მრგვალ სკამზე შესეკუპულიყო და პაწია თითებს კლავიშებზე დაასრიალებდა უფროსი და, ნანული, გვერდში ამოსდგომოდა.

ვენერას სწორედ ამ ოთახში გაეშალა სუფრა. დედის ჩამოტანილი ღვინო მინის სურებში ელავდა.

სუფრას შემოუსხდნენ. მასპინძელმა მოზრდილი ჰიქა შეაღსო, წამოდგა და მამის სურათს შეხედა, მერე ისევ დედას გადაჰხედა და მშობელი აღღევრძელა.

ვილაცამ აგრაფინას თბილისში დარჩენა ურჩია. მარტამდე მაინც ნუ გაუშვებო, გადალაპარაკა მასპინძელს გაგნებში.

— თუ დამბამთ, არ ვიცი, შვილო, თორემ მარტამდე აქ რა გამაჩერებს, საბარაფი, სათოხნი, ათასი წერილმანი საქმე მელოდება, ვენახისათვის სარი მაქვს საშოვნელი, ღობეზე — გორგალი გასაკეთებელი, ოჯახია, ხომ იცით, რა პატრონობა უნდა! — ამბობდა აგრაფინა და პატარა დათოს ხელში არწევდა.

გვიან ღამით, სიმღერაც მიწყდა და დათოს ბებიას მკლავებზე ტკბილად ჩაეძინა. აგრაფინამ შვილიშვილს საბნის კალთები ამოუტყცა. თითქოს სუნთქვას უსინჯავსო, კარგად დააყურადა და მერე მესამე ოთახში შევიდა.

გრიგოლი აივანზე გავიდა. თვალები ლამპიონებით გაჩირაღდებული მთაწმინდისაკენ გაქცა. ამ დროს თბილისის სადგურში მატარებელი ხმაურით შემოვრიალდა. თითქოს ვაჟკაცურ სიმღერას უსმენსო, ელმავლის ნაცნობ გუგუნს ყური მიუგდო. როცა ის ხმა მიწყდა, ოთახში შემოვიდა. მერე მასაც ტკბილად ჩაეძინა დათოს ახლო.

ზაქარია შავაზაიშვილი



ახალციხეში

თქვენ იღვგრძელეთ, ახალციხელნო
და ხეხილნარო, ახალციხურო!
მე აყვავება თქვენი ვიხილე,
გული ვარამა ვერ დამიხუროს.

მტრებს ერთი ნატვრა ჰქონდა
თავებედებს,
რომ მათი ხელით ლხინი ჩაგზლოდათ,
დაგწვეს, გაგჩეხეს, ვერ მოახერხეს
თქვენი სიცოცხლის წყაროს დაშრობა.

მტერი აქციეთ მტერად და ქვიშადა
და არ იკადრეთ სხვათა მონობა,
ვისაც ომებში არა გიშავდა,
ღღვგრძელი იყოს თქვენი ლომობა!

ახალციხეში ვაზი ამშვენეთ,
ერთად აშენეთ სახლი და ციხე,
როცა გასჭირდა ომში მაშველი,
ყველა თქვენგანი ბრძოლაში იხმეს.

იმედი გქონდათ ჩვენი სამირკვლის,
ვერ მოგეკარათ იქვის ციმცამი,
რომ გაიმარჯვეთ სულაც არ მიკვირს,
წესი იყო და თქვენც დაიცავით.

არაფერს თმობდით ცოცხალ თავითა,
და მჭუხარებდით, როგორც დევები,
წესი არის და ჩვენაც დავიცავთ,
თუ წესი მოვა — ჩვენაც შევებმით!



ჩემს წინაპრად, სიტყვად მოდის,
ორი დიდი არსენია,
ერთი ახლა იყალთოში,
ერთი მცხეთას ასვენია.

ერთმა აზრი მიანდერძა,
ერთმა — ჯიქის მძლავრი კუნთი,
გახდეს მათი მიმბაძველი,
ვისაც ოდნავ შიში უკრთის.

დაჯექ, ზომე, ჩემო კარგო,
საქმეს მიდექ ნასვენები,

და რომ მაინც ვერ ივარგო,
რას იტყვიან არსენები?!

ვარ ურთხელის მონათალი,
განა მღილი გამჩენია,
ჩემი კაცად მომნათლავი
ორი დიდი არსენია.

ერთმა აზრი გვიანდერძა,
ერთმა — საღი ჯიქის კუნთი,
ორივე ერთად გაიხსენოს,
თუ კი ეინმეს შიში უკრთის.



მოგონებები*

ერთ ადგილას მინდორში, უთუოდ, ჩვენი შვილიშვილები ისხდნენ. რკინიგზის ლიანდაგის ბოლოში და ისვენებდნენ. იმათ მითხრეს, რომ თქვენი სახლი სწორედ ამ ადგილას იდგა, სადაც ლიანდაგი თავდებაო. ახლა აქ რკინიგზის სატვირთო სადგური უნდა აშენდეს.

რვა შვილი დაერჩით შობილებს და ჩვენი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ ვერც ერთმა ვერ მოვახერხეთ სოფელში დარჩენა. და რატომ უნდა მწყნეოდა, თუ ახლა სრულიად არ ეტყობოდა, რომ ოდესღაც აქ ცხოვრება ისე სასიამოვნო და სასიხარულო იყო ჩვენთვის.

ჩვენი მეზობლები კი დარჩნენ თავის ადგილას და. ეტყობოდა, ახლა მუშაობის შემდეგ ისვენებდნენ და კმაყოფილი იყვნენ, რომ აქ რკინიგზის სატვირთო სადგური შენდებოდა.

ჩვენი ეზოს გვერდით ჩამოდიოდა პატარა მდინარე, რომელსაც ჩვენ „სკვიჩა-ფირუსს“ ვეძახდით, რადგან წყალი „ფირუსივით“ მწვანე იყო. გვიყვარდა ბავშვებს, შიგ, ზაფხულობით; ღორჯოების დაჭერა და ბანაობა.

წყალს გაღმა, წითელი სერი გვიმრის ტყით იყო დაფარული. ახლა კი ამ სერზე ნოხივით იყო შეფენილი მწვანე ლამაზი ჩაი...

ამავე საღამოს მოეწყო ჩემი შეხვედრა მახარაძის მოსწავლეებთან.

თბილისში ბევრჯერ მქონდა სკოლის ბავშვებთან შეხვედრა და ყოველთვის ვგრძნობდი სითბოს, სიყვარულსა და ყურადღებას ბავშვების მხრივ; ყოველთვის მრცხვენოდა და არასოდეს არ მიმაჩნდა, რომ დამსახურებული მქონდა

იმათი ასეთი დამოკიდებულება, მაგრამ მახარაძეში შეხვედრამ, მიუხედავად იმისა, რომ სიხარულით ამაღლევა, კიდევ უფრო მწვავედ მაგრძნობინა, რომ მე ვერ გავაკეთე იმის მეთაღიცი კი, რაც მინდოდა გამეკეთებინა და, რასაც უთუოდ აწერდნენ ბავშვები ჩემ შემოქმედებას.

მაკვირვებდა და მახარებდა განსაკუთრებით თანამედროვე ბავშვების გაცნობა. წარმოვიდგინე ჩემი დროის სკოლა. ჩემი სკოლის ამხანაგები. ახლანდელი ბავშვები მშვენიერად ერკვეოდნენ ცხოვრების ყოველ საკითხში, რაც ჩვენ მაშინ არც კი დაგვესიზმრებოდა. იცნობდნენ ახალ და ძველ მწერლებს, იმათ მსოფლმხედველობას, ჩვენ კი... მე, მაგალითად, დიდ ხანს არ ვიცნობდი მწერლებს. ცოცხლები იყვნენ თუ არა... ასევე ფიქრობდნენ ჩემი ამხანაგებიც... თქვესმეტე წლის ვიყავი, როდესაც პირველად ვნახე და დავრწმუნდი, რომ აკაკი წერეთელი ცოცხალია, რომლის ლექსები ბავშვობიდანვე ასე მიყვარდა და ბევრიც ზეპირად ვიცოდი. განა წარმოვიდგენდი, რომ „ყაყიტას ქურდის“ ავტორს — სოფრომ მგალობლიშვილს როდესმე ვნახავდი და შემდეგში ის ჩვენი საბავშვო ეურნალის „ნაკადულის“ თანამშრომელი გახდებოდა და, რომ ჩვენს შორის ისეთი მეგობრული განწყობილება დამყარდებოდა?!... და მე მინდოდა გადაემეცა ბავშვებისათვის ეს გრძნობა, მინდოდა გადაემეცა მათთვის ის დიდი სიყვარული, რომლითაც მუდამ სავსე იყო ჩემი გული. მინდოდა მეტყვა მათთვის თუ რა გავლენა იქონია ჩემზე, ჩემ შემოქმედებასა და ხასიათზე ჩემი დი-

* ვაგრძელება იხ. „მნათობი“, № 7.

დი სამშობლოს ლამაზმა კუთხემ გუ-
რამ და გამეზიარებინა მათთვის ჩემი
განცდა და მადლობა. მომყავს აქ ჩემი
სიტყვის ნაწილი, რომელიც წავუკითხე
ბავშვებს შეხვედრის საღამოზე.

ბევრმა წელმა განვლო ჩემი ბავშვო-
ბიდან დღევანდლამდე, მაგრამ თით-
ქოს ეს ყველაფერი იყო გუშინ... ისე
ცოცხლად მახსოვს ჩვენი ძველი სახ-
ლი... ისე ცოცხლად მახსოვს მამაჩემი,
მუდამ საქმეში გართული, ყოველთვის
მხნე, მარჯვე, ტიპური გურული ადა-
მიანი. ისე ცოცხლად მახსოვს დედა-
ჩემის ალერსიანი, სიყვარულით სავსე
შემოხედვა... ახლა დიდი ხანია ორი-
ვენი განისვენებენ მშობლიური მიწის
გულში. ისე ცოცხლად მახსოვს ჩვენი
ოჯახი, ბუხართან თავმოყრილი ზამთ-
რობით... მაგრამ მათ უმეტესობასაც
სძინავს საუკუნო ძილით.

რა ბევრი რამ გაიტანა თან დრომ.

და როგორ შეიცვალა ყველაფერი
ჩემს გარშემო... ცოტა, ძალიან ცოტა
რამ დატოვა უცვლელად შეუწყვეტელ-
მა „დროის სრბოლამ“.

და ის ცოტა რამ, რაც არ შეუცვლია
ჩემი ცხოვრების 82 წლის განმავლო-
ბაში სრბოლას, ერთერთ უძვირფასესა
და უსაყვარლეს საუნჯედ მიმაჩნია
მთელი ჩემი ცხოვრების გზაზე. ესაა
ცოცხალი კავშირი გურიასთან, მისი
უცვლელი დიდი სიყვარული.

გურული ნანა ქდერდა ჩემ აკვანთან.

გურულმა ოჯახმა გამზარდა და გამ-
წრთვნა. მე იქაური ანდაზები და სიტ-
ყვები ჩამემსოდა მუდამ ყურში მთელი
ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე.

გურული მოსწრებელი სიტყვა...
ჩვენ გურულები ხომ უკრაინელებივით,
როგორც უკრაინელი მწერალი კორო-
ლენკო ამბობს, — „ბევრს ვსწავლობთ
ცხოვრებაში იუმორის მეოხებით, ძა-
ლიან ხშირად ვმსჯელობთ ცხოვრების
შესახებ იუმორისტული მიდგომით“.

მხოლოდ უკრაინის სიტყვამაჩვილო-
ბა წყნარია, დაფიქრებული, ჩვენი კი

დულს, მკვირცხლია და იფრქვევა მზია-
რულ სიცილში.

ჩემი ლიტერატურულ მსოფლიოში
ჩემი ცხოვრების მთავარი შინაარსი,
მკიდროდ არის დაკავშირებული გუ-
რიასთან.

ამჟამად არ მინდა ვილაპარაკო, თუ
რა გავლენა იქონიეს ჩემზე, განსაკუთ-
რებით ჩემ პირველ ლიტერატურულ
ნამუშევრებზე გურულმა მწერლებმა,
არ ვილაპარაკებ აგრეთვე ამ კუთხის
ფოლკლორის შესახებ ჩემ ნაწარმოე-
ბებში, არც იმ სიუჟეტების შესახებ,
რომლებიც მომყავდა გურიის ცხოვრე-
ბიდან დრამებსა და მოთხრობებში... ეს
უთუოდ ყველასათვის ცხადია და ად-
ვილად გასაგები, ვისაც წაუკითხავს
ჩემი წიგნები.

ამჟამად მინდა ვილაპარაკო სხვა
რამეზე. მე მგონია, ჩემ ნაწერებს
გურული კილოს ელფერი გადაყრავს.
არ მიყვარს გაქიანურებული, რთული
პერიოდები წერის დროს. არ მიყვარს
არა თუ გრძელი, უბრალო ნელი მოქ-
მედების აღწერაც კი, არ მიყვარს არა-
ვითარი გაურკვეველი და მელანქოლი-
ური თქმა, არც სასწაულებრივი ამბე-
ბი.

მოსწრებულად, რაც შეიძლება, მოკ-
ლედი და, უმთავრესად, ნათლად თქმა,
იი, რას ვცდილობდი ყოველთვის... რამ-
დენად მივალწიე, ამას სხვა განსჯის.

გურული აღამიანი, უწინარეს ყოვ-
ლისა, მარდია და ცქვიტი აზროვნება-
შიაც და მოქმედებაშიც.

გურულს არ უყვარს რაც მისთვის
ნათელი არ არის. არ უყვარს რაც ორა-
ზროვანია და რაც შეიძლება ისეც და
ასეც იგულისხმებოდეს, მისთვის ხაზე-
ბი და ფერადები ცხადად უნდა ისახე-
ბოდეს.

მაგრამ სიმკვირცხლე და ნათლად
ასახვის სურვილი, ეს დაუფიქრებლო-
ბისა და ღრმად დაუკვირვებლობის ნა-
ყოფი კი არ არის. გურულის გონება
არ დახტის საგნიდან საგანზე, რომ
მსუბუქად შეეხოს ცხოვრების ზედა-



პირს. მას არ ეშინია ჩაიხედოს ცხოვრების უღრმეს და ბნელ უფესკრულეში, მას უნდა მხოლოდ გაანათოს ის და გარკვეულობა შეიტანოს თავისი გონიერებით.

ამ აზრის უდავო დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს ჩემთვის ყველაზე უფრო მახლობელი ადამიანი, ჩემი მეუღლე ილიკო ნაკაშიძე. ილიკო ნაკაშიძე ახალგაზრდობიდანვე ფიქრობდა სიცოცხლისა და სიკვდილის საიდუმლოებაზე, სიკეთისა და ბოროტების გამოვლინების მიზეზებზე, ადამიანის დანიშნულებაზე, დიდი და რთული ფილოსოფიური საკითხები აღელვებდა მას... აღელვებდა — ეს რბილად ნათქვამია, სტანჯავდა მას მთელ თავის სიცოცხლეში.

ის იყო განსაკუთრებული იუმორით დაჯილდოებული, მზიარული ადამიანი. მას შეეძლო ცხოვრების ურთულესი საკითხები გაეადვილებინა და ნათლად და უბრალოდ გაეზიარებინა მოსაუბრისათვის. ისიც მაკავშირებდა გურიასთან თავისი ტიპიური გურული ფსიქოლოგიით, მაკავშირებდა ქვეყნიერების იმ კუთხესთან, საიდანაც ჩვენ ორივენი ვიყავით წარმოშობილნი. მას უყვარდა გურია, უყვარდა გურულები, გურიის ბუნება და სიმღერები, სადაც და რა შორსაც არ უნდა ყოფილიყო, მას ყოველთვის უაღრესად აინტერესებდა გურიის ცხოვრება და ეს ინტერესი მშობლიური კუთხის ცხოვრებისადმი მუდამ მასულდგმულებდა მეც.

ყოველთვის საინტერესო იყო ჩემთვისაც გურიის ცხოვრება. დიდი სიხარულით ვადევნებდი თვალს ამ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე თუ როგორ იცვლებოდა ეკონომიურად გურიის ცხოვრება...

ახლაც, სიბერეში, ისეთივე სიხარულით, როგორც ბავშვობაში, ვისმენ მრავალხმიან სიმღერებს და ვგრძნობ ამ კუთხის ადამიანების სიყვარულს ცხოვრებისა და ბუნებისადმი...

1924 წლის შემოდგომაზე, როდესაც გურიაში ვიყავი, ასეთი ცვლილებები არ იყო. ოზურგეთს ჯერ იდეგ ოზურგეთს ეძახდნენ და ყველას თურქული, აბუჩად აგდებული, შერქმეული სახელი ეგონა. მე დამაინტერესა გამეგო არ იყო. ოზურგეთს ჯერ კიდევ ოზურგეთი, მაგრამ ვისაც არ ვკითხე, არაფერი იცოდა, მხოლოდ ნინო დადიანის ქალმა¹ მითხრა, რომ ოზურგეთი კი არ ჰქვია, შეცდომით ეძახიან, თორემ ნამდვილად ოზურგეთი არისო, ე. ი. ზრუგე, აი ზრუგით, ხომ გაგიგონიათ ზრუგდიდი, ახლა იმასაც ზრუგდიდს ეძახიან, თორემ ნამდვილი სახელი ზრუგდიდიაო. ვითომ ის ზრუგდიდი და ესეც აი, ზრუგეთიო. რასაკვირველია, ეს ცნობა არ იყო დამაკმაყოფილებელი ჩემთვის და ახლა, 1954 წელს, როდესაც ამ მოგონების დაწერა განვიძრახე, ვსთხოვე ქ. მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ მუშაკს, მაკარი გიორგის ძე თავდუმაძეს მოეწოდებინა ჩემთვის, თუ რაიმე ცნობა ჰქონდა ოზურგეთის სახელწოდების შესახებ, აგრეთვე მინდოდა გამეგო, საიდან მოდის „ბაზრის წყალი“. ორივე კითხვაზე მ. თავდუმაძემ მიპასუხა წერილით, რომელიც აქვე მომყავს უცვლელად და რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ მისი.

„დიდად პატივცემულო, ბუღუა ნინო!

ბ-ნი ილიას (ილიკო ორაგველიძის) ოჯახობამ გადმომცა, რომ თქვენ ძალიან გაინტერესებთ თუ რა მოტივი უნდა დასდებოდა საფუძვლად ოზურგეთისა და ბაზრის წყლის სახელწოდებას.

„ოზურგეთი“. ჩვენ ხელთ არსებული ისტორიული და ლიტერატურული წყაროები მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცული საარქივო მასალები და მთელი რიგი გეო-

¹ ისე გურიელის მეუღლე.

გრაფიული სახელწოდებანი გურიის ტერიტორიაზე, შეიძლება ითქვას, დაბეჯითებით ადასტურებენ, რომ მთელი ეს მიდამოები მეოთხე საუკუნემდე დასახლებული ყოფილა ქანებით.

40-50 წლის წინათ ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობა ქ. ოზურგეთის ხსენების დროს, ამ უკანასკნელის სახელწოდებას გამოსთქვამდნენ კუთხური ტერმინით — „ო-ზურგეთი“-თ (კუთხური ტერმინი ზრუგი ზურგის შესატყვისი ცნებაა). ქანები და მეგრულები კი „ორ-ზურგეთის“ სახელწოდებით. ამრიგად, ქანურ-მეგრული გამოთქმა აღნიშნული ქალაქის სახელწოდებისა ენათესავენა ზუგდიდის (ზურგ-დიდი) სახელწოდებას. ამრიგად, სახელწოდებებს ორ-ზურგეთს და ზურგ-დიდს ერთი ფუძე ზურგ-ი უდევს საფუძვლად.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ქალაქის სახელწოდებამ დროთა განმავლობაში ასიმილაცია განიცადა, არ არის გამორიცხული შესაძლებლობა ვიუქროთ, რომ იმ დროს ოზურგეთის სახელწოდება ო-ზურგეთი უნდა ყოფილიყო, ე. ი. პირველად ო-ზურგეთი, მერე ორ-ზურგეთი, შემდეგ პროვინციული გამოთქმა ოზურგეთი და ბოლოს ლიტერატურაში დამკვიდრებული სახელწოდება ოზურგეთი.

ამრიგად, ორივე შემთხვევაში ზურგის შესატყვისი ცნებასთან გვაქვს საქმე და ისევე, როგორც ზურგ-დიდი (დიდი ზურგი) ო-ზურგეთი ქანურ-მეგრული გამოთქმით. ორ-ზურგეთი დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნათლად ასახავს სახელწოდების ცნებას, ვინაიდან ის მართლაც ორი ზურგის (სერის უბნისა და მოიდანახეს) ფონზეა გაშლილი. ამრიგად, ყოველგვარ საფუძვლიანობას მოკლებულია ვერსია, თითქოს ო-ზურგეთ-ის სახელწოდება თურქული წარმოშობისა იყოს.

2. ბაზრის წყალი. ქალაქის ტერიტორიაზე მომჩქევარე პატარა მდინარე ორ სახელწოდებას ატარებს: ნაბეუარი და ბაზრის წყალი. ზეპირგადმოცემე-

ბისა და თქმულებების შესაბამისად იმ ადგილას, სადაც ახლა ნაბეუარი მოედინება, ასი წლის წინათ გაყოფილი იყო მდინარე ბეუყის მარჯვენა ტოტი, რომელიც წყალდიდობის დროს დიდ ზიანს აყენებდა ქალაქის ტერიტორიას (სოფელ გომში ორ ნაწილად იყოფოდა მდინარე ბეუყი. აქედან — ერთი მოედინებოდა ქალაქის ტერიტორიით იმ ადგილას, სადაც ახლა მიედინება მდინარე ბეუყი). იგი გურიელის თაოსნობით (ცნობილი არ არის თუ რომელია) გადაუგდიათ მარცხნივ.

მდინარე ნაბეუარს ავსებს პატარა დეღე ოჯოში (სათავეს პოულობს სოფელ დეაბზუში), დეაბზუთაი (სათავეს პოულობს უჩხოზში) და მდინარე ბეუყიდან გადმოყვანილი პატარა საწისქვილე შტოები. სანამ ქალაქის ცენტრში შემოიჭრებოდეს, ნაბეუარი ჰქვია და იმის შემდეგ, რაც მას ეკისრება ქალაქის ქუჩეყისა და ნაგვის ვაზიდვა, ბაზრის წყლის სახელწოდებას ატარებს.

ღრმა პატივისცემით მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი მაკარი გიორგის ძე თავდუმაძე, 16-1-1954 წ.“

ღიახ, ახლა, 1952 წ. ძველი ოზურგეთი აღარ იყო. იყო ახალი ქალაქი მახარაძე, ახალი ფსიქოლოგიით აღჭურვილი ადამიანებით. ვცდილობდი მენახა ყველა და ყველაფერი. პირველად ვინახულე პიონერთა სახლი სადგურის ქუჩაზე, დიდ სახლში. იმ სახლში, სადაც სიყვარულით მხედებოდნენ ჩემს ბავშვობაში ამ სახლის პატრონები, ჩემი ნათესავი ჯაყვლები. ახლაც, უკვე მოხუცებულობაში სიყვარულითა და სიხარულით შემომხედნენ ბავშვები — პიონერები თავიანთი ხელმძღვანელებით. ბავშვებმა გამაცნეს კედლის გაზეთი, ცოცხალი კუთხე, ხელოვნების განყოფილება, რომელსაც ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ. ხელოვნების განყოფილებაში მანვენეს მწერალ თამარ ჩხაიძის — „ლოთი მამ-

ლის“ მიხედვით პიონერ მალაზონიას მიერ საუცხოოდ გაკეთებული თოჯინები, პლაკატები, ნახატები და სხვ. ჩანდა ბავშვების დიდი მუშაობა კულტურის დარგში: ისინი ეცნობოდნენ მწერლებისა და მოღვაწეების ბიოგრაფიებს და ნაწარმოებებს, მაგალითად, ჩემ ჩასვლამდე მათ მოაწყეს ი. ნონეშვილთან შეხვედრა, კიდევ უწინ ილია სიხარულიძესთან, გეგმაში ჰქონდათ, მოეწვიათ ი. გრიშაშვილი და სხვები, ეტყობა, ამ სახლის გამგე და პიონერების ხელმძღვანელი მიხეილ გოლიაძე სრული შეგნებით, გულმოდგინედ ცდილობდა ბავშვების ახალ მოქალაქეებად, კომუნისტურად აღზრდას.

ბავშვებმა ჩემ მოსვლისთანავე გამართეს კრება სახლის ეზოში, მწვანეზე. მომესალმნენ, ნორჩმა პოეტებმა და პროზაიკოსებმაც წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებები. მოისმინეს, რასაკვირველია, ჩემი პატარ-პატარა ახალი მოთხრობები. სურათიც გადავიღეთ ერთად.

ენახე აგრეთვე საუცხოო ადგილას მოწყობილი პედაგოგიური ტექნიკუმი. შემდეგ წავედით უპატრონო ბავშვთა რესპუბლიკური სახლის სანახავად. ამ სახლის შესახებ ბევრი რამ მქონდა გაგონილი უწინაც. ამბობდნენ, რომ კორეის ომის დროს აქ იყვნენ ჩამოყვანილი კორეელი ობოლი ბავშვები და მე დავწერე კიდევაც ერთი პატარა მოთხრობა „მორანბონის მთაზე“. როგორც ცნობილია, კორეაში „მორანბონის მთაზე“ დასაფლავებული არიან ქართველი წითელარმიელები, რომლებიც დაიხოცნენ კორეაში იაპონიასთან ომის დროს. წითელ არმიაში იყვნენ ქართველი მეომრებიც. შემდეგ ამ მოთხრობის ინსცენირება გააკეთა თბილისის რადიოში მომუშავე რეჟისორმა დიომიდე ანთაძემ. ინსცენირების განსახიერებლად მოწვეულნი იყვნენ საუკეთესო არტისტები, მათ შორის ცეცილია წუწუნავა. ცეცილია წუწუნავამ ისე მგრძობობიარედ ჩაატარა დედის

როლი, რომ შემდეგში ეკითხებოდნენ (ვინც მოისმინა აღნიშნულ გაცემას), სად არის ის ბავშვი, კორეელთა ჩამოიყვანო.

ქ. მახარაძის რესპუბლიკური უპატრონო ბავშვთა სახლი პირდაპირ სანიმუშო სახლია. სახლის გამგე უმანკო ტეიშვილი მთელი თავისი ცოდნითა და ენერჯით ცდილობს შეუქმნას ბავშვებს შესაფერი გარემო.

სახლი მოთავსებულია საუცხოო, მაღალ ადგილას, მიხეილ კობალაძის სახლში, რომელიც კობალაძემ ქ. თურგეთის აღმასკომს გადასცა 1924 წელს. ამ სახლში ეცხოვრობდი ჩემი ოჯახით 1906 წელს, დამსჯელი რაზმის ბობოქრობის დროს გურიაში. ახლა ძველი, ერთსართულიანი სახლის მაგიერ, დიდი ორსართულიანი სახლია აშენებული უპატრონო ბავშვებისათვის.

მზით გაშუქებული, მუდამ თოვლით დაბურული აჰარა-გურიის ქედი გადმოსცქერის ამ შესანიშნავ ეზოს შორიდან. ეზოში გაშენებულია ციტრუსოვანთა მშვენიერი ბაღი.

უპატრონო ბავშვთა სახლში თავმოყრილი ასამდე ბავშვი. თქვენ შედიხართ ბაღიდან სახლის დიდ „ეესტიმულში“, სადაც იქით და აქეთ, ტალანების დაყოლებით, ორივე მხარეს, სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების ოთახებია.

ტალანები და კიბეები დაფენილია ხალიჩებით. ხალიჩებზე გადაფარებულია ამ საბავშვო სახლის ბავშვების მიერ ლამაზად დაჭარბული თეთრი ტილოს საფენები. სახლში მოწყობილი აქვთ ცოცხალი კუთხე, ლაბორატორია სხვადასხვა ცდისათვის. ზევითა სართულში საბავშვო ბაღი და საწოლი ოთახებია სუფთა ლოგინებით. ეზოში საუცხოო ბაღის გარდა, დიდი ბოსტანი აქვთ, სადაც ბავშვები, მიწურინის გამოცდილების მიხედვით, აწარმოებენ ჰიბრიდების გამოყვანის ცდებს.

ჩვენ, ე. ი. მე და ჩემი ძმისწული რეჟისორი დიომიდე ანთაძე რომ მივე-

დით დილით, მოზრდილი ბავშვები სკოლაში წასულიყვნენ. მხოლოდ საბავშვო ბაღი ვნახეთ. შევედით თუ არა საბავშვო ბაღის ოთახში, მაშინვე წამოხტა ერთი პატარა გოგონა და რუსულად ჩააბულბულა ლექსი. სხვებმაც წარმოთქვეს ლექსები ქართულადაც და რუსულადაც. იმღერეს, იცეკვეს და დიდი სიყვარულით გვაჩვენეს თავიანთი თოჯინები.

ორმოცამდე პატარა ბავშვია საბავშვო ბაღში სხვადასხვა ქვეყნიდან გადმოხვეწილი — სამამულო ომის დროს ევაკუირებული: რუსები, ქართველები და სხვა ეროვნებისაც; როგორც ამბობენ და ზეეითაც მქონდა ნათქვამი, კორეის ომის დროს კორეელი უპატრონო ბავშვებიც ჩამოიყვანეს, მაგრამ ჩვენ არ გვინახავს იქ. ბავშვები, ყველანი სწავლობენ ქართულად და სწავლობენ რუსულსაც. ბავშვები ჩქარა ითვისებენ ენას, იმათთვის არ არსებობს ბევრათა სიძნელე... ბავშვებს დღეში ოთხჯერ აქმევენ: აქვთ შედარებით კარგი სამკითხველო, ეზოში მოთავსებულია სხვადასხვა სახელოსნო: სადღერგლო, სახარაზო, სამრეცხაო, სამკერვალო, სადაც მოზრდილი ბავშვები ეჩვევიან საქმიანობას. ზაფხულობით მთელი სახლის ბავშვები გაჰყავთ სააგარაკოდ ბახმაროზე საკუთარ აგარაკზე. თავისუფალ დროს მოზრდილი ბავშვები ეხმარებიან კოლმეურნეებს ჩაის კრეფაში.

პირველ საფეხურის სკოლის დამთავრების შემდეგ, ბავშვებს გზავნიან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძობად. ზოგს კი, საჭიროების მიხედვით, ტოვებენ ადგილობრივ, თვით საბავშვო სახლში სამუშაოდ. საბავშვო ბაღში ჩვენ ვნახეთ ამ სახლში აღზრდილი მასწავლებელი, სიმპათიური ახალგაზრდა ქალი.

ამ სახლში სწავლადამთავრებულნი სრულიად მომზადებულნი გამოდიან დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. არ

ვიცი კი, აქვთ რაიმე ურთიერთობა შემდეგ ამ სახლის მეთაურებთან თუ არა. ქ. მახარაძის უპატრონო ბავშვთა სახლი ისეთ სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ ნატრობ; ყველა ბავშვისათვის, ყოველთვის და ყველგან ასეთ სუფთა, უზრუნველყოფილ ცხოვრებას.

დიახ ახალი ქალაქი მახარაძე არ გავდა ქალაქ ოზურგეთს. ქალაქი მახარაძე იყო თითქოს პირდაბანილი, მოკაზმული, ელექტრონით გაშუქებული ლამაზი ქალაქი და გიყვარდა იგი, როგორც კმაყოფილი, მომღიმარი, მოსიყვარულე მამა, თუ შეიძლება ასე ითქვას...

ვინახულე აგრეთვე ახლო-მახლო მდებარე სოფლები: მოიდანახე და მელექედური, სადაც ბიძაჩემი — სამსონ ჯაყელი ცხოვრობდა. ბიძაჩემი აღარ დამხვდა ცოცხალი. იმ ადგილას, სადაც იგი ესახლა და მთელ იმ მიდამოში — ნელექედურზე, ქალაში, მდინარე ნაღანების ნაპირებამდე, მდინარის გაღმა — ეწერა, ყველგან, სადამდეც თვალი მისწვდება კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციები და ციტრუსების ბაღები გაშენებული. შიგადაშიგ კი მცხოვრებლების კოხტა ოდები დგას.

ჩაის მასობრივი კრეფა ჯერ არ იყო დაწყებული და მხოლოდ აქა-იქ ჩანდნენ დიდი ყვავილებივით ფართო, თეთრქუდიანი მკრეფავი ქალები.

ერთ ადგილას, სადაც, ჩემი აზრით, ბიძაჩემის სახლი უნდა ყოფილიყო. ძალზე მოხუცებული კაცი აქა-იქ ამოსულ გვიმრას აცლიდა ჩაის ძირებს.

— თუ იცით, სად იდგა აქ სამსონ ჯაყელის სახლი?

— როგორ არ ვიცი, მე აქაური ვარ, იმედაშვილი, სამსონის მეზობელი, — მიპასუხა მან.

— იმედაშვილი?

— დიახ, მათე იმედაშვილი...

— მათე? — გამეხარდა მე.

— სწორედ იგი, მარა შენ ვინ ხარ?

— ველარ მიცანი? მე იოსებ ანთაძის ქალიშვილი ვარ.

— ნინუცი?...

და გადავკონნეთ ერთმანეთი. ისიუ ზომ ახლა ოთხმოცი წლისაა. ჩვენ ზომ ერთ დროს ვიყავით ბავშვები. რამდენჯერ გვიტამაშნია ერთად, გვიქვიდავნი, გვიცემია კიდეც ერთმანეთისათვის...

მათემ მაჩვენა ბიძაჩემის ნასახლარი. სამსონის მამის — დათა ჯაყელის კარის ეკლესიისაგან დარჩენილი ქვის ტრაპეზი, რომლის ზედაპირი და ფეხი ახლა ცალკე-ცალკე ეყარა, ჩვენს ბავშვობაში კი იდგა, როგორც მაგარი, მოზრდილი ქვის მგვიდა, გვირაში ჩამალული და მთელი ამ კუთხის ბავშვებისათვის გასართობად და სათამაშოდ გადაქცეული...

მახსოვს, როგორ შევიპარებოდით ამ „ტრაპეზზე“ და ვისხედით ზედ დიდ ხანს. მიუხედავად იმისა, რომ ეს დიდ ცოდვად ითვლებოდა უფროსების თვალში და სასჯელიც მოგველოდა საიქიოს, მაგრამ ჩვენ ზომ უფროსების ჩუმად ესხდებოდით და საიქიო არ გვაშინებდა, პირიქით, არ ვიცო, საიდან გავრცელდა ხმა, მაგრამ გავიწილი გვექონდა, რომ თუ ამ ტრაპეზზე ვინმე დაიძინებდა და ღამეს გაათევდა, მეორე დღეს ის უთუოდ გაფრინდებოდა და ფრენდა სანამ არ დაიღლებოდა. მაგრამ ღამის გათევას ტრაპეზზე ვერავინ ბედავდა. ბავშვები ამბობდნენ, რომ მხოლოდ ერთხელ, პატარა გოგია დოლიძემ მოინდომა ღამის გათევა და დაწვა ტრაპეზზე, მაგრამ ის იყო უნდა დასძინებოდა, რომ საშინელი ხმა მოესმა:

— ეინ ხარ, რა ხარ, რა „მონი“

ხარ, რომ გაბედე ჩემ ტრაპეზზე დაძინება, ხომ არ ვინდა ეშმაკად გადაგაგციო და ჯოჯოხეთში ჩაგაგდო!

პატარა გოგია წამოხტა და შიშით თავზარდაცემული შინისაკენ გაიქცა. შემდეგ სამსონის უმცროსმა ძმამ, ყარამანმა ყველას უთხრა, რომ მე დავიყვირე და შევაშინე პატარა გოგია დოლიძეო, მაგრამ არავინ არ დაიჯერა

და ვერავინ ველარ ბედავდა ტრაპეზზე ჯდომას და, მით უმეტეს, ღამის გათევას...

— აი, აქ იყო სამსონის სახლი, — მითხრა მათემ.

და თვალწინ წარმომიდგა სამსონის სამთვალე ოდა, ოდის უკან ღამაზად დაწული ფაცხა-სამზარეულო. ოდის წინ კი დიდი, სუროთი და ფითრით შებურვილი მსხლის ხე, ორნაირ მსხალს რომ ისხამდა: „მოღერის მსხალს“ — გემრიელს, ტკბილს, წყლიანს და „ბია მსხალს“ სურნელოვანს, დიდრონს!

მე მიყვარდა წყნარი, გულკეთილი, მზიარული ბიძაჩემი — სამსონ ჯაყელი, რომელსაც თავი მოსწონდა მით, რომ ჯაყელი იყო, რომ მას ისეთი სახელგანთქმული სწავლული და გმირი წინაპრები ჰყავდა, როგორც იყვნენ ბექა და აღბულა ჯაყელები.

მახსოვს, როგორ გავხარდა, როდესაც ვუამბე, რომ მესხეთში ყოფნის დროს ვნახე ზარზმის დიდი ტაძარი და ზარზმის ტაძრის უპირველეს ადგილას, მარჯვენა კედელზე, სარგის, ბექა და დიმიტრი ჯაყელების მთელი სიმაღლით დახატული სურათები-ფრესკები, მაშინდელი ტანისამოსით.

ვუამბე, რომ ეს საუცხოო ისტორიული ტაძარი ჯაყელების ინიციატივით ყოფილა აშენებული მეთერთმეტე საუკუნეში და, რომ ზარზმის ისტორია გვიამბო, იქვე, ტაძრის ეზოში, მწერალმა — ისტორიკოსმა პავლე ინგოროყვამ.

— პავლე ინგოროყვამ? — გავხარდა ბიძაჩემს, — ო, იმან, რუსთაველიანა რომ დაწერა ისე მშვენიერად?

— დიახ, სწორედ იმან, და ისევე პოეტურად და მშვენიერად გვიამბო ზარზმის ისტორიაც, როგორც რუსთაველის ისტორია. მანვე გვიამბო, — ვუთხარი მე, — თუ როგორ გამოექცნენ დიდი ბრძოლის შემდეგ თურქ დამპყ-

1 ორივე ჯიშის მსხალი დამყნობილი ყოფილა ერთ ბებერ ხეზე, როგორც ბიძაჩემს ჰქონდა გონილი.

რობელებს ჯაყელები გურიაში. როგორ წამოიღეს თან ზარზმის ძვირფასი თვლებით მოქედილი „სასწაულმოქმედი“ ღეთისმშობლის ხატი¹ და დასვენეს იგი შემოქმედის მონასტრის ეკლესიაში, რომ გურიაში ჯაყელების ერთ-მა ნაწილმა შეირჩინა გვარი ჯაყელი და აწაფრებად დარჩნენ, ხოლო მეორე ნაწილმა მიითვისა ხურციძეების გვარი და გლეხები არიან. აი, როგორ აღმოჩნდა თავიდან იძულებით გამოუსულმანება ჯაყელებმა და ამასთანავე ისინეს „სასწაულმოქმედი“ ხატიც...

თამარ მეფის დროს ჯაყელები ათაბაგები ყოფილან და მთელ მესხეთს მართავდნენ. ათაბაგობა დიდი სახელმწიფო თანამდებობა იყო მაშინ, ჯაყელი-ათაბაგები დიდი პატრიოტები ყოფილან და ერთგულად იცავდნენ ქვეყანას მტრებისაგან. მაგრამ ერთ-მა გამაჰმადიანებულმა ჯაყელმა ათაბაგმა კი შეირცხვინა თავი. 1918 წელს ისევ თურქების შემოსევის დროს ჯავახეთ-მესხეთში ჯაყელმა-ათაბაგმა სერვერ-ბეგმა თავი აარიდა ქართველებთან ერთად თურქების წინააღმდეგ ბრძოლას და ისე, როგორც სამასი წლის წინათ ჯაყელი — ათაბაგები გადმოიხვეწნენ გურიაში, ჯაყელი-ათაბაგი სერვერ-ბეგი გაეცალა ქართველებს და გადაიხვეწა თურქეთში, სადაც მიიღო დიდი თანამდებობა.

ამბობენ, რომ 1918 წელს, ომის დროს, თურქებს მოუნდომებიათ ზარზმის ტაძრის აფეთქება, მაგრამ შვილის დანაშაული, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამოიხსიდა სერვერ-ბეგის დედამ, ყაზანელი თათრის ქალმა, რომელიც წესულა თურქი ჯარის ფაშასთან და პროტესტითა და თხოვნით მიუმართავს, რომ ზარზმის ტაძარი ათაბაგების საგვარეულო სალოცავი ტაძარი იყო, ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში აშენებული და მესხეთში იგი დიდი ისტო-

რიული წარსულის მოწმეა და დაგეტოვებოდა უვნებლად. ფაშასაც შეუწყნარებია მისი თხოვნა და ხელისუფლებამ უხლია ტაძრისათვის.

პავლე ინგოროყვამ გვიამბო და გვიჩვენა ის სენაკი, სადაც ცხოვრობდა ბერად შემდგარი, დიდი გმირი თორნიკე ერისთავი. როდესაც ხელისუფლებამ დააგვლა მას სკლიაროსის წინააღმდეგ სამბრძოლველად წასვლა, მან გაიძრო ბერის ანაფორა, აისხა აბჯარი და მისი მეთაურობით დამარცხდა სკლიაროსი. ბრძოლის შემდეგ თორნიკე ისევ ამ სენაკში ცხოვრობდა. პავლემ გვიჩვენა აგრეთვე ტაძრის შიგნით სვეტზე მთელი სიმაღლით დახატული სვიმონ გურიელის სურათი და, მე მგონია, დიდი მსგავსება ჰქონდა მას ჯაბა, ვახტანგ და ვარდენ გურიელებთან: ისეთივე მღალაი, ბრგე აგებულების, გრუსა შავთმიანი, სახის მსხვილი ნაკვთები, მოსირმული ფაფანაკით თავზე (მართალი რომ ვთქვა, ჟაფანაკი არ მახსოვს ზარზმის ტაძრის დიდ სვეტზე გამოსახულ სვიმონ გურიელის თავზე, მაგრამ ძმები ჯაბა, ვახტანგ და ტელემაკ გურიელები, რომელთაც ისე ჰგავდა სურათი, ჟაფანაკს ატარებდნენ და დარწმუნებული ვარ, სვიმონსაც ფაფანაკი ეხურა).

პავლე ინგოროყვას მე უწინაც ვიცნობდი. პირველად სრულიად ახალგაზრდა ვნახე ის ქართულ თეატრში. როდესაც პროფესორ სარგის კაკაბაძეს გაეცამათა თამარ მეფის შესახებ: მიუძღვნა თუ არა შოთა რუსთაველმა თავისი უკვდავი თხზულება თამარ მეფეს მე-12 საუკუნეში თუ სხვა თამარს, დედოფალს, რომელიც შემდეგ ცხოვრობდა. სარგის კაკაბაძის აზრით, შოთა რუსთაველი მე-12 საუკუნის შემდეგ ცხოვრობდა, პ. ინგოროყვა კი ამტკიცებდა, რომ შოთა რუსთაველი სწორედ მე-12 საუკუნის მგოსანია და დიდი თამარ მეფის სადიდებლად დასწერა თავისი უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“.

დიდი აღტაცებით უსმენდა მაშინ

¹ ამჟამად ეს ხატი ინახება საქართველოს ბელონების მუზეუმში.



მას ქართველი საზოგადოება და შემდეგაც პ. ინგოროყვას ნაწერებს ყოველთვის ინტერესით კითხულობს და მის სიტყვას ინტერესით ისმენს ქართველობა და უყვარს იგი.

სოფ. მელექედურზე უწინ ვიცნობდი ყველას, მაგრამ ახლა ჩემი ხნის ადამიანებში, მათე იმედაშვილის გარდა, მხოლოდ ერთი ჩემი ბავშვობის ამხანაგი საშა, „შაშა“, როგორც ჩვენ ვეძახოდით პატარაობაში, პატარაი ენახე. მასთან ერთად ვთამაშობდი, ხვართქლის ყვავილებისაგან ვაკეთებდით თოჯინებს, ვუტახობდით მათ წითელი მიწის ხაჭაპურებს...

იმ დროს ჩემ ცხოვრებაში სასაცილო ამბავიც მოხდა, რომელმაც გული მატკინა და ახლაც რომ გამახსენდება, მწყინს ხოლმე, მაგრამ მერე გამეცივნება. შინიდან იმ დღეს დილაადრიან წავედი. დედაჩემს ვუთხარი ბებიასთან მივდივარ-მეთქი, გზაში, რასაკვირველია, „შაშასთან“ გავიარე და დაღამებამდე უტემელი ვთამაშობდით. რომ დაღამდა ბებიასთან წავედი. ბებიას ძალიან ვუყვარდი. მომეფერა, მომიღლერსა და თავის გვერდით დამსვა. ყველანი ვახშმად დასხდნენ. გამდელმა სოფიომ მოიტანა ვახშამი — ქათმის საცივი და ღომი. რვა კაცი იყო. ბებიაჩემმა დაურჩია ყველას ქათამი და ღომი, მე კი არაფერი დამიდო თეფშზე. ყველანი მხიარულად შეუდგნენ ჭამას. დაწმუნებული ვიყავი, ბოლოსდაბოლოს, მეც მივიღებდი ულუფას და დამშვიდებით და მოთმინებით ველოდი, მაგრამ დახე როგორი იყო ჩემი გაკვირება და აღშფოთება, როდესაც ქოთანში აღარაფერი დარჩა და ყველამ სუფთად მოსწმინდა ქათმის საცივისა და ღომის თეფშები. მივიხედმოვიხედე, მივხვდი, რომ უვახშმოდ დავრჩი, მეტი ვეღარ მოვითმინე და შიმშილისაგან გულამოსკენით ავტირდი...

ოპ, როგორ შეწუხდა ბებია, სხვები კი იცინოდნენ. ბებია ამიყვანა კიდე-

ვაც, ხელში მკოცნიდა, მეფერებოდა.

— რატომ არაფერი მითხარი? როგორ მომივიდა? ახლა აღარაფერი შექვს, რომ ვაჭამო, მაგრამ არა უშავს, ნუ იღარდებ, — მანუგეშებდა ის, — სამაგიეროდ სიკვდილს დაავიწყდებიო... ამ სიტყვებმა, სიკვდილს დაავიწყდებიო, ძალიან მანუგეშა მაშინ, მაგრამ მაინც ტირილით ჩამეძინა ბებიას კალთაში, რომელიც ძალიან მიყვარდა და დაუფჯერე, რომ სიკვდილს დავავიწყდები. ახლაც, ხანდახან მგონია, იმიტომ ვცოცხლობ ამდენხანს, რომ შეიძლება სიკვდილს დავავიწყდი?! ახლა, როდესაც ამ სიტყვებს ვწერ — 2 იანვარს 1955 წ., უკვე 84 წლისა ვარ.

„შაშას“ გარდა, დანარჩენები მელექედურზე ჩემთვის სულ უცნობი, ახალი ხალხი იყო. 1952 წელს რომ ჩავედი მახარაძეში, ძალიან უნდოდა თურმე ჩემი ნახვა. მთელი დღე იჯდა მზეზე და მელოდა თურმე. როდესაც მივედი მასთან და დავინახე ისეთი ბებერი, დაძაბუნებული და დაპატარავებული. კინაღამ ავტირდი და ძალაუნებურად მისალმებისთანავე შევძახე.

— ოპ, საშა, როგორ დაბერებულხარ!

მან შემომხედა, გაიცინა და მითხრა: — არც შენ ხარ ბედაური.

მართალია, არც მე ვიყავი „ბედაური“, მაგრამ რალაც სევდა შემომაწვა გულზე. ჩვენ ვიცხოვრეთ ოთხმოცოთხმოც წელიწადზე მეტი და სხვა სანუგეშო სიტყვები ვერ გამოვინახეთ, თითქოს ჩვენი ცხოვრება ამ დროის განმავლობაში ჩვეულებრივ გარემოებაში მიმდინარეობდა და არა რევოლუციების, ომებისა და საშინელი რღვევა-შენების ქარტეხილებში, თითქოს ისე ჩაიარა დრომ, სხვა არაფერი დავგვიჩა სათქმელი, გარდა იმისა, რომ სიბერე ჩვენი არ იყო „ბედაური“.

სოფელში ხალხი არ ჩანდა, მხოლოდ სოფლის შარავნაზე რამდენიმე თეთრფართოქუდიანი ქალი მიდიოდა სპეციალური, დაწნული, ჩაის საკრფი

კალათებით წელზე აკრული. კაცები კოლმეურნეობაში იყვნენ ბავშვები სკოლებში, ბაგებსა და საბავშვო ბაღებში წასულიყვნენ. მე მაინც ავედი ჩემი საყვარელი დედობილის — ტერეზისა და მისი მეუღლის ვასილ იმედაშვილის ოჯახში. რასაკვირველია, ისინი აღარ იყვნენ ცოცხლები. ის ოდა, სადაც ცხოვრობდნენ და არც დაწული, ლამაზი ფაცხა, ზამთრობით რომ სამზარეულოს როლს ასრულებდა და ზაფხულობით აბრეშუმის ჭია ჰყავდათ შიგ დამსული, აღარ იყო. ახლა იმ ადგილას მათი ქალიშვილი ჭიჭა ცხოვრობდა, რომელიც სულ პაწია გოგონა დაეტოვე და ახლა უკვე ქმრიანი, კოლმეურნეობის დიდი პატრიოტი და ბრიგადირი შემხვდა ჭიშკართან. ოდა სხვა ადგილას გადაეტანა და უფრო დაბალ „ბოკონებზე“ იდგა. ეზოსაც დიდი ცვლილება ეტყობოდა. არსად გვიმრის სახსენებელი აღარ ჩანდა. ჭიშკართან აღარ იყო ის დიდი „კაცისთავა“ მსხლის ხე, რომელიც მართლა კაცის თავის ოდენა მსხალს ისხამდა. მსხლის ხე ქარს წაქეცია და მის მაგივრად დიდი გუნდის ხე და იაპონური ხურმა აღმართულიყვნენ. მანდარინი გაეშენებიათ, და რადგანაც სიმინდის ყანებს უწინდებურად ბევრს აღარ თესავდნენ გურიაში, მას სიმინდიც ჰქონდა დათესილი სახლის ახლო-მახლო. უწინდელ ჩირგვებიან მინდორზე კი სადაც თვალი მისწვდებოდა, გვიმრის ტყის მაგიერ, ჩქარიალა, თეთრ მდინარე ნატანებამდე — ჩაი ხარობდა. ნატანებს გაღმაც, მუდამ გვიმრის სამფლობელო მწირ ეწერებოდა შენოდა მზით გაშუქებული, თვალუწვდენი ჩაის მინდორი, კოლმეურნეობის კლუბიდან ისმოდა რადიოს სიმღერა.

რასაკვირველია, ჩვენი მოსკლისთანავე გაჩნდა ხაჭაპურები, შემწვარი წიწილები, ღვინო... იქიდან რომ წამოვედით, სოფლის შარავზაზე შეგვხვდა ჭაღარა კაცი, რომელიც სიხარულით მომესალმა, გადამხეცია.

— ვერ მიცანი? — მკითხა მან, —

ასოთამწყობი არ ვიყავი თბილისში, „ნაკადულს“ რომ ვაწყობდი?

— ესაძე! — გამახსენდა, — სწორედ.

ეს იყო იორდანე ესაძის შვილის — ვარდენის შვილი. მე ხომ მათ ოჯახში ისე შინაურულად ვგრძნობდი თავს, როგორც ისინი ჩვენსაში, იორდანეს მეუღლემ, ეგეც ჩემი დედობილი იყო, მიყვარდა დედასავით. ვარდენიც ჩვენი მოთამაშე ბავშვების ამხანაგი იყო, ყოველთვის მხიარული, მუდამ მოციხარი.

ესაძემ აღარ გამოგვიშვა, მიგვიპატივით თავის სახლში, იქვე გზისპირად ცხოვრობდა. ჩემი აზრით, ისევე ის იორდანეს ოდა იდგა. მხოლოდ ცოტათი წინ წამოწეული და უფრო დაბალ ბოკონებზე შემდგარი. წინ, ამწვანებულ ეზოში, როგორც იორდანეს დროსაც, ყვაოდა მშვენიერი დიდი ბუჩქი, რომელიც თეთრი, ოდნავ ლურჯად შეფერადებული მრავალი დიდრონი, ლამაზი ყვავილების ბურთულებით იყო დაყურსული, ირგვლივ კი ციტრუსოვანი ბაღი ამშვენებდა სანახაობას.

ესაძის სახლში დაგვხვდა ორი ახალგაზრდა ქალიშვილი — ესაძის შვილები: ერთი ექიმი, მეორე — პედაგოგი. სახლში გამართული იყო ტელეფონი, რადიო, პატეფონი და, რასაკვირველია, წიგნებით სავსე კარადები.

უცებ აქაც გაჩნდა სუფრაზე ხაჭაპურები, ტაბაკა, სულგუნი, ღვინო, ხილი... ეს ჩვეულება ხომ გურიაში ძველთაგან მომდინარეობს, რომ სტუმარი უპატივცემულოდ არ გაუშვან და ახლაც არ სტოვებენ მას გურულები.

ჩვენ მოვიგონეთ ისტორიკოსი სემონ სპირიდონის ძე ესაძე და მისი ძმა ბორისი, გამოჩენილი სამხედრო პირი. იმათი მამა, სპირიდონი ჩვენი მასპინძლის პაპის — იორდანე ესაძის ძმა იყო, ოდესღაც, პატარაობისას სპირიდონი რომელიღაც მეზობლად ჯაყელს გაყვიდა.

პატარა სპირიდონი მოსწონებოდა ერთ მდიდარ კაცს და ეყიდა თბილისში გაეზარდა და სამხედრო განათლება მიეღებინებინა, ნიჭიერი სპირიდონი დაწინაურებულა სამსახურში. გენერლობაც დაუმსახურებია და აი, სწორედ ამ სპირიდონის შვილები იყვნენ ბორისი და სვიმონი. რასაკვირველია, სპირიდონს ბედი ეწია, მაგრამ ყველას ხომ არ ექნებოდა ამისთანა ბედი და ვინ არ იცის, რომ ბევრია იმის მაგალითი თუ რამდენი გაყიდული ბავშვი იღუპებოდა თურქეთში და სხვაგანაც.

სვიმონ ესაძემ დიდი კვალი გაავლო ცხოვრებაში, საზოგადოდ ისტორიის და კერძოდ დაღესტნის ისტორიის გამოქვეყნებაში. ყოველი ქართველი ცოტათ თუ ბევრად დაინტერესებული, იცნობს; აფასებს სვიმონის მოღვაწეობას. სვიმონი დიდი მეგობარი იყო ჩემი მეუღლის — ილიკო ნაკაშიძის. ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. იგი მუშაობდა სახელმწიფო არქივში და დიდი დახმარება გაუწია რუსეთის დიდ მწერალს — ლევ ტოლსტოის დაღესტნის ომის ისტორიის შესახებ ცნობების მიწოდებით, რითაც ტოლსტოიმ ისარგებლა თავისი რომანის „ჰაჯი მურადისათვის“ და მადლობის ნიშნად სვიმონს გამოუგზავნა თავისი თხზულებების წიგნები და მადლობის წერილიც.

საზოგადოდ სე. ესაძის შრომებსა და მოღვაწეობას დიდ მნიშვნელობას აძლევდა ქართველი ხალხი. გარდაიცვალა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, დასაფლავებულია ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა პანთეონში — დიდუბეში.

დაეუბრუნდეთ ისევ გურიაში მომხდარ ცვლილებებს. განსაკუთრებით დიდი ცვლილება მოხდა და გურიაში იცვალა სახე 1928 წლიდან, როდესაც გურულების ოცნება ასრულდა და, ფილიპე მახარაძის ინიციატივით, რკინიგზა გაიყვანეს ნატანებიდან ოზურგეთამდე. ამის გარდა, კოლმეურნეო-

ბაც იქნა შემოღებული, რომელსაც გურულები ჯერ კიდევ 1905 წელს ნატრობდნენ, მაგრამ მაშინ არაქცეობდნენ გამარჯვების წყალობით, ვერ განხორციელდა.

ორივე წამოწყებას — რკინიგზის გაყვანასა და კოლმეურნეობის შემოღებას, მოჰყვა დიდი ეკონომიური წარმატება, განსაკუთრებით კი გურიის დასავლეთი ნაწილისათვის. ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა რკინიგზის გაყვანას. ყველა მადლობელი იყო ფ. მახარაძის და მის პატივსაცემად ქ. ოზურგეთს „მახარაძე“ დაერქვა.

ფილიპე მახარაძე პირადად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გავიცანი თბილისში, მანამდე კი ვიცნობდი მას მწერლობით.

პატარაობისას, ერთხელ ვნახე ფილიპეს მამა, გამხდარი, მაღალი, გრძელწვერიანი მღვდელი, რომელიც დიდი სიყვარულითა და სიამაყით ლაპარაკობდა თავის შვილზე.

ეს იყო სოფ. დუბაზუში, ზურაბ დათუნაშვილის ოჯახში. მან უამბო მასპინძლებს, რომ „ჩემი შვილი, ფილიპე დაიჭირეს პოლონეთში, რადგან რუსის ხელმწიფეს მისი ეშინიაო, მე ხატს სანთელი დაუწეთე, რომ ასეთი დიდი კაცია ჩემი შვილი, ხელმწიფე შეაშინაო“ — დაუმატა მან.

* * *

მელექედურის შემდეგ, როგორ არ მომენატრებოდა სოფ. ბახვის ნახვა. ბახვა ხომ ჩემი მშობლიური სოფელია. რაფიელ ერისთავის ლექსის არ იყოს: „სადაც ვმობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი, სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი“. მე, მართალია, ისარი არასოდეს არ მისროლია, მაგრამ მამა-პაპა ხომ იქ იყვნენ, იმათი კუბოს ფიცარი ხომ იქ მეგულვებოდა და ჩემი ცოცხალი ნათესავებიც ხომ იქ ცხოვრობენ.

მე, ჩემი ძმისწული დიომიდე ანთაძე და მხატვარი ლადო მალაზონია გაუღდექით მანქანით ბახვისაკენ. მივქროდით მოასფალტებულ გზაზე და ვფიქრობდი, ნუთუ ეს ის გზაა, პატარაობისას მშობლები რომ ჩაგვსვამდნენ ურემში ექვს ბავშვს და რვა სექტემბერს ბახვის დიდ საეკლესიო დღესასწაულზე „ღეთისმშობლობას“ მივყავდით სალოცავად, სადაც ამავე გზით მივშურებოდა აუარებელი მლოცველი — შეთქმულები ფეხშიშველა, გულზე ქვებჩამოკიდებულები, მიჰყავდათ შესაწირავი ცხვრები და ქათმები!..

ახლა კი ამ გზაზე დასრიალებდნენ მანქანები, მირობდნენ სკოლისაკენ მხიარული ბავშვები, წითელყელსახვევიანი გოგონები და ბიჭები — პიონერები. იქით-აქით, გზის პირას, ჩაის პლანტაციები მწვანედ ელავდნენ შუბზე. გავედით ჩქრილა, თეთრად აჭაფებულ, ფირუზისფერ მდინარე ნატანების ფართო ხიდზე. უწინ წყალზე ფონში უნდა გავსულიყავით და ეს არც თუ ისე უშიშარი იყო ბავშვებისათვის, რადგანაც წყალი შემოგვადგებოდა ურემში და წიოკობა გაგვქონდა შიშისაგან.

დიახ, ახალი გზა არ ჰგავდა ძველ გზას. ჩაის პლანტაციებს აქაც დიდი, თეთრი ყვავილებივით ამშვენებდა ჩაის მკრეფავი ქალების თეთრი, ფართო ჩალის ქულები.

შევედით ბახეში, მაგრამ ვანა იმ ბახეში, მე რომ მახსოვდა? ეს ბახე იყო ბაღი და არა ჭოხმახეზანი სოფელი. ყველგან ორსართულიანი ოფდები წამოჭიმულიყო და ოფდების გარშემო მწვანე ეზოებს მანდარინის, ხურმისა და ხილის ბაღები შეენოდა. ჩვენ მივქროდით დიდ, თითქოს საგანგებოდ დამაზად გაფორმებულ გზაზე და გვეჩვენებოდა, რომ ირგვლივ ყველაფერი გვიციხნოდა. ეზოებში ისმოდა ბავშვების ჟღერტული, ქათმებისა და ბატების ფუსფუსი და სადაც, შორს მღეროდნენ კიდევაც.

ავყევით ზევით. ერთი ეზოდან გადამოვიდნენ ჩვენი ნათესავეები.

— ვანა თქვენ აქ ცხოვრობთ? — ვეკითხები მისალმების შემდეგ.

— აქ ვცხოვრობთ. — მითხრეს მათ, — ჩვენ სადაც ვცხოვრობდით, იქ ახლა ახალი მეურნეობაა. ჩვენ კი უკეთეს სამოსახლო ადგილას გადმოვავანენს.

— ყველა?

— ყველა, ჩვენც და სხვებიც...

ჩვენ ნათესავეებისას არ ჩამოვტით, დავბირდით, რომ ჩქარა დაებრუნდებოდით და გავსწიეთ, სადაც „მამაპაპის კუბოს ფიცარი“ გვეგულეზოდა, მაგრამ სანახაობა ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ახლა იქ ბახვის ცენტრალური ადგილი იყო. ერთ მხარეს აღმართულიყო დიდი, ორსართულიანი სკოლის შენობა, მეორე მხარეს კი — მალაზიები. სკოლის იქით, სადაც უწინ გაბრიელ ეპისკოპოსის მეთაურობით აშენებული, ქართული სტილის ეკლესია იდგა და ირგვლივ სასოფლო სასაფლაო იყო, ახლა გატყეპნილ საფეხბურთო მოედანზე ახალგაზრდები ფეხბურთის თამაშით ერთობოდნენ. მალაზიების იქით მოსჩანდა საცხოვრებელი სახლები. სათამაშო მოედანს მოსდევდა იმ ძველი სკოლის შენობა, სადაც ნინო და გიგო შარაშიძეები ისე დიდ ხანს მასწავლებლობდნენ და საზოგადო მოღვაწეობასაც ეწეოდნენ. ხალხმა კი დაუფასა მათ უანგარო, ხანგრძლივი მოღვაწეობა და 1926 წ. ქ. მახარაძეში გაუმართა იუბილე. ნინოსა და გიგოს ცხოვრება იყო მთელი ეპოპეა, არა თუ ბახვის, არამედ მთელი საქართველოს მასწავლებელთა ცხოვრებაში. როგორც ზევითაც ვთქვი, ისინი მასწავლებლობდნენ მრავალი წლის მანძილზე და ვინ არ იცის, თუ რა ძნელი იყო იმ დროს მასწავლებლის შრომა და მოღვაწეობა. მასწავლებლობის გარდა, ისინი ეწეოდნენ საზოგადო და ლიტერატურულ მოღვაწეობას. გიგოს აქვს დაწერილი სამეცნიერო-პოპულა-

რული შრომები, ნინო „ნაკადულის“ დაარსებიდან თანამშრომლობდა ამ საბავშვო ჟურნალში. ათავსებდა სხვადასხვაგვარ მასალას, მოთხრობებს, რომლებიც გამოცემული იყო შემდეგში ცალკე წიგნად.

ის სახლი, ბახეში, სადაც ისინი მოღვაწეობდნენ და მაშინ დიდი მეჩვენებოდა, როდესაც ექვსი წლის ვიყავი და ოთხი თვის განმავლობაში სექტემბრიდან იანვრამდე — ვსწავლობდი ამ სკოლაში, ამჟამად სხვა შენობებთან შედარებით, პატარა მეჩვენა.

ახლა იმ შენობაში მოთავსებულია ბახეის სასოფლო საავადმყოფო და მთელი „შტატი“ ექიმ დარეჯან სულუხია-ანდლულაძის მეთაურობით ეწევა შეტად სასარგებლო საქმიანობას. სწორედ დარეჯან სულუხიამ მჩაგვნა ის ადგილი, სადაც გიგო შარაშიძე არის დასაფლავებული, ცარიელ გადატეპნილ ადგილას, საფეხბურთო მოედნის განაპირას. გამივივრდა და აღმამფოთა იმ გარემოებამ, ამდენ ხანს არ დაუშახტურებია „ამ ადგილს“ შემოფარგლული მიინც ყოფილიყო რკინის თუ არა, ხის მოაჯირით მიინც და გიგო შარაშიძის სახელი და გვარი ყოფილიყო წარწერილი. მამა-პაპის გადასწორებულ გადატეპნილ სასაფლაოს ადგილას, როგორც ზევეთაც გვაქვს მოხსენიებული, ამჟამად ფეხბურთი იყო გაჩაღებული და, რასაკვირველია, ბურთს თავისუფლად შეეძლო ნეარდი გიგო შარაშიძის საფლავზეც. იმ ადამიანის საფლავზე, რომელსაც ისეთი დამსახურება მიუძღოდა ამ მოთამაშეების მშობლების აღზრდის, სწავლისა და მომსახურების საქმეში.

აი, როგორ ახასიათებს, და სრულად სამართლიანად, გიგო შარაშიძეს მწერალი გერონტი ქიქოძე თავის მწერლობაში რომელიც 1954 წ. დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“: „ახლაც თვალწინ მიდგას ჩვენი სოფლის მასწავლებლის გიგო შარაშიძის მონუმენტალური ფიგურა, თმის და წვერის თეთრი აბრეშუმი, მისი შეფერვმანი სახე და ოდნავ ირონიული ტუჩების მოძრაობა. რა შრომისმოყვარე, მომკითხველი და სამართლიანი იყო, რა აკადემიური გარეგნობა ჰქონდა და ის მართლაც ნამდვილი აკადემიკოსი იყო თუ ამ ცნებას მისი პირვანდელი მნიშვნელობით გავიგებთ. იგი იყო ბახეში გამართული სკოლის ხელმძღვანელი, პრაქტიკული ზნეობის და ყოფაქცევის მასწავლებელი, ცხოვრების სიბრძნის ოსტატი“.

გიგო შარაშიძე გარდაიცვალა ბახეში 1931 წ., ნინო კი ქმრის გარდაცვალების შემდეგ ცხოვრობდა თბილისში შეილებთან და გარდაიცვალა თბილისშივე; დასაფლავებულია ვაკის სასაფლაოზე.

გიგოს და ნინოს დარჩათ ოთხი შვილი. ვის არ ახსოვს შალვა შარაშიძე — „თაგუნა“, ნიკიერი იუმორისტი-მწერალი, მე განსაკუთრებით ვისხენებ მას, ის ისევე დედ-მამასთან ცხოვრობდა ჯერ კიდევ ბავშვი და დასწერა საბავშვო ჟურნალისთვის მოთხრობა „ნარო“, რომელიც „ნაკადულის“ სარედაქციო კოლეგიამ მოიწონა და დაბეჭდა კიდევაც. უმცროსი ქალი ქრისტინე შარაშიძე მუშაობს საქართველოს, ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში და ეწევა მეცნიერულ მუშაობას. აქვს დაწერილი და დაბეჭდილი გამოკვლევები და შრომები.

(გაგრძელება იქნება)

ნაზიხ ქიქავთი



ღამობებს ხვალე

ავანსცენის ერთ ექთხეში დგას როიალი. მეორეში — პეიდია საათი. შემოდინ არქიტექტორი და მისა ცოლი. ორივე 23—24 წლისა. ეტყობა ჭალი ფეხშიშედაა. ჯღდება როიალისა. იწყებს ტაქა-ტაქა კედლის საათი. ერთხანს სრულ სიხუმრეში გარკვევით ისმის საათის ტაქა-ტაქა. ცოლ-ქმარი უკრავს როიალზე რომელიღაც კონცერტს ოთხი ხელით. კონცერტი ერთხანს ვრძელდება, ცოლ-ქმარი უკრავს და საუბრობს.

არქიტექტორი — შეხედე, ძვირფასო, ჩვენს ხელებს.

არქიტექტ. ცოლი — ვუცქერი.

არქიტექტორი — ჩვენი ხელები ერთადეა კლავიშებზე...

არქიტექტ. ცოლი. — როგორ უხდებიან ისინი ერთმანეთს.

(ისმის მხოლოდ მუსიკა. შემდეგ მუსიკა და ლაპარაკი).

არქიტექტ. ცოლი — გიყვარვარ?

არქიტექტორი — უსაზღვროდ. შენ გიყვარვარ?

არქიტექტ. ცოლი — უსაზღვროდ. შენ გიყვარვარ?

არქიტექტორი — უსაზღვროდ.

(ერთხანს ისმის მხოლოდ მუსიკა, შემდეგ მუსიკა და ლაპარაკი).

არქიტექტ. ცოლი — ხომ ბედნიერი ხარ?

არქიტექტორი — ბედნიერი ვარ. შენა?

არქიტექტ. ცოლი — ბედნიერი ვარ.

(ღარ უკრავენ. ერთხანს ერთმანეთს უცქერენ. გარკვევით ისმის საათის ხმა. ხელახლა იწყებენ დაკრავა. უკრავენ და საუბრობენ).

არქიტექტორი — შენს შვიტს შე არავინა მყავს.

არქიტექტ. ცოლი — მალე ვაფიშვილი გეყოლება.

არქიტექტორი — იქნებ გოგონა?

არქიტექტ. ცოლი — არის კიდევ ხალხი, ქვეყანა.

არქიტექტორი — ყოველივე ეს შენა ხარ.

არქიტექტ. ცოლი — მეც ვასურვებდი ვყოფილიყავი არქიტექტორი, როგორც შენ.

არქიტექტორი — შე ავაგებ მინის პლასტმასის, ალუმინის სახლებს, იქნება სიუხვე სინათლისა, პაერისა.

არქიტექტ. ცოლი — შენ მბრლოდ სახლებს ააგებ.

არქიტექტორი — შე არ ავაგებ უზარმებს. საპატიპროებს.

არქიტექტ. ცოლი — შეგიძლია ააგო თუატრები, კონოთეატრები.

არქიტექტორი — და საკონცერტო დარბაზები.

არქიტექტ. ცოლი — შენ, ჩემო ძვირფასო.

არქიტექტორი — რა კარგია სიცოცხლე!

(ღარ უკრავენ. კედლის საათის ტაქა-ტაქა. მერე ისევ იწყებენ დაკრავას. უკრავენ და საუბრობენ).

არქიტექტ. ცოლი — შე ენახე ჩინური ნაჭარგის ფოტო-სურათი აბრეშუმზე. წინ ზის ჩინელი ჭალი ჩაფორებული. ბედნიერად იღიმება. უკან კი — რაკეტა. მიფრინავს მთვარასკენ. შეც მინდა მოვარეზე გაფრენა.

არქიტექტორი — მთვარეზე ჩვენი ვაფი ვაფრინდება.

არქიტექტ. ცოლი — ან იქნებ გოგონა.

არქიტექტორი — ან იქნებ გოგონა? (კონა).

(ხარი).

არქიტექტ. ცოლი — მგონი ხარი იყო.

არქიტექტორი — ახლავ გავაღებ.

(ხარი).

არქიტექტორი — ახლავ გავაღებ.



(არქიტექტორი გადის. ცოლი ერთი ხელით გადაუღებს კლავიშებს. შემოდის არქიტექტორი, ხელში წერილი).

არქიტექტ. ცოლი — რა არის?

არქიტექტორი — წერილი.

არქიტექტ. ცოლი — საიდან?

არქიტექტორი — ბეჭედზე იტყვია გუშინდელა გამოგზავნილია.

არქიტექტ. ცოლი — საიდან?

არქიტექტორი — გამოგზავნის მისამართი გარკვეულად არა ჩანს (სხნის კონვერტს), ახლავ გაეიგებო.

არქიტექტ. ცოლი — რა სქელი უსტარია...

არქიტექტორი — თორმეტი ფურცელი, ცამუტი, თოთხმეტე.

არქიტექტ. ცოლი — ესგანაა?

არქიტექტორი — (მონახა უკანასკნელ გვერდზე ხელმოწერა) ა. ბ.

არქიტექტ. ცოლი — ა. ბ.?

არქიტექტორი — პო. ა. ბ. (ფიქრობს) ა. ბ...

არქიტექტ. ცოლი — აბა, წაიკითხე.

არქიტექტორი — გამახსენდა. მართალია. მას ეძახდნენ ა. ბ.-ს.

არქიტექტ. ცოლი — ვის?

არქიტექტორი — მე შეყავდა სკოლის ამხანაგი. ძალზე ღარიბი გლეხის ოჯახიდან. ლამაზი ბავშვი. უველა მას დაეცინოდა. იგი — უველას...

არქიტექტ. ცოლი — კი მაგრამ, რა შუაშია ა. ბ.?

არქიტექტორი — არ ვიცი... უველანი, მასწავლებლებშიც კი ეძახდნენ მას ა. ბ.-ს.

არქიტექტ. ცოლი — და მას შემდეგ არასდროს გინახავს?

არქიტექტორი — არა. მე დამავიწყდა კიდევ მისი არსებობა.

არქიტექტ. ცოლი — აბა, წაიკითხე.

არქიტექტორი — ახლავ, ძვირფასო. საოცარია, რომ მან წერილი მომწერა.

არქიტექტ. ცოლი — მომეცი, მე წაგიკითხავ.

არქიტექტორი — არა. მე თავად წაგიკითხავ. შესაძლოა, აქ ზოგი რამ ისეთი სწერია, რაც შენ ვერ უნდა იცოდე.

არქიტექტ. ცოლი — შენი წარსული მე არ მესება.

არქიტექტორი — მე ისეთი წარსული არა მაქვს, რომ შენ იტყვიანო.

არქიტექტ. ცოლი — კარგი. წაიკითხე.

არქიტექტორი — ახლავ. მე ბავშვობიდან მიტყუებს ნადირობა. მონადირეებს...

არქიტექტ. ცოლი — ვერ დავიჯერებ, რომ შენ სახუნდარში ჩასატრება და ცხოველის მოვლა შეეძლოა.

არქიტექტორი — მონადირის გუმანით მე ამ წერილის სენი მყისვე არ მომეწონა.

არქიტექტ. ცოლი — იქნებ რაიმე დაუშავე მაგ შენ ამხანაგს?

არქიტექტორი — არა. როგორ მიშლის ნერვებს საათის ეს ტაყა-ტტეცი.

არქიტექტ. ცოლი — გაეანერო?

არქიტექტორი — არა. ნუ პრაზობ, ძვირფასო, ახლავე წაიკითხავ (იწყებს წერილის კითხვას) გამარჯვება, მოგაგონდები თუ არა, არ ვიცი, ამას გწერს შენი სკოლის ამხანაგი...

ა. ბ.-ს ხმა — ა. ბ. შენ იყავი ერთადერთი კაცი, რომელიც მე არ დამეცინოდა. მართალია, იყო კიდევ ერთი კაციც, მოაღწევს ეს წერილი შენამდე? თუ შენც ამკვიცნად ათას არამზადასთან ერთად წუთში აღიღებები პირისაგან მიწისა იც, რომ ვერც მოასწრებ ვაიგო, როგორ და რისთვის?

არქიტექტ. ცოლი — რას ბოდავ?

არქიტექტორი — არაფერი არ მესმის... (განავრძობს კითხვას) უველასე ლამაზი შენობით, რომელსაც შენ ააგებ... შენ მაინც პატარა კაცი ხარ...

ა. ბ.-ს ხმა — მე ღმერთი ვარ, რომელიც მყისვე ანგრევს. მე ვარ იეღოვა მთაბრუნე.

არქიტექტ. ცოლი — ვიცოდეთ მაინც, სად იმყოფება. დავეხმარებოდით საცოდავს. იქნებ ფსიქიატრიულში დაგვეწვინა. ანდა იქნებ იქედანვე გწერს?

არქიტექტორი — მარჯა აქაურია. მამასადამე ისიც აქ ჩამოწულა, ევროპაში, განავრძობ.

ა. ბ.-ს ხმა — დახედე შენს საათს. თუ ამ წერილს მიიღებ რვა საათამდე, დახედე შენს საათს...

არქიტექტ. ცოლი — (შეხედავს კედლის საათს). რვის ოცი წელია.

ა. ბ.-ს ხმა — ცოდვების მოსანიწიებლად შენ გაქვს იმდენი დრო, რამდენი წუთიც რვა საათამდე დარჩენილია. არ თქვა, რომ უცოდველი ხარ.



არქიტექტ. ცოლი — ღმერთმანი, მე არა მაქვს არაერთიანი ცოდვები, რომ მონანიება ეთხოვო, არც შენ გაქვს.

არქიტექტორი — არ ვიცი, იქნებ მაქვს.

არქიტექტ. ცოლი — კარგი, კარგი, წაიციხებ.

ა. ბ. სხვა — შე ვიცი, შენ ახლა საქორწინო მოგზაურობაში ხარ და, როგორც ხედავ, შენი მისამართიც ვიცი. იქნებ თქვენ ბავშვს ელათ, რას იზამ? მამასადამე ბედს არ სდომებია. ახლა კი მომისმინე: ერთხელ... სამი წლის წინ, ჩვენს ქალაქში...

არქიტექტორი — ეკირა დღით სპორტულ კლუბში მივდიოდი. გზაში ჩვენი ბაყალია ვიფი შეშხვდა. შენ გახსოვს ეს პატარა, ჩასქელებული...

(მიღის ა. ბ. ღმერთი, ჯანმრთელი, ლამაზი 22 წლის ახალგაზრდა. იგი ბედება ჩასქელებულს).

ჩასქელებული — ო! ა. ბ.! საით? რატომ ხარ აგრე დაღვრემილი?

ა. ბ. — კლუბისაკენ.

(ჩასქელებული იცინის).

ა. ბ. — რა გაიცინებს?

ჩასქელებული — შენ, ჩემო ძმაო, სამინლად არ გწყალობს ბედი. ნამდვილი ხელმოცარული კაცი ხარ. ხუთი წუთის წინ რომ შემხედდროდი...

ა. ბ. — სამუშაოს შემომთავაზებდი?

ჩასქელებული — და მე რე როგორს? ღმერთმა ქნას, ჩემო ძმაო, კვლავაც არ დაგკვარგოს ასეთი შემთხვევა.

ა. ბ. — ღმერთმა ქნას.

ჩასქელებული — ბედნიერად. ჩემო კარგო.

(ჩასქელებული გადის. ა. ბ. განაგრძობს სელას, ბედება გამბდარს).

გამბდარი — სად დაიქარგეთ? სად იყავით გუშინ?

ა. ბ. — სამუშაოზე.

გამბდარი — ისე ნაგავს ათრევედით თქვენი ნახევარტონიანიო?

ა. ბ. — რას იზამთ, სერ. ასეთია სამუშაო.

გამბდარი — სად არ გეძებთ, ვის არ ეკითხებ თქვენს შესახებ... მე თქვენთვის სამუშაო მქონდა... სამუშაო კი არა ოქროს საბადო, მაგრამ სამწუხაროდ... დაქარგეთ, სხვა ავიყვანეთ.

ა. ბ. — ძალიან ვწუხვარ.

გამბდარი — სამწუხაროა. ყოველდღე არ ჯდება ასეთი აღრე.

(გამბდარი მიდის. ა. ბ. განაგრძობს სელას, ბედება ბებრუხანას).

ბებრუხანა — სად გაბზიხართ, შეილო, ბანქოს ათამაშობ?

ა. ბ. — კლუბისაკენ, ბები.

ბებრუხანა — ბანქოს სათამაშობ?

ა. ბ. — არა, საქმიანი პაემანი მაქვს. მე რე კი ვიფარიავებ.

ბებრუხანა — შავ უსაქმრობით გაართობას ვერჩია, ჩემთან გველო ხშირ-ხშირად, გეკითხა ჩემი ჯანმრთელობა. შემოსულდაყვი, მაგალითად, ამ დღით — მილიონიან საქმეს მიიღებდი. მაგრამ დაქარგე შემთხვევა. ამასთანავე დღეს კვირაა და ჩემი სახლი სწორედ საუღრის წინაა. თუ შენ საუღარში არც კი დადხარ?

ა. ბ. — რაც თავი მახსოვს, საკვირაო წირვა არც ერთხელ არ გამიშვია.

ბებრუხანა — ეგ კარგია, რომ წირვა ერთხელაც არ გავიშვია, მაგრამ ცუდია, ხელსაყრელ შემთხვევას რომ უშვებ. თუმცა ნუ დალონდები, შემდეგ კვირას აუცილებლად შემოიარე.

ა. ბ. — შემოვივლი, ბები. ნახვამდის.

(ბებრუხანა გადის. ა. ბ. განაგრძობს სელას. წინ, გზაზე შემაჩნევს ტყავის შავ საფულეს. სცენა ბნელდება. ვანათებულია მხოლოდ საფულე. ა. ბ. მიადგება, აქეთ-იქით იხედება, დგას და ყოყმანობს. შემდეგ გადაწყვეტს და დაიხრება საფულის ასაღებად. მაგრამ ამ დროს უკანდან ჩქარი ნაბიჯით წამოადგება კაცი, აიღებს საფულეს და გზას განაგრძობს).

ა. ბ. — (გასდევს კაცს, რომელმაც საფულე აიღო) ეგ რა, თქვენი საფულე იყო?

კაცი — თქვენი იყო თუ?

ა. ბ. — მაგრამ...

კაცი — (გადის) ახლა ჩემია.

(სცენა ბნელდება. ავანსცენა კვლავ განათდება. არქიტექტორი და მისი ცოლი).

არქიტექტორი — (განაგრძობს წერტილის კითხვას) მე ეიღექ და თვალს მივაყოლებდი მას.

არქიტექტ. ცოლი — აინტერესოა...

- არქიტექტორი — მოყრევა — შენ მის არ იცნობ. ის ჩამოვიდა შენი გამგზავრების შედეგად.
 დაბაზში ვარჯიშობდა, შევედი დაბაზში.
- (დაბაზში ვარჯიშობს მოყრევე დაყიდებულ ტყეის ბაღოზე. აქვეს ტყეის ნაწილი.)
- კომისიონერი — (ა. ბ.-ს) 'აღ დაკარგე? ჩვენ ხომ ათი საათისთვის შეთანხმდნენ ლიონისკანს ა. ბ. — გზაზე შემჩერეს. თხომეტი წუთით დავაგვიანე.
- კომისიონერი — თხომეტი წუთში შეიძლება მოიგო და წააგო მთელი ომი. ვინა თქვა ესა? ნაპოლეონმა თუ ფრანკლინმა? კარგად არ ვიცი.
- ა. ბ. — მან დარგა?
- კომისიონერი — დარგა. ზუბად ახზე, თერთმეტის სულ წუთზე 'კი შეიგინა მე არ მჭარდებო კაცი, რომელიც დამალატებს, როცა ჯერ საქმესაც კი არ შესდგომიაო.
- ა. ბ. — მე შეეხევიწები მის.
- კომისიონერი — არ უნდა ესროლო მიხანს, რომელსაც ერთხელ უკვე ვერ მოახვედრე. ვინა თქვა ესა? ნაპოლეონმა თუ ფრანკლინმა, ან იქნებ ედისონმა?
- ა. ბ. — (ჩამოგდება. ამოხევენებს) ჩანს, მთელი ჩემი სიტოცხელ ნაგავი უნდა ვითრიო ისე, როგორც მამაჩემი თხრიდა მთელი თავისი სიტოცხელ მიწას.
- კომისიონერი — თქვენი მეზობელი... უფრო სწორად, ბაბუაშენის მეზობელი...
 ა. ბ. — ყოველი კაცის ნავეთზე არ აღმონდებია ნათი.
- კომისიონერი — რას აკეთებ საღამოთი?
- ა. ბ. — კინოში წავალ.
- კომისიონერი — მოეშვი კინოს. ჩემთან შემოიარე.
- ა. ბ. — რადა?
- კომისიონერი — პოკერის სათამაშოდ კაცი გეჭირდება.
- ა. ბ. — მერე?..
- კომისიონერი — რა მერე... გეაყლია მეოცზე... ზუსტად ცხრაზე, არ დავივიანო...
- ა. ბ. — მე კი კინოში წასვლა მინდოდა.
- კომისიონერი — ეჰ, ჩემო კარგო, ყველას რომ შეეძლოს აკეთოს ის, რაცა სტრეს... მამ ასე, ზუსტად ცხრაზე.
- ა. ბ. — არის.
- (ისმის როგორ უსტვენს ვიღაც საცეცვაო მელოდიას. სტენა ახლოდგება.)
- ა. ბ. — შეაფთოაქის ვაფი.
- კომისიონერი — მოსამართლის ტეინარველ ქალიშვილთან. ეს-ესაა საცურაო აფში იყენენ.
 (შემოდის შეაფთოაქის ვაფი და მოსამართლის ქალიშვილი.)
- მოყრევე — (განავტობს ვარჯიშს) კარგად იტურავეთ?
- მოსამ. ქალიშ. — (მითითებებს შეაფთოაქის ვაფზე) მე გავცქნარი.
- მოყრევე — შენ რომ კრიეზიაც გეყარჯიშა მეც დამცემლი ნოკეტით პირველსავე რაუნდში.
 ხომ მართლა დამცემლი? გიცნობ.
- მოსამ. ქალიშ. — (ა. ბ.-ს) რატომ ტანზე არ იხდი? არ იფარაკეებთ?
- ა. ბ. — მამაკრე, დღეს რაღაც უგუნებოდა ვარ.
- შეაფთოაქ. ვაფი — (ა. ბ.-ს) შენა, დედას ბიჭო, გაიქე ორი ლიმონათი მოგვიტანე.
- ა. ბ. — ლიმონათები მოგიტანოთ? კარგი.
- შეაფთოაქ. ვაფი — პო, ლიმონათი.
- ა. ბ. — არის.
- მოსამარ. ქალიშ. — (ა. ბ.-ს) შეჩერდი! (შეაფთოაქის ვაფს) წადი, თითონ მოიტანე.
- შეაფთოაქ. ვაფი — ახლავე, გულო! (გადის).
- მოსამ. ქალიშ. — (ა. ბ.-ს) ეგ შენი ბატონია თუ შეფი? მოვალე ხარ, მის ბრძანებაზე იარო?
- ა. ბ. — არა, არა ვარ მოვალე.
- მოსამარ. ქალიშ. — მამ რა?
- ა. ბ. — რა ექნა?
- მოსამარ. ქალიშ. — ყველას არ უნდა ეუბნებოდე თანხმობას.
- ა. ბ. — კარგი.
- მოსამართ. ქალიშ. — ისევე კარგი? (იცინის) რას უდგახარ? დაჯექ. (ა. ბ. დაჯდება მოსამართლის ქალიშვილთან ერთად ერთ სკამზე და დაუწყება ჰერეტას ხალაის გაღვილ საყელოში ქალის სველ სხეულს).
- მოსამარ. ქალიშ. — რას უქუქერი? თითქოს პირველად მხედავდე საცურაო ხალათში.
- ა. ბ. — ასე ახლოს არახდროს მინახავარ.
- მოსამარ. ქალიშ. — (გადაადგო ხალათი) ახლოდანაც გვარიანი ვარ.

მოკრივე — (განაგრძობს ვარჯიშობას) ახლანდელი კარგი ოჯახის ქალიშვილები ქვემო კარლზე უარესნი არიან.

მოსამარ. ქალიშ. — შენ კეთილშობილ ქალწულთა ინსტიტუტში უნდა გეყოლა **ლამპრინა ულაი** (შეაფთოაქის შეილს შემოაქვს ორი ბოთლი ლიმონათი. ერთ ბოთლს **მეფეთაიქს** შეაფთოაქს სამართლის ქალიშვილს).

კომისიონერი — (შეაფთოაქის ვაქს) მამაშენა თავისი დექნის გაყიდვა უნდა.

მეაფთოაქ. ვაჟი — შენც კიდევ ნუ ცდილობ უშოკო მყიდველი.

კომისიონერი — მე კომისიონერი ვარ, ჩემო კარგო, ჩემი ხელობაა გამყიდველსა და მყიდველს მივეხმარა.

მეაფთოაქ. ვაჟი — მე სანამ ცოცხალი ვარ, მოხუცი ვერ შესძლებს მის გაყიდვას.

კომისიონერი — სულერთია პირველი დაბომბვისთანავე დაინგრევა.

მოკრივე — პირველ დაბომბვამდე ჯერ კიდევ შორსაა.

კომისიონერი — ვინ იცის.

მოსამ. ქალიშ. — სიკვდილი არაფერია. მაგრამ, როცა რადიოაპტურა თუ რაღაც ეშმაკი, მკვამს შენს სხეულს და რამდენიმე წლის მანძილზე დაიწყებ ლმობას...

მეაფთოაქ. ვაჟი — უკიდურეს შემთხვევაში ჩქარა მაინც გადავრჩებოდით ამ გაურკვეველობას.

მოკრივე — ისე გამოდის, თითქოს იმიტომ დაყალიბებ უსაქმოდ, რომ ფიქრობ, დღეს თუ არა, ხვალ დაიწყება ომი.

ა. ბ. — ჩვენ ქალაქს შოგ ვულში დასკემოდეს ატომური ყუშმარაა...

კომისიონერი — ღლსით. მზისით, ზაფხუბის ურყეპსა და ვარდუევილის კალათებზე...

მეაფთოაქ. ვაჟი — ჩვენი ქალაქი ნახევარ ატომურ ყუშმარადაც კი არა ღირს. მათ იცოდა, სად ჩამოავდომ იგი.

მოკრივე — თუ ჩვენები სტუდეები არ არიან, ჩვენ დავიწყებთ პირველნი. ხომ მართალს ვამბობ?

მოსამ. ქალიშ. — მე სიცოცხლე მინდა.

მეაფთოაქ. ვაჟი — რად გინდა?

მოსამ. ქალიშ. — რად? არ ვიცი. მე მომწონს სენთქვა, ცივი ნაყინის ჭამა. მე მომწონს ჩემი ტანის უწყულეობოდ, უიარებოდ.

მეაფთოაქ. ვაჟი — (ა. ბ.-ს) შენ, დედისერთავ, შენ რაღას ფიქრობ?

ა. ბ. — მე მესწინა.

მეაფთოაქ. ვაჟი — ამას ეწინია (იციენის).

კომისიონერი — (შეაფთოაქის ვაქს) შენც გეწინია, მაგრამ ამბობ, თუ დაიწყება, დაიწყებო.

მოკრივე — (შეაფთოაქის ვაქს) მომზებრდა ბალიშის ცემა. შოღი ერთი შენ შემოგვარა.

მეაფთოაქ. ვაჟი — უბეშობა არ დაიწყო (იციამს ხელთათმანს იწყებს მოკრივესთან ვარჯიშობას, მაგრამ ხელთათმანი მოხვდა, ძლიერსძლიეობით დგას ფეხზე) ხომ შეეთანხმდით, უბეშობას არ დაიწყებდი.

მოკრივე — კარგი, შეტს აღარ ვიხამ.

მოსამ. ქალიშ. — (კომისიონერს, მოკრივეთა მიმართ). ესენი შეგობრები არიან თუ მტრები?

კომისიონერი — ვე შენ უნდა გეკითხებოდეს.

მეაფთოაქ. ვაჟი — (მოკრივეს). ფრთხილად, შე ბილწო.

მოკრივე — შენაც იტყვი რაღა.

მეაფთოაქ. ვაჟი — გინდა კბილები ჩამამტერიო თავის გადასარჩენად?

მოკრივე — (ურტყამს ძლიერად) შენაც იტყვი რაღა.

მეაფთოაქ. ვაჟი — (უკან იბეჭებს) კმარა, შეყოფა.

მოსამ. ქალიშ. — (შეაფთოაქის ვაქს) ვერ გაუძელ?

მეაფთოაქ. ვაჟი — ჩემო გოგონი, რაში მჭირდება შენ წინაშე გაფუძლო პროფესიული მოკრივის დარტყმებს, რაკინდ ვარჯიშობაც ვრქვას.

მოკრივე — კინაღამ დამცა ოპ, როგორ მაწამა, ნუთუ არ მეტყობა დაღლა, ა? არ მეტყობა?

მოსამ. ქალიშ. — მომამტრე ხალათი.

მოკრივე — მართალადა, დაწყებულყო ომი, წავიღოდით სადმე უცხო ქვეყნებში. ცოტას გავერთოდით ომი ომიდ იცოდა. მაგრამ მე ვერ დამიფიქია ის ფრანგი მოკრივე, რომელმაც მზედველობა დაქარაგვა რინგზე.

კომისიონერი — ყველა მოკრივე რომ სკარფადეს მზედველობას...

მოკრივე — არც ყველა მოკრივე ხდება მილიონერი, საინტერესოა, მე ვახებები მილიონერი, ა?

კომისიონერი — არა.

ა. ბ. — მილიონერი რომ ვახდუ...



საქართველო
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საბჭოთაო

მეფთთაქ. ვაფი — პირველყოელისა საჭირთა, ბედი გქონდეს, ხოლო მეორეც, უნდა იყო გვერდელნი.

მოსამ. ქალიშ. — მეორე შენ ვაჭეს.

მეფთთაქ. ვაფი — პირველიც.

(მოკრივე მიდის მესხკალურ ყუთთან. ჩაუშვებს შიგ ზურდას, რომელიც კომპიოინენ-რისგან მიიღო, დააჭერს თითხ ღილს. ისმის იტალიური ხალხური სიმღერა).

მოკრივე — ყოველთვის, როცა ამ სიმღერას ვისმენ, მე შეჩვენება, თითქოს განვაწმინდე. (ყველანი უშვნიენ მესიას).

მოსამ. ქალიშ. — რა უშვნიერია! შე ვერ წარმოშედგინა, რომ ჩვენს ავტომატს ასეთი რამის დაკერა შეეძლო.

მოკრივე — ამგვარი სიმღერა მე ყველა ავტომატში ავაწვე.

მეფთთაქ. ვაფი — მამანქმის აფთაქშიც?

მოკრივე — (მოამართლის ქალიშვილს) მამ შენ მოგწონს? ა? მოგწონს?

მოსამ. ქალიშ. — ქალიან.

(მესიკა გრძელდება. შემოდის ბენზინით მოვაჭრის კულელებიანი ოცა წლის ღამაში ქალიშვილი. შეჩერდება ჩუმიდ მღერის. ყველანი მას უცქერენ).

მეფთთაქ. ვაფი — შე არ ეციოდო, თუ ეს გოგონა მღეროდა.

მოსამ. ქალიშ. — ჩემად!

მეფთთაქ. ვაფი — ბენზინით მოვაჭრის შეილი, თანაც ექთან და უცებ სიმღერა.

მოსამ. ქალიშ. — განუმიდო ერთი, განუმიდო.

მეფთთაქ. ვაფი — განუმიდო, ცუგრუმელაუ (მესიკა და სიმღერა წყდება).

მოსამ. ქალიშ. — ეჰა! თქვენ უშვნიერი ხმა ვაჭეთ.

ბენზინ. მოვაჭ. ქალიშ. — გმადლობთ. ჩვენ გვეყავდა ერთი იტალიელი ავადმყოფი. მან მასწავლა.

მოკრივე — ის იტალიელი ხარატი იყო?

ბენზ. მოვაჭ. ქალიშ. — არა, ხარატი არ იყო. იგი ქუქით ვარდაიცვალა.

მოკრივე — შე განვიწმინდე.

კომპიოინენი — ხელახლა შეგვიღია კამინჭურდე.

მოკრივე — (ა. ბ.-ს) აბა, აქ მოდი, გმირო!

ა. ბ. — რადა?

მოკრივე — გერ დადექი. შემდეგ ვაიგებ რადა.

ა. ბ. — აი, დადექი.

მოკრივე — მოდი ჩვენ დავამთავროთ რაუნდი, რომელიც შე მასთან დაიწვე.

ა. ბ. — შე კრივი ცუდად ვიცი.

მოსამ. ქალიშ. — შენ ხომ ლომის ბოკერსა ჰვებარ, რისა გეშინია. მოცეღე ერთი შემო-ცრით ვე თავხედი.

ბენზინ. მოვაჭ. ქალიშ. — მავას საიდან შეუძლია ქალაქის ჩემპიონთან კრივი გასვლა? გინდათ ისევი ვიმღერებთ.

მოკრივე — მერე იმღერე. ნუ გეშინია, ბუმრობით შევერკინებით. შე ვიცი, შენ მისი ცხვირი მოგწონს. ნუ სწუხხარ, ცხვირს არ დაეღმისინებ, (ა. ბ.-ს) გაიზადე პოჯაი!

ა. ბ. — მართალი ვითხრა...

მოკრივე — ვაიზადე, ვაიზადე! (ა. ბ. იხდის პოჯას) ხალათიე ვაიზადე (ა. ბ. მასტრის ამარა).

მეფთთაქ. ვაფი — შარვალიც!

მოსამ. ქალიშ. — ბრძოლა შარვლის ვაფხდელადევი შეიძლება (ა. ბ.-ს) შენ იბრძოლებ, გესმის, იბრძოლებ.

ბენზინ. მოვაჭ. ქალიშ. — რატომ აქებებთ? ვალახვენ.

მოსამ. ქალიშ. — ნუ გეშინია, ვალახონ. მასაც არავინ უშლის, ვაარტყას. ბოლოს და ბოლოს ვაიგებს, რომ არც ისე საშინელი რამაა, იყო ვალახული. (ა. ბ.-ს) ნუ გეშინია!

(ა. ბ. იცვამს ხელთათმანს და იწვეებს მოკრივისთან მსუბუქ ბრძოლას).

მოსამ. ქალიშ. — მიდი, მოფერო, ვაარტყი შარვალს.

მეფთთაქ. ვაფი — მოიფარე შარვალს, დედას ბიჭო.

ბენზინ. მოვაჭ. ქალიშ. — ღმერთო ჩემო, რად ჩადით ამას?

მოსამ. ქალიშ. — დისცხე, მოფერო!

მოკრივე — შე ვატყობ ყველანი მის მხარეზე ხართ. ამიტომ, ჩემო კატო, მიიდე! (მღერად შემოაკრავს მძლოლს. ა. ბ. დაბარბაქდება).

მოსამ. ქალიშ. — გამაგრდი! ფრთხილად!

(ა. ბ.-ს შემოაკრავს მოკრივეს).

მოსამ. ქალიშ. — მიიდე? კარგია! კიდევ ერთი დარტყმა!



მეუღლიაქ. ვაჟი — როგორ მოგეწონებოდა, რომ დედას ბავშვი გალახოს ჩვენი ჩემპიონი?
 მოკრძე — ჯერ ნორჩია (შემოკრძებს, ა. ბ. ვეცმა, ხელებს სახეზე იფარებს. გეგონია, ვაჟი უფლებას ჰქონდა, რომ ჩემი უფლებების ქალი კვილით მიირბენს მასთან. დაიხრება წაქცეულის სხედგანზე).
 ბენზ. გაშვიდ. ქალიშ. — მთელი სახე სისხლში აქვს მოხერილი.
 მეუღლიაქ. ვაჟი — ერთი, ორი, სამი, ოთხი...
 მოსამ. ქალიშ. — მე არც კი მოველოდი, რომ ამდენ ხანს გაეძღვებოდა.
 ბენზინ. ვაჟი. ქალიშ. — წყალი მოიტათ, წყალი!
 კომისიონერი — (მოსამართლის ქალს) ოქვენ ორთავე — შენცა და ეგაც (მიუთარებს ბენზინის გამყიდველის ქალზე) ჩამწვარი ხართ ა. ბ.-ში? მაგრამ თქვენგან რომელი უფრო მეტად არის? ვინ თქვა ესა — ნამოლონმა, თუ ფრანკლინმა? ქალები ორგვარი ჯუჯარისაო არიანო — ერთნი შეიფარებენ ხოლმე, როგორც შტრიხალა ძაობებში...
 მოსამ. ქალიშ. — მეორენი როგორც ძე ვეფხები.
 (ივანესენაზე განათლება არქიტექტორი და მისი ცოლი).
 არქიტექ. ცოლი — საინტერესოა, რომელ მოღვაწის ევეუფონი მე?
 არქიტექტორი — აღამიანია, ესე იგი პირველსაც და მეორესაც.
 არქიტექ. ცოლი — მოსამართლის ქალიშვილი ძალიან წამახო იყო?
 არქიტექტორი — მე წამოვედი როცა იგი თერთმეტი წლისა იყო, მაგრამ მაშინაც კი უტყუა-ბოდა, რომ იგი უღამახესი ქალი დაუგებოდა.
 არქიტექ. ცოლი — ბენზინის გამყიდველის ქალიშვილი?
 არქიტექტორი — ის ჩვენი ქალაქში აღბათ ჩემს შემდეგ გამოჩნდა. მას მე არ ვიცნობ.
 არქიტექ. ცოლი — თქვენს ქალაქში არც ერთი კარგი აღამიანი არ იყო?
 არქიტექტორი — რას ამბობ, ეგ როგორ შეიძლება!
 არქიტექ. ცოლი — ბენზინის გამყიდველის ქალიშვილი კარგი აღამიანია. განაგრძე კითხვა, ჩემო კარგო.
 არქიტექტორი — (კითხვობს) მე არ ვიცოდი, გეუფარდი თუ არა მოსამართლის ქალიშვილს ძე ვეფხურად. აქამდეც არ ვიცო. მე ვიყოფე ფინია, თუთრი ფინია, და ერთხელ საღამოს... (არქიტექტორი და მისი ცოლი რჩებიან სიბნელეში. განათდება სცენა).
მართალია, სურათი, რომელსაც აქ ვ. ჩერქეზიშვილი უხატავს ხელისუფლების წარმომადგენლებს როგორც ქართველ სტუდენტთა საღაროს საქმიანობის. ისე პირადად მისი საკუთარი განწყობილებისა და მოქმედების დასახასიათებლად, სინამდვილისაგან შორს იყო, მაგრამ გამოძიებას მის წინააღმდეგ იმ დროს ჯერ კიდევ არ გააჩნდა რაიმე ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მასალა და ამით იხსენება, რომ ვ. ჩერქეზიშვილი იმხანად ვადგურია დაბატონრებს. უფრო მეტიც: ვ. ჩერქეზიშვილის და მასთან ერთად დანარჩენი ბრალდებულების თავდაპირველმა პასუხებმა ქართველ სტუდენტთა საღაროს და ბიბლიოთეკის ირგვლივ უდავოდ შეამსუბუქეს ნ. ყიფიანის ბრალდებათა სიმძიმეც, თუმცა ამ უკანასკნელის მდგომარეობა მაინც ძალიან სერიოზული რჩებოდა.

ნ. ყიფიანის დაკითხვა, როგორც ითქვა, მოკტომბერს დაიწყო. პირველსავე დაკითხვაზე მას დაუსვეს 17 გრცელი კითხვა, საიდანაც ჩანს, რომ საგამომძიებლო კომისიას საჭირო სრული ინფორმაცია ჰქონდა ნ. ყიფიანის არაღალატრ მოღვაწეობაზე.

პირველი კითხვა შეეხება ნ. ყიფიანის და მისი ოჯახის ენათობის გარკვევას. პასუხიდან ჩანს, რომ იმ დროს ნიკოლოზი 22 წლის ყოფილა. პეტერბურგში ჩასულა დაბატონრებამდე 4 წლით ადრე; აქედან ორი წელი მოუხდომებდა უნივერსიტეტში შესასვლელად მზადებისათვის, ხოლო ორი წელი უკვე სტუდენტო ყოფილა. პასუხიდან ჩანს აგრეთვე, რომ მამამისი, — ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი, — იმ დროს კვლავ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა მარშლის (წინამძღოლის) პოსტზე ყოფილა, ხოლო უმცროსი ძმა, კოტე ყიფიანი, — ცხოვრობდა

მოსკოვში იმ მიზნით, რომ მომზადებულყო უნივერსიტეტში შესასვლელად.

მეორე კითხვით ნ. ყიფიანისაგან მოითხოვენ დაწერილებით ჩამოსთავალოს, რადგან, როგორც ბინებში ცხოვრობდა იგი პეტერბურგში ყოფიანის დროს. პასუხიდან ჩვენთვის საინტერესო ის არის, რომ ნიკოლოზს ერთხანს უცხოვრია თვისი ბიძაშვილები, დავით ყიფიანის ნათესავებთან. თუ ვაიხსენებთ იმ ფაქტს, რომ დავით ყიფიანი იღია ქაუკაზამის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი და პეტერბურგის სტუდენტთა რევოლუციური საქმიანობის აქტიური მონაწილე იყო, საფუძველი გვექმნება ვიფიქროთ: ნიკოლოზის რევოლუციური-დემოკრატიულ შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე უშუალო გავლენა შესაძლოა, სწორედ დავით ყიფიანმა მოახდინა.

მესამე კითხვით გამოძიებულები ნ. ყიფიანს ავადლებს დაწერილებით ჩამოსთავალოს, ვინდავინ არიან პეტერბურგში, რუსეთის სხვა ქაუკაქებში ან საზღვარგარეთ მისი ნაცნობები. პასუხად ნ. ყიფიანი ამბობს: პეტერბურგში ვიცნობ ზემე მიწა-წყლის ხალხს, უნივერსიტეტის ამხანაგებს, სტუდენტებს პოლტარაიციის, ხამშურთაქმეს, მანახელს ლორთქიფანიძეს, შანშიძეს, იოანესიანს, ერისთავს, ჯაფარიძეს, რაზუვოვიკის, ფიციხელაურს და სხვებსო; ვიცნობ აგრეთვე ყოფილ სტუდენტებს, რომლებმაც შარშან ან შარშანწინ დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი და ამჟამად ამიერკავკასიაში იმყოფებიანო, სახელდობრ — ალექს. პოლტარაიკის, არწრანს, ვიკოლოზოვი, ლხინცეს, ელენტს, უმიკოვს, ანდრონიკაშვილს, მესხს; სხვა პირებიდან ვიცნობ პეტერბურგში მყოფ ფლიგელ-ადიუდანტს თავად ალ. ორბელიანს, რომელსაც ვხვდებოდი ხოლმე ქალბატონ დადიანისა და თავად შინგერელსკის ოჯახშიო, აგრეთვე — კავკასიის კომიტეტის ყოფილ უფროსს ბუტკოვს, მამაშვილს შვეიხარს ნიჭიანს და სხვებსო, რუსეთის სხვა ქაუკაქებში ვიცნობ ვორონცოვის ქვრივს (ოდე-სა), ვლის, ნახაროვას (სამარა) და სხვებს. ბოლოში მიმატებუღია: ჩვენი მხრის ხალხიდან, რომლებიც ამჟამად აქ იმყოფებიან, კიდევ ვიცნობ ვ. ჩერქეზიშვილსო.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ თავის ნაცნობთა შორის ნ. ყიფიანი არ ასახელებს არც სიმონ წერეთელს და არც დავით ლოლობერიძეს, თუმცა ირკვევა, რომ ორივენი მისი უახლოესი მეგობრები ყოფილან.¹ ეს უთოად

¹ ეს მტკიცდება თვით ნიკოლოზის, აგრეთვე მისი ძმის კოტეს პირადი წერილებით, რომლებიც მოსკოვის ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება. იხ. ЦГИАМ, ф. 109, оп. 214, л. 492, л. 242; აგრეთვე — ф. 95, оп. 2, л. 213, л. 7.

იმით აიხსნება, რომ წერეთელი და ლოლობე-
რამე პოლიციის აღრიცხვაზე ყავდა აყენილი,
როგორც მეტად „საემპო“ პირები და ცხა-
დია, მათთან ნაცნობობის აღიარება არც ნი-
კოლოზისთვის იქნებოდა ზელსაყრელი და არც
სხენებელი მისი მეგობრებისთვის. ნ. ყიფიან-
მა, ეტყობა, მართო ასეთ ნაცნობებს ასახელე-
ბდა, რომლებიც პოლიციის თვალში ნაკლებ
ემქვებ გამოიყენებოდა. რაც შეეხება ე. ჩერქე-
ვიშვილს, ის არ შეიძლებოდა ნ. ყიფიანს არ
დაესახებლებია თავის ნაცნობთა შორის, რადგან
უფროდ იყოფა, რომ მასთან მიწერილი მისი
საკუთარი წერილი პოლიციის უკვე ხელთ
ქონდა.

შემდეგი რამდენიმე კითხვა შეეხება სხვადა-
სხვა, პოლიციისათვის ცნობილ რევოლუციო-
ნურებთან, მათ შორის მ. ელპიდინთან ნ. ყი-
ფიანის დამოკიდებულების გამოკვლევას, ხოლო
შეშვიდე, მერვე და მეცხრე კითხვები — ქარ-
თველ სტუდენტთა სალაროს და მის წესდების,
რომელიც, როგორც ითქვა, ნ. ყიფიანს ჩხრე-
კის დროს აღმოუჩინეს. პასუხებში ნ. ყიფიანი
გადაჭრით უარყოფს გ. ელპიდინთან და სხვა
რუს რევოლუციონერებთან თავის კავშირს,
ხოლო ქართველ სტუდენტთა სალაროს საქ-
მიანობას ხატავს მხოლოდ როგორც ღარიბი
ქართველი სტუდენტებისათვის მატერიალური
დახმარების გაწევისაგან მიმართულ უწყინარ
ლონისძიებებს.

მალან საინტერესოა მეათე კითხვა და
მისი პასუხი. კითხვა ასეთია (მოკლევას მთლიან-
დად): „ვინ თარგმნა და რა მხნით „La cloche“-ს
1864 წ. 1-ლი ნომერის № 50-დან სტატია:
„ნიკოლოზ გაბრეღლის ძე ჩერნიშევსკი“. რო-
დის, ვის მიერ, სად და რა გზით იყო ნაშრომი
„კოლოკოლის“ ეს ფურცელი? სად არის და
და ვის აქვს იგი ამჟამად?“¹.

ამ კითხვაზე ნ. ყიფიანი ასეთ კარგად მო-
ფიქრებულ პასუხს აძლევს (მოკლევას მთლიან-
დად):

„ეს სტატია“ La cloche“-ს № 50-დან მე
ეთარგმნე. რაიმე განსაკუთრებული მიზანი
თარგმნისა არ მქონია. ეს მე გავაკეთე უბრა-
ლოდ ჩემთვის და ვარჯიშობის მიზნით. ჩემს
მიერ ნათარგმნი რეველი შენახული მქონდა
და არ მასხოვს, რომ ვინმესთვის მიმეცეს წა-
საკითხავად. რუსული ენა მე ისე კარგად არ
ვიცი, რომ ჩემი თარგმანისთვის მნიშვნელობა
მიმეცა. ფრანგული ენა მე კიდევ უფრო ცუ-
დად ვიცი. მე შრცხვეროდა ვისმესთვის შეჩვენ-
ებინა ჩემი ნაეარჯიშევი. „კოლოკოლის“ ფურ-
ცელი, რომელშიც მოთავსებული იყო სხენე-
ბული სტატია, სხვა ავრძალულ გამოცემებთან
ერთად, მე დამიტოვა ჩემმა ამხანაგმა ბოს-
ტაევმა, საიმპერატორო მედიკო-ქირურგიული

აკადემიის სტუდენტმა, რომელიც ვარდაცხად,
რამდენადღე მასხოვს, ამა წლის დასაწყისში,
ე. ი. სწორედ იმ დროს, როდესაც მე ვცდი-
ობდი ვასილევს კუნძულზე, მაქსიმუმ ვახუ-
ჭაბატონ გრეგორიევს ბინაში, რევენბერგის
სახლში, სად იშოვნა და რანაირად იგი ბოს-
ტაევმა, მე არ ვიცი, რადგან მას არ დაესახე-
ლებია ჩემთვის თავისი ნაცნობები, რომლე-
ბიც მას ბევრი უყავდა. ეს ფურცელი ამჟამად
მე დამეკარგა“¹.

ამრავად, ნ. ყიფიანი თვითონვე აღიარებს,
რომ მან გერციენის „კოლოკოლიდან“ სთარგმ-
ნა ვრცელი სტატია, საათურით „ნიკოლოზ
გაბრეღლის ძე ჩერნიშევსკი“ რომელიც თავი-
დან ბოლომდე მთავრობის საწინააღმდეგო
შინაარსისა და დიდი რუსი რევოლუციონე-
რი — დემოკრატის მოღვაწეობის არსებითად
სწორ შეფასებას იძლევა. მასთანამდე, ჩვენს
წინაშე იშლებოდა ასეთი საინტერესო სურათი:
ნ. ჩერნიშევსკის გამაართლებებისა და ციხირ-
ში გადასახლების შემდეგ, მას შემდეგ, რაც
რევოლუციონერები თავს დაესხნენ მეფე ალექ-
სანდრე მეორეს და მთელ რუსეთში სასტიკი
თეთრი ტერორი დამყარდა, თვით პეტერ-
ბურგში, სადაც მესამე განყოფილების აგენ-
ტები სტუდენტთა ყოველ ნაბიჯს უთვალავ-
ებდნენ, ნ. ყიფიანი ფრანგულიდან რუსულ
ენაზე თარგმნის ვრცელ, ამჟამად რევოლუ-
ციური სულისკვეთებით გაკლენილ სტატიას
რუსეთის მაშინდელ რევოლუციონერთა ბე-
ლადზე, სტატიას, რომელიც ნამდვილი საბ-
რალმდებლო აქტია მეფის მთავრობის წინააღ-
მდეგ. ეს მეტად საინტერესო ფაქტია!

რაც შეეხება ნ. ყიფიანის პასუხის დანარჩენ
ნაწილს, აქ ყველაფერი, როგორც ჩანს, გამო-
ვინილია მავალითად, რა დასაჯერებელია,
თითქოს მას სხენებელი სტატია რაიმე ვარ-
კველი მიზნის ვარემე, უბრალოდ ფრანგულ
ენაში გასაეარჯიშებლად ეთარგმნის?! ვახ-
ცობა მოიპოვებოდა მაშინდელ პეტერბურგში
ნებადართული ფრანგული ლიტერატურა, რომ-
ლის თარგმნა და ფრანგულ ენაში ვარჯიში,
არავითარ პოლიტიკურ საფრთხეს არ წარ-
მოადგენდა!

ასევე ძნელად დასაჯერებელია ევრსია ბოს-
ტაშვილისაგან ავრძალული წიგნების მიღებისა.
ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ ასეთ ხერხს, —
მიცვალებული ამხანაგებისათვის პასუხისმგებ-
ლობის გადაბრალდება — ყიფიანზე ადრე მი-
მართა სიმ. წერეთელმა და ი. ისარელიშვილ-
მა. როგორც ჩანს, მაშინდელ რევოლუციონე-
რებში ეს ხერხი ფართოდ ყოფილა ვარცე-
ლებული და პოლიციის ბრწყალებისაგან თავის
დაძვრენის ერთ-ერთ ნაცდ საშუალებად
მიჩნეულია.

¹ ЦГИАМ, ф. 95, оп. 1, д. 427, л. 29.

¹ იქვე.

გადვილდეთ მეთორმეტე კითხვაზე, რომელიც აგრეთვე მეტიისმეტად საინტერესოა. მოგეყვას კითხვა და მისი პასუხიც მთლიანად.

„ეს მიერ, როდის, სად და რა მიზნით ითარგმნა ქართულ ენაზე რევოლუციური სიმღერის „მარსელიოზის“ პირველი სტროფი? ვისგან მოიღო ამ სიმღერის დედანი, და სად ინახება იგი ამჟამად?“¹

ამაზე ნ. ყიფიანი პასუხობს: „რევოლუციური სიმღერის „მარსელიოზის“ პირველი სტროფის თარგმანი ქართულ ენაზე შესრულებულია ჩემს მიერ ამ ორი წლის წინად პეტერბურგში. მისი თარგმნისას მე არაფერი არ მქონია მხედველობაში, რადგან ვიცოდი, რომ მისი დამკვედია არ შეიძლება. ეს სიმღერა მე ზეპირად ვიცოდი. ის მე ვისწავლე ფრანგებისაგან, რომელთა შორის ბუფი ნაცნობი მყავდა. მათ შორის მე შემიძლია დაეხსებოდა საფრანგეთის ქვეშევრდომი M. Charlet, რომელსაც მე ზნობრად ვხედავდი ამ საში წლის წინად დომინიკას კაფეში, ნეესის პროსპექტზე რომაა, ყაზანის ტაძრის პირდაპირ. მე და ის მაშინ ზნობრად ვთამაშობდით ბილიარდს და, როგორც იტყვიან, კარგი კამანია გვქონდა. მე ის დიდი ხანია აღარ ვხედავდარა და ვფიქრობ, რომ პეტერბურგიდან გაემგზავრა.“²

აქედან ჩვენ ვტოვობლობთ უაღრესად საინტერესო ისტორიულ ფაქტს: ევროპისა და რუსეთის რევოლუციონერთა უკვდავი პიძნი „მარსელიოზა“ ქართულ ენაზე ამტყველებულა ჯერ კიდევ 1866 წელს³. მ. ტორჯის სიტყვით, „მარსელიოზა“ რევოლუციური მანკის ნებისყოფისა და გმირების მკაფიო გამოხატულებაა, იგი თვით რევოლუციაა. ეს სიმღერა, — როგორც სამართლიანად აღინიშნა ნ. ხრუშოვიამ ამასწინათ, საფრანგეთში ყოფნის დროს, — ხალხის თავისუფლებისათვის სამბროლულად აღაფრთოვანებდა არა მარტო საფრანგეთის სახელგანთა რევოლუციონერთა ბატალიონებს, არამედ აგრეთვე რუსეთის დემოკრატებსა და რევოლუციონერებს. დღეს ჩვენთვის ნათელია, რომ ამ უქანასკნელთა შორის ჯერ კიდევ 60-იან წლებში იყვნენ ქართული დემოკრატები და რევოლუციონერები, რომლებაც ღირსეულად ითვისებდნენ ევროპისა და რუსეთის მოწინავე იდეებს და თავდადებით იბრძოდნენ ხალხის თავისუფლებისათვის.

ნ. ყიფიანის ზემოთ მოყვანილი პასუხიდან კარგად ჩანს ის აღმოსაფრტყვი კრიმინალი ახალგაზრდა ქართველი რევოლუციონერების მოღვაწეობდნენ პეტერბურგში ყოფნის დროს. ნ. ყიფიანს მრავალი ფრანგი მეგობარი ჰყოლია და მათგან ზეპირად დაუსწავლია „მარსელიოზა“. მწელი მისახვედრია არ არის, რომ სხენებში ფრანგი რევოლუციონერებისაგან ის არა მარტო „მარსელიოზას“ შეისწავლიდა, არამედ იმ აკრძალულ, რევოლუციურ ლიტერატურასაც მოიღებდა, რომლის ერთი ნაწილი, როგორც ზემოთ დავინახეთ, პოლიციამ ჩიჯდო ხელში.

ზემოხსენებულ პასუხში ყურადღებას იქცევს აგრეთვე ნ. ყიფიანის მოსახრებულობა, რაც ასე დამახასიათებელია მისთვის მთელი ამ დაკითხვის დროს: ის ახახულებს მარტო იმ ფრანგის გვარს, რომელიც პეტერბურგიდან უკვე წასული ყოფილა და რომელსაც, მაშასადამე, პოლიცია ველარ მისწევდებოდა, დანარჩენებზე კი სრულად არაფერი ამბობს.

მეთორმეტე და მეცამეტე კითხვები შევხება ვ. ჩერქეზიშვილისადმი ნ. ყიფიანის მიერ გავზავნილი წერილის შინაარსს. გამოძიებულები ხედავენ, რომ ეს წერილი მთლიანად რევოლუციური სულისკეთებითაა გაყვლილი, მაგრამ ამის დამტკიცება ფაქტორად მწელია, რადგან ნ. ყიფიანს გაუთვალისწინებია ცენზურის საფრთხე და საგანგებოდ შერჩეული ბუნდოვანი და ორახროვანი გამოთქმები უხმარია, რომელთა ახრი მარტო აღრესატისთვის იქნებოდა საუნებით ვასავები. გავეცნოთ ამ საინტერესო კითხვებს და მათ პასუხებს.

მეთორმეტე კითხვის შინაარსი ასეთია (მოგეყვას შემოკლებით): ვაქტ. სოლოღონიკოვას ქაღალდებში აღმოჩნდა თქვენი (ნ. ყიფიანის) წერილი ვ. ჩერქეზიშვილისადმი, რომელშიც ლაპარაკია პეტერბურგში მყოფი ქართველი ახალგაზრდობის გაერთიანების აუცილებლობაზე, საღარიბო, შეკრებებზე; თქვენ უკმაყოფილებს გამოთქმებში იმის გამო, რომ ზნობრად უსაგნო კამათში იხარჯება სტუდენტების დრო; „უსაყვედურებთ რა ამის გამო ქართველ ახალგაზრდობას, თქვენ ამბობთ: „საღარიბო თავისთავად მე მინტერესებს, როგორც ახალგაზრდობის ორგანიზაციული გაერთიანების ორგანიზაციული გაერთიანებაზეა ლაპარაკი ამ წერილში? რა მიზანი უნდა ჰქონოდა დსახული ასეთ ორგანიზაციის?“¹

ნ. ყიფიანი უპასუხებს (მოგეყვას შემოკლებით): „ახალგაზრდობის ორგანიზაციულ გაერთიანებად მე გველისხმობდი ახალგაზრდობის ისეთ მღვდმარებობას, როგორშიც ის იმყოფე-

¹ იქვე, ფ. 100

² იქვე.

³ საინტერესოა აღინიშნოს, რომ დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის უქანასკნელი (მეორე) გამოცემის ცნობით, „მარსელიოზა“ რუს რევოლუციონერებში გავრცელებულია XIX საუკუნის 80-90-იან წლებში (ტ. 26, გვ. 381).

¹ იქვე, ფტრც. 101.

ბოლა სტუდენტთა 1862 წლის¹ აბუღელთა-მღვ. მე წინადადებას ვიძლეოდი, რომ ახალ-გაზრდაობას შეექმნა კორპორაციები და ეს კორპორაციები უნდა დაყოფილყვნენ ცალ-ცალკე ნაწილებად, როგორც ეს გერმანიისა და დეპარტის უნივერსიტეტებში არსებობს², მერე ლაპარაკობს სტუდენტთა ამ კორპორაციების მიზანზე, რაც თითქოს იმაში მდგომარეობდა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წინაშე ეშუამდგომლა სტუდენტებისათვის სხვადასხვა შეღავათები, მატერიალური დახმარების, სწავლის ფულის შემცირებისა და სხვა მისთანების სახით.

ამ პასუხიდან აშკარაა, რომ უიფიანი ცდილობს სტუდენტთა ორგანიზაციებს ხელისუფლების წარმომადგენელთა თვალში ჩამოაშოროს პოლიტიკური სარჩული და ყველაფერი ახსნას ეთიკაში სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქებისათვის ზრუნვით. მაგრამ მის კარგად შენიღბულ პასუხშიც კი აშკარად გამოსჭევიის ის პოლიტიკური მიზნები, რომელსაც ის სტუდენტთა ორგანიზაციებს უსახავდა; მაგალითად, ის ამბობს: ახალგაზრდობის ისეთი გაერთიანება მინდოდა, როგორც იყო სტუდენტთა 1861 წლის მღვლეარებადგოვის განცხადება გამიზნული იყო მეფის ჩინოვნიკების დასამშვიდებლად, რამდენადაც ეს უკანასკნელი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ 1861 წლამდე პეტერბურგის სტუდენტობა მთავრობისადმი ლიბერალი იყო და მათ ორგანიზაციებს პოლიტიკური ხასიათი არ ჰქონდა. მაგრამ დღეს ჩვენ კარგად ვიცით და იმდროინდელმა მოწინავე სტუდენტებმაც (მათ შორის ნ. უიფიანმაც) კარგად იცოდნენ, რომ სტუდენტთა ორგანიზაციები (წრეები, სალარებო, სამკითხველოები) უკრ კიდევ 1861 წლის მღვლეარებამდე დიდი ხნით ადრე გადაიქცნენ მთავრობის საწინააღმდეგო ავტორიტის ცენტრებად. ჩვენ ვიცით კერძოდ, რომ ქართული სტუდენტთა წრეში, რომელსაც ი. პავლევიკი ხელმძღვანელობდა. გატაცებით მსჯელობდნენ „სოციალ-დემონისტ“ პოლიტიკურ სტრატეგიზე და საქართველოს ეროვნულ ტერიტორიებზე; რომ ამ წრის წევრები სისტემატურად დადიოდნენ ჩერნიშევსკის ოჯახში, რომელიც მაშინდელი რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი მუხბისი იოლს ასრულებდა და ა. შ. მამასადაძე, ნ. უიფიანი ახერხებდა თავისი გონიერული პასუხით მეფის ჩინოვნიკებიც ცოტად თუ ბევრად დაშფვილებია და საკუთარი რწმენისთვისაც არ ეღალატნა; თავისი შრისხანზე, მაგრამ გონებაჩლუნგი ბრალმდებლების წინაშე ის დამშვიდებული სინდისით აცხადებდა: ილია

პავლევიკისა და მისი თანამოაზრეების საქმის გამგრძელებელ ვაჩო! მაგრამ თუ მეორამეტე კითხვის შემსუბუქება ცოტად თუ ბევრად დასაჯერებელი უნდა მისჩვენებოდათ მეფის მოხელეებს, სამაგიეროდ მომდევნო შეცამეტე კითხვის პასუხი, უფიქრობთ, მათთვისაც დაუჯერებელი იქნებოდა.

შეცამეტე კითხვა ასეთია (მოგვეყვს მთლიანად): „იმავე წერალში ჩერქეზოებისადმი წათქვათ: თქვენ დიდ პატივს ედებთ მათ (ახალგაზრდებს), როცა ამბობთ, რომ ისინი გამოიჩენენ მზადყოფნას ვააკეთონ საქმე და გამოიჩენენ სიმტკიცეს წაიღონ ცეცხლში, როცა გაისმება ხმა და როცა გამოჩნდება აღამიანი, რომელიც წინ გაუძლებს მათ.“

დავავადო, რაც შეიძლება დაწვრილებით აგვისნათ ამ ფრაზის ნაშლევი აზრი, რა საქმე მოელოდა ქართულ ახალგაზრდაობას, რის გულისთვისაც მას უნდა გამოეჩინა სიმტკიცე და წასულოყ ცეცხლში? რა მიზანს ისახავდა იგი და რატომღა მისი მიღწევისათვის აუცილებელი, რომ გაისმას ხმა და გამოჩნდეს აღამიანი რომელიც წინ გაუძლებს ახალგაზრდაობას? რა მიზნისაკენ უნდა წაიფენოს მას ახალგაზრდაობა?..¹

ამ კითხვა იშვარად არის დასმული და მოტიანილ ფრაზაში ისე აშკარად გამოსჭევიის, რამდენადაც ლაპარაკი ჩერქეზოვილ-ყოფიანის მიწერ-მოწერაში, რომ თითქოს ნ. უიფიანს აღარ გააჩნდა თავის დაქაჩუნის არავითარი საშუალება, მაგრამ ის მაინც ბოლომდე ერთგული რჩება ერთხელ არწეული ტაქტიკისა და კვლავ განაგრძობს გამომიხიბულთა თვლი-სახვევის ცდას; ის ყოველნაირად ცდილობს, როგორმე ააყდინოს და ე. ჩერქეზოვილსაც ააყდინოს პოლიტიკური ბრალდება. „ეს სიტუაციები, — ამბობს იგი პასუხში, — შეიძლება გავიგოთ ედღე აზრითაც, როგორც ყოველგვარი მეყირალა სიტუაციები, როგორც ყოველგვარი მეყირალა ფრაზა. მაგრამ მე შორობა, რომ ჩერქეზოვი გულისხმობდა შემდეგს (მე. ჩემის მხრით, ასე ვესმოდა იგი): ახალგაზრდაობა გამოიჩენს მზადყოფნას აკეთონ საქმე. საქმედ მე ვგულისხმობდი მას, როცა ახალგაზრდობა დაიწყებდა ზრუნვას, თხოვნას, მოთხოვნას თავისი საენივერსიტეტო უფროსებისაგან იმის უფლებებისას, რომ მოეწყო შეკრებები და ემსჯელა თავის საჭიროებებზე... საჭირო იყო, როგორც მე შეჩვენებოდა, რომ ეინშეს ამ ახალგაზრდობიდან აემალეობა ხმა და დაერწმუნებოდა თავისი ამხანაგები ყოველგვ ამის აუცილებლობაში. უნივერსიტეტის სტუდენტობა ძალიან არა შეგობარული ღებულობს ამგვარ წინადადებებს... უფროსები თავის

¹ დედანში ასეა. უნდა იყოს 1861 წ.
² იქვე. ფურც. 101.

¹ იქვე. ფურც. 102

მზრით ასევე შეკერი არიან. და ამიტომ ისინი, ვინც გაბედავდა გამოეწვია ცუდი დამოკლებულება ან ღვეწაც კი განეცადა აშხანაგების მზრთვაც და უფროსების მზრთვაც, ეს იგივე იქნებოდა, რომ ისინი ცეცხლში წასულიყვნენ¹.

ამნაირი „ახსნა“, რა თქმა უნდა, თვალს ევრავს აუბამდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ იურიდიულად მაინც მტვრად ძნელია ზემოთხსენებული მიწერ-მოწერის საფუძველზე პოლიტიკური ბრალდების დასაბუთება, რადგან წერალში პირდაპირ არსად არ არის დასაბუთებული ნამდვილი მიზანი, რომლისთვისაც რევოლუციური სტრუქტურა ცდილობდა შექმნა სათანადო ორგანიზაცია.

საინტერესოა აღინშნოს, რომ უმალესი საგამომძიებლო კომისია შეეცადა ზეგავლენა მოეხდინა აგრეთვე ვ. ჩერქეზიშვილზე, რათა იძულებული გაეხადა იგი, ელიარებინა ზემოთხსენებული წერილის ნამდვილი აზრი, მაგრამ ვ. ჩერქეზიშვილიც მოწოდების სიმალღებე აღმოჩნდა. მისი პასუხი თუმცა განსხვავდება ნ. ყიფიანის პასუხისაგან (რაც აგრეთვე იმის მადუწებელია, რომ სიმართლეს ორივე მალაყდა), მაგრამ არსებითად ისიც არაფერს შეიკავს პოლიციისთვის ხელმოსაყიდებელს².

შემდეგი, მეთოთხმეტე კითხვიდან, რომელიც მეფის ჩინოვნიკებმა დაბატომრებულ ნ. ყიფიანს დაუსვეს, ჩვენ ვგებულობთ კიდევ ერთ ფრაზად საინტერესო ამბავს. კითხვა შეეხება დიდი ფრანგი სოციალისტ-უტოპისტის სენ-სიმონის რომელიღაც ნაშრომიდან ნაწყვეტის რუსულად თარგმნას ნ. ყიფიანის მიერ. აი ეს კითხვა: „როდის და რა საჭიროებისათვის გადათარგმნეთ თქვენ რუსულად წარმოდგენილი ნაწყვეტი სენ-სიმონის სიტყვიდან შემუშობილად? ეს გამოართეთ ამ სიტყვის დეჟანი, და სად ინახება იგი ამჟამად?“

ეს კითხვა იმგვარადაა დასმული, რომ აშკარაა, კომისიას უკვე სცოდნია, ვინც იყო სენ-

სიმონის ხსენებული სიტყვიდან ნაწყვეტის მთარგმნელი. ამიტომ ნ. ყიფიანმა, რაკი სხვა გამოსავალი არ მქონდა, უუოყმენსდ ნაღონს, ხსენებული ნაწყვეტი დასტურებინა¹ მკვთა წლის წინათ მე ვთარგმნეო. რაც შეეხება თარგმნის მიზანს, ამაზე მან თავისი ჩვეულებრივი ტაქტიკის შესაბამისად, უპასუხა: „არავითარი საჭიროება ამ სიტყვის გადათარგმნისა მე შეგდევლობაში არ მქონდა. ეს გავაცთვე უბრალოდ ვარჯიშობისათვის“.

ღიბ, ეს შესაძლოა მართლაც ვარჯიშობა იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ფრანგულ ენის შესასწავლად, როგორც ნ. ყიფიანი კომისიას არწმუნებს, არამედ — ფრანგული სოციალიზმის შესასწავლად; ეს იყო გონების ვარჯიშობა იმ ქართველი ახალგაზრდობისა, — თერგდაღულებისა, რომლებიც, ილიას სიტყვით, მთელი ოთხი წელიწადი იყვნენ თავის ქვეყანას მოშორებულნი, შორეულ რუსეთში გადახვეწილნი, რათა იქ თავის ტვისსა და გულში გამოენასკათ ძვირფასი კვირტი მომავალი ცხოვრებისა.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: ახალგაზრდა თერგდაღულები მარტო გონების ვარჯიშობას როლი სჯერდებოდნენ, ისინი რევოლუციონერები იყვნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ გაეერთელებიათ ხალხში რევოლუციური და სოციალისტური იდეები ძველი წყობილების დასაშობად.

ჩვენთვის დღეს არავითარ სიმწელეს არ წარმოადგენს იმის დასაბუთება, რომ სენ-სიმონის ხსენებული სიტყვის რუსულად თარგმნა ჩვენთ თანამშემულის მიერ იყო არა შემთხვევითი მოვლენა, არამედ სავსებით კანონზომიერი და შეგნებული ნაბიჯი, რომელიც ბუნებრივად გამომდინარეობდა ნ. ყიფიანისა და მისი თანამოაზრების მანდინდელი მოღვაწეობის ხანაითიდან და რომელიც აქტიურად უპასუხებდა იმდროინდელი რუსეთის რევოლუციური პრობლემის მოცანებს.

¹ იქვე.

² იხ. იქვე, ფურც. 123—124.

³ იქვე, ფ. 103.

X. პათივილი



ქართული დეგადური პარტიული გეგვითი სიტყვის ისტორიიდან

(ეურნალ „მოგზაურის“ გამოსვლის 55 წლისთავის გამო)

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის წარმოშობისა და განვითარების ისტორია, ისე, როგორც მთლიანად, რევოლუციური მოძრაობა ამერიკაეკასიაში, მჭიდროდაა დაკავშირებული საერთო რუსულ რევოლუციურ მოძრაობასა და რუსეთში ბოლშევიკური პრესის განვითარების ძირითად მომენტებთან.

ამერიკაეკასიაში პირველი რუსული რევოლუციის წლები ხასიათდება პარტიული პერიოდის განვითარების განსაკუთრებულად ფართო გაჯანებით. გაბედული, მარქსისტული სულისკვეთებით გამობრძმედილი ბოლშევიკური ბეჭდვითი ორგანოები რსდმპ ამერიკაეკასიის ორგანიზაციისა, რომელთაც წარსულში, რევოლუციის წინა წლებში, გაანდათ დიდებული საბრძოლო ტრადიციები ლენინური „ისკრისა“ და სტალინური „ბრძოლის“ სახით, აწრთობდნენ და აქტივობებდნენ მეშათა კლასს ცარიზმთან მედგარი ბრძოლისათვის. სახლის პოლიტიკურად გამოფხზზულებისა და თვითმპრობელობასთან ვადამწევეტი ბრძოლისათვის მობილიზაციის საქმეში დიდი როლი შეასრულა დეგადურმა პარტიულმა ბეჭდვითმა სიტყვამ.

ხელმძღვანელობდნენ რა ე. ა. ლენინის მითითებებით რევოლუციურ-პროპაგანდისტულ მშრომის სფეროს ვადართობის და რუსეთის პროლეტარიატის მილიონან მასებში სოციალისტური შეგნების შეტანის აუცილებლობის შესახებ, ამერიკაეკასიის ბოლშევიკები, 1905—1907 წწ. რევოლუციამდე ბევრად ადრე არალეგალური ბრძოლის საშუალებებთან ერთად სარგებლობდნენ არსებული დეგადური შესაძლებლობებით. იმ პერიოდში ამ შესაძლებლობათა გამოყენება ძირითადად გამოიხატებოდა პარტიული პუბლიცისტების მიანაწილებოში, შედარებით პროგრესული მიმართულების პერიოდულ გამოცემებში, ასე, მაგალითად, ქართული ლიბერალურ-ოპორტიუნი გავითის „კვალის“ ფურცლებზე საკმაოდ ხშირად იყო მოთავსებული მასალები „მესამე დანებებისა“, რომლებიც რსდმპ მეორე ყრილობის შემდეგ საბოლოოდ გაიყვნენ ბოლშევიკებად და მენ-

შევიკებად — რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში რევოლუციური და ოპორტუნისტული მიმართულებების წარმოადგენლებად. ხოლო აზერბაიჯანელმა ბოლშევიკებმა ვაითვალისწინეს რა, ამერიკაეკასიის მესულმან მოსახლეობაში პოპულარობა სატირულ ეურნალ „მოლანასრედინისა“, რომელიც თბილისში გამოცენილი აზერბაიჯანელი განმანათლებელ-დემოკრატის, ჯალილ მამედ ვული-ხადეს თაოსნობით გამოდიოდა, ხშირად იყენებდნენ ამ ორგანოს რევოლუციური პროპაგანდისათვის.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ბოლშევიკების მიანაწილებომა პოლიტიკურად მათთვის უცხო ორგანოში — ვახეთ „კვალში“, რომელიც თავისი იდეური მიმართულებით სულ უფრო და უფრო იხრებოდა „დეგადური მარქიზმის“ პოზიციებისაკენ, ხოლო შემდგომში ვადამეცა საეხებით მენშევიკურ გამოცემად, გამოწეველი იყო იმ დროს საქართველოში მძლევი რევოლუციური პროპაგანდის სხვა დეგადურ საშუალებათა უქონლობით. ამიტომ ვასაკერი როლია, რომ ბოლშევიკებმა, რომელთა თანამშრომლობა ვახეთ „კვალში“ თანდათან სუსტდებოდა, დაიწეეს ისეთი დეგადური პარტიული ბეჭდვითი ორგანოს დაარსების საშუალებათა გამოძებნა, რომელშიც ვახედულად იმსჯელებდნენ რევოლუციური მოძრაობის მტევენულ საკითხებზე.

ამერიკაეკასიაში რეგულარული და მჭედითი ბეჭდვითი სოციალდემოკრატიული პროპაგანდის შექმნის აუცილებლობა, ვანსაკუთრებით დაყინებით იქნა ნაკარანბევი 1905 წ. დამდეგს, რუსეთში შექმნილ პოლიტიკური ვითარებით.

რუსეთ-იაპონიის იმპერიალისტური ომის დამებამ, მისმა შედეგებმა ვამწევა მეშათა კლასისა და გლეხობის ისედაც ვუტანლად მძიმე მდგომარეობა და ამერიკაეკასიაში, ისე როგორც მთელს რუსეთში, ვამოიწევა რევოლუციური მოძრაობის ახალი აღმავლობა. ბაქოს მენავითებ შექმნის 1904 წლის დეკემბრის ვაფიცვა, რომელიც დასრულდა მეშებსა და მეწარმეთა შორის რუსეთის პოლიტიკური მოძ-

რაობის ისტორიაში პირველი კოლექტიური ხელშეკრულებით, ექვა რუსეთში რევოლუციის დასაწყისის მოწოდებად.

რევოლუციური ამბების მძაფრ განვითარებასთან დაკავშირებით, ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა დამსჯელი საავტორიტეტო კამპანია იათონისთან დაშორებულ რუსეთში კარგისის და მარცხების ღონეებით. მაგრამ ეს კამპანია, რომელიც მიმდინარეობდა რევოლუციური იატაკვერუთის პირობებში, უმთავრესად ატარებდა პროკლამაციურ და ზეპირი პროპაგანდის ხასიათს. თუმცა თბილისში იმ დროს სამ ენაზე, (ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე), გამოდიოდა არალეგალური ბოლშევიკური გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა“, მაგრამ იგი, ბუნებრივია ვერ აკმაყოფილებდა მთელი ამიერკავკასიის მშეთა კლასის მნიშვნელოვნად გაზარდილ მისწრაფებას პოლიტიკური განათლებისაკენ. ამავ დროს არალეგალური ორგანოს პერიოდულმა ზმირად დაკავშირებული იყო კონსპირაციული ხასიათის სინდელეებთან (გამოცემის იტულებითი გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე, შედგოვი სასტამბო ზახისა და რევოლუციური გადაზიდვის საშუალებათა უქონლობა, და ა. შ.). ეს ვარკმობა საგრძობლად უშლიდა ხელს ბოლშევიკურ ორგანიზაციებს იმპერატორული ზემოქმედება მოეხდინათ მსაებზე ბეჭდვითი ისტუვის საშუალებით.

1904 წლის ბოლოს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი შედგა ლეგალური ბეჭდვითი ორგანოს დაარსების იდეის პრაქტიკულ განხორციელებას, რაც შემდეგში წარმტებით დავერგინდა. ბოლშევიკების ამ ინიციატივას გამოეხმურნენ და მხარი დაუჭირეს ადგილობრივმა მენშევიკებმა, რომელთაც იმ დროს არ გაანდათ თავიანთი პერიოდული ბეჭდვითი ორგანო, არა თუ ლეგალური, არალეგალურიც კი. უნდა ვივლდისხმით, რომ ერთი პარტიის ფარგლებში ფორმალურად გაერთიანება წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ მიზნს, რომ კავკასიის კავშირის კომიტეტმა უარი არ უთხრა მენშევიკებს წინადადებაზე ჩამოეყალიბებინათ გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული ლეგალური ბეჭდვითი ორგანო ქართულ ენაზე.

კავკასიის კავშირის კომიტეტის მისწრაფება, განხორციელებინა თავისი გალაწვეტილება, იმ დროს წარმოადგენდა და დაეხდებოდა: აღვლობრივ ხელთაფლათა ნებატოვას პერიოდული ორგანოს გამოცემაზე ღებულობდნენ მხოლოდ თბილისის პოლიციის სამმართველოს „ჩრედლები“, რომელთაც ოფიციალური აზრით, რასაკვირველია, შესაფერისა შემოწმება

შემდეგ, მიაკრადნენ ხოლმე „ეთილსამედიკალური“ იარაღის. იცოდა რა ეს დასაწარმებელი ბიუროკრატიული წესი და ვერ შეეძლო არაერთი იმედი მსგავსი „იარაღის“ მიღებისა, კავკასიის კავშირის კომიტეტმა ნიადაგი მოუსწრაფა არაპირდაპირ, მაგრამ საეხებით რეალურ გზას თავისი მიზნის მისაღწევად.

1901 წლის იანვარში თბილისში გამოვიდა პირველი ნომერი არც თუ ისე ზვეულებრივი გამოცემისა. ეს იყო „ისტორიულ-პოელოგიური და გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული“ ეურნალი „მოგზაურის“ ქართულ ენაზე. ეურნალის დამაარსებელი და მისი რედაქტორ-გამომცემელი იყო ა. პ. როსტომაშვილი, ზომიერი პროგრესული შეხედულების ადამიანი, პროფესიით პედაგოგი. ეურნალი ყოველთვიურად გამოდიოდა და როგორც ეს მისი ვრცელი სათარგმანად ჩანს, მოიცავდა მეცნიერების სხვადასხვაგვარ დარგს. ეურნალში იბეჭდებოდა უპირატესად შემეცნებითი ხასიათის პოპულარული სტატიები. თანამედროვეობის სავარბორტო საკითხებს ეურნალის რედაქცია დემილით უხვედა გვერდს. ასეთ პოზიტორ მამართულებას ეურნალი ინარჩუნებდა 1905 წლის იანვრის ამბებამდე.

1904 წლის მეორე ნახევრის დამდეგს ეურნალმა დროებით შეწყვიტა გამოსვლა რედაქტორ-გამომცემლის მატერიალური ხელმოკლეობის გამო, სახელდობრ, სწორედ ამ ვარკმობამ მისცა შესაძლებლობა კავკასიის კავშირის კომიტეტს ეურნალისგან „საქმიანი საუბარი“ როსტომაშვილთან, რომელმაც, ბოლოსდაბოლოს, მიიღო კავშირის კომიტეტის წინადადება ეურნალ „მოგზაურის“ გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანოდ გადაქცევის შესახებ.

თანახმად შეთანხმებისა, როსტომაშვილი ევალეობდა ეურნალზე ხელი მოეწერა როგორც ოფიციალური რედაქტორ-გამომცემელს; ამვე დროს იგი არ უნდა ჩარეულყო ეურნალის ახალი რედაქციის ლიტერატურულ და პოლიტიკურ საქმიანობაში. ეს პირობები წამოყენებელი იქნა კავკასიის კავშირის კომიტეტის მიერ შემდეგ მოსაზრებათა გამო: რათა პირველ ხანებში აეცდინათ ცენტრის უკვე გამოსაცემი ორგანოს პარტიული ეთონილებისადმი, კავშირის კომიტეტი ისწრაფოდა ხაზგასმით აღენშინა ვითომდა არსებული მემკვიდრეობითობა როსტომაშვილის წინა ყოველთვიურ სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემასა და 1905 წლის იანვარში აღდგენილ ყოველკვირულ პოლიტიკურ ეურნალს შორის. ამვე მიზნით კავშირის კომიტეტმა არ შეცვალა ეურნალის სახელწოდება, რომელსაც ახლაც უწყინარი „მოგზაური“ ერქვა. ამის ვარდა, პირველ ხელ ნომერს ეურნალის სატრუტულო გვერდზე აღნიშნული ჰქონდა: „გამოცემის

¹ ამიერკავკასიაში პირველი მენშევიკური არალეგალური ორგანო ვაზ. „სოციალ-დემოკრატი“ გამოვიდა 1905 წ. 7(20) აპრილს და დახურულ იქნა 1905 წ. 13(26) ნოემბერს.

წელი შეხუთე-პირველი“. მალე (№ 6-დან) როდესაც საკმაო რეკომენდაცია გაუწია თავის-თვის მკითხველთა წინაშე თავისი ორგანოს მიმართულებით, რედაქციამ თავი დაანება მემკვიდრეობითობის თაშის „ისტორიულ-ეთნოგრაფიულ“ ჟურნალთან, რომელთანაც სოციალ-დემოკრატიული „მოგზაური“ დაკავშირებული იყო მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალური რედაქტორ-გამომცემლის პიროვნებით.

1905 წლის პირველ იანვარს გამოვიდა ყოველკვირეული ჟურნალის „მოგზაურის“ პირველი ნომერი, რომელიც დასაბუქდად მოამზადა და ხელი მოაწერა... ჟურნალის ძველმა რედაქციამ. ეს თითქოს შეუსაბამო ფაქტი შემდეგნაირად შეიძლება ახსნას. ჩანს, ჟურნალის პირველი ნომრის გამოსვლისას ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული სრული თანხმობა როსტოვშიაღიდა და კავკასიის კავშირის კომიტეტს შორის. ეს გააძლევეს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ძველი რედაქციით ჟურნალის პირველი ნომრის გამოცემით, როსტოვშიაღიდა უნდა იყო გაგულა მოხდინა კავშირის კომიტეტზე მის მიერ წამოყვებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიღწევის მიზნით, თუ რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს ვარაუდი, ახლა მწელია დედადგინოთ, რადგან არაქვემო არ მოიპოვება მასალები, რომლებიც აგვისინდა როსტოვშიაღიდა „დემარშის“ ნამდვილ ვითარებას.

მალე მხარეები საცესელი შეუთანხმდნენ ერთმანეთს, რის შედეგს წარმოადგენდა „განახლებული“ ჟურნალის — „მოგზაურის მეორე ნომრის გამოსვლა 1905 წლის 16 იანვარს. ფაქტიურად ეს იყო საცესებით ახალი, ლეგალური-პოლიტიკური გამოცემის პირველი ნომერი, შეფიცილ გამოსატული სოციალ-დემოკრატიული, უმთავრესად ბოლშევიკური მიმართულებით. „მოგზაური“ იყო პირველი ლეგალური პარტიული გამოცემა არა მარტო ამიერკავკასიის ფარგლებში, არამედ რუსეთის მასშტაბით. ჟურნალ „მოგზაურის“ სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში შედიოდნენ ორივე ფრაქციის წარმომადგენელი: ბოლშევიკებისაგან — კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრები: ალ. წულუკიძე და ფ. მახარაძე, აგრეთვე შ. ელიავა, ნ. ელიავა, ს. კუბაღიშვილი, ო. კვიციანიძე და სხვები, მენშევიკებისაგან — ნ. კალინდალ (ეშმაკი“), შ. შარაშიძე (სოკოლნი“), კ. ჯღარაძე და სხვები. ჟურნალის ფაქტიური რედაქტორი იყო შემდეგში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამომწეული მოღვაწე დილაძე იესეს-ძე მახარაძე.

კავკასიის კავშირის კომიტეტმა და „მოგზაურის“ ახალმა რედაქციამ, ჟურნალის მეორე ნომრის გამოსვლამდე, დროულად ჩაატარებ მნიშვნელოვანი საორგანიზაციო მოსამზადებელი მუშაობა. მოწვეულ იქნა ავტორთა აქტივი, შეიქმნა საკმაოდ განვითარებული ქსელი ადგი-

ლობრივი კორესპონდენტებისა, რომელთადაც რედაქციამ, თავისი საქმიანობის პირველი დღეებიდანვე, მკიდრო ურთიერთსწორი ურთიერთობა ბრწყინვალედ იყო დაყენებული. ჟურნალზე ხელისმომწერის საქმე და მისი ექსპლაცირება საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილებში, სპეციალურ განცხადებებში (ნ. № 2, 3, 4, 5) რედაქცია ასახელებდა მთელ-მეტ სხვადასხვა პუნქტს, მათ რიცხვში მუშათა მესახეობით ისეთ შენდროდ დასაბუქებულ ამიერკავკასიის სამრეწველო ცენტრებს, როგორცაა — ბაქო, თბილისი, ბათუმი, კიათურა და სხვ. ნარეგები იყო მისამართები ნდობით აღჭურვილი პირებისა, რომლებიც დებულობდნენ ხელ-მოწერას ჟურნალ „მოგზაურზე“.

მიუხედავად შემზღვეველი საცესებრივი პირობებისა, ახალი „მოგზაურის“ რედაქცია, მკითხველებისადმი მიმართვაში („ჩვენს მკითხველებს“, № 2) საკმაოდ გაბედულად აღაპარა-ედა მშრომელი ხალხისადმი თავის სიმპათიებისა და იმ მიზნების შესახებ, რომლებსაც ისახავდა იგი ცოცხალი, გაბეჭდილი ბეჭდვით სიტყვის მეშვეობით.

მდგომარეობის შეკეთად კრიტიკულ შეფასებასთან ერთად, რომელიც შეიქმნა რუსეთში პორტ-პარტურის დაცემის შემდეგ, რედაქციამ მგზნებარე ბოლშევიკის ა. გ. წულუკიძის მიერ დაწერილ ამ მიმართვაში ჩამოაყალიბა თავისი პოლიტიკური კრდოს ძირითადი დებულებანი:

1) საზოგადოებრივი საკითხები მოითხოვეს გამორკვევას, რადგან „სწორედ დღეს არის საჭირო მეტად ამ საერთო მოპრაობაში თავის ვართმევა, საზოგადოების ყველა ნაწილის სახისა და მისწრაფების საცესებით გამოქვლავნება, უმრავლესობით ძალისა და ნიადაგის გასაგრება, ერთი სიტყვით, საჭიროა მეტი ცნობიერება შენაქენი იარაღის მოსამარჯვებლად. თუ დღეს ჩვენთვის სასურველია საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილება, მით უფრო სასურველი უნდა იყოს ამ ცვლილების ნაყოფის ხელ-ში შეტანა, გამოყენება“. უნდა ვეცოდოთ, რომ ჩვენს მიერ მოწვეული მოსავალი სხვამ არ აიღოს. რა არის ამისათვის საჭირო? „ცნობა და ცოდნა, გ. ი. შეგნება იმისა, რაც არის და რაც უნდა იქნეს“.

2) ზალის უმრავლესობა — აი ვის მივმართავთ ჩვენ, „იმ უმრავლესობას, რომელიც ერის სიმდიდრესა და დიდებას ქმნის და თვითონ კი ამ სიმდიდრისაგან მხოლოდ ნაფინ-ჩხებო-და რჩება“. იგი მოკლებულია წარმოების ყოველგვარ საშუალებას, არსებობის შესანარჩუნებლად მას გააჩნია ერთადერთი საშუალება — საბჭოთა ძალა, რომელიც უწყველად ექსპლოატრებულა უმცირესობის — კაპიტალისტების მიერ. მასთანადე, „კაპიტალი და შრომა გაითშეღია და დაპირდაპირებული. პირველის ზრდა — განვითარება, მეორეს ექს-

პლატაცის მოსწავდებს... ასეთია თანამედროვე წარმოების არსებითი მხარე, და ამ ნიადაგზე ჩნდება კლასთა წინააღმდეგობა. ეს წინააღმდეგობა უნდა მოისპოს, როგორ?

3) წარმოება მოიცავს მრავალი მუშის შრომას, მაგრამ ბაზარზე მისი პროდუქცია გააქვს ერთ ადამიანს — კაპიტალისტს. გამოდის, რომ ადამიანთა მთელი საზოგადოების შრომის შედეგს თვისივს კერძო პირი, შეუძლია თუ არა ამ პირს ვაანაწილოს საზოგადოებრივი შრომის პროდუქტი საზოგადოების მოთხოვნილების შესაბამისად? რასაკვირველია, არა. ამას მოწმობს ჭარბწარმოების კრიზისი მისი აუცილებელი შედეგით — უშუალოდ შრომისა და პროდუქტიანობის გაღატაკებით. მეწარმის სისულ-ხორცველი დანტერესება, რაც შეიძლება დიდი რვაგებით ვასალოს თავისი საქონელი, მიუხედავად მოთხოვნილებისა საზოგადოების მხრიდან, მოწმობს წარმოების კერძოსავეთრული ხელმძღვანელობის უვარკისობას. ამგვარად „დღევანდელი წარმოება მოუწყობს მოთხოვნილებას: წარმოება განსაზოგადოვდა, მხოლოდ საზოგადოება კი არ უღვას მას სათავეში, მამ საქირთა საზოგადო წარმოებას საზოგადოება ხელმძღვანელობდეს. ჩატომ უღვას დღეს კერძო პირი წარმოებას სათავეში? იმიტომ, რომ მის ხელშია საწარმოო იარაღები. როგორ უნდა ჩაუღვას წარმოებას სათავეში საზოგადოება? საწარმოო იარაღები საზოგადოების ხელში უნდა გადავიდეს... აი მიზანი. როგორია ეს შეულება?"

4) „სათავეში ჩადგომას ძალა უნდა, ძალას შექმნა. ამ ძალას თვით ცხოვრება ამზადებს. უმრავლესობა დღითიდღე მატერლობს, კიდევ უფრო მრავლდება. ერთი საჭირთებით გარემოცულნი საერთო საქმეს ეცნობიან, ერთგუვიან, შეივნიებენ და საერთოდ ეწყობიან მის მოსაგარებლად... გარტომდა უნდა ვაითფართოს... მან ფართო უფლებები უნდა მოპოვოს... აღნიშნული მიზნის მისაღწევად, შესაფერი საშუალების მოპოვება და გადღდება — აი რა გვწადია ჩვენ“.

გვერ არა, რომ დასახული მიზნის — წარმოების სოციალისტურად გარდაქმნისა და ხალხის დემოკრატიული დიქტატურის დამყარების ერთობს ხელშეწყობს საშუალებად ეურნალ „მოგზაურის“ ბოლშევიკური რედაქცია თავის საქმიანობასაც სთვლიდა. ამიტომ, მკითხველებისადმი რედაქციის მიმართვის ბოლოს იგი წერს: „ჩვენ ვეცდებით ნათელი და გაბედული აზრი დავუბრუნდამირათ ბუნდოვან და მშომარა აზროვნებას. ამ სურვილებით ვეგებებით... ჩვენს მკითხველებს“.

პროგრამული ხასიათის მასალას წარმოადგენს აგრეთვე იმავე ნომერში დაბეჭდილი

ფ. მახარაძის სტატია „დღევანდელი ეთარება“. წერილში ბოლშევიკური თვალთახედვიითა შეფასებული მიმდინარე მომენტის ეურნალური ამბები: ცარიზმის დამარცხება რუსეთ-იაპონიის ომში და ბირველი სახალხო რევოლუციის დასაწყისი რუსეთში, ამასთანავე ხანგამხელი ეურნალ „მოგზაურის“ საბჭოლო დანიშნულება. საზოგადოების ყველა კლასი და მისი ბეჭდვითი ორგანოები, უცაყოფილებას გამოთქვამენ ომით, — ვკითხვლობთ სტატიაში. ნუთ ამ უცაყოფილებას აქვს „საერთო“ ნიადაგი? რასაკვირველია არა: ერთის უცაყოფილონი არიან იმიტომ, რომ ნათად ხელავენ თანამედროვე ბურჟუატიული წესწყობილების დაღუბვას, მეორენი უცაყოფილონი არიან იმიტომ, რომ რუსეთი ვერ იყროს კორეას, მანჯურიას, ინდოეთს და რუსეთის ბურჟუაზიას ამგვარად ეკარგება, ბაზარა, რომელსაც შეჭრო მათი ჯიბეების გასქელება ოქროთი. მაგრამ ამით როდო არიან უცაყოფილონი მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველნი. რომ ჩაუწვდეთ მათ უცაყოფილებას, შეცილებელია სისტემატიური ობიექტური შეფასება უოველივე იმისა, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება. „შეცვლილი და ახალ გზზე დაყენებული“ „მოგზაური“ ეცდება ეს მუშობა რამდენიმედ მიიწვ გეოღვოლოს ჩვენს მკითხველებს. ნუ დავიწყებთ კი დღევანდელი წაში არის მეტად ნატრული და მას სიმამრეებით მოიგონებს ჩვენი მომავალი თაობა... ჩვენი ვილა მეღვარად და მტაციად სელაწენი, ერთობლ დასახულ მიზნისაკებ. ჩვენი საბოლოო მიზანი არ არის ორტოვი, ორანბროვანი და ბურტსში გახვეული... გეუმარჯოს ჩვენს იდეალს! ეესურვოთ გამარჯვება ახალ „მოგზაურს“, ახალი ცხოვრებისაკენ მიმავალს“.

ეურნალის მე-2 ნომრის გამოსვლის მეორედღვეს, 17 იანვარს, „მოგზაურის“ რედაკციის წევრები — ალ. წულუკიძე, ფ. მახარაძე და სხვა ბოლშევიკები, ცარიზმის მიერ 9 იანვარს ჩადენილი ბორტმოქმედების საპასუხოდ საქართველოს მშრომელთა რევოლუციური პროტესტის მოწყობაში მონაწილეობისათვის, დაპატიმრეს და მოათავეს მეტეხის ციხეში. მაგრამ მთავრობამ რბრესიებით ვერ შესლო დაწყებულ რევოლუციური მოძრაობის შენელება. 18 იანვარს თბილისში დაწყებულმა მუშათა გაფიცვამ გამოაძილო პოეა ქალაქის მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში; მოკლე ხანში იგი გავრცელდა საზღვრეფოდ დაწყებულეობათა მოსამსახურეებზე და გადაიქცა საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვად. ფაბრიკის შუა რიყეებში, რევოლუციური მსიების მოთხოვნი, მთავრობა იძულებული შეიქნა გაენთავისუფლებინა მრავალი პოლიტიკური პატიმარი, მათ

რისთვის ვადავდ ადრე იქნენ განთავისუფლებულნი: ა. წულუკიძე, ფ. შაბაძე და სხვა ბოლშევიკები.

„მოგზაურის“ რედაქციის წევრ-ბოლშევიკების დამატირების გამო მათ განთავისუფლებაში, ერთნაირი აქტიური როლი ითამაშა ერთნაირი რედაქციის მენეჯერმა ნაწილმა, რომელმაც მოასწრო ამ შედეგადმი მხოლოდ მე-3 და მე-4 ნომრების გამოშვება. მაგრამ, ამ ნომრებშიც ასევე იგრძნობა ბოლშევიკური რედაქციის ვალებმა. რედაქციამ, მიუხედავად თავისი წამყვანი პუბლიცისტების არყოფნისა, მოახერხა დამატირებამდე დამწერილი მათი მასალების გამოქვეყნება. ამგვარად, ორივე ნომრის მოწინავე სტატია გეტყვინს ფ. შაბაძეს, ხოლო მე-3 ნომერში დაბეჭდილია ალ. წულუკიძის სტატიის „ან ვოკალიზაციის საპოლიტიკო ნიშნების“ დასაბრუნებელი (დასაწყისი) გამოქვეყნებული იყო ერთნაირი მე-2 ნომერში). რაც შეეხება მომდევნო ნომრებს, უკანასკნელ 41-ე ნომრის ჩათვლით, ერთნაირი გამოცემა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით.

მაგრამ ეს ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ „მოგზაურის“ გაერთიანებულ რედაქციაში ყოველდღიური პარტიული და რედაქციული ცხოვრების პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხები წყდებად უბრალოდ, ერთნაირი რედაქციის წევრებს შორის მწყავთ. იღვრე შეჯახებათა ვარგისი, პირიქით, ასეთი შეტაკებები საქმიან ხშირი მოვლენა იყო „მოგზაურელთა“ ცხოვრებაში, რომლის ძირითადი მიზეზი იყო რასმშ შეგნით არსებული რედაქციის მარქსისტულ (ბოლშევიკურ) და ოპორტუნისტულ (მენშევიკურ) მიმდინარეობათა იღვრეტაქტიური უთანხმოება. ეს უთანხმოება ხელ უფრო ნათელი ხდებოდა რედაქციის რედაქციური მომართვის ვალდებულებათან დაკავშირებით.

შინაპარტიულმა ფრაქციულმა ბრძოლამ ამიერკავკასიაში, ისე როგორც საერთოდ რედაქციაში, განსაკუთრებით მწყავე ხასიათი მიიღო, მე-3 პარტიული ყრილობის მოწყვეტისთვის ბოლშევიკების მიერ გამართულ ვალდებულებული სახალისის პერიოდში. რასმშ მეორე ყრილობის შემდეგ მენშევიკებმა რამდენიმე განამტკიცეს თავიანთი მდგომარეობა აღმავლობებული ანტიპარტიულ მოქმედებათა მეშვეობით — პლენარის ხელშეწყობით, ცენტრალური ორგანოს რედაქციის შემადგენლობაში მათ უკანონოდ შეიყვანეს ის წევრები, რომლებიც გადაყენებულ იყვნენ პარტიული უმრავლესობის მიერ, ხოლო ცენტრალური კომიტეტში ხელთ იგდეს ხელმძღვანელობა, — და ახლა გავიხსენებთ სურდით პარტიის მორავი ყრილობის მოწყვეტის შესახებ. მენშევიკების უარყოფით დამოკიდებულებას პარტიის III ყრილობის მოწყვეტისადმი სხვა მიზეზიც ვაინდა:

ბოლშევიკებთან ერთობლივი პარტიული ყრილობა, რედაქციის მტკიცე აღმავლობის მხარობაში, დაყენება მათ კონკრეტულ მოქმედებათა იტყუებულად მენშევიკურისკენ მენშევიკური შემთხმებულნი პოლიტიკა სრულიად არ ისწრაფოდა. რომ გავმართლებინათ თავიანთი დემორგანიზატორული მოქმედება და დანაშაული რსდმშ-ში არსებული განმეტოილებების გამო თავს მოეხიბათ ბოლშევიკებისათვის, მენშევიკები იგონებდნენ სხვადასხვა „დასაბუთებებს“: „მოთხოვნა რომ პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა, — ბიუროკრატიაში“ და „ფორმალში“ იქნა გამოცხადებული. უმრავლესობისადმი უმორჩილობის დამორჩილება პარტიის წევრის ნებისა და თავისუფლების „უხეშად შექანერა“ დიარგუნვად იოვლებოდა, პარტიულ დისციპლინას „სახელს უტებდნენ“ როგორც „პატარაში“, მენშევიკები პარტიის სწავდნენ უკან, ორგანიზაციული დაქვემდებარებისა და თავამყვებულობისკენ, წრეობანისა და კესტარულიობისკენ.¹

მოქმედებდნენ რა სრულიად შეთანხმებულად თავის რეს „კოლეგებთან“ ერთად. ამიერკავკასიაში ახალისურებლმა გააფრთხილებული იგრძნობი პირიქით პარქსისტული პარტიული პარტიის იღვრელობის და ორგანიზაციული საფრთხელების უფინური მოძღვრების წინააღმდეგ პარტიასა და მუშათა კლასებში დაბნეულობისა და არვედარევის შეტანის მიზნით აღგლობრივი მენშევიკების გამოსვლებს ამიერკავკასიაში დასაბამი მისკა ქართული მენშევიკების „სულიერმა მამამ“ ნოე გორდანიამ.

ერთნაირ „მოგზაურის“ მე-3 ნომერში (1905 წ. 20 თებერვალი) გორდანიამ დაბეჭდა სტატია „რა არის პარტია?“, რომელიც ხელმოწერილია მისი ცნობილი ლტერატორული ფსევდონიმით — „ა“. გორდანიას გამოსვლა გაერთიანებული რედაქციური პარტიული ერთნაირი ფრაქცილებზე, ბოლშევიკების ინიციატივით მოწვეულ პარტიის მე-3 ყრილობის წინა დღეებში, როდი იყო შემთხვევითი ამაგი. ან-ის სტატია, რომელიც უნდადა რსდმშ-ის მენშევიკების უფინური პრინციპთა დემოკრატის კრეტაგას, ვოკალისწინებული იყო ბოლშევიკების ავტორიტეტის შესარყვად, ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა პარტიულ რედაქციაში დაბნეულობისა და იღვრე მერყეობის შესატანად.

სტატიაში „რა არის პარტია?“ სრულიად, სისტემატიზებულიად გამოხატა მენშევიკური შეხედულებები პარტიული პოლიტიკური პარტიის ისტორიულ როლზე და კლასობრივ დანიშნულებებზე. საქმარისია მოვიყვანოთ ამო-

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. ისტორია. ვამ. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1959 წ. გვ. 83.

ნაწერი ამ სტატიიდან, რომელშიაც მოკმეულია მერტყვევების ბუნდობლივი, ოპორტუნისტული განსახლება პარტიის გაგებისა, რათა ჩაწვდეთ სტატიის წინაარსს, მისი ავტორის მარჯვენს და მიხანსწრაფებას.

„ადამიანთა იმ კრებულს, — წერს ან-ი, — რომელიც ესაბავს საერთო მიზანს და მის განსახორციელებლად ერთად მოქმედებს, ეწოდება პარტია. მაშასადამე, პარტიის დამახასიათებელი თვისებებია საერთო მიზანი და საერთო მოქმედება. ხოლო მოქმედება კი არ შეიძლება უპლანოთ, უსისტემოთ, უორგანიზაციოთ. ორგანიზაცია — ეს ის ბოძია, რომელზედაც დაყრდნობილია პარტია. შეიძლება მის არ ჰქონდეს მკაფიოთ გამოორკვეული პროგრამა, დაწერილებით, შემუშავებული ტაქტიკა, ეს კიდევ ვერ შეაჩერებს მის მოღვაწეობას. მაგრამ თუ მის რაიმე ორგანიზაცია არ აქვს, თუ ეს მოქმედების ორგანოს მოკლებულია — მის არსებობა ერთ დღესაც არ შეუძლია“.

ეფრანლ „მოგზაურის“ ერთ-ერთი თანამშრომლის, მწერალ გ. ჭიჭიძის მოწმობით, ერთდანიას სტატიამ იმ დროს დიდი ხმაური იტყვა. გამოიწვია სამართლიანი აღშფოთება არა მარტო პარტიულ წრეში, არამედ მოწინავე შტაბებს შორისაც. როდესაც ავტორმა სტატია წარადგინა ეფრანლ „მოგზაურში“, ეფრანლის რედაქციის ბოლშევიკური შემადგენლობა, რომელიც შესამწხვად იყო შეთხლებული იმ დროს დაპატიმრებულთან დაჯავშირებით, ერთდლოვანდ ეწინააღმდეგებოდა ამ სტატიის დაბეჭდვას. მაგრამ, რედაქციის შეწვევებით ნაწილის დატოვებითი მოთხოვნის წყალობით, ეფრანლის წერილი აწყობილი და მომზადებული იქნა დასაბეჭდად. რედაქციის წევრ-ბოლშევიკებს ფიქრადაც არ გაუვლიათ, რომ გაერთიანებული კომუნალ-დემოკრატიული ეფრანლის ფურცლებზე შეწვევების ესოდენ ამჯარა დემოკრატიული გამოხდობა დატოვებული აქნებოდა საკადრისი მკაცრი პასუხის გაცემლად. ამ მიზნით ეფრანლის ბოლშევიკებმა რედაქციამ დაავალა ა. წულუკიძეს, რომელიც იმ დღეებში გამოვიდა მეტეხის ციხიდან, სასწრაფოდ დაეწერა საპასუხო წერილი. როგორც ა. წულუკიძის თანამედროვეთა მოგონებებშია აღნიშნული, წერილი მაშინვე დაეწერა რედაქციის შენობაში და დაბეჭდილი იქნა ეფრანლ „მოგზაურის“ იმავე მე-8 ნომერში.

ასეთია მოკლე შესანიშნავი ბოლშევიკების ციხის ა. წულუკიძის წერილის — „მაწია შენიშვნა დიდ კითხვაზე“ შექმნის ისტორია. ამ წერილში ავტორი აამჯარავებს ეფრანლის ოპორტუნისტულ შეხედულებას პარტიებზე, იგი სასტრატეგო ანტიტიკებს, უპირველეს ყოვლისა, შეწვევების შეხედულებას იმის შესახებ, რომ „პარტიის არსებობისათვის უმთავრესად საჭიროა ორგანიზაცია და მოქმედებ-

ის ორგანო (ეს ხომ იგივე ორგანიზაციაა)“ — მიუთითებს წულუკიძე, — რომ „პარტიის დამახასიათებელი თვისებებია საერთო მიზანი და საერთო მოქმედება“. მხედველობაში ავსებს მსგავსი ზერეულ განსახლება პარტიის გაგებისა, ავტორი ირონიულად კითხულობს: „პარტიაა ვანა პარტუკუების დამფარველი საზოგადოება, ან წიგნების გამომცემელი საზოგადოება, რომელთაგან თითოეულს აქვს თავისი „საერთო მიზანი და საერთო მოქმედება?“ ცხადია, რომ ან-ის მხედველობაში აქვს არა ასეთი სახის „პარტიები“, არამედ პოლიტიკური პარტია. მაგრამ ამ გაგების მის მიერ მეტად „გამარტივებული“ განსახლება აიძულებს მკითხველს იფიქროს, რომ ავტორი (ან-ი — ჯ. ე.) გულისხმობს ორ ზემოთ-მოხსენებულ საზოგადოებათა მსგავს „პარტიებს“.

ავტორი სტატიისა „რა არის პარტია?“ — წერს შემდგომ წულუკიძე, — გვარწმუნებს, რომ „შეიძლება მის (პარტიას) არ ჰქონდეს მკაფიოთ გამოორკვეული პროგრამა, დაწერილებით შემუშავებული ტაქტიკა, ეს კიდევ ვერ შეაჩერებს მის მოღვაწეობას“ და გვარწმუნებს, მაშინ როცა სწორედ გარკვეული პროგრამა და დაწერილებით შემუშავებული ტაქტიკა საჭირო ნამდვილი პარტიის შესაქმნელად. „საერთო მიზნის მისაღწევად და საერთო მოქმედებისათვის“.

პროლეტარული პარტიის პრაქტიკულ საქმიანობაში პროგრამისა და ტაქტიკის როლის განვებ დამკირებებსა და აგრეთვე ორგანიზაციის დანიშნულებაზე შეწვევების მდღარი განსახლება საპირისპიროდ, წულუკიძე თავის წერილში ზუსტად აყალიბებს ბოლშევიკურ თეზისარსის ამ საკითხებზე: „რა არის ორგანიზაცია? ერთი გარკვეული პროგრამისა და ამ პროგრამის განსახორციელებლად შემუშავებული წესების ცხოვრებაში გასატარებლად შეერთებული პირები. მოქმედების ორგანო, მაშინ, როცა მოქმედების მიზანი (პროგრამა) ნათლად გამოორკვეული არ არის, როცა მოქმედებ ვერ გაუვლდებათ, თუ რა წესით უფრო ადვილად, პირდაპირ, ნაკლები მსხვერპლით მიაღწევენ დასახულ მიზანს, მაშინ მოქმედების ორგანო უფარვისა და ასეთი ორგანო არ შეიძლება ჩითვალოს პარტიულ ორგანოდ. ეს შეუგნებლობაა, ხოლო პარტია კლასის შეგნებულ ნაწილია პარტიული მოქმედება ცნობიერი მოღვაწეობა და მას უფორდ მოქმედების ორგანოდ შეგნებულ, ცნობიერი უნდა ყოვდეს“. „რა უნდა გაატაროს ცხოვრებაში ორგანიზაციამ, თუ მას ნათლად შეგნებული არა აქვს პროგრამა და მოქმედების წესი (ტაქტიკა), რომ უნდა იხელმძღვანელოს მან მოქმედების დროს? ის უნებურად უნდა დაემორჩილოს თავის გულისთქმას, შეუგნებულ სტატიურ მოძიობას, ე. ი. ორჯ. ხაია ხელ-

მძღვანელი როლი ხდება მოძრაობის, არამედ მისი მორჩილი, მისი უკან მიმყოლი, თითონვე სხვის მიერ ხელმძღვანელი. განა ასეთი ორგანიზაციის შეიქმნება დარტყვის პარტიული, განა ასეთი ორგანიზაციებიდან შემდგარ „პარტიას“ შეუძლია დიციოს თავი (ხაზს უსვამს წულუკი-ძე) იმ უხეირო, არა სისტრველ ელემენტები-საგან, რომლებიც სხვა კლასებიდან თავისი კლასური ტრედენციით გადადიან და მით შეიქმნე გროსული და ნეობრავი სიდუხჭირი? რასაკვირველია არა. (ამ გადაყრა საქმიად არაორაზროვანია „რა არის პარტია?“-ს ინტელიგენტ ატორის მიმართ)

ამგვარად, წულუკიძეს მეთხველი მიუყავს მეორე მტკენული „პრობლემის“ — მუშათა პარტიაში ინტელიგენციის როლის საკითხის განხილვამდე, რომელიც ეორდნაის წერილშია აღძრული. ანი სისტეო წინააღმდეგია პარტიაში ინტელიგენტთა „მოძალენისა“ და „პარაზისა“. ამით ის ხარკს უხდის სტიქორ მეშათა მოძრაობაში სოციალისტური შევგების შეტანისთვის დენინერი დებულების ოპორტუნისტულ კრიტიკას. მის მიერ პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების ზრდაში ინტელიგენციის როლის ხელაღებით უარყოფა ათთლად ამკლავებდა „ეკონომისისაღმძი“ ტრფიალის სენს, რითაც თავიდანვე იყვენე დაკავალებული ქართული შენვეციები.

ანი ცდილობს დაამტკიცოს, რომ არა შეშა, განსაკუთრებით ინტელიგენტები, უბრალო სტუმარი პარტიაში, რომ მათი საქმიანობა უკიდრესად სახიფათოა პარტიასათვის, რადგან ისინი წყერად გახდომისათვისე გამბატონებას ცდილობენ პარტიაში და ყოველივეს თვითონ თავის ქეიფისამებრ განაგებენ. ინტელიგენტებს მიმართ ასეთი სიდრთბილის გამოჩენია ანს, თითქოს უნდა მოეწოდოს პარტიის სიფსიზისაკენ, „გარშე ელემენტების“ მიმართ, გულმოდრულ შეარჩიოს თავისი მომყოლი წყერები. სინამდვილეში კი იგი ისეთი მომნიშვლელი სიმსტუმრით, ორიგინალობითა და მარტოვისნაირად აყალიბებს პარტიის წესდების პარველ პარაგრაფს, რომ ამ, „უცერაული მისუსხია“, ფორმულირებასთან ფერმერთაღდება მისი საკუთარი ოპორტუნისტული განსაზღერა „პარტიის“ ვაგებისა: ანი წერს, რომ „თუკვინიმე შეედა პარტიაში და პარტიის მიხანი საკუთარ მიზნად გამოაცხადა, იგი სდება პარტიის ისეთივე წყერა, როგორიც სხვა დანარჩენები“. მაშასადამე, ორგანიზაციულ „დემოკრატიზში“ ეორდნაიმ გაუსწრო მარტოვეს პარტიაში შემსვლელს იგი ათავისუფლებს მოვალეობისაგან მატერიალურად მხარი დღეტიროს პარტიას და გაუწიოს მას „რეკლარული დახმარება პირადად ხელშეწყობით“, რაც მარტოვის ფორმულირებით იყო გათვალისწინებული. ცხადია, რომ მსგავსი განსაზღერა პარტიის

წყერობისა, უფრო მეტად, ვიდრე მარტოვისებური ფორმულირება, გზას უკლავდა წერილებერეკლამულ ელემენტებს, რომლებშიც შესასვლელია. ამგვარად, ერთი მხრივ მძაფრი კრიტიკა პარტიული ინტელიგენციის საქმიანობისა, მოწოდება, რომ პარტიის რაგები შევისოს განსაკუთრებით მუშათა ელემენტებით და, მეორე მხრივ — პროლეტარული პარტიის შემადგენლობის კრული მასით შევსების შესაძლებლობის წარმოდგენა. სხვათაშორის, ეს წინააღმდეგობა ანის მსჯელობაში საეესებით კანონზომიერი იყო შენვეციური განმარტებისათვის მუშათა კლასის პარტიის შესახებ, რადგან „პარტიაზე შენვეციური შეხედულებათა ძირითადი ნაკლის ის იყო, როგორც ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიაში, რომ ისინი პარტიასა და კლასს ერთმანეთში ურევენდენ, თავიანთი მოთხოვნით რომ ყოველ გაფიციულს უფლება მიეანიწით თავი პარტიის წყერად გამოაცხადოსო, შენვეციები ყოველგვარ ზღვარს შლიდნენ მოწინავე ელემენტებსა და დანარჩენ მუშების მასას შორის“.¹

თავის სტატიაში ანი ცდილობს „დაგვიმტკიცოს“, რომ ინტელიგენტებს, რომელთაც პარტიაში თითქოს გამბატონებული მდგომარეობა ეკირათ, განმეტქილება შეიქმნე პარტიასა და კლასს შორის, რომ ისინი მიიღტენან „გმირისა“ და „ზრბოს“ შესახებ უყვე დიდი ხნის დსამარტებული მოძღვრების აღდგენისაკენ. „გმირების“ იგი გულისხმობს ინტელიგენტულშეციებს, რომლებსაც ბრალად დებს ეკონომიერი საკითხების მნიშვნელობის უგულვებელყოფას და მუშათა „ზრბოს“ მოწოდებას მარტოადენ პროლეტარი საქმიანობისათვის. (ბრალდება ფრად დამახასიათებელია შენვეციებისათვის საერთოდ, მათი შესაფერი როგორც „ეკონომისტების“ იდუერი შექეიდრებისა, კერძოდ!)

წარმოადგენს თუ არა ინტელიგენცია განუყოფელ ერთეულს, რომლს წყერები თავისი შეხედულებითა და მისწრაფებებით არ განსხვავდებიან ერთი მეორისაგან? აქვს თუ არა ინტელიგენციის საერთო მიზანი საერთო იდეალი და იტარებს თუ არა იგი ამის შესაბამისად საერთო საქმიანობას? — ამ კითხვებზე წულუკიძე იძლევა მარქსისტულად დასაბუთებულ ამოწურვად პასუხს.

კაბიტალისტური წარმოების განვითარება, რომელმაც შექმნა მოძარდანიერ საზოგადოებრივი გეგმები, გამოამდღანა და კლდე უფრო განამტკიცა ინტელიგენციის ელემენტების განსხვავება, მათი შეხედულებისა და მისწრაფების

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, ვამ. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1959, გვ. 84.

ქუთაისის ქართულ სკოლაში, დაარსებიდან, 1880-იან წლებიდან მოყოლებული, ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ.

ზედმეტი არ იქნება მოვარდითი ხისი შეთხვევები: ალ. კვიციანი, სამ. ყიფიანი, სამ. დათვიძე, თ. შთავრევილი, სტეპანოვი, ბეს. ნივარაძე (თავისუფალი წყნობის), სტეპანოვი, სერ. რიბაქიძე, ალ. ვარსკვლავიშვილი, ვ. ყიფიანი, ვერ. ცაგარეიშვილი, მის. ჩინილაძე, ი. ნიკოლიშვილი, ბარბარე ვოლსკი, ნინო ხელთფრეშვილი, ბენ. შამგორია, დიმიტრი თქიფანიძე და სხვანი. ესენი იყვნენ ძირითადი კადრი მასწავლებლისა, სანამ ის პროგიმნაზია ითვლებოდა. ბევრი მათგანი ცნობილი იყვნენ არა მარტო როგორც პედაგოგები, არამედ როგორც უფროსი სტუდენტი „დროების“, „ივერიის“, „კვალის“ და სხვა პერიოდულ გამოცემათა თანამშრომლები, ცნობილი იყვნენ როგორც მკვლევრები, მხატვრულ ნაწარმოებთა და სახელმძღვანელოთა ავტორები.

მას შემდეგ რა რომ აღნიშნული პროგიმნაზია ქართულ გიმნაზიადა გადაკეთდა, ვაფარათოვდა და გაიზარდა, მისმა ხელმძღვანელებმა — იოსებ ოცხელმა, სილოვან ზუნდაძემ, და გვარამია ცაგარეიშვილმა — მასწავლებელი თანდათანობით შეეცეს ახალი კადრებით. ესენი იყვნენ: სიმ. ოცხელი, სოლო მიქელაძე, ტრ. ჯაფარიძე, დიმიტრი უზნაძე, ვას. წერეთელი, სიმ. ქვარიაზი, პ. ყიფიანი, დიმიტრი უზნაძე, ალ. ჯანელიძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, ალ. თორაძე, ვიკოლ ნათაძე, ვუკოლ ბერაძე, ალ. წერეთელი, ალ. ნივარაძე, არტ. კვანჭიანი, შ. კობახიძე, შ. შარაძე, ს. ენოქიშვილი, ავ. ფაქია, ვ. ახვლედიანი, ვ. ქუბაბია, შ. სანიკიძე, სიმ. შარაძე, ან. შვალაძე, ლონ. ჩიშაკაძე, სოლო წერეთელი, ნ. სვანიძე, ნ. ჯაფარიძე, ვ. სვანიძე, მის. შვეარდნაძე, ნ. ნეტუბაძე, ვვ. მიქელაძე, ს. ჩხიკვაძე, ალ. შვალბლიშვილი, ვარ. იმანიძე და სხვანი. ამის შედეგად ქუთაისის ქართული გიმნაზია ქართველი მოწინავე ინტელიგენციის კერად გადაიქცა, რომელიც, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ქუთაისში ყოველგვარი კულტურული საქმიანობის წამომწყებები და მესვეტრები გახდა.

1921 წლიდან, საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, სახალხო განათლებისა და კულტურის საქმე სრულიად ახალი, სოციალისტური გზით განვითარდა, რომელშიც მონაწილეობითა და სიყვარულით მუშაობდნენ როგორც ამ გიმნაზიაში აღზრდილი, ისე ამ მასწავლებლის ხანდაზმული მასწავლებლები (ს. ყიფიანი, ს. ოცხელი, დ. ოცხევიძე, ვ. ცაგარეიშვილი), მათ დიდი ენერჯითა და ენთუზიაზმით განაგრძეს მუშაობა იმ მასწავლებლებში — მეორე საშუალო სკოლაში, — რომელიც საბოლოანი ტრადიციების მქონე ქართული გიმნაზიის მდღეობა ბაზაზე შეიქმნა.



XIX ს. პიგმელი ნაქმზრის საზოგადოებრივი აზრის ისტორიკანი

(მიხეილ ბარათაშვილი და დეკარტიტები)

1948 წლის ზაფხულში, მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში შეშობისას, წავადწიედი რამდენიმე საქმეს მიხეილ ბარათაშვილის მასონური მოღვაწეობის შესახებ. ამთჳან ჩემი ყურადღება მიიპყრო განსაკუთრებით ერთმა მათგანმა, რომელსაც ასეთი სახელწოდება აქვს: „თავადი ბარათაშვილი, სიმბირსკის თავადანაურთა წინამძღოლი“. ამ საქმეში თავმოყრილი მასალები საშუალებას გვაძლევენ დავადგინოთ მ. ბარათაშვილის ბიოგრაფიის დეტალები და ვიმსჯელოთ მის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებზე.

მიხეილ ბარათაშვილი დაბადებულა 1784 წლის 25 ნაწარს, ქ. სიმბირსკში სიმბირსკის გუბერნატორის გენერალ-პორტიე პეტრე მელქისედეკის-მე ბარათაშვილის ოჯახში¹. მელქისედეკ ბარათაშვილი ვადასაბუებულა რუსეთში 1724 წელს შუფე ვახტანგ მეფეშესთახ ერთად. 1798 წელს მიხეილს, 14 წლის ყმაწვილს, საარტილერიო ბატალიონში შესვლით დაუწყია სამხედრო სამსახური, რომელსაც მისი მოწმობის თანახმად, შთელი მისი გვარეულმა ვწყოდა². რამდენიმე წლის შემდეგ ბარათაშვილს ავადმყოფობის გამო სამსახურისათვის თავი მიუწებებია. 1806 წელს, როდესაც რუსეთი ომს აწარმოებდა საფრანგეთის წინააღმდეგ, ბარათაშვილმა, რომელმაც „იგრიძნი შესხუბუქება“ ავადმყოფობის მხარე, „ვადღებულად ჩათვალა თავი ისევე შესვლიყო სამსახურში“³. ის პავლოგრადის ქუსართა პოლკში განაწესეს. მან კარგი და თავაზიანი ოფიცრის სახელი შიიხეკვა. ფრანგებთან ბრძოლაში ბარათაშვილმა არა ერთხელ გამოიჩინა თავი ძალზე სამშინ ოპერაციების შესრულებით. პულტუსკთან ბრძოლის (1806 წ.) წინ, გენერალ დობტროვის დავალებით, ბარათაშვილმა, ვაჟათა რა ბტრის ნაწილებით

დაეკებელი გზა, ძვირფასი ცნობები მიუტანა გენერალ ბარკლაი დე ტოლის, რამაც ამ დეკანასკნელს საშუალება მისცა შეერთებოდა რუსეთის ჯარების შთაერასარდალ ბენინგსენს⁴. ამ გაბედული საქციელისთვის ბარათაშვილი, როგორც ჩანს, დაჯილდოებული არ ყოფილა, მაგრამ სამაგეროდ იმ ვაჟაკობისათვის, რომელიც მას თვით პულტუსკთან მომხდარ ბრძოლის დღეს გამოუჩენია, დაჯილდოებითა ვლადიმერის ორდენით. 1812 წელს ის მოხაწილეთობას იღებდა სამაშელო ომში და თავი გამოიჩინა ბორჯომის ბრძოლაში. 1812 წ. 29 აგვისტოს ბრძანებით გენერალ-ფელდშარშალმა კერტუზოვმა, მისთვის „მოცემული უმაღლესი უფლების“ საფუძველზე, ორდენებით დაჯილდოვა შტაბის ოფიცრები, რომლებიც იმყოფებოდნენ მასთან „24 და 26 აგვისტოს დიდ ბრძოლებში და გამოიჩინეს თავი... განსაკუთრებული მამაცობით და მთხუ დავისრებულ ვალდებულებათა სავეთესო შესრულებით“⁵, დაჯილდოებულთა შორის არის შესამე ხარუზერო არტილერიის ბრიგადის შტაბის კაპიტანი თავადი მ. ბარათაშვილი. მას

¹ დივიზიის გენერალ დობტროვის რთული დავალების წარმატებით შესრულებისათვის, — ვითხელობთ მ. ბარათაშვილის ერთერთ შერბოლობით ჩვენებაში, — ვსარგებლობდი მის ჩემდამი კთილვანწყობილებით... ასეთსავე დამოკიდებულებაში იყო ჩემთან შთაერასარდალი ბარონი ბენინგსენი, რომელთანაც წარმატებულა გენერალ-მიორმა ბარკლაი-დეტოლში, მოწინააღმდეგის ჯარების შიერ დეკებულ ადგილებზე ვაღლით გენერალ დობტროვისაგან საჭირო ცნობების მიწოდებისათვის. ამ ცნობების წყალობით გენერალი ბარკლაი-დეტოლი შეუერთდა გენერალ ბენინგსენს პულტუსკთან და ბრძოლაც მოგებულ იქნა.
ЦГИАМ, ფ. 48, დ. 199, აღ. 35—43)

² ЦГИАМ, ფ. 103, опись 208, связка 0, дело 11, л. 4 об.

¹ Б. Есадае, Легониясь Грузия, выпуск 1, стр. 344.

² ЦГИАМ, ფ. 48, დ. 199, აღ. 35—43.

³ იქვე

მიუღია ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ორდენი¹.

ბ. ესაძე² აღნიშნული აქვს, რომ თითქოს მ. ბარათაშვილს რუსეთის ჯარების 1813—1814 წლების საზღვაოგარეთ ლაშქრობებშიც მიუღოს მონაწილეობა, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. ჯერ ერთი, თვითონ ბარათაშვილი მოწმობს, რომ სამაჟლო ომის დამთავრების შემდეგ იგი გადაადგა სამსახურში და 1813 წელს უკვე დაბრუნდა თავის სიმბირსკის გარეუბანში მდებარე, სოფელ ბარათოვკაში³. მეორეც, ერთ შემთხვევაში ბარათაშვილი პირდაპირ მიუთითებს, რომ ის, სამხედრო სამსახურში შესვლის დღიდან, დაახლოებით თოთხმეტი წლიან მოწოდება სიმბირსკის გუბერნიის⁴. სხვანიარად რომ ეთქვას, მისი სამხედრო სამსახურში შესვლიდან (რაც მოხდა 1798 წ.) საკვარეულო მაჟულში გამობრუნებამდე (1813 წ.) გავლო დაახლოებით 14 წელსა. ამიტომ, ცხადია, რომ მას 1813 — 14 წლების⁵ ლაშქრობებში არ შეეძლო მონაწილეობა მიუღოს.

1814 წ. სიმბირსკის გუბერნიის თავადანაურობამ იგი პეტერბურგს მიაგვლინა „მისი იმპერატორობითი უმაღლესობისათვის ერთგული ქვეშევრდომული მდიოციის...“ გადასაცემად, „სამშობლოში მშვიდობით დაბრუნების გამო“⁶.

1815 წ. ბოლოს ბარათაშვილს ირჩევნ სიმბირსკის მხარის თავადანაურობის წინამძღოლად⁷, 1820 წ. კი სიმბირსკის გუბერნიის თავადანაურობის წინამძღოლად. 1816⁷ (ან 1817) წ. ის, პეტერბურგში ყოფნის დროს, შევიდა მასონურ სალონში, რომელიც „შვერთებელი მეგობრების სალონი“ (Лонна «Испытанных друзей») ეწოდებოდა. პეტერბურგიდან რომ სიმბირსკში ბრუნდებოდა, ბარათაშვილმა 1817 წ. 24 ივლისს დიდ სალონ „ასტრეისიანს“ მიიღო რწმუნება „მასონურ სალონის“ გახსნის შესახებ ყაზანისა და სიმბირსკის გუბერნიებში⁸. მიუხედავად სიმბირსკის გუბერნატორის წინააღმდეგობისა, ბარათაშვილმა მიიწვ მოახერხა გაეხსნა სალონი სახელწოდებით „სათნობის ვასალები“ (Кляуз

добродетели) და გახდა მისი მმართველი. 1828 წ. იგი დამატარებულ იქნა დეკანოსიტების საქმესთან დაკავშირებით⁹. მატარებულ წელს გაათავისუფლეს მამულიზებულ¹⁰ მოქმედებების უქონლობის გამო. 1839 წ. ბარათაშვილი ინიშნება საქართველოში საბაგო ოქტის მმართველის თანამდებობაზე. ამ მან შეაგროვა ძველი ქართული, სომხური, სპარსული, ბერძნული, რომაული და სხვა ფუძელების მდიდარი კოლექცია, რომელიც საფუძვლად დაედო მის ძვირფას გამოკვლევას — „საქართველოს სამეფოს ნუნუმზმატიკური ფაქტები“ (რუსულ ენაზე). მიუვილ ბარათაშვილი გარდაიცვალა 1856 წ. თავის მამულში, ბარათოვკაში.

ამ წერილში გვითხველას უფრადლება მ. ბარათაშვილის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებათა დასახისათებას გვიხდა მივაქციოთ. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ მასონობა, რომლის ერთ-ერთი თვალსაზრისი წარმომადგენელი მ. ბარათაშვილი იყო, მთავრობისათვის საშიში მიმდინარეობა არასოდეს არ ყოფილა. თავისი სოციალური შემადგენლობით რუსეთის მასონობა თავადანაურობა იყო და დაბალი წრიდან გამოსულ პირებს მასში არ ღებულობდნენ. მასონები, რომლებიც ასე ბევრს ლაპარაკობდნენ თავისუფლებასა და თანასწორობაზე, სინამდვილეში არ გამოდიოდნენ მაშინდელი ძირითადი სოციალური ბორტების — ბატონუშობის წინააღმდეგ. მათ პუბლიცისტურ თხულებებებსა და სიტყვებში არამეთ არ იყო მოწოდება ბატონუშობის ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, არამედ, პირიქით — „ბატონუშობის პრობლემა განზოგადოებულა და აყვანილია რელიგიურ-ფილოსოფიური პრინციპის დონემდე“¹¹. მასონი ივ. ლოპუხინი, მავალითად, ცდილობდა დაეშტკიცებინა თანასწორობის დამყარების შეუძლებლობა იმ შემთხვევაშიც კი, „რომ დედამიწაზე არსებობდეს ოქროს ხანა, შექმნილი პოეტების მიერ“¹². ლაპარაკობდა რა ბატონუშობაზე, ი. ლოპუხინი წერდა, რომ გლეხების შემამულეებისადაში შორჩილების შესუსტება „მტრის შემოსევაზე უფრო სახიფათოა“¹³.

მასონების ასეთი შეხედულებით აიხსნება მთიი სალონების ლეგლური არსებობა. მთავრობამ მხოლოდ მაშინ დაიწყო მათი დენა

¹ იქვე.
² ბ. ესაძე, დასახ. წიგნი, გვ. 344.
³ ЦГИАМ, ტ. 48, მ. 199, მლ. 35—43:
⁴ იქვე.
⁵ ЦГИАМ, ტ. 48, მ. 199, მლ. 35—43; სრ. Русский библиографический словарь. С. Петербург, 1900 г. т. II, стр. 488.
⁶ იქვე.
⁷ ბ. ესაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 345.
⁸ Соколовская, Русское масонство и его значение в истории общественного движения, стр. 126.

11. „მათობი“, № 8.

¹ История русской литературы, т. IV, ч. II, 1947 г., стр. 60.
² История русской литературы, т. IV, ч. II, стр. 61, Соколовская. დასაბულებული ნაშრომი გვ.

და აქმალია სალონების არსებობა (1822 წ.), როდესაც მასონების წრეში ბევრი რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდა შევიდა. სალონებში ახლა ისეთმა ეკლექტიკებმა ცოცხანარს თავი, რომლებიც გაბედულად იბრძოდნენ ბატონყმური ურთიერთობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მაგალითად, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში სწორედ მასონურ სალონებში დაიწვეს თავიანთი მოღვაწეობა ცნობილით თავადანსაერულმა რევოლუციონერებმა — დეკარბისტებმა: პესტელმა, რილევემა, მ. ნ. მურავიოვა-აპოსტოლმა, ხ. მურავიოვმა, ხ. ტრუბეცკოვმა, ნ. ბესტუჟევმა და სხვებმა¹. კომინიოვის სალონის — „ოვიდიას“ წევრი იყო ა. პუშკინი².

დეკარბისტები, როგორც რევოლუციონერები, იბრძოდნენ ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ამიტომ, ცხადია, რადიკალურად განსხვავდებოდნენ მასონებისაგან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი შედიოდნენ მასონურ სალონებში, რათა გამოეყვებინათ მათი ლეგალური არსებობა საერთაო საქმისათვის, განესკობოდნენ მათ ორგანიზაციულ სტრუქტურას და მასონებს შორის მოხსრებები მოეკმინათ.

ამრიგად, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში მასონებს შორის ბევრი იყვნენ ისეთებიც, რომელთაც სძულდათ ბატონყმობა და თვითმპყრობელობა და რომლებიც გაბედულად იბრძოდნენ მაშინ არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ.

ჩვენს განჯარვლებამში მყოფი მასალების მიხედვით, მ. ბარათაშვილს იმ მასობების ჩრცებს ვაუთუვნებთ, რომლებიც პირუთხეულად აყრიდებდნენ ბატონყმური ურთიერთობისა და თვითმპყრობელობის ყველა საზოხდარ მხარეს.

ამ მხრით ის უეჭველად განსხვავდებოდა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის მოტრფილად მასონებისაგან. მ. ბარათაშვილი თავის სიტყვებში (გამოსვლებში) გვევლიხება, როგორც თავისუფლების, სოციალური თავისუფლებისა (გარკვეული აზრით) და ღარიბ-ღამეშრალთა დამცველი. ის წინააღმდეგია სიმდიდრისა და ტიტულების, იმის, რომ აღამიანებს აფასებდნენ და აწინაურებდნენ ამ წინააღმდეგობის მიხედვით. მ. ბარათაშვილი მწუხარე-

ბით აღნიშნავს, რომ მის თავისუფლოვე საზოგადოებაში გადაწყვეტია „სიმდიდრე, უსუი ტიტულები და წარმოშობა“, რომლებიც ვახსაკეთრებული ხასიათის ამპრატეორებს (ყრურობას) კმადებენ. სიმდიდრე, გვარიშვილობა და დუმსახურებლად მიღებული ტიტულები „მშირად აფერებენებს გუნათლებელს, რომ ის ყოელის შემდეგ, რომ მას ვეღლაფრის უფლება აქვს, რომ ის ყველაზე ბრძენი და სათნოა და სხეებისაგან ვახსხვავებული ბუნების მქონეა. ზნედაცემული ფარისევლუხი, ბრწყინვალე კერპის თავიანთსმეველნი ვახსტკიცებენ მასში ამ აზრებს და მაშინ უბრალო მომაცდები, რომელსაც, დაიწყდა რა თავისთავი, სამყარო და მახლობლები, ზოხლით ვეგებება ჰუმშირიტ ღირსებას, დაცინის კეთილშობილ მისწრაფებებს და თავის მიწერებებს თვითკმაყოფილი ღმილით სულგრძელი საქციელის მაღალ ტიტულს აძლევს“¹.

ასეთ მდიდრებსა და ტიტულის მქონე აღამიანებს, რომლებიც „ღარიბებს აფეროვენებს“ და „სათნოებს დევნიან“, მ. ბარათაშვილი „მტარვალში“ უწოდებს. მისი აზრით, ასეთ აღამიანებში ამოი იქნებოდა ვეჭყენა „შებრალეების, თანჯარმობის, მახლობლისადმი სიყვარულის, ობლისადმი დახმარებისა და შურისკაცყოფილისადმი ყურადღების გრძნობა“². თანამედროვე საზოგადოებრივი წყობილების კრიტიკაში, მ. ბარათაშვილის თავის სიტყვებში მოყვადდა მსჯელობა მდიდრის და ტიტულის მქონე აღამიანისა, რომელიც უპირისპირებდა თავს უბრალო მომაცდავს, ღარიბს და „გვარიშვილობის“ არამქონეს. აი, ადგილი მ. ბარათაშვილის სიტყვიდან: „მე შენზე უფრო სამატრო ვარ, — ლამარაკოს უფენური, — როგორ ვახედე შეუთხვის მოცემა? მე შენზე მდიდარი ვარ, როგორ ვახედე წამოგყენებისა მოთხოვნილება აღამიანურ უფლებებზე და ჩემს გვერდით დგომა? ჩემი წინაპრები მრავალი საუკუნეების განმავლობაში დიდი აღამიანები იყვნენ, და ამიტომ ჩემი სული სულ სხვაა, ვინემ შენი, შენი — სოველის ინსტიტუტე უყუთესი არაა, ჩემი კი ზევის მკიდრის სულის მსვავსია. მე ვაგირბივარ შენ და ჩემს სხეულს ვაბრწინის ვაშს დავიკაც (შემოვზლუდაე) ბრინჯაოთი, მარმარითი და დიდი სივრცით, რათა შენს ნეშოს არ შევერიო“³.

სულ სხვააზრად უყურებდა ბარათაშვილი სიმდიდრესა და ტიტულებს. მისი აზრით, მთავარი სიმდიდრე და გვარიშვილობა კი არაა, არამედ აღამიანის შინაგანი თვისებები. ამ

¹ А. Пыпин, Материалы для истории, масонских лож: «Вестник Европы», 1872 г., февраль, стр. 600—601; Соколовская, рассказывающая о масонстве, стр. 172—176.

² «Исторический журнал», № 9, за 1938 г. стр. 43. тСатья А. Преснова: «Общественная мысль в России в конце XVIII века».

¹ К масонской деятельности кн. Баратаева.

² იქვე, გვ. 430.

³ იქვე.

უქანასკნელის მიხედვით უნდა ხდებოდეს ადამიანის დაფასება და პატრიუსტემა. სიმღიდრე, წარჩინება, გვარიშვილობა, — ამბობდა ის, — ადამიანის ისეთი თვისებებია, რომლებიც, მართალია, ჩვენს არსებებს ღირსებას ანიჭებენ, მაგრამ პირდაპირ არ წარმოადგენენ ჩვენს კუთვნილებას; ვინა კაცი — კეთილშობილი სულით, სათნო შინაგანი გულისწადილით, სამატიო სათვის საქმეებით, მდიდარი სამშობლის წინაშე დამსახურებით, წარჩინებული გულის გრძნობებით, კარგავს თავის ღირსებებს იმის გამო, რომ უბრალო გვარიშვილობა ხდება მას წილად, სიღარიბე ცხოვრობს მის უბრალო ქოხში, მისი მოქმედების არც შემოფარგლული არც ისე ბრწყინვალე, მაგრამ არასრულ მნიშვნელობის მქონე საქმეებით? — სრულებითაც არაა მას უფლება აქვს თავი ყველა იმ ადამიანზე მაღლა დააყენოს, ვინც მხოლოდ ტიტულებითაა ცნობილი¹.

მ. ბარათაშვილის სიტყვებისა და წერილების გულდასმით შესწავლა საშუალებას გვაძლევს დასაყენოთ, რომ ის არა მარტო სიტყვით იყო ასეთი უარყოფითი შეხედულებისა ტიტულებზე, არამედ ეს უქანასკნელი მას არსდროს არ უძებნია. მის მიერ 1820 წ. 21 სექტემბერს მასონ ვგორ რეინვესადმი გაგზავნილ წერილში ამ საკითხის შესახებ ვითონიჭობთ: „ტიტულს ჩემთვის ნუცემი არ მოუნიჭებია და თუ მისი დატოვება საჭირო იქნება, ამას უყოფნაოდ ვაეკეთებ. მე ძალზე დამწვიდებულად ვცხოვრობდი და ჩემი ცხოვრების თვარმეტე წლის ასაკიდან, როდესაც (სამსახურში) მიმიღეს, ტიტულები არ მიძებნია. თუ მისი (ტიტულის — ი. ა.) ეინმესთვის ვადაცემ მას პიზბაძეზე, მზად ვარ ეს პრიციპტების გაღებით შევასრულო“².

მ. ბარათაშვილის სიტყვებისა და წერილებში არაა მოწოდება მდიდრების, პირველ რიგში გაბატონებული ფეოდალური კლასის, თვითნებობის შეზღუდვისკენ, მაგრამ ის, დანარჩენი მასონებისაგან განსხვავებით, გამედლოდ აკრიტიკებდა მის თანამედროვე საზოგადოების ბრედ მხარეებს და თავის პრაქტიკულ მოქმედებაში, როგორც სალონის — „სათნობის გასაღების“ მმართველი და გუბერნიის თავდაზნაურების წინამძღოლი, ყოველნაირად ცდილობდა თავდაზნაურების თვითნებობის შეზღუდვას. სათნობის ლაგამის ამოღებას. მას ღარიბების ინტერესების გაზედული დაცვით არა ერთხელ გამოუწვევია მაღალ თანამდებობის პირთა უმყოფილება და აღფრთოება. ლაბარაკობდა რა გენერალ ივანოვის უმყოფილების მიზეზებზე, მ. ბარათაშვილი მიუ-

თითებდა: გენერალი ნაწყენია იმით, რომ „მე, არ ვგეოდები რა პატრიუსტეში ჩინებნა და სიმდიდრეს, ვადასახლებს ტანაქლდს უცვლანე და რაც ამაზე უარესი, ცუდესი და რიბების მდიდრებისაგან დაცვას და შთარეულბოს“¹. იმავე კერძო წერილებში მ. ბარათაშვილი თვითმპყრობელობის ამკარა მოწინააღმდეგედ მოხანს; ერთ მთავანში ის წერდა: „აი იმის დასტური, რომ მე არც თვითმპყრობელობა მიყვარს და არც დესპოტიზმი“².

1826 წ. როგორც ზევითაც ვეკონდა აღნიშნული, მ. ბარათაშვილი დაამატირეს და პეტერბურგში ჩაიყვანეს. ბრალად დეკარისტების საქმეში მონაწილეობა ედებოდა. ბარათაშვილის დაპატიმრების საფუძველი ის გამედული შეხედულებები იყო, რომელსაც გამოთქვამდა იგი თავის სიტყვებში და კერძო წერილებში მისი თანამედროვე საზოგადოებრედ-პოლიტიკური წყობილების ნაყოფანებზე. ეს შეხედულებები კი მთავრობისათვის ძირითად ცნობილი ვახდა ეგორ რეინვესის (სალონ „სტერეის“ მდიანი) დასმენის წყალობით. რეინვესთან კი მ. ბარათაშვილი მუდმივ წერილობით კავშირში იმყოფებოდა. ეგორ რეინვესმ მთელი მიწერ-მოწერა ბარათაშვილთან, მოხსენებით ბარათის ღართვით, საიდუმლო პოლიციას წარუდგინა. მოხსენებით ბარათის დასმენის მიერ ბარათაშვილი წარმოგვნილი იყო, როგორც მთავრობისათვის საშიში პირივნება.

„1819 წელსვე — ვითხოვლობთ რეინვეს 1826 წლის 15 თებერვლის დასმენაში, — შტაბს-როტმისტრმა თავადმა ბარათაშვილმა, რომელიც ახლა თავდაზნაურების წინამძღოლია სიმბარისკში და რომელსაც მე ვაეკიანი როცა იგი იქ სალონს ხელმძღვანელობდა, შემოშთავაზა შეესუღიყავი კარბონართა ორდენში და დასძინა, რომ იგი დანიშნულია ამ ორდენის მესვეურად რუსეთში. ქვეშევრდომის მოვალეობის გრძნობამ მიკარანაბა დავთანხმებოდი შესულზე, რათა გამეცო ყველაფერი ის რაც ფარულ საზოგადოებას ეხებოდა. მან დაუყოვნებლივ გააღო თავისი უფთი, სადაც თავისუფალი კალატოებისა და ტამპლიერების აქტების გარდა ელავა კარბონართა აქტებიც. აი აქტებიც, — მითხრა მან, — მაგრამ ვიდრე მე მიგიღებთ, წერილობით უნდა მიასუბოთ რამდენიმე შეკითხვაზე. როგორც მახსენებს, მან დამისვა შემდეგი კითხვები: რა შეხედულების ვარ რელოგიაზე, მსხენლზე, სახელმწიფოს მმართველობის ნაირსახეობებზე და ამთავან რომელი მიმანია საუკეთესოდ, იმ საშუალებებზე, რომელთაც შეუძლიათ მიიყვანონ ადამ-

¹ იქვე, გვ. 431

² ЦГИАМ, ф. 48, л. 199, лл. 6—10:

¹ იქვე, ფურც. 12-13.

² იქვე, ფურც. 6-10.

მიანი კეთილდღეობამდე, და თუ აღმოჩნდებოდა ვინმე, რომელიც ამ მიზნის გახსოვრებისა და აღდგენის მიზნით აღუდგებოდა, მივიხვედდი თუ არა მისთანაშემოწმულ საერთო საქმისადმი მის მსხვერპლად შეწირვას. მოტიანი ამონაწერში, პირველყოელისა, ყურადღებას იპყრობს ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ბართაშვილის მიერ რეინვესტაციის მიცემულ წინადადებაზე კარბონარების ორგანიზაციის მიხედვით შესასრულებად. კარბონარები კი, როგორც ცნობილია, წევრები იყვნენ. ფარული რევოლუციონერი ორგანიზაციისა, რომელიც არსებობდა იტალიაში XX საუკუნის პირველ მესამედში. მიხედვად თავისი შემადგენლობის სიტრულის (მასში შედიოდა ბერძენი-ლათინური და ლემკარბიული ელემენტები, გაბრუნებული თავდაზნაურების წარმომადგენლები, ოფიცრობა, სასულიერო წრეები და გამოსულნი და აგრეთვე გლეხების და ქალაქის მოსახლეობის ფართო ფენები), კარბონარებმა მიანიც ითამაშა გარკვეული პროგრესული როლი ისტორიაში.

1820 წ. კარბონარები ეღვანე სათავეში წამოიღეს რევოლუციის და მთელი ფერდინანდ IV აიძულეს კონსტიტუცია შეემუშავებინა. ისინი მონაწილეობდნენ 1821 წლის ბიგონის რევოლუციაშიც. 1828 და 1829 წლებში ადგილი ჰქონდა კარბონარების უმეტესობის მოწყობით რევოლუცია ნეაპოლსა და პაის ოლქში. 1830—1831 წლებში ისინი ვენტურაში მონაწილეობას იღებდნენ რევოლუციაში, რომელმაც იტალიის სხვადასხვა კუთხეში იფეთქა. ამასთან დაკავშირებით ვასსაქტორებელი მნიშვნელობა ენიჭება რეინვესტაციის იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია კარბონარებზე აქტივზე, რომლებიც მან, თურმე, მ. ბართაშვილს უნახა და ამ უკანასკნელის კარბონარობაზე მიუთითებდა. კიდევ მეტი: თუ დავუჯერებთ რეინვესტაციის, მ. ბართაშვილს შისთვის განუცხადებია, რომ ეს დანიშნულია ამ ორდენის შესვერად რუსეთში¹.

თვითონ მ. ბართაშვილი, როგორც მოხლოდელიც იყო (და ეს ჩანს დაკითხვის მასალებშიდან), კატეგორიულად უარყოფდა კარბონარების ორგანიზაციასთან ყოველგვარ კავშირს. „კარბონარების საზოგადოება ჩემთვის საესებო უცხო იყო“ — წერდა ის ერთ თავის ახსნა-განმარტებში¹. იგივე დადასტურა მან სხვა განცხადებებშიც. ასე, მაგალითად, წერილობით მასხვში, რომელიც შედგენილია 1826 წლის 10 მარტს, მ. ბართაშვილი წერდა: „ბატონი რეინვესტაციის (ჩვენება) იმის შესახებ, რომ მე თითქოს თავი ვაქვასადე კარბონარების დიდ მავსტრად, მსურდა ამ სექტის (ჩვენში)

გავრცელება, ვერხვედი შესულყო მასში და ამასთან დაკავშირებით ვეთხოვებოდი მას რაღაცას... სრული სიკრება, ჩემს სტიციტულურ არასდროს არ ვეთხოვებოდი არც ურთხვად საზოგადოებას, გარდა მასონებისა რუსეთში“¹.

საკამომძიებლო ორგანოები, რა თქმა უნდა, უნდობლობით შეხედნენ მ. ბართაშვილის ამ „გულწრფელ“ აღიარებს. მისი გაბედული გამოსვლები სიმბრისკის სალონიში მათთვის კარგად იყო ცნობილი. ასევე კარგად იყო ცნობილი ბრალდებულის თითქმის მთელი კერძო მიწერ-მიწერის შინაარსიც.

მაგრამ საკამომძიებლო ორგანოებს ბრალდების დასაბუთებლად უფრო მკაფიო და ეჭვიმუტანელი საბუთი ჰქონდა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს კარბონარული აქტები, რომლებიც უნახა რეინვესტაციის ბართაშვილს. არ უარყოფდა რა ამ ფაქტს, ბართაშვილი აცხადებდა: „1816 თუ 1817 წელს, არ მახსოვს ზუსტად, პეტერბურგში ბატონი ბებერის (მასონების უფროსი პრეფექტის) დაჯალბით გავეცანი მე იტალიიდან ჩამოსულ კონდრიატის, რომელმაც მოთხარა, რომ კონსტანტინოპოლში მასონური სალონებს არსებებდა და თურქები მასში დიდი სურვილით შედიან... ვაცნობე რა ეს ბებერს, მან მოსურება ცაგარადში (კონსტანტინოპოლში, ი. ა.) მიმდინარე მუშაობის აქტები ენახა. მე ვთხოვე სხედველ იტალიელს ეს აქტები, მაგრამ რადგანაც ისინი იტალიურ ენაზე იყო დაწერილი, ვათარგმნინე ფრანგულად ბებერისათვის და კიდევაც მივართვი მას. ეს აქტები აღმოჩნდნენ პირველი ხარისხის კარბონარული აქტები რომლებიც შესაძლებელია მინახა მე ბატონმა რეინვესტაციის მაგრამ წინადადება კარბონარების სექტაში შესვლის შესახებ მე მისთვის არ მიმიცია, რადგანაც თვითონ არ ვეუბნენოდი მას და მეც ხაზით არავისთან არავითარი ურთიერთობა არა მქონია“².

მასასადავამ, მ. ბართაშვილი არ უარყოფს, რომ მას ნამდვილად ჰქონდა კარბონარული აქტები. ის არც იმას უარყოფს, რომ ეს აქტები უნახა მას რეინვესტაციის ამასთანავე ბართაშვილი, ცდილობდა რა ბრალდების შემსუბუქებას, არწმუნებდა საკამომძიებლო ორგანოებს, რომ მან, თითქოს, თავდაპირველად არ იცოდა სხედველი აქტების კარბონარული ხასიათი. სწორედ ეს აზრია გამოხატული მის სიტყვებში: **«Акты сии оказались карбонарские»**.

მაგრამ ბართაშვილის სხვა ჩვენებათა ანალიზის საწინააღმდეგოში გვარწმუნებს. ბებერმა, — წერს ის, — ვაარჩია რა აქტების ფრანგული თარგმანი, „ივარაუდა, რომ ისინი კარბონარგ-

¹ იქვე, ფურც. 26-29.

² ЦГИАМ ფ. 48, დ. 199, პ. 25. ხაზი ჩემია, ი. ბ.

ბის პირველი ხარისხის აქტებია, კარბონარეზისა, რომელნიც მაშინ ცლდი მხრით არ იყვებენ ცნობილნი... ამ აქტებში მან ვერ ნახა ვერც ქრისტიანობისა და ვერც მთავრობის საწინააღმდეგო აზრები.¹

აქედან ცხადია, რომ ხსენებული აქტების ნამდვილი არსი მ. ბარათაშვილისთვის იმითავე ყოფილა ცნობილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას ისინი არამით არ მოუხსია, არამედ წლების მანძილზე შემოუნახავენ კიდევ. რენევეს ჩვენების თანახმად, მას ეს კარბონარული დოკუმენტები ბარათაშვილთან 1819 წელს (მისი იტალიური ენიდან ფრანგულ ენაზე გადათარგმნის სამი წლის შემდეგ) უნახავს, როგორც ზვეითაც მოგონებულა, აღნიშნულ ფაქტს არც ბრალდებელი უარყოფდა. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა და ლაპარაკობს მიხ. ბარათაშვილის ამკარა სიმპათიებზე კარბონარეზებისადმი.

მაგრამ მთავარია ამ შემთხვევაში არა მ. ბარათაშვილის კავშირი კარბონარეზებთან, არამედ დეკარისტებთან, მთავრობასაც ამის გაგება სურდა. ის დაეკვირვებ 1826 წლის დანაწილების (15 თებერვლის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 10 მარტისა) სწორედ დეკარისტების საქმესთან დაკავშირებით. საგანგებო ბრძანებებს, გარდა რენევეს განცხადება — დასმენისა, ხელთა ჰქონდათ მისი პირადი წერილები, სადაც, მართალია, დეკარისტზე ერთი სიტყვაც არ იყო თქმული, მაგრამ სამაგიეროდ ბევრი იყო ისეთი ადგილები, რომლებშიც ბარათაშვილის პოლიტიკურ „ელოვებებს“ მოწმობდნენ.

ბრალდებულმა, როგორც საფიქრებელიც იყო, კატეგორიულად უარყო დეკარისტებთან კავშირი. „ამჟამად გამოშვდებულ ფარულ საზოგადოებას (ლაპარაკა დეკარისტებზე, ი. ა.), — უჩვენებდა ბარათაშვილი, — მე არამცთუ არ ვეუთენოდი, არამედ მისი არსებობაც კი არ ვიცოდი. მის წევრებთან ურთიერთობა არ შეიძინა და ბევრის სახელიც კი არ გამოვიხსნა. სიმბრისკში კი მთელს გუნდს ნიაში ფარული საზოგადოების არსებობის შესახებ არაფერი ვიცო, და თამაზად შემძლია ვთქვა, რომ ისეთი რამე არც არსებობს“².

ამასვე იმეორებდა მ. ბარათაშვილი ყველა თავის ჩვენებასა და წერილობით ახსნა-განმარტებაში. „ვეუდასტურებ თქვენს აღმარებულებას, რომ, გარდა მასობისა, მე არავითარ ფარულ საზოგადოებას ვეუთენოდი... კონონის საწინააღმდეგო მიწერ-მოწერა არავისთან არ შეიძინა, და მხოლოდ გახუთებიდან ვთავივ ბოროტგანმარტებულთა ჯგუფის შესახებ

(ი. ი. დეკარისტებზე). თავზარდაცემული ვეითხულობდი (ცნობას) ამაზე და საკუთარ თავს არ ვუჯეროდდი. იქ აღნიშნულ მხარებთან ნაცნობობა არ შეიძინა... შეეძინა მანა განი არც კი მინახავს არასდროს“ — ლაპარაკობს ბარათაშვილი ერთ-ერთ თავის განმარტებათ ბარათში³.

საგანგებო ბრძანებების დასარწმუნებლად, მ. ბარათაშვილი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს თავის „ღრმა პატივისცემასა“ და სიუყვარულს იმპერატორის ხელისუფლებისა და მის მიერ დანიშნულ თანამდებობის პირებისადმი⁴. მ. ბარათაშვილი ბრალდების მოსახსენებლად ხშირად მოაგონებდა ხოლმე ორგანოებს თავის რომც წელზე მტეი ხნის ღმერთი სამსახურს. „უბრძანეთ, — აცხადებდა იგი, — გასინჯონ მთელი ჩემი ცხოვრება, მთელი ჩემი საქმეები და ვბედავ იმის თქმას, რომ ისინი წმინდა აჩიან ღმერთისა და ადამიანების წინაშე“⁵.

ისეუ პირობებში საგანგებო ბრძანებებში მოაწვევს ბარათაშვილისა და ჯგუფში რენევეს პირისპირ შეხვედრა, მაგრამ ამისგანაც არაფერი გამოვიდა. რენევემ თავისი წერილობითი დასმენის ტექსტი სიტყვა-სიტყვით განმეორა, ბარათაშვილმა კი წინადადებულ კატეგორიულად უარყო წამოყენებული ბრალდება. „პირისპირ შეხვედრის — ვეითხულობთ დოკუმენტში, — რენევემ უჩვენა, რომ 1819 წელს მას თავადმა ბარათაშვილმა ნამდვილად მისცა წინადადება კარბონარების ორდენში შესვლაზე, მოითხოვდა წერილობით პასუხებს იმ კითხვებზე, რომლებიც მის დასმენაშია ჩამოთვლილი, მაგრამ მან უარა განუცხადა ამის დასამტკიცებლად რენევემ ბარათაშვილს მოაგონა, რომ ის მაშინ ცხოვრობდა დიუმურტის ტრაქტორში, სადაც ის მან დღით იწახელა... შტაბის როტმისტრმა თავადმა ბარათაშვილი, ეი განაცხადა, რომ მას რენევესათვის არ მიუტყა წინადადება კარბონარების ორდენში შესვლის შესახებ, კითხვებზე პასუხები არ მოუთხოვია და არავითარი საუბარი, გარდა იმისა, თურქებს შორის მასობის გავრცელებას რომ შეეხებოდა, მასთან არა ჰქონია“⁶.

ამის გამო მიღებულ იქნა შემდეგი შენიშვნის დადგენილება: „რა კი არ არის არავითარი საბუთი ბარათაშვილის საწინააღმდეგოდ, ისევე, როგორც რენევეს დასმენის უარსყოფად, ენიდან მთ საუბარს მოწმენი არ დასწრებთან, ამიტომ კომიტეტს არა აქვს საშუალება მისცეს ამ საქმეს შესვრლობა... და ამიტომ დაადგინა: ყოველთვე ეს მოხსენეს მის ამბე-

¹ იქვე, ფურც. 26-29.

² იქვე.

³ იქვე.

⁴ იქვე, ფურც. 44-45.

¹ ЦГИАМ. ф. 48, А. 199 л. 26—29.

² იქვე ფურც. 25.

რატორობით უმილდესობას¹. ამანე ნიკოლოზ პირველის ხელით წარწერილია: „ბარათავეი განთავისუფლდეს“.²

ამრიგად, ბარათაშვილი გაათავისუფლეს წაყენებული ბრალდების დამამტკიცებელი სათანადო სახელმძღვანელო უქონლობის გამო. მაგრამ ის გარემოება, რომ საგამომძიებლო ორგანოებს მამხილებელი დოკუმენტები არ აღმოაჩინდათ, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ასეთის საერთოდ არარსებობას. ასეთი დოკუმენტები კიდევ რომ ჰქონოდა ბარათაშვილს (მიწერა-მოწერა დეკაბრისტებთან და სხვა), თავისთავად ცხადია, მას, რომელიც დეკაბრისტების აჯანყების შემდეგ იმ თვეზე მერ ხანს თავისუფლად დადიოდა, ადვილად შეეძლო მათი განადგურება³ ამიტომ საგამომძიებლო ორგანოს დადგენილება არ გამოდგება ისეთ სახელად, რომელზედაც შეიძლება დამყარდეს მსჯელობა ბარათაშვილის მონაწილეობაზე დეკაბრისტების საქმეში.

¹ იქვე, ფურც. 46.

² იქვე.

³ „მასობის გამო ატეხილმა ხმაურმა, — წერს ი. ვონნაროვი თავის მოგონებებში, — 14 დეკემბრის შემდეგ გამოიწვია ამ „ქმობაში“ გაერთიანებულ პირთა განხრეკა. მიჰქონდათ ქაღალდები, ვხეინდნენ პეტერბურგში, ხოლო თვით სალონის თავმჯდომარე ბრაიანი (მ. ბარათაშვილი — ი. ა.) კი, რომელსაც ჩამოართვეს შთელი მიმოწერა, პეტერბურგს ვაისტუმრეს. მაგრამ მისი მიმოწერის ყველაზე საყურადღებო ნაწილი, როგორც ამბობენ, განხრეკამდე რამდენიმე საათით იდრე, ჩაყრილ იქნა მის ხელში მდებარე ტბაში“

(И. А. Гончаров. собр. соч; т. VII, 1954 г. стр. 246—247. მომყავს პროფ. ვ. შადურის წიგნიდან «Декабристская литература и грузинская общественность», თბილისი 1959 წ., 547).

ბარათაშვილის უშუალო ორგანიზაციულ კავშირი დეკაბრისტებთან ჯერ-ჯერობით არ ჩანს, მაგრამ მისი იდეური ურთიერთობა მათთან თითქოს უმეპელია. უმეპელია მისი აზიარებდა დეკაბრისტების შეხედულებებს შთელ რიგ საკითხებზე¹. რუსეთში არსებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების კრიტიკა ბარათაშვილის მიერ, რომელზედაც ზემოთ ვლაპარაკობდით, მართალია, უკიდურესად რადიკალური არ იყო, მაგრამ ბევრ რამეში ჰკავს დეკაბრისტების მიერ მოცემულ კრიტიკას. მასონთა საზოგადოებაში, სადაც ბარათაშვილი წლების განმავლობაში ტრიალებდა, ბევრი დეკაბრისტი ირიცხებოდა. ასე, მაგალითად, 1816 წელს „შერთებული მეგობრების სალონი“ მიღებულ იქნა წევრად ცნობილი დეკაბრისტი მათე ივანეს-ძე მურავიოვ-აპოსტოლი, იქვე დაიწეს თავისი მასონური მოღვაწეობა დეკაბრისტებმა — სერგი ვრიგოლის-ძე ვოლკონსკიმ და ილია ანდრიას-ძე დოლგორუკიმ.

ბუნებრივია იმის დაშვება, რომ ბარათაშვილი პირადად იცნობდა ყველა ამას, ხშირად საუბრობდა მათთან და განიცდიდა კიდევ მათ გავლენას. დეკაბრისტებიც „სინჯავდნენ“ ბარათაშვილს, ეცნობოდნენ მის აზრებს, შეხედულებებს და ბევრ საერთოსაც ნახულობდნენ მასთან.

¹ ასეთივე მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. ვ. შადურსაიც. „საფიქრებელია, — წერს ის, — რომ ბარათავეი არ ეუფენოდა დეკაბრისტთა საიდუმლო საზოგადოებებს, მაგრამ შეხედულებებით და ნაწილობრივ თვისი მოღვაწეობის ხასიათით იგი უეჭველად მათთან ახლო იდგა“ პროფ. ვ. შადური «Декабристская литература и грузинская общественность», л. 547).

აღმსარებელი ბაქთიაშვილი



დიდოსტატის გზის დასაწყისი

არ იყო, ვარდნი უვადოდ
არაფის მოტყუებანი!

რუსთაველი

სწორედ იმ პერიოდში, როცა ვახტანგ კვაბთაიანი ფეხი შედგა ლენინგრადის რაიონისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, ერთნაღ „ვიზნ ისკუსტვას“ 1929 წლის 14 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა ვ. ვსევოლოდსკის წერილი „სიმართლე ბალეტზე“.

„ჩვენს თვალწინ, 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში, — წერს იგი — ბალეტი განახლების გზას დაადგა. ამ მომართობის გამოშვებულ იყო ფოკინი. მაგრამ რეაქციის ტალღამ წაღვია მისი წამოწევა, ამჟამად ბალეტს გვხვდება ახალი ტალღები — რევოლუციის ტალღები და მას არ შეუძლია უბასებოდ დატოვოს ეს ბალეტში დაიწყო ძვრები, რის გამოშვებულ არის თ. ლოუბოვი. რასაკვირველია, ლოუბოვი არ ეკუთვნის რევოლუციონარობა იმ ტიპს, რომელსაც შეუძლება ნამდვილი რევოლუციური ბალეტის შექმნა, მაგრამ ჩვენს დროში ის ყველაზე ახლო თანამგზავია... ამიტომ თავი უნდა დაანებონ ლოუბოვის დენასო, იცხადებს ავტორი და თან დასკვნის, ძველიდან უნდა ავიღოთ, რაც სასარგებლოა და დავაყოლოთ მას წყნარად განისვენოს“.

ეს წერილი მოწმობს, რომ ბალეტის დასში დაჯგუფება ყოფილა. რომელ ჯგუფს მიეკუთვნა ვახტანგ კვაბთაიანი? ის, როგორც სრულიად ახალგაზრდა ამ იდეოლოგიურ ბრძოლაში აქტიურად არ ჩაბმულა. ერთი კი იყო — ის ყოველგვარი მოდერნიზმის, დეკადენტური მიმართულებების დანერგვის სულითა და გულით ვერბოდა და ჯანსაღი რეალიზმისაკენ მიისწრაფოდა. თუ რა სახელე შეიტანა ვ. კვაბთაიანი საბალეტო ხელოვნებაში, ამას მის მიერ გაწეული გზა გვიჩვენებს.

მისი დებიუტი ლენინგრადის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე

თ. ლოუბოვის მიერ დადგმულ პ. ჩაიკოვსკის „შელეკენიში“ მოხდა. მაგრამ ამ ბალეტში, რომელიც აღდგენილ იქნა 1928 წლის 27 ოქტომბერს, კატასტროფული მარცხი განიცადა და იგი სულ მალე რეპერტუარიდან მოიხსნა.

რამ გამოიწვია პ. ჩაიკოვსკის ერთ-ერთი შედევრის ასეთი მარცხი? როგორც ცნობილია, ეს ერთმომქმედებანი, საბავშვო ზღაპრის ფაბულაზე აგებული ბალეტი გვიხილავთ ღრმად, ცხოველყოფილი ოპტიმისტური იდეით. მასში მოხსნის გენიალური დრამატურგია-სიმფონიკა, იგრანობა საბალეტო შესრულების რეჟისორი, რომელმაც ტრადიციული „დიდებრძოლის“ ტიპის კლასიკური ბალეტი სიმფონიური აზროვნების საფუძველზე გარდაქმნა და მისცა მას იდეურ-ემოციური შინაარსი, წარმატაცი მერლოდიურობა.

— მაშ რა მოხდა? — იტყობს მკითხველი — რამ გამოიწვია ამ დადგმის მარცხი? იგი გამოიწვია კლასიკოსის (ჩაიკოვსკის) ამ უნიკალური „რევიზიამ“, რომელიც ბალეტისტიკაში მისი დადგმის დროს მიზნად დაისახა, თ. ლოუბოვი მა ერთმომქმედებანი ბალეტი 3 მოქმედებად და 22 ეპიზოდად აქცია, თან პროლოგი და ეპილოგი დაერთო. ტექსტის ავტორი თვით ლოუბოვი იყო.

მ. სლონიმსკი ეხება რა თავის წიგნში „შელეკენიის“ დადგმას, წერს: „პრესა ერთხმად აღდგა და დაავსო პ. ჩაიკოვსკის პარტიტურის ასეთი უხეში და აღმშფოთებელი დამახინჯება. ფორმალის მიმდევარმა კრიტიკოსებმა კი დაპყრეს ბუქსა და ნალარას, შექმნეს განგაში — „იმისათვის კი არ შევინარსუნეთ ბალეტი ოცი წლის განმავლობაში, რომ ჩვენს თვალწინ ის გარდაიქმნეს დასავლეთის „რევიუთ“, „ბერლინის ლაპალად“ და „პარიზის

წიკად... და ეს ზღვება სცენაზე ჩაიკოვსკის დღეების ღონისძიებით.

ახალგაზრდა მსახიობ-დებიუტანტს ვახტანგ ჭაბუკიანს ბალეტმეისტერმა თ. ლოპუხოვმა დააკისრა, სხვა პარტნიორებთან ერთად, „გერმანული ვალსი“. შესივანე თავსატეხი და გამართლებელი კვლიბები (აქრობატული კორტილი) და მამას პარტიის შემსრულებელი მსახიობი ქალის აქეთ-იქით სროლა, რაც სიამოვნების ნაცვლად მსურებელს შიშა ვერადა.

მამას პარტიის ნიჭიერი შემსრულებელი თ. პ. მენგალოვა ყოველი გამოსვლის შემდეგ, როგორც ცირკის მსახიობის „სასიყვდილო ნომრის“ შესრულების შემდეგ, განუგებს მადლობას სწორად, რომ ხიფათს ცოცხალი გადურჩა. კიდევ კარგი ზღვრის ბალეტი მოხსნა და მსახიობთა ტანჯვისაც ბოლო შევლო.

ვახტანგ ჭაბუკიანის დებიუტი ბალეტმეისტერის წყალობით წარმატებით არ დასრულდა. თუმცა მის განსაკუთრებულ ტექნიკას და ბოპოქარ ტემპერამენტს უფრო ერთხმად აღნიშნავენ.

მეორე პარტია, რომელიც ვახტანგს დაეკისრა ეს გახლდათ ზამთრის ფრინველი ვდვარდ გრაფის შესივანე ა. ვაუკის და თ. ლოპუხოვის მიერ დამუშავებულ ბალეტში „ყინულოვანი ქაღალდი“.

ეს ბალეტი პირველად თ. ლოპუხოვმა დადგა 1927 წლის 27 აპრილს, ე. ი. იმ დროს, როცა ჭაბუკიანი ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოწაფე იყო. სპეტაკის ისეთი თვალსაზრის ავტორები ჰყავდნენ — სახელდობრ დამდგმელი თ. ლოპუხოვი, მხატვარი ა. ვოლოჟინი, ღირსიორი ა. ვაუკი, რომ წარმატება აუცილებელი უნდა ყოფილიყო. რაც მთავარია, კომპოზიტორი ვ. გრაივის მუსიკა გათორავსება ბ. ვ. ასაფიევიმ, უფრო პირთა იყო შექმნილი, რომ ბალეტი დიდხანს შეჩვენოდა სცენას. მართლაც, როდესაც დასწი რეალისტებსა და ფორმალისტებს შორის ბრძოლა მწვავე ხასიათი მიიღო, რეპერტუარიდან მოხსნეს ფოკინოს და თ. ლოპუხოვის უფრო დადგმა, ხოლო „ყინულოვანი ქაღალდი“ კიდევ შერჩა სცენას.

რატომ იზიდავდა ხალხს ასე ეს ბალეტი? ვ. გრაივის მუსიკის ნათელი ღრობში, ხალხურობა, მელოდიურობა, პოეტურობა და ხასიათების სიმკვარე, ვის არ მოხიბლავდა და ამ ბალეტის გამარჯვება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამით აიხსნება. მხატვრობა გულთნობა და დეკორაციული ხელოვნების ისეთ ოსტატს, როგორც იყო ალექსანდრე ვოლოჟინი (1863—1910). მაგრამ დეკორაციის ტყვეობაში მოქცეულმა ბალეტმეისტერმა თ. ლოპუხოვმა, წინააღმდეგ გრაივის რეალისტური მუსიკისა, წარმოადგინა ფორმალისტური იერი მისი — „ყინულოვანი ქაღალდი“ პერსონაჟები უფრო

სქემებს წარმოადგენდნენ, ვიდრე ცოცხალი, სისხლსავსე აღმანიებს. ამიტომაც მსურებელი მოდიოდა ამ ბალეტზე სანახაობისათვის, ხოლო გმირთა ბედი სრულიად არ აზრებულანებდა. გმირული საწყისებისავე გამოყოფილი იყო ეს თავისთავად ღამაში სანახაობა.

ცხადია, „ზამთრის ფრინველს“ პარტია გმირული ხასიათის მსახიობს ვერ დაეკმაყოფილებდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პარტია შეუფერებელი იყო შემსრულებლის არტისტული ბუნებისათვის, ქაბუკიანი მაყურებელთა აღრთვას განუგებს მინიმუმ უწყვედა თავისი ვირტუოზული ცვაყით, თავისი ტემპერამენტით ხიბლავდა მაყურებელს.

პ. ჩაიკოვსკის „გედის ტბაში“, რომლის დადგმაც გულთნობით ლ. ივანოვსა და მარიუს პეტრისა, ვ. ქაბუკიანს კლასიკურ ბალეტურაში მოუხდა გამოსვლა. მასთან ერთად ცუცკავდნენ ტატიანა ვენესლოვა და ოლდა იორდანი. აქ ჭაბუკიანს საშუალება მიეცა სესებით გამოველინებინა თავისი ინდივიდუალობა და წარმოესახა პერსონაჟის ეფექტური ბუნება.

1930 წლის 16 მარტს ამავე ბალეტში ვ. ქაბუკიანს დაეკისრა ზოგფრიდის მთავარი პარტია. საყურადღებოა, რომ მასთან ერთად იმავე ბალეტში გამოდიოდნენ დებიუტანტები — ტატიანა ვენესლოვა და ოლდა იორდანი.

ვ. პ. ბეგინივისა და ვ. ფ. გულცერის ლაბირინთს მიხედვით ზოგფრიდის სუსტი ნებისყოფის პერსონაჟია, ის დამარდულია წინა პლანზე მდგარი გედების დედოფალი. მოქმედების განვითარებასთან ერთად, ზოგფრიდის თანდათანობით ჩაებნება ბოროტ ძალებთან ბრძოლაში და მისი როლი ისე იზრდება, რომ ფარავს ჯადოქარ რატმარტს, ერთხელ დაკანონებული ყვითი, ეს პერსონაჟი ბოლომდე ლირიკული აღმოჩნდა და მასში ნაკლებად იყო გმირული საწყისება. დიდი გამბედაობა იყო საჭირო, რომ ზოგფრიდის პარტიის შემსრულებელს დაემსხვრია ტრადიცია და ეს ლირიკული, პოეტური ქმნილება გმირული საწყისებით აღეჭურვა. ამას წინ აღუდგებოდნენ ბალეტმეისტრები. ეს ასევე მოხდა და ამიტომაც „რაბოზნი ა ტვატრის“ რეცენზენტმა იური ბრედერსონმა 1930 წლის 21 მარტის ნომერში ახალგაზრდა დებიუტანტების გამოსვლას „ახალგაზრდა კადრების ტრაველია“ უწოდა. რეცენზენტს არ მოსწონდა ტ. ვენესლოვას ცუცკავი, არც იორდანის ინდივიდუალობა, ვახტანგ ჭაბუკიანზე კი წერდა: „მისი სიჭრელი, მისი სცენაზე თავისდაჭერის რეალისტური მანერა, ყოველივე ეს არ შეეფერებოდა „გედების ტბის“ არც მუსიკალურ და არც სცენურ ჩანაფიქრს“. ვახტანგ ჭაბუკიანის სწორედ ამ რეალისტურმა მანერამ „ღამეობით“ რეპროდუცირებული რეცენზენტი. ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ ყოველივე სიახლეს მტრულად ხედებოდა. ასე-

თი უველა სოციატორის ზედი. ვახტანგის სასახლოდ უნდა განეცხადოთ, რომ 20 წლის კაბუჯი არ შეეშინდა რევოლუციის გამოღამქრებას და განაგრძობდა ერთბელ არჩეულ გზას, რასაკვირველია, ვახტანგის დაოსტატე-ბაში ჯერ კიდევ ზეგრი, რამ აკლდა, მას ვარდ-ყვავილები ერთბაშად არ მოუტრეფდა და რე-ველუციის შეფასებაში ცოტა სიმართლეს იყო.

როგორც უველა დემოტრანტი, ვახტანგი პირ-ველად დღეად და ვერ ავლენდა თავის დიდ შესაძლებლობას, მაგრამ შემდეგ თანდათანო-ნობით პარტია დაიხვეწა. საბოლოოდ ამ პარ-ტიის გაახრებისას, ვახტანგის მიერ შეტანილი სიახლე დამკვიდრდა და დაიწინდა. მისაღე-ბია თუ არა სიახლე, ამას ხალხი სწევებს — მყურებელი, და არა რეველუციტი. თეატრების ისტორიიდან მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძ-ლება, როცა რეველუციების მიერ დაწინებუ-ლი პიესა ოქროს ფონში მოხვედრილა, ზოლო მათ მიერ ათვისლწინებელი მსახიობი უკუდა-ვთა რიცხეში ჩაიციხულა. მხურვალე ოცაი-ები, რასაც ვახტანგს მყურებლები უმართა-დნენ, საწინდარი იყო იმისა, რომ ნოვატორის ვხა სწორი გამოდგა, რეალიზმის ძალა სწო-რედ იმავია, რომ მას ხალხი იღებს, ფორმა-ლისტურ ტრაგეებს კი გმობს და ზურგს აქ-ცევს. ხალხი ბრძენია და ავიხა და კარგის გარჩევა კარგად იცის. ვახტანგ კაბუჯიანის ზიგფრადში თქვენ ვერ ნახავდით მომჭრულ მანარებს, მსახიობს მანევენს რომ ამხვავებდს. ვახტანგ კაბუჯიანის ზიგფრადში რამე აკრო-ბატული ტრაგეები არ ყოფილა, მისი ყოველი ესტრი გამართლებელი იყო, მოძრაობა — ვაე-კატორი, მყურებელს ხიბლავდა პერსონაჟის ვახედულად წარმოსახეით. ის უმნიშვნელო დეტალებით კი არ ტვირთავდა პერსონაჟს, არამედ ძერწავდა, როგორც კემშარტი შე-მოქმედი და გვირის ორველი ნუბთოდა. ვახ-ტანგ კაბუჯიანის ზიგფრადში ლირიზმიც იყო, მაგრამ ახალგაზრდა ხელოვანი ამას თავისე-ზურად, ვაჟკატრი ვზით ახორციელებდა, რაც დამახასიათებელია მთელი მისი შემოქმე-დებისათვის.

ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მოცეკვედი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვალანა სერგის ასული ულანოვა, რომელიც ოდეტას პარტიის იშვიათ შემსრულებლად ითვლება, წერდა: „ისეთი პარტიონობი, როგორც სერგევეია, ჩემს საცეკვაო ინტერპრეტაციაში ოდეტას სა-ხეს უფრო ლირიზმს მატებდა, ზოლო კაბუ-კიანი ჩემს ცეკვას ენერჯიას და ტემპერამენ-ტისა“¹

ამვე სეზონში ვახტანგ კაბუჯიანს მოუხდა

ა. ბაიკოვსკის „ქოშებში“ დიდი კლასიკური ცეკვის შესრულება. ამ დადგმის წარმატება არ ჰქონდა.

სეზონის დასასრულს ვ. კაბუჯიანს დაეკის-რეს გლიერის „წითელ უაყარში“ პარტია ვახ-ზოლოდო პარტია — ფენიქსი. ეს ცეკვა ვახტან-გის მასწავლებელმა, კლასიკური ცეკვის ოს-ტატმა ვ. პონომარიოვმა დადგა. იგი კლასიკურ ტონებში განზორციელდა, მაგრამ ხალხს სიუჟეტურად არ ემთხვეოდა და უფრო სადი-ვერტისმენტო ნომერს წარმოადგენდა. ვახ-ტანგი აქ ვირტუოზულ ტექნიკას ამკლავებდა, მაგრამ მოცეკვეცს არ ჰქონდა საშუალება პერსონაჟისათვის რამე ქმედითი ხასიათი მიე-ცა.

ამრიგად, ერთ სეზონში ვქვესი პარტიის შესრულება, ეს კარგი დატვირთვა იყო. უველა გრძნობდა, რომ ვახტანგ კაბუჯიანის სახით ლენინგრადის სახელოვან ოპერისა და ხალხ-ტის თეატრის ერთ-ერთი საიმედო ძალა შეე-მატა.

მეორე სეზონში პირველად ვახტანგს დაე-კისდა ე. ბიხეს „კარმენში“ სახასიათო როლ-ლების მოცეკვავე ქალ რაუპენსთან ერთად, ესმანერი ცეკვა ჰოლო, რომელიც ყოველთვის მყურებლის აღფრთოვანებას იწვევს ხოლმე.

1930 წლის 26 ოქტომბერს, ა. ვ. ივანოვის სეცენარის მიხედვით დადგმულ იქნა კომპოზი-ტორ დ. შოსტაკოვიჩის სამშოქმედობიანი ხალხ-ტი „ოქროს საცეკვე“. წარმოდგენის ატორე-ბი იყვნენ ე. კაპლანი და ვ. ვაიონინი, ზოლო ზოგიერთი ცეკვა დადგეს ლ. იაკობ-სონმა და ვ. ჩერკასოვმა. მათ ვახტანგ კაბუ-კიანს დაეკისრეს სპორტსმენის პარტია „ოქ-როს ახალგაზრდობის“ ცეკვაში. იაკობსონი იყო ერთ-ერთი ინდივიტური იმ დისკუსიისა, რომელიც ეურხალ „რამაზი ი ტეატრის“ ფურცლებზე გაჩაღდა.

ჩვენამდე დარჩენილი საცეკვაო „კლასიკე-რა“ სისტემა დღევანდელ დღისათვის არამც თუ ამსოლტურად გამოუსადეგარს, არამედ ისეთ სისტემას წარმოადგენს, რომელიც კრი-ტიკულადაც არ შეიძლება გამოყენებულ იქნას რამე ახლის შესაქმნელად, წერდა იაკობსონი ამ ეურხალის 1931 წლის მე-26 ნომერში. ცხადია, კლასიკური შემკვიდრების გამოყე-ნების ასეთი სახტეკი მოწინააღმდეგის მიერ დადგმული ცეკვა ყოველივე რეალობას იწე-ბოდა მოკლებული, დეკლანსის ტუველობაში მოქმეცოდა, ფორმალისტური ექსპერიმენტე-ბით დაიტვირთებოდა, ვახტანგ კაბუჯიანის ბუნებას არ ევფებოდა ასეთი პარტია, ამიტომ მის ბიოგრაფიაში ამ ხალხს თითქმის არავი-თარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ მხედვე-ლობაში არ მივიღებთ ცეკვის განსაკვირვ-ბელ ტექნიკას.

1930 წლის 10 ნოემბერი ვახტანგ კაბუჯიან-

¹ ე. ს. ულანოვა, „გედი“ კრებული „ჩაი-კოვსკი და თეატრი“ 1944. გვ. 244.

ნის ცხოვრებაში მნიშვნელოვან თარიღად ითვლება. ამ დღეს 20 წლის ვახუშტის დაეცა რა ლ. შინკელის „დონ-კიხოტში“ ბაზილის პარტია.

ლ. შინკელის „დონ-კიხოტს“ დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ მარიუს პეტრიაშ 1862 წლის 14 დეკემბერს დადგა ეს ბალეტის მოსკოვის დიდ თეატრში, ხოლო 1871 წლის 19 ნოემბერს პეტერბურგში მარიამის თეატრში. მნიშვნელოვან პრესა მიმდინამინე დიდი აღტაცებით არ შეხვდა ამ ბალეტს. იწუნებდნენ როგორც მუსიკას, ისე სცენარს. მუხუბდავად ამისა, დონ-კიხოტი* მტკიცედ დამკვიდრდა სცენაზე და მოცეკვავეთ ძალზე იზიდავდა. ეს ამსწავლა იმით, რომ ბალეტში ბევრი ისეთი ადგილია, რაც საშუალებას აძლევს მოცეკვავეთ საესტეტიკო გამოავლინონ თავიანთი უნარი და ოსტატობა. ვინა თეატრების ისტორიაში ცოტა მავალია შეხვედებით, როცა დიდ ოსტატებს საიმოვნებით ვანუსახებრებიათ მდარე ხარისხის პიესებში რაღები მხოლოდ იმიტომ, რომ თავიანთი ნიჭის ყოველივე მხარე გამოველინებინათ? შორს რომ არ წავიდეთ, ვაიხსენით ჩვენი დიდი მსახიობის ლადო მესხიშვილის მორე განსახებრებელი პარლიევი უზარალო მულოდრამაში — „ის შეშლილი“. ლადო მესხიშვილს პარლიევის შესრულება ისეთ მწვერვალზეამდე აყვდა, რომ უზარალო მულოდრამატრადიის სხეს იღებდა. სწორედ ამიტომაც უყვარდა ლადო მესხიშვილს პარლიევის როლი და, როცა კი საშუალება ეძლეოდა, სიამოვნებით ასრულებდა ამ როლს. ასევე ბალეტის მსახიობისათვის „დონ-კიხოტში“ ბაზილის პარტია. ვახუშტის დღესაც უყვარს ამ ბალეტში გამოსვლა. 20 წლის ვახუშტის „დონ-კიხოტმა“ გაუთქვა სახელი მთელს სამბუთოთა კავშირში. ამ ბალეტის შემდეგ მოეწყო მისი ტრიუმფული გასტროლები როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

დრამატურგიულად სუსტად შეკრულ ამ ბალეტში სერვანტესის რომანის მხოლოდ ერთი ეპიზოდი ადებელი, სახელდობრ, დონ-კიხოტი ხელს უწყობს შეყვარებულთა შეერთებას, რის წინააღმდეგ ნაწყობილია ქალის მამა. ამ სიუჟეტის ვიწრო ჩარჩოში დიდი შესაძლებლობა ეძლევა ბაზილის პარტიის შემსრულებელს დაგვანახოს თავისი ოსტატობა. როგორც აღვნიშნეთ, ბაზილი ბალეტის მსახიობთა საყვარელი პარტიაა, მაგრამ ყველა სხვადასხვაგვარად აქვს ვახუშტის იტორიკონი ბაზილს წარმოვევისახვევს მიაძრე აღამიანად, ზოგნი მოლიერის პიესების გიგანტი ეშმაკობით აღსავსე გონიერ მსახურთ ამსგავსებს, ზოგი რომანტიკოსად წარმოვევისახვეს, ზოგი მყოცნიებე პოეტად. ვახუშტის ვახუშტის ავლენდა ბაზილის გმირულ, გამხდევ და იდამიანურ საწყისებს.

ვახუშტის ვახუშტის ბაზილი ხალხის წილიდან გამოსული გმირია — მიწიერი, სისხლსავსე ადამიანი. ვახუშტის ვახუშტის მიხედვითავე ბაზილი ადამიანი გმირი შეეფერებოდა და ამ ვახუშტის ძეგრწავდა ამ ბაზილის სახეს. მეტად, როგორც ოპერაში, ასევე ბალეტსა და დრამაშიაც კი, მისა და გმირები ცალკე-ცალკე მოქმედებდნენ. რუსეთში პირველად სამხატვრო თეატრმა დაიწყო მასობრივი სცენების მხატვრულ დონემდე აყვანა, შემდეგ მას მიმბაძველები გომოუნდნენ. მასობრივი სცენების ისეთი შედულება, რომ სახანაობის ვახუშტის ნაწილი ვახუშტის მტად მწელია ოპერისა და ბალეტში. ხშირად კორდებალეტია გაათავებს რა თავის საცეკვაო ნომერს, ვადგება ვახუშტის მთავარ ადგილს უთმობს სოლისტებს და თვითონ კი უბრუვი მოწმე ხდება იმისა, რაც სცენაზე მიმდინარეობს. იმ დროს, როცა ვახუშტის ცეკვაობა ბაზილის პარტიას, კორდებალეტის უტყუარ მოწმე კი არა ხდებოდა, არამედ გმირის სულისცეკვითი იმსკვალეობდა, ბაზილისა და მასობრივი სცენების მონაწილეთა შორის კონტრასტი მყარდებოდა. ფიგურანტები მანველები ვით უძრავნი კი არ იყვნენ, არამედ მოქმედებდნენ ისე, როგორც ცალკეად აღამიანები. მისა გმირის სიხარულსა და ტანჯვას ვანიცდიდა, მშვიდით ხდებოდა.

„დონ-კიხოტი“ სახეს იყო როგორც კლასიკური, ასევე სახასიათო ცეკვებით, რომელთა შერწყმის ვახუშტის ვახუშტის ოსტატურად ახერხებდა. რაც მთავარია, ბაზილის პარტიაში ვახუშტის მანამდე ბალეტში ჩრდილი მოცეკვაული ვეის ცეკვა მინაჩონობრივად გამოდებდა, მას გმირული, ვეკაცური საწყისები მისცა და არამედ თუ ვაუტოლა ქალის ცეკვას, ნაწილობრივ დაჩრდილა კიდევ. მანამდე ეს ბალეტის ქალისათვის იყო განუთქვალა. „ვაგონლიერი“ მხოლოდ ხელს უწყობდა ქალს ვევენებინა მავურებლისათვის თავისი ოსტატობა, ვეის დაკისრებული ჰქონდა დავერა ქალი, დახმარებოდა ქალს ცეკვაში და ა. შ. შეიძლება ამითაც იახსნებოდეს, რომ ზოგიერთ სახელმწიფელო მოცეკვავეს არცთუ ისე ეხალისება ცეკვაში პარტიობად კვადებს წარმატების მოცილე ვახუშტის ვახუშტის.

ვინა დრამაშიც აგრე არ არის? არამდ ისეთი დრამატული მსახიობები, რომლებიც ძლიერ პარტიობებს ვაუტობიან — ვაი თუ დამჩრდილოსო. მუშმარტი და ნიჭიერი ხელოვანი კი. პირიქით, ძლიერ პარტიობის ექმებს. ვანვენებულთა უშანე ჩხიქისახვევს ხშირად ვავევიონია — ძლიერ შეშინოდა, როცა ურთიელის როლს ეასახებრებდი — ვაი თუ ძალია არ მუყოს მის დასაძლევად მეტეკი დაროდესაც ჩემს გვერდით ვხდევდი დე-სანტოსის როლის ისეთ ძლიერ შემსარულებულს, როგორც აღვესახებრე იმედამიელი იყო, მეც მტეკი ალა მეძ-

ლეოლო. ვანა იგივეს არ ამბობდა ჩვენი ეპოქის დიდი ბელოვანი გალია ულანოვა, რომ კაბუციანის ზიგფრიდი ჩემს ოდეტას უფრო მეტ ზნერგის მატებდაო.

მოუესმინოთ ცნობილ მოცეკვეს ელენე მიხეილის ასულ ლეკოს, სწორედ იმ მსახიობს, რომელიც თბილისში 16 წლის ვახტანგმა იხილა ოპერის სცენაზე და რომლის ოსტატობამაც იმდენად მოხიბლა, რომ გადამწყვეტად მთელი სიციცხლე ჭორეოგრაფიული ზელოვნიბისათვის შეეწირა. აი, ეს უფროსი თაობის მსახიობი, რომელსაც მოუხდა ვახტანგ კაბუციანთან „დონ-კიხოტში“ ჩელიტას პარტიის შესრულება, წერდა: „ბალეტში დიდი მნიშვნელობა აქვს პარტნიორთან ერთად ცეკვის დაუფლებას, იბოვო მასში ისეთი აღაშინი, რომელიც შენს არტისტულ ინდივიდუალობასთან ახლოს არის და რომელსაც შესწევს ძალა თავისი განსაკუთრებული მხატვრული მანერა შეუფარდოს მეორე შემსრულებლის თავისებურებას. ასეთ იდეალურ პარტნიორად მე მყავდა ბ. ვ. შაეროვი, რომელთანაც მთელი წლების განმავლობაში გამოვდიოდი როგორც სცენაზე, აგრეთვე ესტრადაზე. მაგრამ გამოყოფილ რა შაეროვს, როგორც ჩემს მუდმივ „კავალერს“, არ შემიძლია სათანადო არ მივუბლო ჩემს სხვა ორ პარტნიორს ერთმორავეს და

კაბუციანს, რომლებთანაც ერთად მე ხშირად ვცეკვავდი და რომლებიც ყოველთვის ააშკარავენდნენ თავიანთ დიდ უნარს სცეკვარ ღუბებში“.¹

ვთქვით ცეკვის წინა პლანზე წამოწევამ, ბალეტში ასეთმა სიახლემ სახელი გაუთქვა ვახტანგ კაბუციანს. იგი მთელ კავშირში ცნობილი გახდა. მოვიდა ახალი ცვლა, ცვლა ძლიერი, დიდი ნიჭით დაჯილდოებული, თამაშად შეეძლო ალექსანდრე-ოსტროვსკის გმირის ლეიბიმ ტორცოვიეთ ვთქვა: ვხა| ვახტანგ კაბუციანი მოდის| მოკრძალებულ ვახტანგს, რასაკვირველია, ეს არ უთქვამს, მაგრამ მისი მნახველნი კაბუციის ოსტატობას ვრთხმად აღიარებდნენ.

ენერგიით აღსავსე ბელოვანი გვეზებს აწყობს და ახალ-ახალი პარტიებისათვის ემზადება. ბალეტმეისტრებიც ამ მხრივ ხელს უწყობენ მას, ბჭობენ ამა თუ იმ ბალეტის დადგმაზე. მისი მასწავლებლები და ოდესღაც ბალეტის პრემიერები მოხუცდნენ და პირველი პარტიების შესრულებისათვის ძალა არ ჰყოფნით. ვახტანგის სახით კი ახალი, სამიერო ცვლა მოვიდა.

¹ ბ. ვ. ლეკოვი. „ჩემი მუშაობა ბალეტში“. გვ. 25, 1940 წ.



ნიჭი, შრომა და შეხარტება

საკმარისია ვახსენოთ სერგო ზაქარიაძის სახელი, ლამაზადი ჩამოვადგოთ მის შემოქმედებითს მუშაობაზე თეატრსა თუ კინოში, რადიოსა და ესტრადაზე, რომ მიამჩნევ მისი აქტიორული მუშაობის ირველივ გაიხარებულ კამათი და ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრთა შეჯახება დაიწყოს.

ზოგიერთნი ისე აღტაცებულნი არიან, რომ პირდაპირ ხობას უძღვნიან მსახიობს. ასეთი მკურნალები ცდილობენ არ გამოისტოვონ არც ერთი სპექტაკლი, რომელშიაც კი ს. ზაქარიაძე მონაწილეობს; მათ სურთ კიდევ და კიდევ დასტყვნენ მისი შესანიშნავი აქტიორული ოსტატობით.

სხვანი მას სასტიკად, ყოველგვარი განსჯის გარეშე, სამურველი გონებასმხელილობით აკრიტიკებენ. ნიადაგ დადიან ს. ზაქარიაძის ახალი შემოქმედებითი ნამუშევრების სანახავად, თუმცა წინდაწინვე იციან, რომ არ დაეთანხმებიან მას როლის გაგებაში. სერგო ზაქარიაძის ნიჭის თაყვანისმცემლებიც და ისინიც, ვინც მასზე უარყოფით აზრს გამოასტევენ, მინც, მუდამ გატაცებითა და გზნებით ლამაზობენ მისი ნამუშევრების შესახებ განტრჩეველ ამბას, ეხება ეს მსახიობის შემოქმედებითი გამარჯვებასა თუ მარცხს. პოლემიკით გატაცებულნი ზოგჯერ აქარბებენ კიდევ, მაგრამ ერთი რამ კი უდავოა: არ შეიძლება ილაპარაკო სერგო ზაქარიაძეზე გულგრილად, უხალისოდ, გაყვრიტა და სხვათა შორის, ისე რომ თემას მხოლოდ ოდნავ შეეხო.

ლი შმაგიც. მაინც როდესაც ავტორი სამართლიანად არ ზოგავს მხატვრულ ხერხებს იმისათვის, რომ დახატოს მთავარ დადიანისა, მისი ვარემოციის და აგრეთვე ყიფიანის ზნეობრივი დაცემულობა და ვერაგობა რაც შეიძლება პოეტიკურ საღებავებით. საქმე ისაა, რომ გელოვანთა და დადიანების შორის ქიშპია ჩამოვარდნილი. ეს ქიშპი ემყარება ფეოდალურ წყობას და არა იმდენად გვირუგის ინდივიდუალურ ხასიათებს (ცხადია, მნიშვნელობა ამასაც უკონდა. ივრანობა, რომ ფეოდალურ ანტიგონიზმს თითქმის ატავისტურად ავტორივე განიხილავს და მთელი მისი თანავარსებობა მთავარ გელოვანის მხარეზეა). ისე გამოდის (შეიძლება ავტორის საინადალმდეგოდ), რომ მთელი ბოროტება ყიფიანისა და დადიანისა მოთავსებული, ხოლო გელოვანი უფრო კეთილშობილების განსახიერებაა. ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ რომანის მიხედვით არ ჩანს ვარკვევით არსებობს თუ არა რაიმე სო-

ციალური ხასიათის წინააღმდეგობა გელოვანსა და მის ყმებს შორის. ამ შემთხვევაში თითქმის ეს წინააღმდეგობა მოხსნილი ჩანს. გელოვანთა წარმომადგენლები ყველანი რაინდებია, ქალი მუშათაი კი გმირულად ეცემა ბრძოლის ველზე. გაიდვალზებული მეჩვენება მზიას სახეც. ის აკმაყოფილებს ხალხის ყველა მოთხოვნილებას. გაიგებს თუ არა, რომ მისი შვილი შმაგი ვატა-ცემულია გლეხის ქალიშვილით ასმათით, უმალვე თანხმობას აძლევს შვილს შვირთოს ასმათი. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ავტორის ლაღატობის რეალისტური აღლო, რამაც საშუალება არ მისცა დიდ ილიას დაეკავშირებინა გლეხის გიორგის ბედი კესოსთან. ამ შემთხვევაში უფრო რეალისტრად უდგება საკითხს ასმათის მამა — მშრომელი გლეხი.

მიუხედავად აღნიშნული და სხვა წერტილისა ნაკლისა, რომანის შემეცნებითი და აღმზრდელი მნიშვნელობა უდავოა.

შალვა ავახიძე.

ოთარ ჰელიძის „რჩეული“



ოთარ ჰელიძე სამწერლო ასპარეზზე ჯერ კიდევ სამაშველო ომამდე გამოვიდა. მაგრამ განსაკუთრებით შემოქმედებით სიმწიფეს და მხატვრულ ოსტატობას პოეტმა უკანასკნელ წლებში მიიღწია. ამაზე ნათლად მეტყველებს გამოცემული „საბუთთა საქართველოს“ მიერ აღზახან გამოცემული მისი თხზულებათა „რჩეული“.

წიგნის პირველი განყოფილება მიძღვნილია ბალადებისადმი. ბალადა პოეზიის ურთულესი ძანრია. ქართულ ბალადას საქმიოდ მდიდარი ტრადიციები აქვს და ამიტომაც ყოველთვის გაჩვეული ადვილი ეცირა მას ქართულ პოეზიაში. საქმარისია გავისხნოთ ხალხური „ბალადა ვეფხვისა და მოყმისა“, რომელიც ქართული პოეზიის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს და აგრეთვე მთელი რიგი ბალადებისა როგორცაა: ი. ჭავჭავაძის „ბახალეთის ტბა“, გ. ჭეჩიშვილის „ჯაჭვის ხიდი“ და სხვა შრავალი. სამწებაროდ, თანამედროვე ქართულ პოეტთაგან ცოტანი შემოაბუნ პოეზიის ამ ძანრში. ო. ჰელიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ნაყოფიერად აგრძელებს ქართული ბალადის მდიდარ ტრადიციებს. მისი ბალადები: „ვეფხვის ბალადა“, „ქარწანისზე მწარე წიწმურთა“, „მინდერის მპრანებელი“, „ომის დროინდელი ბალადა“, „მკედლის სიგელი“ და სხვ. შეიძლება თავისუფლად დავაცუენოთ ქართული ბალადების შესანიშნავი ნი-

მუშების გვერდით. საილუსტრაციოდ ავიღოთ ბალადა რომლითაც წიგნი იხსნება. ეს არის „ვეფხვის ბალადა“. მას საფუძვლად ზღაპრული სიუჟეტი უდევს: გამშივნარებელი ვეფხვი მთვარეს გამოედევნება დასაქვრად და მისდევს მას დუნკრულდებოც. სანამ არ წაწყდება „მთების ძირას სიზმრად ნახულ მხარეს“. ეს სიზმრად ნახული მხარე საქართველია. ვეფხვის ისე იტყვევებს არნახული სიღამაზე, რომ „დააიწყდა, მალალ მთებთან რისთვის გამოიქცა“. ვეფხვი შედგა ვადახედა ბაღნარებს, მთებსა და ველებს, იალალებს, არავს და ივრანო, რომ აქედან წასახველია ვა არა აქვს. დიღხანს იდგა ასე გაქვავებული, სანამ ტყვიამ ძირს არ დასცა და შემდეგ კი როგორც პოეტი ამბობს:

გაწვა ვეფხვი ტიალ ვახზე.
მიწას უწყო ლოკვა;
საქართველოს სიღამაზემ
ასე ბეჭის მოკლა. (გვ. 4).

ბალადა უაღრესად პატრიოტულია თავის შინაარსით, იგი ღრმად წვდება მკითხველის გულს.

ილიას სახე ბევრი ქართველი პოეტის მთავონების წყაროდ ქცეულია. ოთარ ჰელიძეც ამ მხარე გამოჩაყლისა როდია. პოეტი მწარედ განიცდის „ღვრთყაის“ ასე ტრაგიკულ და-

ლტებს. ბალადში „კრწანისზე მწარე წიწამურია“ პოეტი ერთმანეთს უპირისპირებს კრწანისისა და წიწამურის ტრაგედიებს. ცნობილია, თუ რა მწარედ განიცადა კრწანისის ტრაგედია ქართველმა ხალხმა. პოეტის აზრით ილიას მკვლელობა კრწანისზე უფრო მძიმე ტრაგედია იყო ქართველი ხალხისათვის, რადგან წიწამურთან ზვედ დავარავეთ „საქვეყნო ტანის ვაშწევი“, „სამშობლოს სინდისი“ დიდი ილია. ბალადა მოაგრდება მოწოდებით:

პოეტის სვეტთან დადგეთ მცველებად,
 ლექსების წყარო ვისაც გეწუროია, —
 სამშობლოსათვის გახასხანებულად
 კრწანისზე მწარე წიწამურია. (გვ. 8)

წიგნში მინშენელოვანი ადგილი უჭირავს თანამედროვე თემებზე დაწერილ ბალადებს. პოეტი გატაცებით უძღვრის სოციალისტურ სამშობლოს, შრომის გმირებს, „მინდვრის ბრძანებლებს“, „კოპუნინშიის მახარობლებს“, რომლებიც თავიანთი გმირული საქმეებით არამარტო ბრწყინვალე მომავალს სჭედენ, არამედ ამით მშვიდობის საქმესაც დარაჯობენ. პოეტს შესანიშნავად აქვს ეს აზრი გადმოცემული ბალადში „მინდვრის მბრძანებელი“:

როგორც მინდვრის მბრძანებელი
 იდგა ვოვო, ჩვენებური,
 შტრედს აფრენდა ცალი ხელით,
 ცალში ეპურა ხელეური. (გვ. 43).

მალამხატვრული ისტატობით ხასიათდებიან აგრეთვე თანამედროვე თემებზე დაწერილი სხვა ბალადები: „სიკოცლის ღენი“, „კახეთის საოკრება“, „აღმორენა“ და სხვ.

სამშველო ომის თემას ითარ ჭეღისის შემოქმედებამი გარკვეული ადგილი უჭირავს. ომის თემაზე დაწერილ მის ბალადებში ჩანს საბჭოთა მეომრებისათვის დამახასიათებელი გმირული სული, ვეპაკეტი შემართება, სამშობლოსადმი თავდადება, პატრიოტიზმი. მთავალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მისი „ომისდროინდელი ბალადა“. მძიმე ბრძოლისაგან დაქანებული მეომრები მთელი დღე ეძებდნენ წყაროს წყურტილის მოსაკლავად. ბოლოს ხევე ერთ პატარა ნაკადულს მიივინეს. მაგრამ ელდისაგან მთარები ძირს დაუვარდათ მებრძოლებს. რა მოხდა? წყაროსთან ეგდო მომკვდავი პატარა ბიჭუნა, რომელიც მისუსტებული ხმით დედას ემსახა და წყალს ითხოვდა. მეომრები გარს შემოეხევიდნენ პატარას:

ვაყრიალათ დევგმირებს,
 ხმა რომ მოესმათ პატარის,
 ბალს წყალი დააღვიენეს,
 აღარ სწყუროდა არავის. (გვ. 35).

წიგნში შეტანილია აგრეთვე ისტორიული თემებისადმი მიძღვნილი ბალადები, რომლებშიც დანაც განსაკუთრებით გამოირჩევიან „ქალაქის გული საფლავი“, „ხვამლის ხანდაღმსწამისა“ სხვ.

წიგნის მეორე განყოფილება მთლიანად ლირიკულ ლექსებს აქვს დთმობილი. ამ ლექსებისათვის დამახასიათებელია მალალი პოეტური კელტერა. მათი თემატიკა მრავალფეროვანია. პოეტი გულწრფელად ემსოღის აყვავებულ სამშობლოს, შთამავრებლად ღვიხატავს საქართველოს ლამაზ პეიზაჟებს, დიდ აღმთიანურ განცდებს: სიყვარულს, შეგობობას, კეთმოყვარეობას, მშვიდობას. პოეტს ხბლავს უბრალო საბჭოთა აღმთინები, რომლებიც გეშინ გმირულად იბრძოდნენ სამამულო ომის ფრონტებზე, დღეს კი მშვიდობიან შრომის ფერხულში ჩაბმულან: (ლექსი „კახაბრძე“), პოეტს სწამს რომ ბედნიერია აწმყო, მაგრამ კიდევ უფრო ბრწყინვალეა ჩვენი ქვეყნის მომავალი (ლექსი „ოცნება ზეინებთან“).

ითარ ჭეღისის შემოქმედებამი სიყვარულს, ამ უღატესად მალალსა და კეთილშობილურ აღმთიანურ გრძნობას, მინშენელოვანი ადგილი უჭირავს. ამ თემისადმი მიძღვნილი ბეერი კარგი ლექსი, რომლებსიც დანაც განსაკუთრებით გამოირჩევა: „ეს არ ვიცი, არა!“

ტირითების სისარული ვიცი,
 და ნიბლიას გული მომიპარავს.
 ვიცი ყველა. შენ ეილასგან იწვი,
 ჩემო კარგო, ეს არ ვიცი, არა! (გვ. 116)

მიმართავს პოეტი სიყვარულ არსებას და შეიბეღელიც ამ სტრიქონებს ვანიცდის როგორც ამალღებულ სიმღერას სიყვარულზე. ლექსი მეტად მუსიკალური და აღმათ ეს არის მიზეზი, რომ იგი სიმღერად იქცა.

ითარ ჭეღისისათვის დამახასიათებელია სინამდვილის ერთი შეხედვით შეუმჩნეველი, უბრალო მოვლენის დიდ პოეტურ ფორმებში წარმოსახვის უნარი, რაც ასე აუცილებელია ქვემარტი ბელოვანისათვის. ამ თვალსაზრისით განვიხილოთ ლირიკული ლექსი „ნატერა“.

ეს არ ჰევაჩებია ახალგაზრდობის დროს, ვის არ ჰქონია პირველი გატაცება? ვასულა წლები, ბედს ერთმანეთს დაეშორებოვართ, სახზე ნოკები ვაგვჩენია, თმებში ჭლარა, მაგრამ ის პირველი გატაცება, ის წმინდა გრძნობა, ჩვენს მეხსიერებამი ქვეცნობიერად ისე შემონახულა, როგორც ყრმობის დროს იყო. ეს აღმთინის სულისათვის დამახასიათებელი ერთი შეხედვით შეუმჩნეველი მოვლენა, შესანიშნავად გადმოკვცა პოეტმა:

მასთან ხად არ მირბენია
 და როდესაც მარტო ვრჩები,

ვერც კი წარმოადგენია მის ლაწებზე ნაოქები. (გვ. 84).

მაგრამ აღმნიშნული სინამდვილესაც ხომ უწევს ანგარიშს და როგორც პოეტი ამბობს:

ეგებ მოკვავს ჩემზე უფროსს და მის შებღბუეც ღარებია, საღმე გამოშენაუროს, თუ ბაღლობა ჰყვარებია. (იქვე)

ნატრობს პოეტი და ეს ნატვრა მართლაც რომ აღამიანერია.

საქართველოს ბუნების სილამაზე პოეტისათვის მთავრობის წყაროდ ქცეულა. პოეტი უმღერის, ვიშობობის მთებს, ალაზანს, აქორილ ტყეებს, სამშობლოს კრიალა ზეცას და ყველანა გრძნობთ, რომ ო. ჰელიძე ქვეყნარტო პოეტური აღმადრწინით და მხატვრული სრულყოფით გვიხატავს ბუნების ამ შესანიშნავ სურათებს. ავტორი კარგად უხამებს თავის პირად სულიერ განცდებს ბუნების მოვლენებს. ზამთარში ფოთლებშეშობარცეული ცაცხვის ხე პოეტს თავის დაკარგულ პირველ სიყვარულს აგონებს. იგი ასე მიმართავს „მეგობარ“ ცაცხვის ხეს:

ვაგვიღია ქარში კაბა და ირხვეი სინანულით. შენ ფოთლები დაეკარგავს შე — პირველი სიყვარული. (გვ. 117). („მეგობარო ცაცხვის ხეო“)

მეოთხეულის ყურადღებას იმსახურებს აგრეთვე ლექსები: „ამარილი“, „ალაზანი“, „გომბორი“ და სხვ.

ოთარ ჰელიძე წარმატებით მუშაობს ეპიურ ენარში. მის შემოქმედებაში პოემებს თვალსაჩინო ადგილი უქირავს. სარეცენზიო წიგნში შეტანილია უკანასკნელ დროს სხვადასხვა პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ოთხი პოემა.

პირველი პოემა „ბექა ხემაღაძე“ სოციალურ საკითხს ეხება. პოემის მთავარი გმირი ბექა ომიდან დაპრტილი ბრუნდება შრობლიერ ქალაქში, მის ჩამოსვლას დაერთო მამის ვარდაცვალება. ომგადახდილი ვაჟაკო სრულიად მარტო რჩება. ბუნებრივია, რომ აღმნიშნული სიმართლეში ბედნიერებას ვერ ჰპოვებს და ბექასაც თავი უხედურად მიჰანია. ფრონტზე ვაჟაკურად ვალმოხდილი აღმნიშნული ცხოვრების გზაჯვარედინზე ერთგვარ მერყეობას განიცდის. მას სურს ჩაებას მშვიდობიან შრომის ფერხულში. იგი ეძებს სამუშაოს, მაგრამ ამ გზაზე მთელ რიგ დაბრკოლებებს აწყდება. პოეტი ამ გზას შეღამაზებულად

როდი ხატავს, ამიტომაც, რომ პოემის/ეს ადგილი დიდი დამაჯერებლობითაა შევსებული. ბექას ცხოვრება უშინაარსოდ უნდა წარმოგვიდგინდეს, რომ არა ჰყავს მეგობარი, რომელიც გვერდში ამოუდგება და გაიზიარებს ცხოვრებისეულ სიტყვო-სიმწარეს.

მაგრამ ბექა მარტო არ არის. იგი შრობლიერ ქალაქშია, აღმნიშნები ზურგს არ შეაქცევენ მას. ისინი ბექას გვერდში ამოუდგებიან და ხემაღაძეც ჩაებმება ცხოვრების ფერხულში.

პოემის ფინალი იძლევა ერთგვარ დასკვნას საბჭოთა აღმნიშნების ცხოვრების სინამდვილის შესახებ.

ხალთა მშობისა და მეგობრობის თემას ოთარ ჰელიძის შემოქმედებაში ერთერთი წამყვანი ადგილი უქირავს. ამ თემისადმი მიძღვნილი მისი პოემა „ბრინჯაოს მასპინძელი“.

სამამულო ომის მრისხანე დღეებში, ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ერთად იბრძოდნენ ქართველი და უკრაინელი, რუსი და აზერბაიჯანელი. ომმა კიდევ უფრო შეადღება მათი კავშირი და მეგობრობა. პოემაში კარგად არის დახატული დიდი სამამულო ომის მებრძოლების — ქართველი შოთა გერაძის და უკრაინელი ვიქტორ მედაროვის სახეები. ბრძოლის ველზე უკრაინელი ვაჟაკი ქართველ მეგობარს სიკვდილს ვადაარჩენს. გაღის წლებში, მთავრდება ომი, მშვიდობიან შრომას დუბრუნდნენ საბჭოთა აღმნიშნები. მშვიდობიან შრომის ფერხულში ჩაება ომგადახდილი ქართველი ვაჟაკო შოთა გერაძეც. იგი აგრძელებს და ამ საქმით ემსახურება ხალხის კეთილდღეობას. პოემა იწყება სწორედ იმ აშბით, როცა ქართველი ხალითა და ნარინჯუბით დატვირთული გემით აგრძელებს შოთა გერაძე თავის მეორე სამშობლოსაკენ — უკრაინისაკენ მიემართება. პოეტს კარგად აქვს გადმოცემული გემის ბაქსზე მღვარი ომგადახდილი მეომრის სულიერი განცდები, გერაძის მებრძობების თანდათანობით აღდგება სამამულო ომის დროინდელი სურათები, აღდგება მებრძოლი მეგობრების დაუფიწყარი სახეები. გერაძეს სურს იხილოს ნაომარი მხარე — ყირიში ისევე ავადებულა, როგორც მისი სამშობლო საქართველოა, სწორედ ამიტომ წამოვიდა საქართველოდან. მას სურს იხილოს აგრეთვე უკრაინელი მეგობარი ვიქტორი, რომელსაც ბედმა ასე მოულოდნელად დააშორა. გერაძე მადის ვიქტორის მშობლიერ სოფელში მეგობრის შესახებდრად. მას მართლაც ხედება ვიქტორი, — ხედება მაგრამ, არა ცოცხალი არამედ, როგორც ბრინჯაოში ჩამოსხმული მასპინძელი:

უცებ ღიმილი მოხედა გზოდან, უცებ შეიწრო სახე კეთილი,

იღმა ვაჟაკი და არ იძროდა,
ბრინჯაოსაგან გამოყვებითი,
(გვ. 217)

იღმა სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი
სახელოვანი ვაჟაკი „დაბადებული ქვეყნად
მეორედ, გადარჩენილი ვით უკვდავება“.

პოემა კარგი პოეტური ვინაა და აწერბილი
და იკითხება დიდი ინტერესით. იგი გამოირჩევა
მხატვრული სრულყოფით და თემის აქ-
ტუალობით.

ქველი დროის სოციალურ უკუღმართობას
ეხება პოემა „ჩვენებურები“. სილატაკიათა და
გაქირვების წელში გაწყვეტილი რაბუელი
გლეხობა ლექსაბუების საძიებლად იძულებუ-
ლი იყო სახლდარგარეთ გადაჯარგვლიყო.
ისინი შორეულ ამერიკაშიც კი მიდიოდნენ.
მეგრამ სილატაკე და ეუფლებობა მათი შედ-
მივი, შოუშორებელი თანამგზავრი იყო. ამას
ზედ ერთოდა სევედა სამშობლოზე და ბევრმა
მათგანმა უცხოეთის მიწაწყალზე დალია ტან-
ჯული სელი. პოემაში ნათლადაა გატარებული
ის აზრი, რომ სამშობლოს გარეშე არ არსებ-
ობს ბედნიერება, თვით ზოგიერთი „იღბლი-
ანიც“ კი, რომელმაც ცოტაოდენი სიმდიდრე
იმოვა უცხოეთში, უბედურია, იმით რომ
სამშობლო დაჰყარა. მკითხველს სჯერა უც-
ხოეთიდან შინ ბედით დაბრუნებული ერთ-
ერთი ქართველი მეზღვაურის გულიდან ამო-
კვნილი სიტყვები:

ჩვენ გვიჩვენია ეს სუფთა,
თბილი კერის ნაცარი,
ჩვენი სამკვდლოს ნაცარი,
მამულის ნაცულად ვის უნდა
ოქრო და მამინაცული.

(გვ. 244)

მკითხველის ყურადღებას აპყრობს აგრეთვე
„ჩრეულში“ შეტანილი პოემა „ორი მარაბ-
დელი“, რომელშიც პოეტი დიდი სიმწიფით ვე-
ხატავს ჩაგრული ხალხის ქოშაგის სიკეთელე-
რი უკუღმართობის წინააღმდეგ მამაცურად
მებრძოლ, არსენას სახეს, არსენას სა-
მართლიან ბრძოლას თანაგრძობის მეორედ
დიდი მარაბდელი, სოციალური უკუღმართო-
ბისაგან განაწამები, ჩვენი სასიკეთლო პოე-
ტი ნ. ბარათაშვილი. სწორედ ეს არის პოემის
დედა-აზრი.

სარეცენზიო წიგნის მიმართ გვაქვს რამდენ-
იმე შენიშვნაც: წიგნი ატარებს „რკჷლის“
ხასიათს, მასში შეტანილი ნაწარმოებების იგი
ამართლებს ამ სახელწოდებას, მით უფრო
გაუგებარია ჩვენთვის რატომ არ არის შეტა-
ნილი პოემა „ქიტესა“, რომელიც თავისი
მხატვრული ღირსებით ერთერთი საუკე-
თესათგანია ოთარ ჰელიძის შემოქმედებაში.
კარგი იქნებოდა აგრეთვე, რომ ყველა ნაწარ-
მოებს ქონოდა თავისი დაწერის თარიღა, რათა
მკითხველს უფრო ნათელი წარმოედგება ჰქო-
ნოდა პოეტის შემოქმედებით ზრდაზე. წიგნ-
ში მართალია ცოტა, მეგრამ მაინც გვხვდება
ცალკეული უხერხული გამოთქმანი, მაგალი-
თად, „ფეხების მოყვები სკოლის გზაში“
(გვ. 171), „ვიცან თვალები წყვილი ცრემლი-
ვით“, ბუნდოვანია შედარება:

მშუის სიღრმიდან ფარხმალს ამოკერის,
როგორც სამოთხის მკვიდრებს გაპარცულს
(გვ. 167)

ოთარ ჰელიძის „ჩრეული“ კარგი შენაძენია
ჩვენი ლიტერატურისათვის. ამ წიგნით პოეტი
ქართველი მკითხველის წინაშე წარსდგა, რო-
გორც მოწვეული და ნიჭიერი შემოქმედი.

ბ. მუსხიშვილი

ანდრია სინაურის ლექსების კრებული



„მზე და გული“ ასე ეწოდება პოეტ ანდრია
სინაურის ლექსების კრებულს, რომელიც ახლა-
ხან გამოისცა „საბჭოთა მწერალმა“ (რედაქტორი
მ. ფოცხიშვილი).

სამოქალაქო ომის ვეტერანი, ბრუსილოველი
ანდრია სინაური სწორედ მაშინ წამოაჩოქა ომში
მიღებულ ჭრილობებმა, როცა ქვეყანა მშვი-
დობიან ცხოვრებას შეუდგა. უკვე ოცთათქმს-
მეტ წელზე მეტია, რაც იგი რკინის სარეცელს
ეკიდება, ეკიდება გმირულად, ვაჟაკურად.

დავრომილობა — მძიმე სენია, დავრომილი

პოეტი თითქოს წარმოუდგენელია. პოეზია
ხომ თვალთ ნახულისა და გულთ განცდილის
ლექსად ქვეყანა: პოეტის საზრდოდ მარტო მო-
სმენილი და წაკითხული რომ არ იკმარებს, ეს
ანდრიაშიც კარგად იცის და მას ხშირად ნახვით
საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მანქანით გა-
ჭროლილს. იგი დაესწრო სამგორის არხის გახს-
ნას, ესტუმრა რუსთავს, ზელი შავლო თბილი-
სისა და გუმათის ახლადშენილ ზღვათა ტრ-
ლებს. იგი გეგუთის თუ გელათის, სვეტიცხოვე-
ლის თუ ბაგრატიის ტაძართა ხშირი სტუმარია.



ხშირად ნახავთ მას კინოსა და თეატრში — მას უველაფერი აინტერესებს, რაც ჩვენს დიად სამშობლოში ხდება. ხალხი, აღამიანები ხომ მისი მუდმივი გარემოა. ლექსისმოყვარულ ქუთაისში ტრადიციად დამყვინდობდა ანდრია სინაურთან სტუმრობა, მის კომწია ეზოში ლიტერატურული შეხვედრა-საღამოების გამართვა. ამიტომ მის წიგნში ვერ იპოვით დაერდომილის უნუგემო მოთქმას, ვერ იპოვით უყურნებულ ხედას. ის ნაღველი, რომელიც მძიმე ხვედრის შქონე პოეტის სტრატეგიაში ნახად იღვრება ცხოვრებაზე ღრმად დაფიქრებული მგოსნის ნაღველია. იგი ფიქრია ქედღდრეკი ჯარისკაცისა, იგი ფიქრია მამისა, რომელმაც ერთადერთი შვილი დიდი სამამული ომის პირველსავე დღეს უნივერსიტეტის მერხიდან ზვარაკად გაგზავნა სამშობლოს სამსხვერპლოზე.

წიგნში „მზე და გული“ ასამდე ლექსია შესული. წიგნი რვა განყოფილებისაგან შედგება. იღვერ-ქმხატვრული თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევიან ციკლები — „მამულის ბაღში“, „მეგობრობის თაიგული“, „შვილზე და ცხოვრების თანამგზავრზე“ და „ფიქრთა წაღკოტში“. შედარებით სუსტადაა მოცემული განყოფილება „მებრძოლის დღიურიდან“, სასურველი იყო უფრო ერთადე წარმოედგინა ციკლი „ადრთან კახეკობის რვეულიდან“.

წიგნი იხსნება ლექსით „რომ არ მიყვარდეს“, რომელიც ერთგვარ ვასაღებს წარმოადგენს არა მარტო ამ წიგნის, არამედ სინაურის მთელი შემოქმედებისას. ამ ლექსში პოეტის უპრეტენზიოდ, ლაყონიზად გადმოგვცემს თავისი ცხოვრების მიზანს, მასაზროლებელ ფესვებს:

რომ არ მიყვარდეს ამ ცის მზე, მთვარე,
ეს ბარი,
ეს მთა, ამ მთის ჩანჩქერი,
მამინ სხვა არის —
მიუხედავადი კარებს ჩემს თვალებს
გრძელ დამეშიაც დიად დარჩენილთ,

რომ არ მიყვარდეს ეს რუ, ეს დედე,
ეს ნატერისწყარო,
ან ეს მდინარე,
მამინ რა ვიცი —
ამოვიდებდი მეც თავქვეშ ხელებს
და ვიძინებდი აღმათ დილამდე.

პოეტისათვის წმინდათაწმინდაა უველაფერი, რაც დაკავშირებულია სამშობლო — საქართველოს სახელთან. ამ წიგნში ჩვენს წინაშე ცოცხლდებიან სახელოვანი წინაპრები შოთა და გურამიშვილი, სოლომონ ლეონიძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი, პეტრე ბეგრატიონი და არსენა ოძელაშვილი, კოტე მარჯანიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი და სხვები. ჩვენს წინ იშლება ნაღველიანი და ზეაღი სურათები ძველი ციხე-ტაძრებისა, რომლებიც პოეტს ქართული ხალხის ნიჭიერებისა და უბედობის გამომხატვლებად მიჩანია.

პოეტი ხატოვნად გადმოგვცემს „თუ საქართველოს ღრმში რა უთქვამს დაეჭყაღდეს მკერდი როგორ უცემდა“.

განუთვალდება „მეგობრობის თაიგული“ დაბეჭდილი ლექსები „კომინტერნის ქუჩა“, „მასპინძელი კასპისა“, „ლამისკანელი ბელბული“, ლექსები გოგონაზე, პეშინზე, ღერმონტოვზე, ლესია უკრაინკაზე უმღერთან ქართველი, რუსი და უკრაინელი ხალხების ძმობას. პოეტს ხიზნაღეს კიევის თვალისწინი — კრესხატკია, რადგან „მოკეთია, შორეულად ვანი ვიცი, ჩემს წინაპრებს ამ გამოხრზე უფლიათ“. პოეტს ახარებს შობილიერ ქუთაისში ბალთან გავლა, რადგან:

ამბობენ ამ ბაღში ლესიას უფლია,
ტუბუბოდა ამ ლამაზ ჭადრების შრიალით,
ლესია... ლესია ბუბუბულის გულია —
მისის, მზისა და ვარდების ტრფილი.

მგრანობიარე მამისა და ერთგული მეგობარის გულია გადამწილი ლექსების ციკლში „შვილზე და ცხოვრების თანამგზავრზე“. ეს ლექსები, აღსაყენი უარესად თბილი და ამაღლევებელი გრანობებით შორდებიან საალიომო-ინტიმურ სფეროს და მაღალი საზოგადოებრივი იდეალების შემცველი არიან. პოეტი მოკრძალებით აღდგებს თავის მეგობარის მამურობას, აღნიშნავს თაღადებებს ქართული ქალისას, რომელიც „ციკაბ აღმართზე“ მარტოდმარტო ეწევა ქართული დედისა და ერთგული მუდღის მძიმე ჭამას. პოეტის ფიქრი თავს დასტრიალებს შინ მოუსვლელი შვილს, ვაკურებს ვახს, რომლითაც ომგადამბილი უნდა დაბრუნდეს, შერს მთვარის სიმაღლე, რადგან მთვარე უველაფერს ხედავს. „გზამ თუ დაქანდა, შევეგებებო, დღლილ შვილს ჩემს გულს ვყვარუნად ვახარო“ — შეპლადაღებს მგოსანი მწაითბს. ბუნებრივად და ამაღლევებლად იმის მამის გულსკენსაც:

დაცოლშვილდუნენ შენი კბილა ვაყები და
დაქმარშვილდუნენ შენი დროის გოგონებიც,
შენ რას ფიქრობ? ჩვენ ეი მუდამ ვინაფრებით
ამ ამბავის მოგონებით.
ჩვენც გვიდლოდა შვილიშვილთა გუნდში
მღერა,
ზღაპრების თქმა... მოვესწრებით? არვი
იყინს..

ამ ტოელ გულს ზღვა არ ჰქვია, მინც დღღავს,
ზღვა თუ არის, რატომ იწყის?!

წიგნში დიდი ადგილი უკავია განყოფილებას „ფიქრთა წაღკოტ“. ამ ციკლის ლექსთა ღრმადი გმირი მინორული ტონით ესაუბრება საყენებე მინარულ ჩიტუნას „მომამე, თუ სად დაიდგი ფაცხა, შვილები თუ გყავს და როგორ უვლი“, ფიქრობს „ეს განთიადი ვინდა შექმნა ასე ექრიალა“, ესაოთება საფერფლის ჯამზე ჩამოხჯდარი ნიბლიას, რომელიც გაუტყენია ოცუნებას „რომ გაოგოს ვარსკვლავიც თუ ბერდება“.

მოქმედებს მეგობრებ, „ტატოს აკლამის ბა-
ლაყარში ბურჯად ჩამკირეთ, ბარათაშვილის სა-
დღეგრძელოდ ამას ვავადებთ!“ ამ ლექსების
ლირიკული გმირი როდი გოდებს ფიზიკურ და-
კარგის მკოდნე, რატიმისტრები კაცთმოყვარული
გრძნობებით სავსე აღმზანია, რომელმაც იცის
ფასი დღევანდელი დღისა, ფასი წარსულისა და

ნათლად სჭკრეტს ჭვეყნის ბრწყინივალ მოზა-
ელს.
ანდრია სინაურს ბევრი ლექსი...
პოემა აქვს გამოქვეყნებული. ნაწილობრივ გა-
მომცემლობებმა იზრუნონ პოეტის რჩეული გა-
მოსაცემად. ბრუსილოველი ჯარისკაცი, ნიჭიერი
პოეტი და სამავალითო მამულიშვილი კიდევ უფ-
რო მეტი ყურადღების ღირსია.

სამარო შიშვილი

ოთარ დემეტრაშვილის მოთხრობები



ვერნალ „მნათობის“ 1946 წ. 26 ნ-ში ერთი
პატარა მოთხრობა დიბეჭდა. მას სახელად „წე-
რო“ ეწოდებოდა. ავტორი ოთარ დემეტრაშვი-
ლი — მაშინ ჯერ კიდევ სრულიად უცნობი იყო.
ეს მოთხრობა შეთხვევლა საზოგადოებამ კარ-
გად მიიღო, იგი ამდღევანდელ ახალგაზრდა პრო-
ზაიკოსს მასველ თვალს და თხრობის უნარს.

ოთ. დემეტრაშვილმა ამის შემდეგ კიდევ სამი
მოთხრობა გამოაქვეყნა იმავე ვერნალში. ვისაც
წყალობელი აქვს „წერო“, „წითელი ვაშლები“,
„კარგადღმა მენობელი“ და „დაზლიდარის ხე-
შიაი“, უთუოდ დაგვეთანხმება, რომ ოთ. დე-
მეტრაშვილის სახით თანამედროვე ქართულ
პროზას მოემატა საიმედო ძალა.

ოთ. დემეტრაშვილი წერს კარგი ქართულით,
თითქმის ყოველი მისი ფრაზა ძალდაუტანებელია
და მოქნილი. იგრძნობა სიტყვიერი მასალისადმი
დღივ პასუხისმგებლობა. ახალგაზრდა პროზაი-
კოსს ლექსიცა მდიდარია და ძარღვიანი. იგი
ხშირად იყენებს თითქმის მივიწყებულ ქართულ
სიტყვებს, განსაკუთრებით ქალაქური დიალექ-
ტიდან: ლირფი, თითლობაში, ყადრი, ნუგბარი,
ყუათიანი, ყაელი, მითელი, ბედასლი და სხვ.
პრაველი. რაც მოთხრობებს თავისებურ კოლო-
რიტს აძლევს.

რაც მთავარია, ოთ. დემეტრაშვილი შეძლე-
ბისდავებრად ავრძელებს ქართული კლასიკური
პროზის ტრადიციებს, როგორც თემების, ისე
მათი დამოშვების მხრივ. ეს მით უფ-
რო აღსანიშნავია, რომ დღეს ზოგი ჩვენი ახალ-
გაზრდა პროზაიკოსი ყურადღებას არ აქცევს არც
ქართულ ენაზელ ხასიათსა და არც ქართული
ენის პრინციპებს.

ოთ. დემეტრაშვილის მოთხრობები ახლახან
ცალკე წიგნად გამოცა „საბჭოთა მწერალმა“. უდაზე
დახატულია თბილისის ძველებური უბანი,
ტრადიციული ქართული აივნთა და დამრეცი
ქუჩებით. შორს კი, მამადავათზე აღმართული სა-
ტრეღვიზიო ანა მონანს... წიგნის საერთო სა-
თაურდიანვე ნათლად ჩანს თუ რა არის ახალგა-

ზრდა ავტორის მოთხრობების მთავარი თემა —
„ჩემი უბანი“. დიას, ოთ. დემეტრაშვილის გმი-
რები ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი უბნის
მცხოვრებლები არიან.

ეს უბანი არ არის ახალი, კომფორტაბელური
ბინებიანი კორპუსებით გაშენებული, იგი უფრო
ძველი თბილისის „გაღმონაშთია“, თავისი ოკრო-
ზიკრო ქრებებითა და ეწრო ჩიხებით. ამ უბანში
ჯერ კიდევ ნათქვარაზე აწაღებენ კერძს საერ-
თო სამზარეულოში და არც მაცივარ-ტრეღვიზო-
რები ხშირი. მაგრამ ამ უბანში ცხოვრობენ ჩვე-
ნი საბჭოთა აღმზანები, უბრალო მშრომელი
ხალხი.

აი, სწორედ თბილისის ასეთი უბნის აღმზა-
ნებს აღწერს ოთ. დემეტრაშვილი თავის მო-
თხრობებში, სწორედ მათი, თითქმის უმნიშვნე-
ლო, მაგრამ დღივ აღმზანური გრძნობებით აღ-
სავსე ცხოვრებას გვიხატავს ავტორი გულწრფე-
ლი უშუალოებით. შეთხვეული გრძნობს რომ მას
უყვარს, ნამდვილად უყვარს ამ პატარა უბნის
აღმზანები, რომლებიც მრომობენ, სწავლობენ,
მზიარელობენ, სწუხან, უყვართ, განიცდიან.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს პროზაში მინც შე-
ინჩნევა ქალაქის თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა
ნაკლებობა, ჩვენი მწერლების უმრავლესობის
ყურადღება, და ეს ითქმის არა მარტო უფროს
თობებში, არამედ ახალგაზრდობაზედაც. უფრო
სოფლისკენა მიქცეული. ამდენად მისასაღმებე-
ლია ოთ. დემეტრაშვილის განზრახვა — შექმნას
მოთხრობების ციკლი თბილისის უბრალო აღ-
მზანებზე. ოთ. დემეტრაშვილი შესანიშნავად იც-
ნობს ქალაქის ცხოვრებას და შეუდგომლად
გრძნობს თბილისის მეტად თავისებურ კოლო-
რიტს.

ახალგაზრდა პროზაიკოსი მარჯველ იყენებს
მოთხრობისათვის საჭირო ყველა კომპონენტს.
მის ნაწარმოებებში აუცილებლად არის დამინ-
ტრეღვისებელი აზმაგი, მწერალი კარგად ანეთა-
რებს სიუჟეტს, მეტადრე მის ექსპლიციური ნა-
წილს. აღსანიშნავია მოთხრობების ფინალი, ყო-



ველთის ამალელებელი და დამაჯერებელი. ოთ. დემეტრაშვილს, როგორც იტყვიან „არაფერზე“ წერა არ უყვარს, მას აქვს ფანტაზია და შეუძლია დამინტერესებელი ამბის კარგად ვადმოცემა.

როგორც აღვნიშნეთ, ოთ. დემეტრაშვილის მოთხოვნების გმირები უბრალო, თითქოს შეუმჩნეველი ადამიანები არიან, თავიანთი ყოველდღიური ადამიანური სიხარულითა და დარღობით ამ გმირთა მცირერიცხოვანი ვალერება, რომელიც კერპობით შექმნა ახალგაზრდა ავტორმა, ადასტურებს კიდევ ერთ დადებით მხარეს მისი შემოქმედებისა — ოთ. დემეტრაშვილს შეუძლია თავის პატარა მოთხოვნებში რელიეფურად გამოკვეთოს ხასიათები. ორიოდვე პერსონაჟის გამოკლებით, მისი გმირები ცხოვრებისეული არიან, თითქოს მრავალჯერ გინახავთ კიდევაც ისინი. აი, „წერო“ — „მალაღი იყო, გამხდარი, ბუკებში წახრილი, მოგარძო სახე და ოდნავ წინამოვარდნილი ჭვედა ყბა ჰქონდა, ტანთან წერო-სავით წეროთ კისერით შეერთებული. ფეთიანივით სიარული იყო, აი, ისე — ადამიანი კიბის სამ საფეხურს ერთად რომ აბრუნებდა, მიდიდა მთელი სხეულის რწვეით და თან მოსუვენურად ამორბავდა თავს. შავი რბის სათაღე ეკეთა, იღლიაშიც ერთადე წიგნები ჰქონდა ამოხრილი“.

ანდა, კეთილი პელო-ბაბო „წითელი ვაშლებიდან“. ავტორი გვიხატავს ქალაქელი მოზუცი ქალის ტიპურ სახეს, ასეთები თბილისის თითქმის ყოველ უბოში ცხოვრობენ. სანტერგოდია გამოკვეთილი ცალფეხა დახლებიანი სანდრო, რომელიც დიდ ბოლმას იკლავს გულში და ადუღებისას ბერლინთან ნატყვიარი ცაცია რომ აუთროლდება ხოლმე („დახლიდარის ხეშაიდი“).

ოსტატურადაა დახატული ქალაქელი ხელისნის ამბროსის სახე („კარგად აღმა მეზობელი“). ასევე გამოირჩევიან თავიანთი ინდივიდუალური ხასიათებით ნათელა და თამარი („წერო“), შედიკო და გელა („წითელი ვაშლები“), თამარი და ნინო („დახლიდარის ხეშაიდი“), ქეთინო და მზექალა („კარგად აღმა მეზობელი“).

უნდა ითქვას, რომ „წეროსა“ და „კარგად აღმა მეზობელი“, სადაც თხრობა პირველ პირობის სწორიობას, ახალგაზრდა მწერალმა შესძლო რელიეფურად და დამაჯერებლობით გამოეძერწა ერთ-ერთი მთავარი გმირი — ავტორისეული „მე“.

ოთ. დემეტრაშვილის, როგორც პროზაიკოსის დამახასიათებელ თვისებას აგრეთვე წარმოადგენს კარგად შიგნითული ცხოვრებისეული დეტალების უხვად გამოყენება, რომლებიც აღმაზრუნებენ და აცოცხლებენ ნაწარმოებს. ხშირად ასეთი დეტალები პირდაპირ კინემატოგრაფიულ თვალსაჩინოებამდე დაცვივდები. ავიღოთ თუნდაც სანტერგოს მოზუცი ქალის თამაშებისა „პიქა ჩაიზე“ და შემდეგ ლოტოს თამაშისა („წითელი ვაშლები“), უცერად წამოსული წყაბის

სურათი „წეროში“, სცენა საავადმყოფოში („წერო“) და სხვ.

სასიხარულოა ისიც, რომ ახალგაზრდა პროზაიკოსმა შესანიშნავად იცნა „წეროში“ სახეობის წერს: თუნდაც რად ღირს მის მიერ ზუსტად აღწერილი ისეთი იშვიათი ხელოსანის საქმიანობა, როგორიც უკავიაჩინა:

„მთელი დღე ზის სახელოსნოში და ნახევარკარბონი ალმასის უხალი ბეჭდებს აკეთებს, ბადაღშიან საურეებს ფერავს, ვერცხლით მოსარიმულ ჯიხვის ყანწებს ასევალებს.“

— აყალი ბუთაში გამდნარ ოქროს დასტრიაციებს ძია ამბროსი, თუნაშუ ავრილი ზაჯალო ყალიბში ჩასხმისას ვერცხლის წყალივით კოლტ-კოლტად ივრება და მძიმე-მძიმედ ავსებს საზოდე ფორებს.

მე უყვ ვიცი, რომ ჩამოსხმულ ოქროს წნებში გასწვეს ძია ამბროსი, საჭირი სივრცე-განს მისცემს. ზოგს მავთულივით გააგრძლებს, ზოგს უფრო მომსხდო, ზოგს კი სიფრთხანა ფურცლებად გაშლის და იქიდან ბეწვა ბერბით საყურეებს ამოხეხავს; მერე თითბერვით ჩაყამებულ ოქროს გაძენილ ჩეარზე გააჯილავებს და თავის პეწსა და ლახათს დაუბრუნებს“. („კარგად აღმა მეზობელი“).

ოთ. დემეტრაშვილს ახასიათებს აგრეთვე იუმორის გრანოზა. უახსადი, მსუბუქი და უწყინარი იუმორი მართლაც მერ სინათლესა და სიცოცხლეს მატებს მის მოთხრობებს. ეს განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს „წეროსა“ და „კარგად აღმა მეზობელი“ში. თუმცა, კრებულის მეხუთე მოთხრობა „პირველი სიყვარული“, რომელიც თითქოს განცალკევებულად დგას ამ ციკლიდან — აშკარად შეიძლება ჩაითვალოს ე. წ. „იუმორესკად“.

„წეროში“ თვით ავტორისეული „მე“ თამარისადმი დამოკიდებულება, ვიგოს ტიპაჟი, სცენა ივებით, ცრუპეშინი ბუკინისტთან თვალნათლად მტკიცებებს ავტორის შესაძლებლობაზე „იუმორის დატკუნი. ასეთივე მახვილგონიერი იუმორისტული სცენები და დიალოგებია „კარგად აღმა მეზობელი“ში.

ოთ. დემეტრაშვილი სავრთოდ ტუნწად ხშირობს დიალოგს. ძალიან იშვიათად და ისიც ლაკონიურად იყენებს პროზისათვის ამ ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს. მაგრამ მისი დიალოგი ყოველთვის ცოცხალია და გამომსახველი. ავიღოთ თუნდაც „კარგად აღმა მეზობელი“...

— „ქექეთო, ეკეი, ქექეთო! — გაუძახუნ ხოლმე და ქეთინოც მაშინვე მოდგება სარკელთან. — იცი რა? — ვეუზნები და ხელში შერჩენილ ფანქარს წიბოგამოჩრილ ავტრზე ვარაყუნებ.“

— რა?

— რა და... — ალა ქუქოს ვიქეკე ფანქრის წვეროთ.

— აღარ იტყვი? — შემწერალივით მეტყუება ქეთინო, მერე ნელ-ნელა დიმილით ეწვრიტება ლოყები. ეშმაკურად შემომცქერის გულისხმაში ჩავარდნილი, — რამდენი გინდაო, — ჩუმ-ჩუმად მანიშნებს.

— სამიე რომ მომეცე, ოცდარი იქნება ჩემზე... ორშაბათს სტიპენდიას ავიღებ და მაშინვე მოვტანა”.

ახალგაზრდა პროზაიკოსის მოთხრობებს ახასიათებს იდეური სიჯანსაღე და მახვილი სოციალური აზრობა. მის მოთხრობებში მკაფიოდ ჩანს თანამედროვე მწერლის, საბჭოთა შემოქმედის იდეურ-პოლიტიკური მრწამსი და მსოფლმხედველობა. უბრალო, რიგითი ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ამჩნევს ოთ. დემეტრასეული ზეინი გრანდიოზული ეპოქისათვის დამახასიათებელ შტრიხებს. მან შესანიშნავად იცის, რომ გაიმარჯვებს კითხი, დღივი, წმინდა. ახალგაზრდა მწერალს აქვს ადამიანებში კარგის შემსწრევის უნარი „ამიტომაც ასე ოპტიმისტურად ეყრის მისი სიტყვები:

„ძველებურად ისევ პირმოძიებარე ზელსაქმობს დედანგემი და ისევ იმედის თვალით შესუქურის ნათელ მომავალს. აი, საცაა სწავლას დაამთავრებს მისი ვეჯაკი, და დედას სჯერა, რომ ღამაზ-ღამაზი ფერებით მოხატულ შპალურს გააკარავთ ოთახში. მაიკივარსა და საყვარე მანქანას ვეიციდით. რაღა თქმა უნდა, შეილის ბედნიერებასაც შეასწრებს მამოუფალი და მკლავზე გადაიკარებს დუნეულა შვილიშვილს“ („კარგადღამა მეზობელი“).

ამ პატარა უბნის მცხოვრებლებს ჯერ კიდევ ზევრი რამ აქვთ სანატრელი, ისინი ჯერჯერობათ არ არიან ყველაფრით უზრუნველყოფილნი. მაგრამ აქვთ კეთილისკენ მისწრაფება. სწორედ ასეთი ადამიანები დაგვიხატა ოთ. დემეტრასეულმა თავის მოთხრობებში და დაგვიხატა მართლაც, ყოველგვარი შეღამაზების გარეშე.

თავის გმირებთან ერთად მასაც სჯერა, რომ შეიძლება ახლო მომავალში ეს ძველი უბანი დაინგრეს და მისი მცხოვრებნი წინაქუთ ტყვენიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით [წინაქუთ] უზარმაზარ კორპუსებში. მანამდე კი ახალგაზრდა ავტორმა ისევ და ისევ უნდა აღწეროს და მკითხველს მიწოდოს პატარა უბნის უბრალო ადამიანების ცხოვრების სურათები.

დასასრულ რამდენიმე შენიშვნა. მოთხრობაში „კარგადღამა მეზობელი“ მეტად გაკინურებულად გვეჩვენება დიალოგი, რომელიც ეხება კინოფილმის აკარგანობას (ეს მით უფრო უცნაურია რამ, როგორც ვთქვით, ოთ. დემეტრასეულს არ უყვარს ასეთი დიალოგები).

ოთხივე მოთხრობაში სხვადასხვა გმირთა სახელები სწორად მეორდება, მაგალითად: „წერარში“ — გიგო, ნათელა, თამარი; „წითელი ვაშლებში“ — გიგო; „კარგადღამა მეზობელში“ — ნინო; „დახლიდარის ხეშიაღმში“ — ნინო, ნათელა, თამარი. ეს გმირები რომ გადადიოდნენ ერთი მოთხრობიდან მეორეში (რაც თავისთავად არ იქნებოდა ცუდი ასეთი ცოცხლის ნაწარმოებებისათვის) საშინ, რა თქმა უნდა მართებული იქნებოდა სახელების გაშვარება. მაგრამ ერთნაირი სახელები სულ სხვადასხვა პერსონაჟებს ჰქვია.

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ოთ. დემეტრასეული ძალიან ცოტას წერს... წელიწადში მხოლოდ ერთი პატარა მოთხრობის დაწერა, სხვა რომ არა ვთქვათ რა, ნამდვილად შეუწყნარებელია. ახალგაზრდა ავტორს მართებს უფრო ხშირად გაახაროს მკითხველი თავისი კარგი ნაწარმოებებით.

ალექს სანადირაძე

მონოგრაფია იოჰანეს ბეხერზე



სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობამ მკითხველთა ფართო საზოგადოებრიობას წარმოუდგინა ფილოლოგიური მეცნიერებათა კანდიდატის ზურაბ ჰარბაღიანის წიგნი „იოჰანეს ბეხერი, ცხოვრება და შემოქმედება“, რომელშიაც მეცნიერულადა გაშუქებული ის რთული და წინააღმდეგობრივი შემოქმედებითი გზა, რომელიც გაიარა ცნობილმა გერმანელმა მწერალმა.

წიგნი ოთხი ნაწილისაგან შედგება. დართული აქვს შესავალი და ბოლოსიტყვა.

შესავალში ზურაბ ჰარბაღიანი იხილავს საბჭოთა და ბურჟუაზიულ ლიტერატურათმცოდნეობის შეხედულებას იოჰანეს ბეხერის შემოქმედებაზე. იმდროინდელი გერმანიის სა-

ზოგადოებრივი ცხოვრების მოკლე დახასიათების შემდეგ, ავტორი გვიხატავს ბეხერის შემოქმედებით გზას ექსპრესიონიზმიდან სოციალისტურ რეალიზმამდე, აბსტრაქტულ-ინდვიდუალისტური ჯანყიდან კომუნიზმის ცხოველმყოფელ იდეებამდე. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ იოჰანეს ბეხერი ოციან წლებისათვის მიუხედავად გარკვეული ზავარდნებისა მაინც ახერხებს აირჩიოს სწორი, ნათელი გზა მომავლისაკენ და საგრძნობლად ჩამოშორდეს რეაქციული ფილოსოფიის მავნე ზეგავლენას, დასადასტურებლად ავტორს მოჰყავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის სიტყვები, რომლებიც შესანიშნავად ახასიათებენ გამოჩენილი გერმანე-

ლი მწერლის მიერ გადადგმული ნაბიჯის სისწორეს; — იოჰანეს რობერტი ბეხერის განვითარება — სწორის პიკი, მაგალითია გერმანიის იმისა, რომ მოწინავე ინტელიგენტები ბურჟუაზიის ბანაკიდან უნდა მოვიდნენ მუშათა კლასის სოციალისტურ ბანაკამდე, თუ პარტიოსანი და თანამიმდევრული იქნებოდნენ მშვიდობისა და პროგრესის შეთავსების საკითხშია“. ასევე მალაი შეფიერება მისცა ბეხერის შემოქმედების მაღალადიქტორობას და მის დამსახურებას გერმანელი ხალხის წინაშე გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ. მან იოჰანეს ბეხერი „ახალი, კუმპარიონტი გერმანიის“ დამცველად გამოაცხადა. დეაქლამისილი შემოქმედს ორჯერ მიეკუთვნა ნაციონალური პრემია.

მაგრამ ასე როდი ფიქრობს ბერეუაზიული ლიტერატურათმცოდნეობა. იდეალისტურ საფუძველზე აღმოცენებული მეცნიერება ცდილობს დაკნინოს და გააყაღოს არა მარტო ბეხერის, არამედ მთელი პროგრესული გერმანული ლიტერატურის განვითარება საერთოდ. ზურაბ ჭარბალაშვილი დაწერილებით იხილავს იმპერიალიზმის ლაიხა ლიტერატორების „ესთეთიკური“ ნაწარვეის ავტარა აგრესიულ ხასიათს და ადგენს, რომ ვ. ლანგესა და ი. ბიოულის, პ. კინდერმანისა და ა. კლანინერგის, ვ. მარპოლესა და სხვა ბერეუაზიულ აპოლოგეტთა ცალმხრივ მსჯელობას იოჰანეს ბეხერის შემოქმედების შესახებ საერთო არაფერი აქვს იმ კეთილ ნების აღმამაინებს აზროვნებასთან, რომლებმაც შეიყვარეს გერმანული პროგრესული ლიტერატურის გამოჩენილი პოეტი. დასავლეთის იდეოლოგებს ავტორი უპროსიპირებს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის უმდიდრეს მონაპოვარს, რომელმაც დიხრესულად შეაფასა იოჰანეს ბეხერის დამსახურება კაცობრიობის წინაშე.

წიგნის პირველ თავში წარმოდგენილია ბეხერის „დრეული შემოქმედების ლიტერატურულ-კრიტიკული ანალიზი“. ჩვენს თვალწინა 1911 წელს ბერლინში ჩამოსული ახალგაზრდა — იოჰანეს ბეხერი. ავტორი მისი ოჯახის ამსახველ ცოცხალ სურათს გვახატავს და შემდეგ თანდათანობით ზრდის ჩვენს თვალში ჭაბუკ ბეხერს, როგორც დიხიერად ისე სულიერად.

1911 წლის 20 ოქტომბერს ბეხერი აქვეყნებს თავის პირველ მხატვრულ ნაწარმოებს. მას მალე მოჰყვა რომანი „მიწა“ და ლექსთა კრებულები. ეს ნაწარმოებები მკირეოდენი გადაშეშავების შემდეგ ორ ტომად „დაცემა და ზეიმი“ გამოქვეყნდა. ჩვეულებისამებრ ამ ორტიმეულის მიხედვით მსჯელობენ მწერლის შემოქმედებით საწყისებზე. ზურაბ ჭარბალაშვილი დაწერილებით ეხება კრებულში მოთავსებულ ნაწარმოებებს. ცდილობს დაგვიანახოს პოეტის სულიერი მდგომარეობა. მალე ჩვენ ვხედავთ ბეხერს, რომელსაც აშვილ ნავსადგურებსა“ და „ოქროსი ფერს ღრუბლებთან დაბინავებამ“ ზელი ავლია და ახლა მთელი ძალით ცდილობს ხალხთან დაახლოებას, საზოგადოებისადმი სამსახურს. ამ სუ-

ლისკვეთებას, მიეძღვნა ლექსთა კრებულში „ვეროპისადმი“ და „დამპობილება“. ბეხერი ეცნობა ლიტერატურულ ჯგუფის „Action“ უკს-პრესიონისტულ პროგრამას და ასაღიდაწვემული იმპერიალისტური ომის საშინელებათა ასახვისათვის იყენებს მას. მაგრამ თანამოქალაქეებისაგან განსხვავებით ბეხერისათვის დამახასიათებელი არაა პესიმიზმი. მასში უფრო ძლიერია სწრაფთა კეთილ მომავლისაკენ, ზურაბ ჭარბალაშვილი ამ თავში სწორედ ამ რაციონალურ მარცხელს გამოჰყოფს.

მომდევნო თავში — „მობრუნება რევოლუციურ-პროლეტარული მწერლობისაკენ“, ავტორი ეხება „შეშარცხენე“ ექსპრესიონისტებისაგან, „დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის“ შემოკრევენე ფრაქციებისაგან ჩამოშორებული ბეხერის შემოქმედებას, რომელზედაც უდიდესი გავლენა მოახდინა 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ. ზურაბ ჭარბალაშვილი სათაოდ ვეიხატავს იოჰანეს ბეხერს, რომელიც ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის სახით აღფრთოვანებით შეესალმა „თავისუფლებასა და თანასწორობას“. ზურაბ ჭარბალაშვილი თანმიმდევრულად არჩევს ბეხერის მიერ იმ წლებში დაწერილ ყოველ ნაწარმოებს და ხსნის წინააღმდეგობათა გამოწვევ მიზეზებს. „მაგარს, — დამსქენ ავტორი, — მოუხედავად არსებითი შეზღუდულობისა, მოუხედავად ზნორი სუბიექტივისტურ-რელიგიური გადახვევებისა ბეხერის ნაწარმოებთა ანალიზს ასეთ დასკვნამდე მივყავართ: ბეხერი დაიძრა რევოლუციურ პროლეტარული მწერლობისაკენს კარგადმა ზურაბ ჭარბალაშვილის მიერ გაშუქებული ის დიდი გავლენა, რაც იმხანად იქონია გერმანულ პოეტზე რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნმა — ვლადიმერ მაიაკოვსკიმ.

ავტორი არჩევს ბეხერის პროზულ-ლირიკული ხასიათის წიგნს — „გვაში ტახტზე“, რომელიც 1925 წელს გამოქვეყნდა და 1926 წელს გამოცემულ მოთხრობას „ბანკირი ბრძოლის ველზე მიჯირობობს“, რომელსაც მოჰყვა საყოველთაოდ ცნობილი რომანი „ლუიზიტო ანუ ერთადერთი სამბალთან ომი“. ამ ნაწარმოებებში იოჰანეს ბეხერი ამთარაბებს გაბატონებულ რეჟიმს და ახალი ომის მზადებაში მყოფ აგრესორებს სამარცხენო ბოძზე აყავს. ზურაბ ჭარბალაშვილი ბეხერის ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად იხილავს მის საზოგადოებრივ საქმიანობასაც, რამაც დიდად შეუწყო ხელი იმხანად გერმანიის პროგრესული ლიტერატურული ცენტრის შექმნას. ეს კი თავის მხრივ მწერლების იდეურ აღზრდასთან იყო დაკავშირებული.

ავტორი ეხება ბეხერის ოცდაათიანი წლების დასაწყისის შემოქმედებას და აგვიჩერებს იმ დიდ ეპოურ ტილოს, რომელსაც „რთილ გვაგმა“ ეწოდება. ეს ნაწარმოები ბეხერსა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობას, პირველი ხუთწლიანი გეგმის მნიშვნელობას მიუძღვნა. ბეხერის ამ

იდეურ გამარჯვებებთან ერთად, ზურაბ ჰარბა-ლაშვილი მისი ნაწარმოებების წარდღოვან მხარეებსაც აღნიშნავს.

მესამე ნაწილი — „ბეზერო-რეალისტი“ იწყება ფანსისტური დიქტატურის შეზღუდულ ხანის დახასიათებით. ნაცისტებმა აგრძალეს კომუნისტური პარტია, დაპატარავეს ერნსტ ტელმანი, ვ. ბრედელი, ვ. მიუზაში და სხვები, ოპერნალაციის ცნობილ აუტო-და-ფეზე ცეცხლს მისცეს მთელი პროგრესული ლიტერატურა და გამოღებით შეუდგნენ მზადებას ახალი ომისათვის. ზოგი შეწრაფი მშინვე მოგვედლა ფანსისტებს. დანარჩენმა „შეასიღლებმა“ კი, იოჰანეს ბეზერის, ანა ზეგერის და ვილი ბრედელის მსგავსად, პოლიტიკურ ემიგრაციაში წასვლა არჩიეს, რადგან ფანსისტი უკალათები მათ სიკვდილით ემუქრებოდადნენ.

იოჰანეს ბეზერმა, ზოგ სხვა გერმანულ ლიტერატორთან ერთად საბჭოთა კავშირში ჰყოვა თავისი მეორე სამშობლო და გაათქვეცებული ენერჯით შეუდგა ფანსისტური დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლას. ზურაბ ჰარბალაშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სოციალისტურ გარემოცვაში მოხვედრილ ბეზერს ბევრ რამეზე აგზილა თვლი და რომ მან მარქსიზმ-ლენინიზმი ჩაგრელი, ექსპლოატირებული მასების რევოლუციურ თერიად, ბუნებისა და საზოგადოების განვითარების შესახებ ერთად ერთ ჭეშმარიტ მეცნიერებად და უკლასო საზოგადოების მშენებლობის პრაქტიკულ საბელმძღვანელოდ აღიარა, რაც ნათლად ეტყობა იოჰანეს ბეზერის ომისდროინდელ და ომის შემდგომი ხანის მთელ შემოქმედებას.

გავიდა ხანი. ისტორიას ჩაბარდა „მესამე რაიხი“, ხალხი შეუდგა ომის მიერ მიუყენებულ კრილობების მოშუშებას. ემიგრანტები დაუბრუნდნენ საყვარელ სამშობლოს. იოჰანეს ბეზერმაც მოაშურა თავის ხალხს, რათა მხარში ამოსდგომოდა და მისი ჭარუარამი გაეზარებინა. დაიწყო ახალი ეტაბი ბეზერის შემოქმედებაში და სწორედ ამ ეტაბს მიუძღვნა ზურაბ ჰარბალაშვილმა თავისი წიგნის უკანასკნელი თავი — „ბეზერი და თანამედროვეობა“.

ბეზერის მთავარი საზრუნავი-ყო მშვიდობის განმტყიცება, დაახლოება სოციალისტური ბნაკის ქვეყნებთან, პირველ რეგში კი-საბჭოთა კავშირთან. აქეთყენ მოუწოდებდა, იგი გერმანიის მოწინავე ადამიანებს. ამ თავში ზურაბ ჰარბალაშვილი დიდი სიყვარულით გვიხატავს გერმანული ხალხის კეთილდღეობისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობიანი თანაარსებობის საქმისათვის მებრძოლ ადამიანს — იოჰანეს ბეზერის სახეს.

დასასრულს უნდა აღენიშნოთ, რომ წიგნში სამუქუხაროდ განხილული არაა ბეზერის ლექსის სპეციფიკა, არაა ნაჩვენები თუ რა სიახლე შეიტანა იოჰანეს ბეზერმა გერმანულ ლექსში. წიგნში ზოგიერთი წინადადება ოდნავ ბუნდოვანადაა აგებული მაგალითად: „მართალია, წერილიშ მოცემული არაა ბეზერის ნაწარმოებთა იდეური და მხატვრული ანალიზი, მაგრამ გორაკისეული შეფასება ბეზერის — როგორც მხატვრული სიტუვის ოსტატისა და „ლუნიტიისა“ განმსაზღვრელი მნიშვნელობისა გახდა მომავალ მკვლევართათვის“. (გვ. 16) ეს ფრაზა გამართვას მოითხოვს. 35-ე გვერდზე ნახშირია სიტყვა „ოლიში“. უნდა იყოს „ოლიში“. 52-ე გვ. ასეთ ფრაზას ვაწყდებით: „ფოლადის საწარმოს გენერალ-დირექტორი და მისი კომპანია“. უნდა იყოს „ფოლადის საწარმოს გენერალური დირექტორი და მისი კომპანია“. 75-ე გვ. ასეთი წინადადება ვხვდებით: „...რეზარკის „დასავლეთის ფრონტზე სიწყნარეა“. უნდა იყოს: „...რეზარკის „დასავლეთის ფრონტი ეცვლილია“. მსგავსი მაგალითების დასახელება ვიდევაც რომ შეიძლებოდეს, მათ მაინც არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ.

ზურაბ ჰარბალაშვილი ბოლოსიტყვაში მორიდებით აღნიშნავს, რომ: „უკვლა შესაძლებელი ნაკლოვანების მიუხედავად ვფიქრობ, ეს წიგნი გააკვეთელ სამსახურს გაუწევს ფოლოლოგიური ფაქულტეტის სტუდენტებსა და საერთოდ საზღვარგარეთული ლიტერატურით დაინტერესებულ მკითხველებს“.

საზღვარგარეთული ლიტერატურა ჩვენში ბევრს აინტერესებს, მკითხველი ინტერესით გაეცნობა ახალგაზრდა მეცნიერის ამ ნაშრომს.

ზურაბ ჩხენკელი

ახალი წიგნები



გამომცემლობა „საბოთა საპარტველო“

- აკაკი წერეთელი — ტომი 11. რედ. ვ. ჯავახიძე. გვ. 560, ფასი 18 მან.
- აკაკი წერეთელი — ტომი 12. რედ. შ. ბაქრაძე. გვ. 436, ფასი 18 მან.
- მის. შოლოხოვი — წყნარი ღინი. წიგნი პირველი. თარგმანი თინათინ ჯავახიშვილისა. რედ. არჩ. დავითიანი. გვ. 470, ფასი 9 მან.
- ირ. ახაშიძე — ამერიკა თავის ერთი ვადელებით. რედ. ე. მაღრაძე. გვ. 82, ფასი 90 კაპ.
- დემნა შენგელაია — თხზულებანი. ტომი 11. რედ. ა. ფარულაძე. გვ. 678, ფასი 12 მან. 50 კაპ.
- კლიმენტი გოგიავა — ნაშუქის ქული. რედ. ბ. შირცხულავა. გვ. 266, ფასი 4 მან. 50 კაპ.
- ონია დონეშვილი — აღზანუ. რედ. ბ. შირცხულავა. გვ. 462, ფასი 9 მან.
- ელიზბარ ზედგანიძე — მისი ამოსვლამდე. რედ. ილ. ხომარია. გვ. 286, ფასი 6 მან 10 კაპ.
- შალვა ამისულაშვილი — აშგებული აფრები. რედ. ბ. შირცხულავა. გვ. 104, ფასი 2 მან.
- ოტია იოსელიანი — ნოველები. რედ. ვ. ჯავახიძე. გვ. 164, ფასი 1 მან. 35 კაპ.
- ზაქარია შერაზდიშვილი — ძელქვა. რედ. კ. ბობოხიძე. გვ. 98, ფასი 1 მან. 35 კაპ.
- გიორგი ტალიაშვილი — ა. ჰეხოვი. რედ. ვ. ჯავახიძე. გვ. 114, ფასი 2 მან. 45 კაპ.
- ელიშერ ყიფიანი — გოგონა, რომელსაც ზღვა არ უნახავს. რედ. გ. ციციშვილი. გვ. 144, ფასი 1 მან. 85 კაპ.
- მლატონ ბებია — შუქალას ნანდაური. რედ. რ. ბუქინიშვილი. გვ. 154, ფასი 2 მან.
- ილია არაბია — პოეტის სიმღერა. რედ. ილ. ხომარია. გვ. 88, ფასი 1 მან. 40 კაპ.
- ვერა შუბლაძე — დრო წავიდა სიყვარული კი არა. რედ. ბ. შირცხულავა. გვ. 90, ფასი 1 მან. 40 კაპ.
- ჯანსუღ ნიჭიბაძე — ამზობებული სამთავრო. რედ. ვ. ჯავახიძე. გვ. 48, ფასი 1 მან. 30 კაპ.
- იაროსლავ მაშვი — ყოჩაღი ჯარისკაცა შვეიცია და მისი თოვგდამსავალი მსოფლო ომში. თარგმანი ჩუხურიდან შ. ალვა გვიჩიძისა. რედ. ნ. შველიძე. გვ. 532, ფასი 16 მან.
- ოთარ შალაბერძენე — საღამურთა და თეთრი ცისკარი. რედ. ილ. ხომარია. გვ. 76, ფასი 1 მან. 35 კაპ.
- ა. ჯანაშვილი, შ. ხარბილაძე — თბილისის ზომარაყა. რედ. დ. გუგუნიძე. გვ. 144, ფასი 2 მან. 25 კაპ.
- ბენო გორდუნიანი — შ. ა. ზინი საქართველოში. რედ. იო. არაბული. გვ. 82, ფასი 6 მან. 50 კაპ.
- უახანგ ბერიძე — თბილისის ხუროთ-მომღერება 1801 — 1917 წლები. რედ. ე. ტოროტიძე. გვ. 64, ფასი 30 მან.
- გ. ვახაჩაშვილი — სინგილო. რედ. ლ. ბაგრატიონი. გვ. 30, ფასი 50 კაპ.
- გ. ზაქარაძე — გეორგიკა. რედ. ნ. მამისაშვილი. გვ. 66, ფასი 1 მან. 50 კაპ.
- ვ. ქუშინიშვილი — მექედრლეობა. რედ. დ. ფირცხულავა. გვ. 54, ფასი 1 მან.
- მ. დავითაშვილი — ჩაის ნოვატორი. რედ. შ. შუბლაძე. გვ. 36, ფასი 55 კაპ.
- ი. კვაჭაძე — რა უნდა ვიკადეთ ცხოველის ორგანიზმის აგებულებისა და ფუნქციის შესახებ. რედ. დ. გუგუნიძე. გვ. 66, ფასი 1 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „ნაპაღული“

- ახალჯარდა მწერლები — მოთხრობები. რედ. რ. ჯაფარიძე. გვ. 232, ფასი 5 მან.
- გიორგი ჩოგვაძე — ჩეგნი შვიდწლიანი. რედ. დ. ჯაბუა. გვ. 146, ფასი 2 მან. 80 კაპ.
- მარია ბარათაშვილი — საქმის კაცია. რედ. შ. ამანუელელი. გვ. 20, ფასი 1 მან. 30 კაპ.
- როსტომ ზივანიშვილი — გარეუბნული მეზობლები. რედ. ლ. ცაგარეიშვილი. გვ. 124, ფასი 2 მან. 30 კაპ.
- შოა-შაი — ლეგენდა ტან-ვიენის მთისა. თარგმანი ფრანგულიდან შ. ბაქრაძისა და ც. ჩიქოვანიძისა. რედ. ლ. გუგული. გვ. 56, ფასი 50 კაპ.
- ოვანეს შირაზი — ვარსკვლავები სევანში. თარგმანი შორის ფოცხიშვილისა და შოთა ნინიაიძისა. რედ. ვ. კაჭახიძე. გვ. 84, ფასი 80 კაპ.
- შოთა ძიძიურა — საენაშენიერო საუბრები. რედ. ნ. ლორთქიფანიძე. გვ. 206, ფასი 7 მან.
- მ. ეზერესკი — მიწის ძალი. თარგმანი თინათინ შიძიგუჩიისა და ბელა მიქაძისა. რედ. ნ. კალანდარიშვილი. გვ. 206, ფასი 3 მან. 50 კაპ.
- გიორგი ვეკუა — რატომ მიღო მშობ ორბანი. რედ. ც. ხაშიძე. გვ. 100, ფასი 1 მან.
- სერგეი მიხალკოვი — სამი გოჭი. თარგმანი მარიაჯანისა. რედ. კ. ნადრაძე. გვ. 32, ფასი 2 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „ომონა“

- ნ. ა. თევზაძე — განაზომთა აღმათობის თორია და მთემპტიურის სტატისტიკა. რედ. კ. ტაბაძე. გვ. 422, ფასი 10 მან. 80 კაპ.
- ა. ა. შოროშვილი — წყლის ენერჯის გამოყენება. ნაწ. I თარგმანი ი. ამილღობელისა. რედ. შ. გულიტაშვილი. გვ. 290, ფასი 3 მან. 60 კაპ.
- გ. ნიორაძე — ნარკვევები საბჭოთა ლიტერატურის საკითხებზე. რედ. ჯ. დადიანი. გვ. 152, ფასი 3 მან. 25 კაპ.
- გ. შ. ბაჭყალი — რუსეთის ძველი სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის. რედ. კანდელაკი. გვ. 86, ფასი 2 მან. 95 კაპ.
- ა. კიხიკია — ქართული ენა. რედ. ე. ბოლოლიკაშვილი. გვ. 170, ფასი 3 მან. 25 კაპ.
- ი. ი. შამაგია — საზღვარგარეთის ეკონომიური გეოგრაფია VIII კლასის სახელმძღვანელო. თარგმანი ვ. კ. მგალობლიშვილისა. რედ. დ. სალუქიაძე. გვ. 362, ფასი 5 მან. 10 კაპ.

ფასი 8 ლ.

ბ. 10/298



საქართველოს
საბჭოთაო გამომცემლობა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕЛО»